



**ევროკავშირი
საქართველოსთვის**



**სამართლისა და პოლიტიკის
კვლევის ინსტიტუტი**
Institute for Law & Policy Research



CSRDG
საერთაშორისო იურიდიული
კვლევებისა და განვითარების ცენტრი

**ევროკავშირთან ასოცირების
შესახებ ხელშეკრულებით
საქართველოს მიერ ნაკისრი
ვალდებულებების შესრულების
მონიტორინგი კონკურენციის
სამართლის კუთხით**



www.ilpr.ge

**მკვლევარი,
სამართლის დოქტორი,
პროფესორი
სოლომონ მანააღიშვილი**

**მკვლევარის ასისტენტი
ნიკოლოზ მგერელიშვილი**

ეს პუბლიკაცია შექმნილია საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრის (CSRDG) მხარდაჭერით, ევროკავშირისა და კონრად ადენაუერის ფონდის მიერ დაფინანსებული პროექტის „სამოქალაქო საზოგადოების ინიციატივა: მდგრადი, ღია და ანგარიშვალდებული სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები საქართველოს განვითარებისთვის“ ფარგლებში. მის შინაარსზე სრულად პასუხისმგებელია ა(ა)იპ „სამართლისა და პოლიტიკის კვლევის ინსტიტუტი“ და შესაძლოა, რომ იგი არ გამოხატავდეს ევროკავშირისა და კონრად ადენაუერის ფონდის შეხედულებებს.

პროექტს „სამოქალაქო საზოგადოების ინიციატივა“ ახორციელებს კონსორციუმში კონრად ადენაუერის ფონდის (KAS) ხელმძღვანელობით შემდეგ არასამთავრობო ორგანიზაციებთან ერთად - საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი (CSRDG), სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტი (CSI), კონსულტაციის და ტრენინგის ცენტრი (CTC), განათლების განვითარების და დასაქმების ცენტრი (EDEC) და ევროპული პოლიტიკის ინსტიტუტი (IEP).



სარჩევი

ტირინთა განმარტება.....	3
წინასიტყვაობა.....	8
1. კონკურენციის შესახებ კანონმდებლობის ზოგადი მიმოხილვა.....	11
2. კარტელების მარეგულირებელი ნორმების შესწავლა-შეფასება და მიღებული გადაწყვეტილებების მიმოხილვა.....	17
2.1 კარტელების მარეგულირებელი ნორმების შესწავლა-შეფასება.....	17
2.2 კონკურენციის შესახებ კანონის მე-7 მუხლის საპარაულდო დარღვევებზე განხორციელებული მოკვლევები და მიღებული გადაწყვეტილებების მიმოხილვა.....	21
3. დომინანტი პოზიციის ბოროტად გამოყენების მარეგულირებელი ნორმების შესწავლა-შეფასება და გადაწყვეტილებების მიმოხილვა.....	51
3.1 დომინანტი პოზიციის ბოროტად გამოყენების მარეგულირებელი ნორმების შესწავლა-შეფასება.....	51
3.2 კონკურენციის შესახებ კანონის მე-6 მუხლის საპარაულდო დარღვევებზე განხორციელებული მოკვლევებისა და მიღებული გადაწყვეტილებების მიმოხილვა.....	56
4. საქართველოში კონცენტრაციების მარეგულირებელი ნორმებისა და სააგენტოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებების ანალიზი.....	98
4.1 კონცენტრაციების მარეგულირებელი ნორმების ზოგადი მიმოხილვა.....	98
4.2 კონცენტრაციების მარეგულირებელი ნორმების ანალიზი... ..	102
4.3 კონცენტრაციების რეგულირებაში სიანსლემები.....	111
4.4 კონცენტრაციის საკითხზე სააგენტოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებების ანალიზი.....	113
5. სახელმწიფო დახმარების მარეგულირებელი ნორმების და კონკურენციის სააგენტოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებების ევროკავშირის ნორმებთან შესაბამისობა.....	125
5.1 სახელმწიფო დახმარების მარეგულირებელი ნორმების შესწავლა-შეფასება.....	125
5.2 სახელმწიფო დახმარებაზე სააგენტოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებების ანალიზი.....	138
5.3 საქართველოს მთავრობის მიერ გაცემული სახელმწიფო დახმარებები.....	149
6. სააგენტოს უფლებამოსილების ანალიზი.....	156
7. სააგენტოს მიერ განხორციელებული მონიტორინგების ანალიზი.....	168
8. დასკვნა.....	201

ტიპიური განმარტება:

დომინანტური მდგომარეობის ბოროტად გამოყენება - ევროკავშირის და საქართველოს კანონმდებლობით, დომინირებული მდგომარეობის ქონა არ წარმოადგენს კანონდარღვევას. კანონმდებლობით, დომინანტური მდგომარეობა განიმარტება, როგორც „შესაბამის ბაზარზე მოქმედი ეკონომიკური აგენტის ისეთი მდგომარეობა, რომელიც მას საშუალებას აძლევს, იმოქმედოს კონკურენტი ეკონომიკური აგენტებისგან, მიმწოდებლებისგან, კლიენტებისა და საბოლოო მომხმარებლებისგან დამოუკიდებლად, არსებითი გავლენა მოახდინოს შესაბამის ბაზარზე საქონლის მიმოქცევის საერთო პირობებზე და შეზღუდოს კონკურენცია. თუკი სხვა მტკიცებულებები არ არსებობს, ეკონომიკური აგენტი არ ჩაითვლება დომინანტური მდგომარეობის მქონედ, თუ შესაბამის ბაზარზე მისი წილი 40 პროცენტს არ აღემატება.“ მას შემდეგ, რაც ეკონომიკური აგენტი მოიპოვებს შესაბამის ბაზარზე დომინირებულ მდგომარეობას, მას ეკისრება ვალდებულება, რომ თავისი არსებობით კიდევ უფრო არ დაამახინჯოს შესაბამის ბაზარზე უკვე დამახინჯებული კონკურენცია. მის მიერ დომინირებული პოზიციის ბოროტად გამოყენება დასჯადია. ბოროტად გამოყენებას წარმოადგენს მაგალითად: უსამართლო ფასების დაწესება, წარმოების შეზღუდვა მომხმარებლების ინტერესების საწინააღმდეგოდ, დისკრიმინაციული პირობების დაწესება და სხვა.

სუპერდომინანტი ეკონომიკური აგენტი - დიდი ძალაუფლების მქონე ეკონომიკური აგენტი, რომელსაც შესაბამის ბაზარზე უკავია დიდი საბაზრო წილი. მაგალითად, 80-90 პროცენტი.

კოლექტიური დომინანტობა - დომინანტური პოზიცია შეიძლება ეკავოს როგორც ერთ ეკონომიკურ აგენტს, ასევე ორ ან რამდენიმე ეკონომიკურ აგენტს ერთობლივად. შესაბამისად, თუ რამდენიმე ეკონომიკურ აგენტს უკავია დომინანტური პოზიცია,

მაშინ ისინი ითვლებიან კოლექტიურად დომინანტ ეკონომიკურ აგენტებად.

ეკონომიკური აგენტი - ფიზიკური პირი, იურიდიული პირი, სხვა გაერთიანება ან ასოციაცია, რომელიც ახორციელებს ეკონომიკურ საქმიანობას, განურჩევლად რეზიდენტობისა, იურიდიული პირის სამართლებრივი ფორმისა.

ვერტიკალური შეთანხმება - ვერტიკალური კარტელი, რომელშიც ჩართულნი არიან მწარმოებელი და მისი დისტრიბუტორები. ამ შემთხვევაში, მწარმოებელი თუ უდგენს დისტრიბუტორებს საქონლის გადასაყიდ ფასს ან/და გაყიდვის ტერიტორიას, შეთანხმების ასეთი პირობა აკრძალულია კონკურენციის სამართლით.

კარტელი - კონკურენტი ეკონომიკური აგენტების თანამშრომლობა, რომლითაც ისინი თანხმდებიან ბაზარზე იმოქმედონ ერთი მიმართულებით, მაგალითად მოახდინონ ფასების ან/და სხვა სავაჭრო პირობების შეთანხმება, წარმოების შეზღუდვა, ბაზრების განაწილება გეოგრაფიული ნიშნით, მიწოდების წყაროების განაწილება და სხვა.

კონცენტრაცია/შერწყმა - წარმოადგენს ერთი ეკონომიკური აგენტის მიერ მეორე ეკონომიკურ აგენტზე გადამწყვეტი ზეგავლენის მოხდენის შესაძლებლობას, რაც შეიძლება განხორციელდეს წილების, აქციების შეძენის, ქონების შეძენის და სხვა გარიგებების მეშვეობით.

მავერიკული ფირმა - წარმოადგენს იმ ეკონომიკურ აგენტს, რომელმაც მოახერხა კონკურენტი ეკონომიკური აგენტების კოორდინაციის თავიდან აცილება ან შეფერხება. მაგალითად, ის არ აპყვამისი კონკურენტების ფასების ზრდას ან განახორციელა დამოუკიდებელი სხვა ქმედება და კონკურენტებთან კონკურენციაში შევიდა.

მოკვლევა - საქართველოს კონკურენციის ეროვნული სააგენტო საჩივრის საფუძველზე ან საკუთარი ინიციატივით იწყებს საქმის მოკვლევას თუ არსებობს გონივრული ეჭვი, რომ ადგილი ჰქონდა „კონკურენციის შესახებ“ კანონის სავალდო დარღვევას. მოკვლევასას სააგენტო აგროვებს და შეისწავლის საქმეზე არსებულ გარემოებებს. მოკვლევის პროცესში მას შეუძლია ეკონომიკურ აგენტს/მხარეს/დაინტერესებულ მხარეს მოსთხოვოს საქმის მოკვლევითვის საჭირო ინფორმაციისა და დოკუმენტაციის წარდგენა, დაიბაროს ისინი ახსნა-განმარტების მისაღებად, სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე ადგილზე შეამოწმოს შესაბამისი ეკონომიკური აგენტი. მოკვლევის ვადა არ უნდა აღემატებოდეს 18 თვეს. მოკვლევის დასრულებისას სააგენტო მის ხელთ არსებული მტკიცებულებების შეჯამების საფუძველზე ადგენს ან არ ადგენს კანონის დარღვევას.

მონიტორინგი - საქართველოს კონკურენციის ეროვნულ სააგენტო „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის 17² მუხლის საფუძველზე ახორციელებს საქართველოს სასაქონლო და მომსახურების ბაზრებზე კონკურენტული გარემოს შესაფასებლად ამ ბაზრების მონიტორინგს. მონიტორინგს დაწყების საფუძველი შესაძლებელია გახდეს: მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით გავრცელებული ცნობები, ადმინისტრაციული ორგანოების მომართვა, მაღალი საზოგადოებრივი ინტერესი, სააგენტოს მიერ შემუშავებული დამატებითი მეთოდოლოგიური დოკუმენტი/-დოკუმენტები ან/და სხვა ნებისმიერი წყაროდან მიღებული ინფორმაცია. მონიტორინგის დასრულების შემდეგ დგება მონიტორინგის ანგარიში, რომელიც არ წარმოადგენს ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს და რომლითაც ფასდება ბაზარზე არსებული კონკურენტული გარემო. თუ მონიტორინგის პროცესში გამოკვეთილი გარემოებები წარმოშობს გონივრულ ეჭვს შესაბამისი ეკონომიკური აგენტის/აგენტების მიერ „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის სავარაუდო დარღვევის

შესახებ, სააგენტო საკუთარი ინიციატივით იწყებს საქმის მოკვლევას აღნიშნული პირის/პირების მიმართ.

პლატი - Platts-ი წარმოადგენს საორიენტაციო ნიშანს შესაბამისი ენერგეტიკული ბაზრების ფასის მითითებაზე. ის ასახავს უახლეს საბაზრო ღირებულებას და წარმოადგენს განახლებულ მითითებას საქონლის ფასების შესახებ.

სახელმწიფო დახმარება - სახელმწიფო, ადგილობრივი და ავტონომიური ორგანოების მიერ ეკონომიკური აგენტის მიმართ განხორციელებული გარკვეული ქმედებები, რომლებიც კონკრეტულ ეკონომიკურ აგენტს აყენებს უპირატეს მდგომარეობაში სხვა კონკურენტებთან შედარებით. მაგალითად, გადასახადებისაგან განთავისუფლება ან მათი გადავადება, დაბალ პროცენტობის სესხის მიცემა, ქონების უფასოდ ან შეღავათიან ფასად გადაცემა და სხვა.

შემაჯამებელი სხდომა - სააგენტოს მიერ საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე იმართება შემაჯამებელი სხდომა, რათა განმცხადებელსა და მხარეს მიეცეთ თავიანთი პოზიციების წარმოდგენის შესაძლებლობა. სააგენტო შემაჯამებელი სხდომის გამართვამდე განმცხადებელსა და მხარეს წერილობით უზრუნველყოფს საბოლოო გადაწყვეტილების პროექტსა და საქმის მასალებს. ამასთანავე, განმცხადებელსა და მხარეს განემარტებათ, რომ მათ უფლება აქვთ, წარმოადგინონ თავიანთი პოზიციები და შესაბამისი დამატებითი ინფორმაცია (მტკიცებულებები). ამ შემთხვევაში განმცხადებლისა და მხარის მიერ თავიანთი პოზიციების წარმოდგენისთვის განსაზღვრული ვადა არ უნდა იყოს 25 სამუშაო დღეზე ნაკლები. ამ ვადის ამოწურვის შემდეგ წარდგენილი ინფორმაცია სააგენტომ შეიძლება არ გაითვალისწინოს საბოლოო გადაწყვეტილების მიღებისას.

ხანდაზმულობის ვადა - წარმოადგენს ვადას, რომლის განმავლობაშიც სამართლის ნორმის დარღვევის შესწავლა უნდა

განხორციელდეს. „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის დარღვევის შესწავლის ხანდაზმულობის ვადაა შესაბამისი ქმედების დასრულებიდან 3 წელი.

ჰორიზონტალური შეთანხმება - ჰორიზონტალური კარტელი, როდესაც უშუალო კონკურენტები თანამშრომლობენ ერთმანეთთან ფასის ან სხვა სავაჭრო პირობების შეთანხმებაზე.

HHI - ჰერფინდალ ჰერშმანის ინდექსი გამოიყენება შესაბამის ბაზარზე კონცენტრაციის დონის დასადგენად. იგი წარმოადგენს შესაბამის ბაზარზე ყველა ეკონომიკური აგენტის წილთა კვადრატების ჯამს.

SSNIP - ჰიპოთეტური მონოპოლისტის, იგივე ფასების მცირე, მაგრამ მნიშვნელოვანი არატრანზიტული მატების ტესტი განსაზღვრავს შესაბამის ბაზარს და ადგენს არის თუ არა პროდუქტზე 5-10 პროცენტიათი ფასის მატება მომგებიანი ბაზარზე დომინანტი ეკონომიკური აგენტისათვის.

TFEU - ევროკავშირის ფუნქციონირების შესახებ შეთანხმება, რომელიც მიღებული იქნა 2007 წელს ლისაბონში, რომელიც ძალაში შევიდა 2009 წელს.

წინასიტყვაობა

2014 წელს ევროკავშირსა და საქართველოს შორის ხელი მოეწერა ასოცირების შესახებ შეთანხმებას. ამ ხელშეკრულებით, საქართველომ თავის თავზე აიღო რიგი ვალდებულებების შესრულება; ერთ-ერთი მათგანი სწორედ კონკურენციის ყოვლისმომცველი კანონმდებლობის შექმნას ითვალისწინებს. კერძოდ, ასოცირების შესახებ შეთანხმების 204-ე მუხლის მიხედვით, საქართველოს კანონმდებლობა ეფექტურად უნდა იყოს მიმართული ანტიკონკურენციულ შეთანხმებებზე, შეთანხმებულ ქმედებებსა და დომინირებული საბაზრო ძალაუფლების მქონე კომპანიების ერთპიროვნულ ანტიკონკურენციულ ქმედებაზე და ასევე უნდა ითვალისწინებდეს შერწყმების ეფექტიან კონტროლს, თავისუფალი კონკურენციის მნიშვნელოვანი შეზღუდვისა და დომინირებული მდგომარეობის ბოროტად გამოყენების თავიდან აცილების მიზნით (204.1 მუხლი). გარდა ამ ვალდებულებისა, საქართველოს უნდა ჰყავდეს კონკურენციის ნორმების ეფექტიან აღსრულებაზე პასუხისმგებელი და შესაბამისი უფლებამოსილებით აღჭურვილი ორგანო (204.2. მუხლი). საქართველო ასევე ვალდებულია გააცნობიეროს კონკურენციის კანონმდებლობის გამოყენებისას საჯაროობისა და არადისკრიმინაციულობის დაცვის მნიშვნელობა. პროცედურული სამართლიანობის პრინციპისა და მხარეთა დაცვის უფლების გათვალისწინებით (204.3 მუხლი).

ასოცირების შესახებ შეთანხმების 204-ე მუხლით, საქართველოს პირდაპირ არ ეკისრება ვალდებულება, რომ თავისი კონკურენციის სამართალი ევროკავშირის შესაბამის კანონმდებლობას დაუახლოვოს. თუმცა, გულისხმობს ევროკავშირის კონკურენციის მარეგულირებელი კანონმდებლობის თავისებურ ტრანსპოზიციას საქართველოში.

კონკურენციის მარეგულირებელ ნორმებს ევროკავშირში ევროკავშირის ფუნქციონირების შესახებ შეთანხმების რამდენიმე მუხლი არეგულირებს. მაგალითად, ეკონომიკური აგენტების ანტიკონკურენციულ შეთანხმებებს ანუ კარტელურ გარიგებებს ეხება აღნიშნული შეთანხმების 101-ე მუხლი, დომინირებული პოზიციის ბოროტად გამოყენების საკითხს ეხება 102-ე მუხლი, სახელმწიფო დახმარება რეგულირდება 107-ე მუხლით. ხოლო შერწყმების/კონცენტრაციების საკითხს კი არეგულირებს ევროკავშირის 2004 წლის რეგულაცია 139/2004.

საგრანტო პროექტით – „ევროკავშირთან ასოცირების შესახებ ხელშეკრულებით საქართველოს მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულების მონიტორინგი კონკურენციის სამართლის კუთხით“ შეფასდა საქართველოში კონკურენციის კანონმდებლობა და საქართველოს კონკურენციის ეროვნული სააგენტოს საქმიანობა ასოცირების შესახებ შეთანხმების 204-ე მუხლის ფარგლებში. ასევე, მოხდა საქართველოს კონკურენციის ეროვნული სააგენტოს გადაწყვეტილებების შესწავლა-შეფასება ევროკავშირში არსებულ ნორმებსა და პრაქტიკასთან შედარების საფუძველზე. კერძოდ, კონკურენციის სამართლის მკვლევარის, სოლომონ მენაბდიშვილის მიერ 2022 წლის 1 მაისიდან 2023 წლის სექტემბრამდე განხორციელდა:

1. კონკურენციის შესახებ საქართველოს კანონმდებლობის ზოგადი ანალიზი;
2. კარტელების მარეგულირებელი ნორმების შესწავლა-შეფასება;
3. სავარაუდო კარტელური შეთანხმებების თაობაზე განხორციელებული მოკვლევების და მიღებული გადაწყვეტილებების ანალიზი;

4. დომინანტი პოზიციის ბოროტად გამოყენების მარეგულირებელი ნორმების შესწავლა-შეფასება;
5. დომინანტი პოზიციის ბოროტად გამოყენების საქმეებზე განხორციელებული მოკვლევების შეფასება;
6. საქართველოში კონცენტრაციების კანონმდებლობის ანალიზი;
7. სააგენტოს მიერ კონცენტრაციის საკითხებზე მიღებული გადაწყვეტილებების ანალიზი;
8. სახელმწიფო დახმარების მარეგულირებელი ნორმების ევროკავშირის ნორმებთან შესაბამისობა;
9. სახელმწიფო დახმარებების თაობაზე სააგენტოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებების შეფასება;
10. ზოგადად სააგენტოს უფლებამოსილების და მის მიერ განხორციელებული მონიტორინგების ანალიზი.

1. კონკურენციის შესახებ კანონმდებლობის ზოგადი მიმოხილვა

დღეს მოქმედი საქართველოს კანონი „კონკურენციის შესახებ“ მიღებული იქნა 2012 წელს „თავისუფალი ვაჭრობის და კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის სახელწოდებით, ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულების მოლაპარაკებების პერიოდში. სწორედ ამ ხელშეკრულების ხელმოწერის წინ ევროკავშირმა საქართველოს მოსთხოვა კონკურენციის კანონმდებლობის სრულყოფა, რადგან 2012 წელს მიღებული კანონი არ ითვალისწინებდა კონკურენციის სამართლის ძირითადი საკითხების რეგულირების ევროკავშირისეულ სტანდარტებს. 2014 წლის მარტში აღნიშნულ კანონში მნიშვნელოვანი ცვლილებები და დამატებები შევიდა, შეიცვალა კანონის სახელწოდებაც და მას „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონი ეწოდა. შეიქმნა კონკურენციის სააგენტო, რომლის ხელძღვანელსაც ერთპიროვნულად ნიშნავს საქართველოს პრემიერ მინისტრი.

მიუხედავად იმისა, რომ „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონში მნიშვნელოვანი ცვლილებები შევიდა 2014 წელს და იგი მეტად დაუახლოვდა ევროპულ კანონმდებლობას, გარკვეული ნორმები მაინც უფრო მეტ დახვეწასა და სრულყოფას საჭიროებდა. მაგალითად, სანქციების არ არსებობა კონცენტრაციის სააგენტოსათვის წინასწარი შეტყობინების გარეშე განხორციელების შემთხვევაში. 2020 წელს საქართველოს პარლამენტის დარგობრივი ეკონომიკური კომიტეტის მიერ ინიცირებული ცვლილებით მოხდა გარკვეული ნორმების კიდევ უფრო მეტად დაახლოვება ევროკავშირის ნორმებთან. კერძოდ, კანონში შევიდა შემდეგი მნიშვნელოვანი ცვლილებები:

პირველი, ცვლილება მოხდა კანონის მე-7 მუხლში, რომელიც კარტელურ შეთანხმებებს ეხებოდა. კერძოდ, ამოვარდა პირველი პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტი¹, რაც იმით იყო განპირობებული, რომ არ იყო საჭირო ცალკე აკრძალვა ყოფილიყო სახელმწიფო ტენდერებში მონაწილეთა შეთანხმებული ქმედებებისთვის. ასეთი სამართალდარღვევა შეიძლებოდა ამავე მუხლის პირველი პუნქტის „ა“, „ბ“ ან „გ“ ქვეპუნქტად² დაკვალიფიცირებულიყო როგორც ეს ევროკავშირის ფუნქციონირების შესახებ შეთანხმების 101-ე მუხლის შესაბამისად ხდება;

მეორე მნიშვნელოვანი სიახლეა კონცენტრაციების ეფექტური რეგულირების კუთხით. კერძოდ, 2020 წლის ცვლილებამდე კონცენტრაციაში მონაწილე ეკონომიკურ აგენტებს ვალდებულება ჰქონდათ კონცენტრაციის განხორციელებამდე წინასწარ

¹ კანონის 2014 წლის ვერსიაში ეს ქვეპუნქტი ასე გამოიყურებოდა: “აკრძალულია, ეკონომიკურ აგენტებს შორის დაიდოს ისეთი ხელშეკრულება, მიღებულ იქნეს ისეთი გადაწყვეტილება ან განხორციელდეს ისეთი შეთანხმებული ქმედება (შემდგომ – შეთანხმება), რომლის მიზანია ან რომლის შედეგია შესაბამის ბაზარზე კონკურენციის შეზღუდვა, დაუშვებლობა ან/და აკრძალვა, კერძოდ: ... ვ) მატერიალური გამორჩენის ან უპირატესობის მისაღებად სახელმწიფო შესყიდვებში მონაწილე ურთიერთშეთანხმებული ეკონომიკური აგენტებისთვის ან სხვისთვის სატენდერო წინადადების შეთანხმებული პირობების დაწესება, რაც არსებითად ლახავს შემსყიდველი ორგანიზაციის კანონიერ ინტერესებს.“

² კანონის ამ პუნქტების დღეს მოქმედი რედაქციაა : “აკრძალულია, ეკონომიკურ აგენტებს შორის დაიდოს ისეთი ხელშეკრულება, მიღებულ იქნეს ისეთი გადაწყვეტილება ან განხორციელდეს ისეთი შეთანხმებული ქმედება (შემდგომ – შეთანხმება), რომლის მიზანია ან რომლის შედეგია შესაბამის ბაზარზე კონკურენციის შეზღუდვა, დაუშვებლობა ან/და აკრძალვა, კერძოდ: ა) შესყიდვის ან გაყიდვის ფასების ან სხვა სავაჭრო პირობების პირდაპირ ან არაპირდაპირ დადგენა (ფიქსირება); ბ) წარმოების, ბაზრების, ტექნოლოგიური განვითარების ან ინვესტიციების შეზღუდვა; გ) ბაზრების ან მიწოდების წყაროების მომხმარებლის, ტერიტორიული ან სხვა ნიშნით განაწილება;

შეტყობინებინათ კონკურენციის სააგენტოსთვის დაგეგმილი კონცენტრაციის შესახებ თუ მათი ერთობლივი ბრუნვა აღემატებოდა 20 მილიონ ლარს ან აქტივების ღირებულება აღემატებოდა 10 მილიონ ლარს. თუმცა, ამ ვალდებულების დარღვევის შემთხვევაში კანონმდებლობით სანქცია არ იყო გათვალისწინებული. 2020 წლის ცვლილებით კი უკვე სანქციების შემოღება მოხდა და როგორც დომინანტი პოზიციის ბოროტად გამოყენების და კარტელების შემთხვევაში, ასევე კონცენტრაციების წინასწარი შეტყობინების გარეშე განხორციელების შემთხვევაში ჯარიმა წლიური ბრუნვის 5 პროცენტამდეა გათვალისწინებული. გარდა ამისა, დაჯარიმების შემდეგაც ეკონომიკური აგენტები ვალდებული არიან შეატყობინონ სააგენტოს განხორციელებული კონცენტრაციის შესახებ. ეს უკანასკნელი კი შეისწავლის შეტყობინებული კონცენტრაცია არსებითად ზღუდავს თუ არა ეფექტურ კონკურენციას საქართველოში;

მესამე, გარდა შეტყობინების ვალდებულებისა, კონცენტრაციაში მონაწილე ეკონომიკურ აგენტებს დაეკისრათ შეტყობინების შემდეგ სააგენტოს გადაწყვეტილების მიღებამდე დალოდების და ასევე გადაწყვეტილების შესრულების ვალდებულება. ანუ თუ ისინი შეატყობინებენ სააგენტოს წინასწარ, მაგრამ არ დაელოდებიან სააგენტოს გადაწყვეტილებას და ისე განახორციელებენ კონცენტრაციას, ისინი დაჯარიმდებიან. ასევე, თუ ისინი გადაწყვეტილებას არ დაემორჩილებიან და მაინც მოახდენენ კონცენტრაციას, ამ შემთხვევაშიც დაჯარიმდებიან. ვალდებულების სამივე დარღვევის შემთხვევაში სააგენტოს აქვს უფლება მიმართოს სასამართლოს და მოითხოვოს გარიგების გაბათილება და პირვანდელი მდგომარეობის აღდგენა;

მეოთხე, სიახლეა კონცენტრაციების ნაწილშიც სტრუქტურული და ქცევითი ხასიათის ღონისძიებების კუთხით. როგორც ევრო-

კავშირში, აქაც შემოვიდა ნორმა, რომლის მიხედვითაც, კონცენტრაციების შესწავლისას, თუ სააგენტოს აზრით შესაძლებელია ადგილი ჰქონდეს კონკურენციის არსებით შეზღუდვას, ეკონომიკურ აგენტებს შეუძლიათ შესთავაზონ გარკვეული სახის ქცევითი ან სტრუქტურული ღონისძიებები, და თუ სააგენტო ჩათვლის, რომ მათი განხორციელებით ბაზარზე ეფექტური კონკურენციის არსებითი შეზღუდვის რისკი არ იარსებებს, კონცენტრაცია დაშვებული იქნება ბაზარზე. ქცევითი ღონისძიება შეიძლება იყოს ფასის არ გაზრდა კონკურენტებისათვის, ასევე მიწოდების შეუფერხებლად უზრუნველყოფა და სხვა. რაც შეეხება სტრუქტურულ ღონისძიებებს, ის მდგომარეობს რომელიმე ობიექტის, ქარხნის ან სტრუქტურული ერთეულის სხვა კომპანიაზე გასხვისებაში;

მეხუთე, კანონიდან ამოღებული იქნა სახელმწიფო დახმარების ფორმების ჩამონათვალი, რომელიც გადავიდა “ინდივიდუალური სახელმწიფო დახმარების უმნიშვნელო ოდენობის დახმარების გაცემის ზოგად წესში”³;

მექვესე, ცვლილება შეეხო სააგენტოს ინსტიტუციურ მოწყობას. კერძოდ, კანონის ცვლილების მიხედვით 2023 წლის პირველი იანვრიდან სააგენტოში უნდა შექმნილიყო საბჭო, რომელიც 5 წევრისაგან იქნებოდა დაკომპლექტებული. იგი, ცვლილების შესაბამისად, წარმოადგენს სააგენტოს მართვის ორგანოს. თუ დღემდე სააგენტოს თავმჯდომარე ერთპიროვნულად მართავს სააგენტოს, საბჭოს შექმნის შემდეგ სააგენტოს მართვა უკვე კოლექტიური ორგანოს მიერ მოხდება. საბჭოს წევრთა კანდიდატების შერჩევის მიზნით საჯარო კონკურსს აცხადებს საჯარო სამსახურის ბიურო და ქმნის შესარჩევ კომისიას. კომისიის მიერ შერჩეულ კანდიდატებს საქართველოს პრემიერ-მინისტრი წარუდგენს ასარჩევად საქართველოს პარლამენტს. საბჭოს წევრს

³ დამტკიცებულია საქართველოს მთავრობის 2014 წლის 1 სექტემბრის №529 დადგენილებით

თანამდებობაზე ირჩევს და თანამდებობიდან ათავისუფლებს საქართველოს პარლამენტი საქართველოს პარლამენტის რეგლამენტით დადგენილი წესით. საბჭოს წევრის არჩევა ხდება 5 წლის ვადით. საბჭოს წევრად შეიძლება აირჩეს პირი ზედიზედ მხოლოდ ორჯერ. საბჭოს ყავს თამჯდომარე, რომელიც საბჭოს წევრებიდან აირჩევა. სააგენტოს ასევე ჰყავს აღმასრულებელი დირექტორი, რომელსაც ღია კონკურსის წესით, 5 წლის ვადით თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს საქართველოს პრემიერ-მინისტრი. აღმასრულებელი დირექტორის ფუნქციებს განეკუთვნება სააგენტოს სტრუქტურული ქვედანაყოფების საქმიანობის კოორდინაცია, შიდაორგანიზაციულ და საკადრო საკითხებზე ინდივიდუალურ - ადმინისტრაციულ - სამართლებრივი აქტების გამოცემა და სხვა.

მეშვიდე, მოკვლევის ვადა გახანგრძლივდა და 11 თვის ნაცვლად მისი ვადა 18 თვემდე გაიზარდა;

მერვე, სააგენტოს შემაჯამებელი სხდომის გამართვამდე მხარეებს ეგზავნებათ სააგენტოს საბოლოო გადაწყვეტილების პროექტი და საქმის მასალები. აქამდე ეგზავნებოდათ პირდაპირ გადაწყვეტილება და მხარეები შეზღუდულნი იყვნენ გასაჩივრების ვადებში. ეს ცვლილება მხარეთა ინტერესებში შედის;

მეცხრე, ხანდაზმულობის ვადა ქმედების დასრულებიდან 3 წლით განისაზღვრა. წინა რედაქციით კი დარღვევის ჩადენიდან 3 წელი იყო, რაც გარკვეულ ბუნდოვანებას იწვევდა;

მეათე, გამკაცრდა სააგენტოს მიერ მოთხოვნილი ინფორმაციის მიუწოდებლობაზე ჯარიმები და იგი 3000 ლარიდან 5000 ლარამდე გაიზარდა. თუმცა, სანქციები დომინანტი პოზიციის ბოროტად გამოყენების, კარტელებისა და კონცენტრაციების ეფექტური კონტროლის მხრივ რჩება ისევე წინა წლის ბრუნვის 5 პროცენტამდე. ევროკავშირში კი ჯარიმები 10 პროცენტამდეა;

მეთერთმეტე, თუ მოკვლევის პროცესში მოპასუხე ეკონომიკური აგენტი აიღებს პირობით ვალდებულებას, რაც შესაძლებელს

გახდის იმის ვარაუდს, რომ აღარ იარსებებს კანონის სავარაუდო დარღვევის რისკი, სააგენტო თავის გადაწყვეტილებას იღებს კანონის სავარაუდო დარღვევის ფაქტის შეფასების გარეშე და მოპასუხე ეკონომიკურ აგენტს აღებული პირობითი ვალდებულებების შესასრულებლად ვადას განუსაზღვრავს. თუ იგი ამ ვალდებულებას არ შეასრულებს, სააგენტოს უფლება აქვს დააკისროს ჯარიმა, რომლის ოდენობა თითოეულ ვადაგადაცილებულ დღეზე არ უნდა აღემატებოდეს სააგენტოს მიერ შესაბამისი გადაწყვეტილების მიღების წინა ფინანსური წლის განმავლობაში ეკონომიკური აგენტის საშუალო დღიური ბრუნვის 5%-ს. მეთორმეტე, კონკურენციის სააგენტოს ეწოდა საქართველოს კონკურენციის ეროვნული სააგენტო.

კონკურენციის სააგენტოს შექმნის დღიდან არაერთი გადაწყვეტილება აქვს მიღებული დღეის მდგომარეობით კონკურენციის კანონმდებლობით გათვალისწინებულ საკითხებზე. 2022 წლის 7 აგვისტოს მდგომარეობით, სააგენტოს ვებგვერდიდან ჩანს, რომ მას 8 მოკვლევა აქვს ჩატარებული კანონის მე-7 მუხლის (კარტელური შეთანხმებები) სავარაუდო დარღვევის შესახებ,⁴ ასევე 8 გადაწყვეტილება აქვს მიღებული კანონის მე-5 (დომინანტური მდგომარეობის განსაზღვრა) და მე-6 მუხლთან (დომინანტური მდგომარეობის ბოროტად გამოყენება) მიმართებაში,⁵ ხოლო კონცენტრაციებთან მიმართებაში 23 საქმის შესწავლა განახორციელა,⁶ სახელმწიფო დახმარების საკითხებზე (მუხლები 12-15) კი მხოლოდ ორი გადაწყვეტილება აქვს მიღებული.⁷

⁴ <https://gnca.gov.ge/decisions/anti-competitive-agreements/by-prohibition> [07.08.2022]

⁵ <https://gnca.gov.ge/decisions/abuse-of-dominant-position/by-prohibition> [07.08.2022]

⁶ <https://gnca.gov.ge/decisions/concentration-control> [07.08.2022]

⁷ <https://gnca.gov.ge/decisions/state-aid> [07.08.2022]

2. კარტელუბის მარაგულირებელი ნორმების შესწავლა-შეფასება და მიღებული გადაწყვეტილებების მიმოხილვა

2.1 კარტელუბის მარაგულირებელი ნორმების შესწავლა- შეფასება

კარტელების მარეგულირებელ დებულებებს შეიცავს „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7, მე-8 და მე-9 მუხლები. ევროკავშირის ფუნქციონირების შესახებ შეთანხმების (TFEU) 101-ე მუხლი არის ძირითადი ნორმა, რომელიც არეგულირების ეკონომიკური აგენტების კონკურენციის შემზღვევლ შეთანხმებულ მოქმედებებს ევროკავშირში. კანონის მე-7 მუხლი ანალოგიურია TFEU 101-ე მუხლის პირველი და მეორე ნაწილის შინაარსისა. ხოლო კანონის მე-9 მუხლის პირველი პუნქტი კი TFEU 101-ე მუხლის მესამე ნაწილის მსგავს შინაარსს შეიცავს. მე-7 მუხლის სათაურია: „კონკურენციის შემზღვევლი ხელშეკრულება, გადაწყვეტილება და შეთანხმებული ქმედება“. რაც შეეხება მის შინაარსს, ამ მუხლის პირველი პუნქტით *„აკრძალულია, ეკონომიკურ აგენტებს შორის ან ეკონომიკურ აგენტთა ასოციაციის ფარგლებში დაიდოს ისეთი ხელშეკრულება, მიღებულ იქნეს ისეთი გადაწყვეტილება ან განხორციელდეს ისეთი შეთანხმებული ქმედება, რომლის მიზანი ან შედეგია შესაბამის ბაზარზე კონკურენციის შეზღუდვა, დაუშვებლობა ან/და აკრძალვა (შემდგომ – შეთანხმება), კერძოდ: ა) შესყიდვის ან გაყიდვის ფასის ან სხვა სავაჭრო პირობების პირდაპირ ან არაპირდაპირ დადგენა (ფიქსირება); ბ) წარმოების, ბაზრის, ტექნოლოგიური განვითარების ან ინვესტიციების შეზღუდვა; გ) ბაზრების ან მიწოდების წყაროების მომხმარებლის, ტერიტორიული ან სხვა ნიშნით განაწილება; დ) გარკვეული სავაჭრო პარტნიორობისთვის იდენტურ ტრანზაქციებზე განსხვავებული პირობების დაწესება, რითაც ხდება მათი*

არაკონკურენტულ მდგომარეობაში ჩაყენება; ე) გარიგების დასადებად მხარისთვის ისეთი დამატებითი პირობის დადგენა/ვალდებულების დაკისრება, რომელსაც გარიგების საგანთან საგნობრივი და კომერციული კავშირი არ აქვს.“ აკრძალული მოქმედებების ჩამონათვალი სრულ შესაბამისობაში მოვიდა TFEU 101-ე მუხლთან 2020 წლის ცვლილების შემდეგ.

მე-7 მუხლის მეორე პუნქტის შესაბამისად კი, „ამ მუხლით გათვალისწინებული აკრძალული შეთანხმება ბათილია,⁸ თუ მასზე არ ვრცელდება ამ კანონით დადგენილი გამონაკლისები“.

აღნიშნული პუნქტიც შესაბამისობაშია ევროკავშირის ფუნქციონირების შესახებ შეთანხმების 101-ე მუხლის მეორე პუნქტთან. თუმცა, კარგი იქნებოდა თუ ამ მუხლში გამოყენებულ ტერმინს „ხელშეკრულებას“ ჩავანაცვლებდით სხვა ტერმინით. ევროკავშირის ფუნქციონირების შესახებ შეთანხმების 101-ე მუხლში საუბარია შეთანხმებაზე და არა ხელშეკრულებაზე. შეთანხმება კი ევროკავშირის პრეცედენტული სამართლის მიხედვით მოიცავს ასევე გარიგებასაც. სამწუხაროდ, კანონის მესამე მუხლში ტერმინი „ხელშეკრულება“ არ არის განმარტებული. ევროკავშირის ფუნქციონირების შესახებ შეთანხმების 101-ე მუხლის იდენტური შინაარსი რომ იყოს, კანონის მე-7 მუხლში აჯობებს ტერმინ „ხელშეკრულების“ ნაცვლად, გამოყენებული იყოს „შეთანხმება“.

რაც შეეხება კანონის მე-9 მუხლს, ის ორი პუნქტისაგან შედგება. პირველი პუნქტი, მსგავსად TFEU 101-ე მუხლისა, შეიცავს ოთხ კუმულატიურ პირობას, რომელთა არსებობისას მე-7 მუხლის დარღვევის შემთხვევაში პასუხისმგებლობა ეკონომიკურ აგენტებს არ დაეკისრებათ, თუ მათ შორის შეთანხმება უზრუნველყოფს: 1. წარმოების ან/და მიწოდების გაუმჯობესებას ან ტექნიკურ-ეკონომიკურ პროგრესს; 2. მომხმარებლის კეთილდღეობის

⁸ საუბარია მე-7 მუხლის პირველ პუნქტში ჩამოთვლილ აკრძალვებზე.

ზრდას; 3. შეთანხმების მონაწილე ეკონომიკურ აგენტებს არ უწესებს ისეთ შეზღუდვას, რომელიც არ არის დაკავშირებული ზემოაღნიშნული მიზნების მიღწევასთან და 4. შეთანხმების მონაწილე ეკონომიკურ აგენტებს საშუალებას არ აძლევს, აღკვეთონ კონკურენცია შესაბამისი ბაზრის მნიშვნელოვან ნაწილზე.

მე-9 მუხლის მეორე პუნქტის შესაბამისად, ჩამოთვლილი ოთხი კუმულატიური გარემოებების მტკიცების ტვირთი შესაბამის ეკონომიკურ აგენტებს აწევთ. ხოლო მესამე პუნქტის მიხედვით კი, აღნიშნული „განსაკუთრებული პირობები, რომელთა გათვალისწინებითაც წესდება გამონაკლისები და რომლებიც დაკავშირებულია შეთანხმების კონკრეტულ სახესთან, დგინდება განსაზღვრული ვადით, საქართველოს მთავრობის შესაბამისი ნორმატიული აქტით, რომელშიც მითითებულია აღნიშნული ვადა და ის გარემოებები, რომელთა გათვალისწინებითაც დგინდება ეს გამონაკლისები.“ ეს ჩანაწერი ევროკავშირის კონკურენციის ნორმებთან შესაბამისობაში არ არის. ევროკავშირში აღნიშნული ოთხი კუმულატიური პირობა დადგენილია ზოგადად და ყველა სახის გარიგებების მიმართ მოქმედებს. თუმცა, სამწუხაროდ, საქართველოში, როგორც ჩანს, მხოლოდ მთავრობის დადგენილებით მოცემულ შემთხვევებზე ვრცელდება, კონკრეტულად კი საუბარია საქართველოს მთავრობის #526 დადგენილებაზე, რომელიც მიღებულია 2014 წლის პირველ სექტემბერს.⁹

რაც შეეხება კანონის მე-8 მუხლს, ის ევროკავშირის “დე მინიმის“ წესის¹⁰ მსგავს დებულებებს შეიცავს. “დე მინიმის“ წესი გულისხმობს, რომ ეკონომიკურ აგენტებს შორის შეთანხმებების მიმართ არ გამოიყენება სანქციები, თუ ისინი მნიშვნელოვნად არ

⁹ [Preview \(gnca.gov.ge\)](http://gnca.gov.ge) [20.09.2023]

¹⁰ <https://eur-lex.europa.eu/EN/legal-content/summary/de-minimis-notice-exemption-for-agreements-of-minor-importance.html>

ზღუდავენ კონკურენციას. შესაბამისად, თუ კარტელში მონაწილე ეკონომიკურ აგენტებს მცირე საბაზრო წილი აქვთ, ივარაუდება, რომ მათ შეთანხმებებს არ გააჩნიათ კონკურენციის შეზღუდვის მნიშვნელოვანი ეფექტი. თუმცა, მათ არ უნდა ჰქონდეთ გათვალისწინებული ე.წ. „მიზნიდან გამომდინარე შეზღუდვები“.¹¹ კანონის მე-8 მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით, დე მინიმისის წესი გამოიყენება თუ:

პირველი, შესაბამის ბაზარზე ჰორიზონტალური შეთანხმების მხარეთა ერთობლივი წილი 10 პროცენტს არ აღემატება;

მეორე, შესაბამის ბაზარზე ვერტიკალური შეთანხმების თითოეული მხარის საბაზრო წილი 15 პროცენტს არ აღემატება;

მესამე, შეთანხმება მოიცავს როგორც ჰორიზონტალური შეთანხმების, ისე ვერტიკალური შეთანხმების მახასიათებლებს, რის გამოც რთულია მისი ჰორიზონტალურ შეთანხმებად ან ვერტიკალურ შეთანხმებად კლასიფიკაცია, და შესაბამის ბაზარზე შეთანხმების თითოეული მხარის საბაზრო წილი 10 პროცენტს არ აღემატება.

მე-8 მუხლის მეორე პუნქტის შესაბამისად კი, “დე მინიმისის“ წესი არ ვრცელდება კანონის მე-7 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ და „გ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებულ შემთხვევებში. „ა“ ქვეპუნქტი ითვალისწინებს ფასების ფიქსაციას, „გ“ ქვეპუნქტი კი ითვალისწინებს ბაზრების განაწილებას. ევროპულ დე მინიმისის წესებში კი დე მინიმის პირობა ასევე არ ვრცელდება წარმოების შეზღუდვაზე, რაც საქართველოში არ არის გათვალისწინებული. შესაბამისად, აუცილებელია, რომ დე მინიმისის

¹¹ კანონის მე-7 მუხლში ჩამოთვლილ შეზღუდვებიდან ე.წ. „მიზნიდან გამომდინარე“ სამართალდარღვევებს განეკუთვნება მძიმე შეზღუდვები, რომლებსაც კონკურენციის ორგანოები შედეგების შესწავლის გარეშე კრძალავენ, რადგან, მათი აზრით, ისინი ყველა შემთხვევაში მძიმე შედეგების მომტანია კონკურენციისათვის. ესენია: ფასების ფიქსაცია, წარმოების შეზღუდვა და ტერიტორიების განაწილება.

წესი არ გავრცელდეს სამივე მძიმე შეზღუდვაზე. წარმოების შეზღუდვაც ერთ-ერთ მძიმე შეზღუდვაა და მის გამოყენებას, როგორც წესი, ავტომატურად მოსდევს ფასების მკვეთრი ზრდა, რაც მომხმარებელს აზარალებს.

2.2 კონკურენციის შესახებ კანონის მე-7 მუხლის სავარაუდო დარღვევებზე განხორციელებული მოკვლევები და მიღებული გადაწყვეტილებების მიმოხილვა

კონკურენციის სააგენტოს შექმნიდან, 2014 წლიდან 2022 წლის 1 აგვისტოს მდგომარეობით „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის სავარაუდო დარღვევის ფაქტზე 8 საქმეზე აქვს განხორციელებული მოკვლევა. აქედან ორი საქმე საავტომობილო საწვავის ბაზარზე განხორციელებულ მოკვლევას ეხება. მათგან პირველ საქმეზე სააგენტოს მიერ გადაწყვეტილება იქნა მიღებული 2015 წელს. თუმცა, გადაწყვეტილება გაუქმდა სასამართლოების მიერ, რის შემდეგაც სააგენტოს საქმის ხელახლა მოკვლევა დაევალა, რაც 2018 წლის მაისში დაასრულა. დარჩენილ 6 საქმიდან კი მხოლოდ ერთ საქმეზეა დადგენილი მე-7 მუხლის დარღვევის ფაქტი. დანარჩენ 5 საქმეზე კი მოკვლევის შედეგად კარტელის არსებობა არ დადასტურდა.

პირველი საქმე (ნავთობკომპანიების საქმე I)¹²

სსიპ კონკურენციის სააგენტომ თავმჯდომარის 2014 წლის 12 ნოემბრის #14 ბრძანების შესაბამისად, საკუთარი ინიციატივით დაიწყო მოკვლევა საავტომობილო საწვავის ბაზარზე. 2015 წლის 14 ივლისის #81 ბრძანებით დასრულდა აღნიშნული მოკვლევა

¹²https://gnca.gov.ge/uploads_script/decisions/tmp/12ecff7400a47a3bbbbb755d78a7983.pdf

და დადგინდა „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ (ფასის ფიქსაცია), „ბ“ (წარმოების შეზღუდვა) და „გ“ (ბაზარების განაწილება) პუნქტების დარღვევა. სამართალდარღვევის გამო დაჯარიმდნენ შემდეგი დიდი მოთამაშეები ნავთობპროდუქტების ბაზარზე: შპს „სოკარ ჯორჯია პეტროლიუმს“ დაეკისრა 14 381 385 ლარი, შპს „სან პეტროლიუმ ჯორჯიას“ - 11 267 384 ლარი, შპს „ლუკოილ-ჯორჯიას“ - 4 740 260 ლარი, შპს „რომპეტროლ საქართველოს“ - 10 845 806 ლარი, სს „ვისოლ პეტროლიუმ ჯორჯიას“ კი - 10 426393 ლარი; ხოლო რამდენიმე დისტრიბუტორ კომპანიას დაუდგინდა აღნიშნულ ბაზარზე კანონის დარღვევა და დაჯარიმდა: შპს „ბინულ 1“ - 654 445 ლარით, შპს „L.ოილი“ - 1 209 890 ლარით და შპს „ი თი აი“ კი - 1 172 766 ლარით. კიდევ ოცამდე ეკონომიკურ აგენტს კი მხოლოდ მე-7 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის დარღვევა დაუდგინა და თითოეულს 200 ლარის ოდენობის ჯარიმა დაეკისრა.

აღნიშნულმა კომპანიებმა ერთმანეთისგან დამოუკიდებლად გაასაჩივრეს სააგენტოს გადაწყვეტილება სასამართლოში. გადაწყვეტილება გაუქმდა, თუმცა სააგენტოს დაევალა ხელახლა საქმის მოკვლევა. გადაწყვეტილების გაუქმების მიზეზი ძირითადად საკმარისი მტკიცებულებების არ ქონა იყო.

სააგენტოს მხრიდან პირველი მოკვლევის განხორციელების ეტაპზე მნიშვნელოვან საკითხებზე გამახვილდა ყურადღება, თუმცა მაინც შეინიშნება გარკვეული ხარვეზები სრულყოფილად მოკვლევისა და მტკიცებულებების მოძიების საერთაშორისო პრაქტიკაში გავრცელებული სტანდარტის შესაბამისობის კუთხით. კერძოდ, მას მხოლოდ ნაწილობრივ აქვს განხორციელებული ეკონომიკური მტკიცებულებების შესწავლა და ანალიზი. მაგალითად, დადგენილი აქვს მოგების მარჟა, რომელიც 1 ლიტრ საწვავზე საშუალოდ 40-60 თეთრს აღემატება, რაც,

სააგენტოს აზრით, ბაზარზე კონკურენტული პირობების შემთხვევაში ამ ოდენობის ვერ იქნებოდა. მისი მტკიცებით, ის არ შეიძლებოდა ყოფილიყო 20-25 თეთრზე მეტი (154 გვ.). ასევე საუბრობს იმაზე, რომ სახელმწიფო ტენდერში საწვავის ფასი და საცალო სარეალიზაციო ფასები ერთმანეთისაგან მკვეთრად განსხვავდება. კერძოდ, 49-51 თეთრით (171 გვ.). აღსანიშნავია ის გარემოება, რომ სააგენტო დიდწილად ეყრდნობა საწვავის ბაზარზე მოქმედი ეკონომიკური აგენტების მხრიდან გამოვლენილი ფასების პარალელიზმს (157 გვ., 148 გვ.), რაც გულისხმობს იმას, რომ მათ აქვთ მსგავსი ან იდენტური ფასი და ფასების ცვლილებას ახდენენ ერთდროულად და მსგავსი ან იდენტური ოდენობით. თუმცა, საერთაშორისო საუკეთესო პრაქტიკის მიხედვით, აუცილებელია, რომ კონკურენციის ორგანოს მხრიდან დეტალურად იყოს შესწავლილი, რომელმა ეკონომიკურმა აგენტმა მოახდინა პირველად ფასის მატება, რა ოდენობით და რომელი ეკონომიკური აგენტები მიყვნენ მას, რა პერიოდში მოხდა ფასის მატება მათ მიერ და რა ოდენობით? ასევე საინტერესოა და მნიშვნელოვანია იმის დადგენა, ფასის აწევას წინ უძღოდა თუ არა ფასის ცვლებასთან დაკავშირებული სიგნალი¹³ და, ვინ როგორ მოახდინა ამ სიგნალზე რეაგირება და რა პერიოდში? სამწუხაროდ, ასეთი დეტალური ინფორმაცია სააგენტოს არ აქვს წარმოდგენილი.

ასევე საინტერესოა სააგენტოს მოსაზრება იმასთან დაკავშირებით, რომ საქართველოში საწვავის გამყიდველი ეკონომიკური აგენტები ხშირად არ მიყვებოდნენ ე.წ. პლატცის ტენდენციას და საწვავზე საერთაშორისო ფასების ვარდნისას ფასების დაწვევის პოლიტიკას ხშირად არ მიმართავდნენ(148-149 გვ.).

¹³ ამ შემთხვევაში შეიძლება საუბარი იყოს კონკურენტი ეკონომიკური აგენტის წარმომადგენელის მიერ ფასის გაზრდასთან დაკავშირებულ განცხადებაზე, რომელიც მაგალითად სატელევიზიო ეთერით გაკეთდა.

სააგენტო ასევე საუბრობს არაბრენდირებულ და ბრენდირებულ ბენზინგასამართ სადგურებს შორის ფასის 12-15 თეთრიან სხვაობაზე და ყურადღებას ამახვილებს მომხმარებლების უნდობლობაზე არაბრენდირებული ეკონომიკური აგენტების მიმართ, რაც ძირითადად საწვავის ჩასხმისას გარკვეული რაოდენობის საწვავის დაკლებაში გამოიხატება. ასევე საუბარია ხარისხის კუთხით არსებულ პრობლემებზე. სააგენტოს მოსაზრებით საჭიროა ამ პრობლემებზე მუშაობა შესაბამისი სახელმწიფო უწყებების მხრიდან, თუმცა ამაზე რეკომენდაციების ნაწილში ყურადღება არ აქვს გამახვილებული.

გარდა ამისა, აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ სააგენტო გადაწყვეტილებაში საუბრობს მის მიერ პირდაპირი მტკიცებულებების მოპოვების სირთულეზე, რადგან „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონი და სხვა ნორმატიული აქტები მას არ აძლევს უფლებას გამოიყენოს ე.წ. „გარიჟრაჟზე რეიდი“, რომელიც საშუალებას მისცემს მოულოდნელად შევიდეს ეკონომიკური აგენტების ოფისებში და ამოიღოს მტკიცებულებები.

საინტერესოა და აღნიშვნას იმსახურებს ასევე ევროპული და საერთაშორისო ნორმებზე და პრაქტიკაზე ყურადღების გამახვილება, რაზეც კონკურენციის სააგენტო მიაჩნებს თავისი გადაწყვეტილების 141-142-ე გვერდებზე. თუმცა, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ მართო ბმულების და წერილების გაზიარება არ არის საკმარისი იმისთვის, რომ მკითხველს სრულფასოვანი ინფორმაცია მიაწოდოს საკითხებზე. აუცილებელია მნიშვნელოვანი ინფორმაციის დეტალური თარგმანის გაკეთება ქართულ ენაზე და ისე ციტირება გადაწყვეტილებაში. მაგალითად, სააგენტოს გადაწყვეტილების პირველ სქოლიოში მოცემულია გერმანიის ფედერალური ანტიმონოპოლიური სამსახურის მიერ მიღებული გადაწყვეტილებების ბმულები, ხოლო მეორე და მეოთხე სქოლიოში კი პოლონეთის კონკურენციის სამსახურის

2015 წლის 11 მაისის #01/655 და 2013 წლის 27 ივნისის #1/2013 წლის გადაწყვეტილება. მესამე სქოლიოში კი გერმანიის უზენაესი ფედერალური სასამართლოს გადაწყვეტილების საქმეზე (BGH, Urteli vom 02.02.1999, Az.: KZR 11/97 (“Sixt”)) ბმულია მოცემული.

ასევე საინტერესოა ეკონომიკური აგენტების დაჯარიმების კუთხით არსებული ხარვეზები. პირველ რიგში, აღსანიშნავია სააგენტოს მხრიდან გამოვლენილი ძალიან ლოიალური დამოკიდებულება სამართალდამრღვევი ეკონომიკური აგენტების მიმართ ჯარიმების დადგენისას. კანონის 33-ე მუხლის შესაბამისად ეკონომიკური აგენტების დაჯარიმება შეიძლება მოხდეს მათი წინა ფინანსური წლის განმავლობაში მიღებული წლიური ბრუნვის არაუმეტეს 5 პროცენტამდე. როგორც ჩემთვის არის ცნობილი ეკონომიკური აგენტები დაჯარიმებულნი არიან მხოლოდ ბრუნვის 1-2 პროცენტის ოდენობით, თუმცა ამავე მუხლის მეშვიდე პუნქტის შესაბამისად, ჯარიმის ოდენობის დადგენისას გათვალისწინებული უნდა იქნეს შესაბამისი დარღვევით გამოწვეული ზიანი, დარღვევის ხანგრძლივობა და სიმძიმე. ეკონომიკურ აგენტებს ნავთობკომპანიების საქმე I-ზე¹⁴ დაუდგინდათ ფასების ფიქსაცია, წარმოების შეზღუდვა და ბაზრების გადანაწილება. ამ სახის სამართალდარღვევები ევროკავშირში წარმოადგენენ მძიმე სამართალდარღვევას და, შესაბამისად, სააგენტოს მხრიდან ჯარიმების მცირე ოდენობით დაწესება არასწორი ნაბიჯი იყო. გარდა ამისა, მომხმარებლებმაც საკმაოდ დიდი ზიანი მიიღეს ეკონომიკური აგენტების მხრიდან დაწესებული მაღალი ფასების შედეგად, რადგან მათ საკმაოდ ძვირი უჯდებოდათ ავტომობილების საწვავით მომარაგება. მეორე ხარვეზი კი ტერმინი „წინა ფინანსური წლის“ პერიოდში

¹⁴https://gnca.gov.ge/uploads_script/decisions/tmp/12ecff7400a47a3bbbbbb755d78a7983.pdf

არსებული ბრუნვით დაჯარიმებას გულისხმობს. სააგენტოს „წინა ფინანსური წელი“ ესმის როგორც მის მიერ გადაწყვეტილების გამოტანის წინა წელს არსებული პერიოდი, რაც არასწორია, რადგან, მაგალითად, თუ სააგენტომ მოკვლევა დაიწყო 2014 წლის ივნისში და გადაწყვეტილება მიიღო 2015 წლის მაისში, გამოდის რომ დაჯარიმება უნდა მოხდეს 2014 წლის ბრუნვის მიხედვით. თუმცა 2014 წელი შეიძლება რიგი მიზეზების გამო ეკონომიკური აგენტების მხრიდან სრულად ვერ იქნეს მომგებიანი და, შესაბამისად, სამართალდარღვევით მიღებული დიდი მოგება სრულად არ იქნება ასახული კომპანიის ბრუნვაში. მაშინ, როდესაც ასეთი დიდი მოგება უფრო სავარაუდოა, რომ მოკვლევის დაწყებამდე წინა წელს დაუფიქსირდეს. ანუ 2013 წელს. ევროკავშირში სწორედ მოკვლევის დაწყების წინა წლის მიხედვით იანგარიშება ჯარიმები, რადგან ბუნებრივია, მოკვლევის დაწყების შემდეგ ეკონომიკური აგენტები ვეღარ ბედავენ აშკარა სამართალდარღვევის გზით იმოქმედონ და სურთ დიდი ჯარიმების თავიდან ასაცილებლად ნაკლები ბრუნვა და მოგება აჩვენონ კონკურენციის ორგანოებს.

მეექვსე საქმე (ნავთობკომპანიების საქმე II)¹⁵

პირველი საქმის შესწავლის შემდეგ მიზანშეწონილია კონკურენციის შემზღვეველი შეთანხმებების მიმართულებით სააგენტოს მიერ მიღებული მეექვსე გადაწყვეტილების მიმოხილვა, რადგან როგორც პირველი საქმის მიმოხილვისას იქნა აღნიშნული, სააგენტოს გადაწყვეტილება სასამართლოების მიერ იქნა გაუქმებული და სააგენტოს დაევალა საქმის ხელახალი შესწავლა. მეექვსე საქმე სწორედ საავტომობილო სარეზერვუარის ბაზარზე

¹⁵https://gnca.gov.ge/uploads_script/decisions/tmp/a87be650e7d64307afda293742f7ad25.pdf

კანონის მე-7 მუხლის სავარაუდო დარღვევის განმეორებით მოკვლევას მოიცავს.

სასამართლომ სააგენტოს მტკიცებულების მაღალი სტანდარტი მოსთხოვა და გადაწყვეტილებაში ზოგადი მსჯელობა დაუწუნა. შესაბამისად, სააგენტო 2018 წლის გადაწყვეტილებაში, რომელიც 10 მაისის 04/117 ბრძანებით არის დამტკიცებული, უფრო ფრთხილი და დეტალებზე ორიენტირებულია. გარდა ამისა, მას უფრო მეტი ევროპული გადაწყვეტილებები აქვს მოტანილი გადაწყვეტილებაში თავისი არგუმენტების გასამყარებლად. თუმცა, სამწუხაროდ, ევროპული პრაქტიკა უფრო მოშველებული აქვს თავის პირველ გადაწყვეტილებაში მოცემული მტკიცებულებებისა და მსჯელობის კონტრარგუმენტირებისათვის.

სააგენტოს მეორე გადაწყვეტილება საავტომობილო საწვავის ბაზარზე რამდენიმე მნიშვნელოვანი საკითხის ქრილში უნდა განვიხილოთ დეტალურად:

პირველი, ვერტიკალურ შეთანხმებებში არსებული კონკურენციის სამართლის ნორმების დარღვევები დადგინდა ერთის მხრივ შპს „ლუკოილ ჯორჯიას“ და შპს „რომპეტროლ საქართველოსა“ და მეორეს მხრივ, მათ დისტრიბუტორებთან გაფორმებულ შეთანხმებაში ან/და მათ შორის არსებული პრაქტიკის შესაბამისად. ლუკოილის შემთხვევაში დისტრიბუტორების ჩვენებებით დადგინდა, რომ ფასის ცვლილება ხდებოდა ლუკოილის წარმომადგენლების სატელეფონო ზარის მეშვეობით და მათ არ ჰქონდათ დამოუკიდებლად ფასის განსაზღვრის უფლება. ხოლო რომპეტროლის შემთხვევაში მხარეებს შორის გაფორმებული ხელშეკრულებების პირობების შესაბამისად დისტრიბუტორებს არ ჰქონდათ რომპეტროლისაგან განსხვავებული ფასის დაწესების უფლება და მათი ფასებიც რომპეტროლის წარმომადგენლების

სატელეფონო ზარის შედეგად იცვლებოდა ხოლმე. ამ საკითხებზე მსჯელობისას სააგენტოს მომწველიებული ჰყავს პოლონური, ბერძნული, დანიური, გერმანული და ევროპული პრაქტიკა. მოკვლევის შედეგად დადგინდა კანონის მე-7 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის დარღვევა, რაც ფასების ფიქსაციას ითვალისწინებს და რომპეტროლ საქართველოსა და ლუკოილ ჯორჯიას 2014 წლის შემოსავლის შესაბამისად დაეკისრათ ჯარიმა რომპეტროლს 130 149 ლარის ოდენობით, ხოლო ლუკოილს 94 775 ლარის ოდენობით.

ასევე საინტერესოა ის ფაქტიც, რომ სააგენტომ ფასების ფიქსაციის ჰორიზონტალური შეთანხმებულობის მტკიცებულება ვერ წარმოადგინა, რის გამოც ამ მხრივ მსხვილ ხუთ მოთამაშეს (შპს „სოკარ ჯორჯია პეტროლიუმი“, შპს „სან პეტროლიუმ ჯორჯია“, შპს „ლუკოილ-ჯორჯია“, შპს „რომპეტროლ საქართველო“, სს „ვისოლ პეტროლიუმ ჯორჯია“) შორის ჰორიზონტალურად ფასების ფიქსაცია ვერ დადგინდა.

მეორე, კონკურენციის სააგენტოს მონაცემებით, საქართველოში საავტომობილო საწვავის ბაზარი იმპორტიორ ეკონომიკურ აგენტთა სიმვრალით გამოირჩეოდა 2006 წელს, როდესაც 125 კომპანია მუშაობდა საწვავის შემოტანაზე. ეს რაოდენობა ნელ-ნელა მცირდებოდა და 2012 წლის მონაცემებით მხოლოდ 8 კომპანია მუშაობდა იმპორტზე. ძირითადი პრობლემა იმპორტის მხრივ შეიქმნა აზერბაიჯანიდან და თურქმენეთიდან (აზერბაიჯანის გავლით) საწვავის შემოტანაზე. 2009 წლიდან შპს „სოკარ ჯორჯია პეტროლიუმი“ გახდა აზერბაიჯანის რესპუბლიკიდან საწვავის უმსხვილესი, შემდეგში კი ერთადერთი იმპორტიორი, რის შედეგადაც 120-მდე კომპანია გავიდა საწვავის იმპორტის ბაზრიდან. ეს ყველაფერი კი განპირობებული იყო აზერბაიჯანის რესპუბლიკის სახელმწიფო ნავთობის კომპანიის გადაწყვეტილებით, რომლითაც საქართველოში

საწვავის იმპორტი და მისი საცალო/საბითუმო რეალიზაცია მხოლოდ შვილობილი კომპანიის მეშვეობით უნდა მომხდარიყო (ამის ერთ-ერთი მიზეზი იყო ის, რომ მესამე ქვეყანაში არ მომხდარიყო საწვავის გადინება. მაგალითად, სომხეთში, რადგან აზერბაიჯანი მასთან საომარ მდგომარეობაში იმყოფებოდა). აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ „სოკარს“ საქართველოს ბაზარზე 2010-2012 წლებში დომინირებული მდგომარეობა ეკავა საწვავის ბაზარზე, ანუ მისი წილი შესაბამის ბაზარზე 40 პროცენტს აჭარბებდა.

რაც შეეხება შპს „სან პეტროლიუმ ჯორჯიას“, ის ბაზარზე შემოვიდა 2011 წელს და, შესაბამისად, ვერ იქნებოდა 2009-2010 წლებში ბაზრიდან ასეულობით გაძევებული კომპანიის საქმეში მონაწილე ან წარმოქმნილი ბარიერის შემქმნელი მხარე. გარდა ამისა, სააგენტომ ხელახლა მოკვლევის დასრულებისას განაცხადა, რომ მის ხელთ არსებული მტკიცებულებებიდან გამომდინარე, ვერ იქნა დადგენილი რომ ბაზარზე განვითარებული მოვლენები (კონკურენტების განდევნა) მოხდა მსხვილი მოთამაშეების არამართლზომიერი შეთანხმების შედეგად. ანუ კონკურენციის შესახებ კანონის მე-7 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის დარღვევა ბაზრის იმპორტის დონის შეზღუდვის კუთხით ვერ დადგინდა ხუთი მსხვილი კომპანიის მხრიდან.

მესამე, რაც შეეხება კონკურენციის შესახებ კანონის მე-7 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის დარღვევას საბითუმო დონის ბაზრის შეზღუდვასთან დაკავშირებით, ამ კუთხით სააგენტოს გადაწყვეტილება ხელახალი მოკვლევის შედეგად უფრო არგუმენტირებული და დასაბუთებული ჩანს.

კერძოდ, გადაწყვეტილებაში აღწერილია, რომ 2009 წლიდან 2012 წლამდე საქმიანობა შეაჩერა საავტომობილო საწვავის საცალო რეალიზებით დაკავებულმა 659-მა ავტოგასამართმა სადგურმა

(აგს), რომელთაგან 198 აგს ამუშავებულ იქნა ბაზრის მსხვილი, ბრენდირებული მოთამაშეების მიერ.

დამოუკიდებელი აგს-ების ბაზრიდან გასვლის მიზეზი რომ მათთვის საწვავის მიწოდების პრობლემა შეიძლება ყოფილიყო, განხილულია გადაწყვეტილების 58-ე გვერდზე, სოკარის მაგალითზე. თუმცა კომპანიის განცხადებით, ეს იძულებითი ნაბიჯი იყო, ვინაიდან დიდი რაოდენობის საწვავი გასცეს ნისიაზე და დავალიანების ამოღების კუთხით პრობლემებიც შეიქმნა. შესაბამისად, კომპანია იძულებული იყო მხოლოდ სანდო გადამხდელ კომპანიებზე მიეყიდა საწვავი.

მტკიცებულების არ ქონის გამო სააგენტომ ვერ დაადგინა, რომ საბითუმო მიწოდების შემცირება ეკონომიკური აგენტების შეთანხმებული მოქმედებით იყო გაპირობებული.

მეოთხე, ახალი გადაწყვეტილებით ფასების პარალელიზმის დასადგენად სააგენტომ ვერ წარმოადგინა შესაბამისი მტკიცებულებები. სასამართლომ ამის დასადგენად სააგენტოსაგან მოითხოვა კომუნიკაციის მტკიცებულების წარმოდგენა მაინც. სააგენტომ კი განიხილა ეს მტკიცებულებები და მხედველობაში მიიღო ისეთი ფაქტორები, როგორცაა პლატისის ფასი, ლარის გაცვლითი კურსი, კონკურენტი ეკონომიკური აგენტების ქცევა და ბაზარზე არსებული მდგომარეობა - გამჭვირვალე/საჯაროობის ხარისხი, მსგავსი ხარჯები და სხვა, თუმცა ფასების პარალელიზმი მან ვერ დაადგინა. ამავე დროს, სამწუხაროდ, სააგენტოს გამორჩა კომუნიკაციის მტკიცებულებების კუთხით მნიშვნელოვანი მტკიცებულებების მოძიება, როგორც იყო მაგალითად მენავთობეების გაერთიანების ხელმძღვანელი პირების სატელევიზიო გამოსვლები ფასების მატების ოდენობასთან მიმართებაში.

ამ ნაწილში უნდა აღინიშნოს ის დადებითი მიდგომა, რაც წინა გადაწყვეტილებისაგან განსხვავებით ახალ გადაწყვეტილებაში წარმოდგენილი. კერძოდ, გადაწყვეტილების 62-63 გვერდებზე მოყვანილი ინფორმაცია მოკვლევის პერიოდში ფასების მატების ტენდენციაზე, რაც 2015 წლის გადაწყვეტილებაში არ იყო წარმოდგენილი.

გარდა ამისა, აღსანიშნავია ევროკავშირის და ამერიკის პრაქტიკის უხვად მოშველიება გადაწყვეტილების 68-69 გვერდებზე.

მეხუთე, თავის გადაწყვეტილებაში სააგენტო მიმოიხილავს მსხვილი 5 ეკონომიკური აგენტის სტრატეგიებს „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის პირველი პუნქტის „გ“ (ბაზრების განაწილება) ქვეპუნქტის დარღვევის ჭრილში. 2011-2012 წლებში „სოკარი“ საწვავს ყიდულობდა ლუკოილის ჯგუფის ქარხნიდან, რადგან საქართველოს მთავრობის 2004 წლის 31 დეკემბრის #124 დადგენილების შესაბამისად, აზერბაიჯანიდან იმპორტირებული საწვავი არ აკმაყოფილებდა გოგირდის შემცველობასთან დაკავშირებულ სტანდარტს. „ვისოლს“ და „სოკარს“ კარგად განვითარებული საცალო ინფრასტრუქტურა აქვს 2010 წლიდან და მათი მხრიდან იმპორტის კუთხითაც წესით მეტი დაინტერესება უნდა ყოფილიყო; რომპეტროლი და ლუკოილი ნავთობის იმპორტის ბაზარზე დიდი მოთამაშეები არიან, თუმცა არ ზრუნდავდნენ საცალო ქსელის განვითარებაზე. რაც შეეხება შპს „სან პეტროლიუმ ჯორჯიას“, მან საავტომობილო საწვავის შიდა ბაზარზე საქონლის ბითუმად შესყიდვა დაიწყო 2011 წლის მარტიდან. ის 2012 წლის ჩათვლით არ აქტიურობდა საწვავის იმპორტის ბაზარზე, თუმცა შიდა ბაზარზე საწვავის ბითუმად შემენისა და ავტოგასამართი სადგურების რაოდენობრივი ზრდის შედეგად გაეზარდა საცალო რეალიზაცია.

სააგენტოს აზრით, ერთის მხრივ, შპს „სან პეტროლიუმ ჯორჯიას“ მიერ რისკის აღება - დიდი საცალო სარეალიზაციო ქსელი მოემარაგა უცხოელი მომწოდებლის გარეშე და დაყრდნობოდა მხოლოდ შიდა საბითუმო მომწოდებელს, ხოლო მეორეს მხრივ, ბაზრის დანარჩენი მონაწილეების მზაობა, თავიანთი საცალო სარეალიზაციო ქსელის განვითარების ნაცვლად მიეწოდებინათ საქონელი კონკურენტისათვის საბითუმოდ, შეუძლებელი იქნებოდა კონკურენციით განპირობებული ჩვეული რისკების გამორიცხვის გარეშე, რომელიც მხოლოდ წინასწარი შეთანხმებითაა შესაძლებელი (89 გვ.).

სააგენტოს მტკიცებით, ეკონომიკური აგენტების შესაბამისი მონაცემები ერთმანეთთან უარყოფით კორელაციაშია. კერძოდ, გარკვეული პერიოდების მიხედვით, ერთი კომპანიის მიერ იმპორტის ზრდას მოყვება მეორე კომპანიის მიერ იმპორტის შემცირება და პირიქით. მაგალითად 2012 წლის ჩათვლით, ვისოლის მიერ რეგულარის ტიპის საწვავის იპორტი იზრდება, მაშინ როდესაც რომპეტროლის იმპორტი მცირდება. ეს განპირობებული იყო იმით, რომ 2012 წლის ჩათვლით რომპეტროლი თავს იკავებდა საცალო რეალიზაციის განვითარებისაგან.

სააგენტოს აზრით, 2010-2012 წლებში ადგილი ჰქონდა კომპანიებს შორის ბაზრის დაყოფას-კვოტირებას, რაც მდგომარეობდა შემდეგში:

- იმპორტის ბაზარზე უპირატესი საბაზრო ძალის მქონე კომპანიებს არ უნდა განეხორციელებინათ საცალო ქსელისა და შესაბამისად, საცალო ქსელში რეალიზებული საწვავის მოცულობის ზრდა;
- საცალო ქსელში უპირატესი საბაზრო ძალის მქონე კომპანიები არ მოიძიებდნენ საწვავის მომწოდებელ სხვა უცხოური

კომპანიებს. შესაბამისად, იმპორტს, და საწვავს შეისყიდოდნენ იმპორტის ბაზარზე უპირატესი საბაზრო ძალის მქონე კომპანიებისაგან;

- მატერიალურ სარგებელს იღებდა ორივე მხარე - საცალო ქსელში უპირატესი საბაზრო ძალის მქონე კომპანიებს (ვისოლი, სოკარი და სან პეტროლიუმი) ჰქონდათ გარანტია, რომ იმპორტის ბაზარზე უპირატესი ძალის მქონე კომპანიები არ განავითარებდნენ საცალო ქსელს. იმპორტის ბაზარზე მოქმედ კომპანიებს კი ჰქონდათ გარანტია, რომ საცალო ბაზარზე მოქმედი კომპანიები არ განახორციელებდნენ საწვავის დამატებით იმპორტს და საწვავს შეისყიდოდნენ სწორედ მათგან.

2013 წლიდან კი ვისოლს და სოკარს საცალო გაყიდვები უმცირდება, ხოლო რომპეტროლს და ლუკოილს კი პირიქით მატება აქვს. ლუკოილმა ინვესტირება მოახდინა საცალო ქსელის განვითარებაში.

სააგენტოს გადაწყვეტილებით, 2010-2012 წლებში, ხოლო სან პეტროლიუმის შემთხვევაში 2011-2012 წლებში, ადგილი ჰქონდა 5 ეკონომიკურ აგენტს შორის შეთანხმებას ბაზრის გადანაწილების შესახებ, კერძოდ, ვაჭრობის დონეების მიხედვით, რომპეტროლი და ლუკოილი მოქმედებდა იმპორტისა და საბითუმო ვაჭრობის დონეზე, ხოლო სოკარი, ვისოილი და სან პეტროლიუმი საცალო ვაჭრობის დონეზე. ეს კი წარმოადგენდა „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის დარღვევას.

რაც შეეხება ჯარიმების ოდენობას, სააგენტომ მხედველობაში მიიღო კონკურენციის შესახებ მოქმედი კანონის პირვანდელი რედაქცია, რომლის 33-ე მუხლის საფუძველზე ჯარიმები იანგარიშება წინა წლის არა ბრუნვიდან, არამედ მიღებული მოგებიდან. დარღვევის პერიოდი სწორედ 2012 წელს მოიცავდა.

მეექვსე, „წინა ფინანსურ წელში“ სააგენტო ისევ გადაწყვეტილების მიღების წინა წელს ეყრდნობა და მიუთითებს ევროპულ ქვეყნებში არსებულ პრაქტიკაზე, თუმცა არ აკონკრეტებს ქვეყანას და არც რომელიმე ნორმატიულ აქტს ან გაიდლაინს (113 გვ.).

2018 წლის გადაწყვეტილებით ჯარიმები კანონის მე-7 მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის დარღვევის გამო შემდეგნაირად გადანაწილდა:

„სოკარ ჯორჯია პეტროლიუმ“ 719 069 ლარი, შპს „სან პეტროლიუმ ჯორჯია“ 471 980 ლარი, შპს „ლუკოილ-ჯორჯია“ 315 917 ლარი, შპს „რომპეტროლ საქართველო“ 623 520 ლარი, სს „ვისოლ პეტროლიუმ ჯორჯია“ 521 319 ლარი.

2018 წლის გადაწყვეტილებით ჯარიმები კანონის მე-7 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის დარღვევის გამო შემდეგნაირად გადანაწილდა:

შპს „ლუკოილ-ჯორჯია“ 94 775 ლარი, შპს „რომპეტროლ საქართველო“ 130 149 ლარი, შპს „ლილი“ – 200 ლარი.

მეორე საქმე (საავიაციო ნავთის საქმე)¹⁶

მეორე საქმე საავიაციო ნავთის სასაქონლო ბაზარს ეხება. ეს საქმეც პირველ და მეექვსე საქმეს უკავშირდება, რადგან ნავთობპროდუქტების სასაქონლო ბაზრის მოკვლევით დაიწყო სააგენტომ და შემდეგ საავიაციო ნავთის საქმე ცალკე გამოიყო. გადაწყვეტილება სააგენტომ 2015 წლის 11 სექტემბრის #131 ბრძანებით დაამტკიცა. აღნიშნულ ბაზარს განსხვავებული თვისებები გააჩნია, თუმცა აქაც რამდენიმე იგივე მოთამაშე ჰყავს

¹⁶https://gnca.gov.ge/uploads_script/decisions/tmp/985a5c64effa400484392065a9653904.pdf

და რამდენიმე წელი დომინირებული მდგომარეობის არსებობაც კი შეინიშნებოდა.

საქართველოში რამდენიმე საერთაშორისო დონის აეროპორტია. ესენია, თბილისის, ქუთაისის და ბათუმის. ადგილობრივი რეისები აქვს მესტიას და ნატახტარს.

საავიაციო ნავთის სასაქონლო ბაზარი შედგება სამი ტიპის სასაქონლო ბაზრისაგან:

1. საქონლის იმპორტის სასაქონლო ბაზარი
2. იმპორტირებული საქონლის საბითუმო გაყიდვის სასაქონლო ბაზარი და
3. აეროპორტის ტერიტორიაზე საჰაერო ხომალდზე საქონლის მიწოდების სასაქონლო ბაზარი.

2004 წლიდან საავიაციო ნავთის იმპორტზე რამდენიმე წელი, 2006 წლის ჩათვლით შეინიშნებოდა დომინანტი პოზიციის არსებობა, ასევე სუპერდომინანტობაც (29-30 გვ.). 2010-2014 წლებშიც არის დომინანტობის და კოლექტიური დომინანტი პოზიციის ნიშნები (34 გვ.).

აღნიშნული საქონლის დიდი ნაწილი აზერბაიჯანიდან და თურქმენეთიდან შემოდის 2010-2014 წლებში. ამ ორ ქვეყნიდან იმპორტი დაახლოებით 91% იყო, ხოლო საბერძნეთიდან - 4.5% და რუმინეთიდან კი - 3.9%.

2015 წელს მხოლოდ სამი იმპორტიორი კომპანია იყო და იმპორტის დიდი წილი თურქმენეთს ეკავა (96.14%). ამ შემთხვევაშიც კოლექტიური დომინირება შეინიშნებოდა.

სამოქალაქო საჰაერო ხომალდების საწვავ-გასამართი საწარმოების სერტიფიკატი 2010-2013 წლებში ჰქონდათ ექვს კომპანიას:

შპს „ავიასაწვავსერვისი“ - თბილისის და ქუთაისის აეროპორტებში, შპს „ეარ ბიჯი ჯორჯია“ - თბილისში, სს „ვისოლ ჯორჯია პეტროლიუმი“ - თბილისში, ბათუმში, ქუთაისში, მესტიაში; შპს „ჯორჯიან პეტროლიუმი“ - ქუთაისში და თბილისში; სპს „სითაძე და კახაბერი“ - ბათუმში; შპს „ჯორჯიან ეარვეისი“ - თბილისში. ხოლო 2013-2016 წლებში ამ ბაზარზე დარჩა 4 კომპანია -სს „ვისოლ ჯორჯია პეტროლიუმი“ - თბილისი, ბათუმი, ქუთაისი, მესტია; შპს „ჯორჯიან პეტროლიუმი“ - ქუთაისი და თბილისი; სპს „სითაძე და კახაბერი“ - ბათუმი, ნატახტარი და მესტია; შპს „ჯორჯიან ეარვეისი“ - თბილისი.

2013-2016 წლებში საავიაციო საწვავის მიღების, შენახვის და სამოქალაქო საჰაერო ხომალდების საავიაციო საწვავით გამართვის უფლების მქონე კომპანიები არიან:

- სს „ვისოლ ჯორჯია პეტროლიუმი“ - თბილისის, ბათუმის, ქუთაისის, მესტიის აეროპორტები;
- შპს „ჯორჯიან პეტროლიუმი“ - ქუთაისისა და თბილისის აეროპორტები;
- სპს „სითაძე და კახაბერი“ - ბათუმის, ნატახტარის და მესტიის აეროპორტები;
- შპს „ჯორჯიან ეარვეისი“ - თბილისის აეროპორტი.

თბილისის აეროპორტში 2008-2015 წლებში თვითმფრინავის ბორტზე საწვავის მიწოდებას ახორციელებდნენ:

- 2008-2012 წწ. 3 კომპანია: შპს „ეარ ბიჯი ჯორჯია“, შპს „ჯორჯიან პეტროლიუმი“ და შპს „ეარ ვისოლი“
- 2013-2015 წწ. 2 კომპანია შპს „ჯორჯიან პეტროლიუმი“ და სს „ვისოლ პეტროლიუმ ჯორჯია“

ბათუმის აეროპორტში კი 2009 წ. სს „პეტროლოფისი“ და შპს „ეარ ვისოლი“, ხოლო 2010-2015წწ. შპს „ეარ ვისოლი“.

ქუთაისის აერპორტს რაც შეეება, აქ ყოველთვის მხოლოდ შპს „ჯორჯიან პეტროლიუმია“ საავიაციო ნავთის მიწოდებელი.

საერთო მონაცემების ანალიზის მიხედვით მოკვლევის პერიოდში თბილისის, ბათუმის და ქუთაისის აეროპორტებში საავიაციო ხომალდების ბორტზე საავიაციო ნავთის მიწოდების ბაზარზე დომინანტი პოზიციის (როგორც ინდივიდუალური, ასევე კოლექტიური დომინანტობა) არსებობა შეინიშნებოდა (36-40 გვ).

სამივე აღწერილ ბაზარს სააგენტო სწავლობს „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლიდან (დომინანტი პოზიციის ბოროტად გამოყენება) გამომდინარე და ასკვნის, რომ წარმოდგენილი ინფორმაციის ანალიზის შედეგად ვერ დგინდება ამ მუხლის დარღვევა. თუმცა, ჩემი აზრით, სააგენტოს ჯობდა მეტი ინფორმაცია მოემია და სრულყოფილად შეესწავლა ბაზარი. მაგალითად, იყო თუ არა უსამართლო ფასები, ჰქონდა თუ არა ადგილი მტაცებლურ ფასს და სხვა.

მესამე საქმე (საავტომობილო გაზის რეალიზატორთა საქმე)¹⁷

მესამე საქმე ეხება საავტომობილო გაზის ბაზარს. სააგენტომ მოკვლევა დაიწყო ააიპ „მომხმარებელთა უფლებების დაცვის საზოგადოების“ განცხადების საფუძველზე 2015 წლის თებერვალში. მოკვლევა დასრულდა იმავე წლის 15 ოქტომბრის #162 ბრძანებით დამტკიცებული გადაწყვეტილებით, რომლის თანახმადაც, შესაბამის ბაზარზე არ დადასტურდა კანონის მე-7 მუხლის დარღვევა. განცხადებაში ნათქვამია, რომ საავტომობილო გაზის რეალიზატორი კომპანიების მხრიდან სავარაუდო შეთანხმებას ჰქონდა ადგილი საავტომობილო გაზის საცალო

¹⁷https://gnca.gov.ge/uploads_script/decisions/tmp/e659e7c86b0844a2a510125dc36d8306.pdf

ფასის დადგენის/ზრდის მიმართულებით, რაც არღვევს კანონის მე-7 მუხლს. განმცხადებლის აზრით, ბაზარზე ადგილი ჰქონდა ფასების პარალელურ ზრდას და იგი ხაზს უსვამდა ასევე ააიპ „ბუნებრივი აირით მოსარგებლეთა ასოციაციის“ თავმჯდომარის მიერ სატელევიზიო ეთერში გაკეთებულ განცხადებას, რაც ღიად მიანიშნებდა ფასების შესაძლო ფიქსაციაზე - 5 თეთრიან მინიმალურ მარჟაზე.

სააგენტომ მოიკვლია, თუ რამ გამოიწვია 2014 წლის აგვისტოში და დეკემბერში ფასების მატება. გაზის გასამართი სადგურების კომპანიების მიერ სხვადასხვა მიზეზი დასახელდა. ესენი იყო: მოთხოვნის გაზრდა ზაფხულში, ლარის დეველვაცია. თუმცა, ყველაზე მნიშვნელოვანი მიზეზი იყო “სოკარის“ მიმართ არსებული პრეტენზია, რომელიც გაზს შედარებით იაფად ყიდდა თავის შვილობილ/დაკავშირებულ კომპანიაზე და საცალო გაყიდვასაც იაფად ახდენდა. ამის გამო სოკარის წარმომადგელობასთან გაიმართა ააიპ „ბუნებრივი აირით მოსარგებლეთა ასოციაციის“ წარმომადგენლის შეხვედრა. სოკარს სთხოვეს დისკრიმინაციული საბითუმო ფასებით გაყიდვის შეჩერება. ამის საპასუხოდ კი “სოკარმა“ საბითუმო ფასების დაწევის ნაცვლად ფასის მომატება დაიწყო საცალო ბაზარზე და შესაბამისად პატარა მოთამაშეებიც მიყვნენ ფასების მატებას. *საინტერესოა ასევე შპს „აგაზი“-ს წარმომადგენლის ახსნა-განმარტებისას მოწოდებული ინფორმაცია, რომელიც აღნიშნავს, რომ ის შეხვდა ახალქალაქსა და ბორჯომში მდებარე გაზგასამართ სადგურებს, კონსულტაციები გაირეს ფასებზე და შეთანხმდნენ, რომ ერთი ფასი დაეწესებინათ (23 გვ.). აღნიშნულ ფაქტებზე სააგენტოს სათანადო მოკვლევა და ინფორმაციის მოძიება არ მოუხდენია.* სააგენტო მხოლოდ სხვა მოპასუხეების ჩვენებებს დაეყრდნო, რომლებიც უარყოფდნენ ასეთ შეხვედრას და შეთანხმებას. ამ ბაზარზეც გამოიკვეთა კომპანია “სოკარის“

დომინირებული მდგომარეობა (შპს „სოკარ გაზ დისტრიბუშენი“) იმპორტის ბაზარზე. ნავთობის და საწვავის ბაზარზე მისი შემოსვლის შემდეგ აშკარად შემცირდა კონკურენცია და მომხმარებლისთვის ფასების საგრძნობი მატებაც შეინიშნებოდა. თუმცა, სააგენტოს ამ მიმართულებით (კანონის მე-6 მუხლის) დარღვევაზე არ უმსჯელია გადაწყვეტილებაში. ამასთან, საინტერესოა იმის აღნიშვნა, რომ გაზის ბაზარზე ფასი რეგიონალურ დონზე დგინდება და არა პლატსის შესაბამისად, როგორც ამას ადგილი აქვს ნავთობპროდუქტების შემთხვევაში.

მნიშვნელოვანია იმის აღნიშვნა, რომ შპს „აგაზის“ მიერ მოწოდებულ ინფორმაციაზე მეტი ყურადღება უნდა გაემხვილებინა სააგენტოს. ამ მხრივ, საყურადღებოა „ჯ და აუდიტ სერვის“ საქმე (მე-8 საქმე), რომელიც უფასო სასააღიარებლის ეხება და სადაც, განსხვავებით ზემოთ აღწერილისგან, ერთი ეკონომიკური აგენტის მიერ მოწოდებულ ინფორმაციას ეყრდნობა სააგენტო მე-7 მუხლის დადგენისას.

მეოთხე საქმე („გლობალგროს საქმე II“)¹⁸

მეოთხე საქმეზე კონკურენციის სააგენტომ თავისი ინიციატივით დაიწყო მოკვლევა 2015 წლის მარტში. საქმე ეხებოდა საქართველოს ხორბლისა და პურპროდუქტების მწარმოებელთა ასოციაცია „გლობალგრო“-ს მხრიდან კონკურენციის შესახებ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის შესაძლო სავარაუდო დარღვევას. სააგენტომ შესაბამისი გადაწყვეტილება 2016 წლის 25 იანვრის #8 ბრძანებით დაამტკიცა.

¹⁸https://gnca.gov.ge/uploads_script/decisions/tmp/c8594e574e664238ad7474bd5563a965.pdf

შპს „აგრიკომი“ ხორბლისა და ჭვავის შესაბამის ბაზარზე გარკვეულწილად წამყვან პოზიციას იკავებდა და ეს, ალბათ, განპირობებული იყო შესაბამისი სახელმწიფო უწყებების მხრიდან თანამშრომლობით სახელმწიფოებრივი ინტერესების უზრუნველყოფისა და ხორბლისა და ფქვილის ბაზარზე სტაბილური სიტუაციის შესანარჩუნებლად - სასურსათო უსაფრთხოების მიზნით (72, 82 გვ.). მაგალითად, საქმეში მოცემულია ინფორმაცია, რომ 2008 წლის ომის შემდგომ სახელმწიფოს მიერ შესყიდული დიდი რაოდენობით ხორბლის/ფქვილის მარაგი შემდეგ გადაეცა გასაყიდად აღნიშნულ კომპანიას. ბუნებრივია, ეს გარკვეულწილად ხელს შეუწყობდა ამ კომპანიის პოზიციის გაძლიერებას ბაზარზე, რაც, თავის მხრივ, ნეგატიურად იმოქმედებდა ბაზარზე კონკურენციის კუთხით. ევროკავშირში სახელმწიფო ორგანოების მიერ ეკონომიკური აგენტების წახლისება არ განიხილება კარტელში მონაწილეობასთან დაკავშირებული პასუხისმგებლობისაგან განთავისუფლების პირობად.

გადაწყვეტილებაში საუბარია ასევე იმ ფაქტზე, რომ ასოციაციის მხრიდან შპს „აგროსისტემების“ მისამართით იყო ფასების აწევის მოთხოვნა. ასევე მოყვანილია ასოციაციის ორი კრების ოქმი (2009 წლის 12 მაისის და 2014 წლის #6) (92 გვ.), სადაც გარკვეული ნიშნები არსებობს „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის სავარაუდო დარღვევების თაობაზე. თუმცა, სააგენტოს მტკიცებით, ბაზრის სრულყოფილად მოკვლევის შედეგად ფასების პარალელიზმის ნიშნებიც კი არ გამოიკვეთა. ამასთან აღსანიშნავია ის გარემოება, რომ სააგენტოს ჯობდა გამოეკვლია, ამ ორი კრების გამართვის შემდეგ რამდენად ხდებოდა ეკონომიკური აგენტების მხრიდან ფასების დაწევა ან აწევა.

ბაზარზე შეინიშნება გამჭვირვალობა, რადგან გარკვეული სენსიტიური ინფორმაცია კონკურენტებმა ერთმანეთის შესახებ იციან.

მაგალითად, ფასები, მარაგები და სხვა, რაც შეიძლება საშუალებას აძლევდეს კონკურენტებს მოახდინონ შეთანხმებული მოქმედებების განხორციელება ბაზარზე.

ასევე საუბარია იმაზე, რომ კონკურენტი ეკონომიკური აგენტების ნაწილი შპს „აგროსისტემებს“ ადანაშაულებს მონოპოლიური მდგომარეობის დაკავებაში და დემპინგურ ფასებში. აღნიშნული მიმართულებით, კერძოდ კი დომინანტი პოზიციის არსებობის დადგენის მიმართულებით, სააგენტოს, გადაწყვეტილებაში როგორც იკვეთება, არ უმსჯელია დეტალურად. იგი ამბობს, რომ ეს ბაზარი არის კონკურენტული დაახსნა-განმარტების დროს არცერთი ეკონომიკური აგენტის მხრიდან არ გამოიკვეთა ფასზე შეთანხმების არსებობა. შესაბამისად, სააგენტომ ამ ბაზარზე ვერ დაადგინა კარტელის არსებობა.

მეხუთე საქმე (სასკოლო ავტობუსების საქმე)¹⁹

აღნიშნული საქმე სასკოლო ავტობუსების ბაზარს ეხება. აღნიშნული პროგრამა ითვალისწინებს მაღალმთიან და მიუვალ რეგიონებში საჯარო სკოლის მოსწავლეების სკოლაში მიყვანას და უკან დაბრუნებას სწავლის პერიოდში. აღნიშნულ საქმეში კონკურენციის სამართლის ნორმების შესაძლო სავარაუდო დარღვევის ფაქტზე საქართველოს სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა მიუთითა კონკურენციის სააგენტოს. ამ უკანასკნელმა კი თავისი ინიციატივით დაიწყო საქმის მოკვლევა. კონკურენციის სააგენტოს მიზანს წარმოადგენდა შეესწავლა 4 ეკონომიკური აგენტის (შპს „ნიშის“, შპს „მაიჯიპიისის“, შპს „თაიმსერვისის“ და შპს „ბ&ბ“) მხრიდან ჰქონდა თუ არ ადგილი „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის

¹⁹https://gnca.gov.ge/uploads_script/decisions/tmp/8d80c73514b344f897aa5ae5f06e6596.pdf

პირველი პუნქტის „ა“ (ფასების ან სხვა სავაჭრო პირობების ფიქსაცია) და „გ“ (ბაზრების განაწილება) ქვეპუნქტების დარღვევას, ასევე საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მხრიდან „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის დარღვევას, რომელიც უკრძალავს სახელმწიფო ხელისუფლების, ავტონომიური რესპუბლიკის ხელისუფლების, მუნიციპალიტეტის ორგანოს და სხვა ადმინისტრაციული ორგანოს კონკურენციის შეზღუდვას.

ეკონომიკური აგენტების მხრიდან კანონის მე-7 მუხლის დარღვევის საკითხი დაისვა სასკოლო ავტობუსების მომსახურების შესყიდვაზე სახელმწიფო ტენდერების დროს კომპანიების მხრიდან ე.წ. ბოიკოტირების შემთხვევებში. როგორც საქმის მასალებიდან ირკვევა, ეს არ იყო გაპირობებული ერთობლივი მოქმედებით და ვერ დაკვალიფიცირდებოდა ამ შეთანხმებულ ქმედებად. კომპანიების განმარტებით, სატენდერო პირობად გამოცხადა, რომ თითოეული მოსწავლის გადაყვანა უნდა მომხდარიყო ინდივიდუალური დასაჯდომი ადგილით. ეს კი კომპანიების მხრიდან დამატებით დიდ დანახარჯებთან იყო დაკავშირებული. ახალი პირობების შესაბამისად ამ დარღვევისათვის უკვე მაღალი პირგასამტეხლო იყო გათვალისწინებული. სწორედ ამ პირობის გამო მოხდა რამდენიმე შემთხვევაში ზოგიერთი კომპანიის მხრიდან ტენდერში მონაწილეობისაგან თავის შეკავება. ჩაშლილი ტენდერების გამო კი სამინისტრო იძულებული იყო კანონმდებლობით გათვალისწინებული ნორმების დაცვით ერთ პირთან გამართული მოლაპარაკებების საფუძველზე გაეფორმებინა ხელშეკრულება სასკოლო ავტობუსების მომსახურების გაწევაზე. ამ ხელშეკრულებების დადების გამო კი კომპანიების ნაწილი სამინისტროს ადანაშაულებდა კანონის მე-10 მუხლის დარღვევაში. ამ მუხლის დარღვევა სააგენტომ ვერ დაადგინა.

კომპანიების მხრიდან ასევე აღნიშნულია, რომ სატენდერო პირობებში პრეტენდენტის მხრიდან სატრანსპორტო საშუალებების საკუთრების ან იჯარის შესახებ ინფორმაციის მიწოდების მოთხოვნა გარკვეულწილად წარმოადგენდა დამაბრკოლებელ ფაქტორს. ეს ფაქტიც შეისწავლა სააგენტომ თუმცა დამაბრკოლებელ გარემოებად იგი არ შეუფასებია. ასევე იყო ერთ შემთხვევაში 50000 ლარიანი ბრუნვის მოთხოვნა ტენდერში და შპს „დაკა ჯორჯიამ“ კი გაიმარჯვა ტენდერში, თუმცა ამ მოთხოვნის შეუსრულებლობის გამო დისკვალიფიცირებული იქნა. მოგვიანებით ეს პირობა ამოღებული იქნა სატენდერო პირობებიდან.

სამინისტროს მხრიდან „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის „ბ“ და „გ“ პუნქტების სავარაუდო დარღვევის საკითხზე დაინტერესებული მხარე მოითხოვდა სამეგრელოში გასამართი ტენდერის შესწავლას (48 გვ.). აღნიშნულ ტენდერში ორმა კომპანიამ შპს „მაიჯიპიესმა“ და შპს „დაკა ჯორჯიამ“ გადაიხადა ტენდერში მონაწილეობის საფასური. ტენდერში გაიმარჯვა მეორე კომპანიამ, თუმცა მასთან ხელშეკრულება არ გაფორმდა, რადგან დავების საბჭოს გადაწყვეტილებით ტენდერი საბოლოოდ შეწყვეტილად გამოცხადდა. შპს „მაიჯიპიესის“ წარმომადგენლების განმარტებით, მათი მხრიდან სატენდერო დოკუმენტაციაში აღმოჩენილი იქნა მთელი რიგი ხარვეზები, რის შესახებაც სამინისტროს აცნობეს კითხვა-პასუხის მოდულის მეშვეობით, თუმცა ამ უკანსკნელმა სათანადო ვადებში არ გასცა პასუხი. ამავე დროს, კომპანია ვერ იღებდა ხარვეზიანი მომსახურების შესრულების ვალდებულებას, რის გამოც კომპანიამ ტენდერში არ მიიღო მონაწილეობა და დავების საბჭოში გაასაჩივრა გადაწყვეტილება. ტენდერი კი შეწყვეტილად გამოცხადდა. ხარვეზი, რომელიც ეხებოდა სატენდერო დოკუმენტებს არ გასწორდა, არ გაკეთდა სამინისტროს მხრიდან განმარტება. კომპანიამ კი თავი შეიკვა ხარვეზიან

ტენდერში მონაწილეობისაგან იმის შიშით, რომ ხარვეზიანი და განუმარტებელი ვალდებულების აღება რისკთან იყო დაკავშირებული და შემსყიდველ ორგანიზაციას ექნებოდა შესაძლებლობა გამოეყენებინა პირგასამტეხლო იმ ვალდებულების შეუსრულებლობისათვის, რის შესრულებაც შეუძლებელი იქნებოდა. შესაბამისად, ამ ნაწილში შპს „მაიჯიპიეს“ შეეზღუდა ტენდერში მონაწილეობის შესაძლებლობა. ამ შემთხვევაში, სააგენტომ კანონის მე-10 მუხლის „გ“ ქვეპუნქტის დარღვევის ფაქტი დაადგინა. ამასთან, სააგენტოს განმარტებით, სამინისტროს ქმედების შედეგად კომპანიას ვერ მიადგებოდა მატერიალური ზიანი, რადგან ტენდერი შეწყვეტილად გამოცხადდა (50 გვ.).

თუმცა, გადაუდებელი აუცილებლობით შესყიდვის განხორციელების საჭიროებიდან გამომდინარე, სამინისტრომ ერთ პირთან მოლაპარაკების საფუძველზე სამეგრელოს რეგიონში სატრანსპორტო მომსახურების მიწოდების ხელშეკრულება შპს „დაკა ჯორჯიასთან“ გააფორმა. ამასთან კვლევის ეტაპზე “დაკა ჯორჯიას“ უფრო დაბალი შემოთავაზებული ფასი ჰქონდა, ვიდრე შპს „მაიჯიპიეს“ და სწორედ ამიტომ ამ უკანასკნელთან გაფორმდა ხელშეკრულება. ამ ნაწილში სააგენტოს მხრიდან მე-10 მუხლის „ბ“ პუნქტის დარღვევა არ დადგინდა.

მეშვიდე საქმე („სიტროენ ჯორჯიას“ საქმე)²⁰

მეშვიდე საქმე ავტოსატრანსპორტო საშუალებების შესყიდვის ბაზარზე „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლისა და მე-10 მუხლის (სახელმწიფო ხელისუფლების, ავტონომიური რესპუბლიკის ხელისუფლების, მუნიციპალი-

²⁰https://gnca.gov.ge/uploads_script/decisions/tmp/f6a4a459d4244ce5a53ddcda3c7cb321.pdf

ტეტის ორგანოს, სხვა ადმინისტრაციული ორგანოს მიერ კონკურენციის შეზღუდვის დაუშვებლობა) სავარაუდო დარღვევის შესწავლას ეხებოდა. სააგენტოს შესაბამისი გადაწყვეტილება 2018 წლის 6 ივლისის #04/166 ბრძანებით იქნება დამტკიცებული.

შპს „სიტრეონ ჯორჯია“-მ სააგენტოში შეიტანა საჩივარი კანონის მე-7 მუხლის პირველი პუნქტის „ა“, „ბ“ და „ვ“ ქვეპუნქტების შპს „სტრადა მოტორსის“, შპს „ჯი-თი მოტორსის“, სს „ჰიუნდაი ავტო საქართველოს“, შპს „კია მოტორს ჯორჯიას“, შპს „იბერია ავტოს“ და სს „ფრანს ავტოს“ მხრიდან სავარაუდო დარღვევის შესახებ. საჩივარში ასევე აღნიშნული იყო კანონის მე-10 მუხლის „ბ“ (ეკონომიკური აგენტისთვის ისეთი შეღავათის დაწესება, რომელიც მას კონკურენტებთან ან პოტენციურ კონკურენტებთან შედარებით უპირატესობას ანიჭებს და ზღუდავს კონკურენციას, გარდა საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევებისა) და „გ“ (ეკონომიკური აგენტის ეკონომიკური საქმიანობის ან/და დამოუკიდებლობის აკრძალვა, შეჩერება ან სხვაგვარად შეფერხება, გარდა საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევებისა) ქვეპუნქტების შესაძლო დარღვევის შესახებ სსიპ სასწრაფო სამედიცინო დამარების ცენტრის, შპს „გარდაზნის თბოსადგურისა“ და საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მხრიდან. კანონის მე-10 მუხლის სავარაუდო დარღვევის ნაწილში საჩივარი დაუშვებლად იქნა ცნობილი სააგენტოს მიერ, ხოლო მე-7 მუხლის სავარაუდო დარღვევის ფაქტზე მოკვლევა დაიწყო. საჩივარში მე-7 მუხლის სავარაუდო დარღვევის დასადასტურებლად მითითებული იყო კონკრეტული ტენდერები, კერძოდ 58 ტენდერი, რომელშიც მონაწილეობდა მხოლოდ ერთი პრეტენდენტი და 60 ტენდერი, რომელშიც მონაწილეობდა ერთზე მეტი პრეტენდენტი.

კონკურენციის სააგენტომ აღნიშნული ტენდერები დეტალურად შეისწავლა, ახსნა-განმარტებებიც ჩამოართვა აღნიშნულ ეკონომიკურ აგენტებს. თუმცა, სამართალდარღვევის ნიშნები ვერ დაადგინა. კონკურენციის სააგენტოს მტკიცებით საქმეში არ შეინიშნებოდა პარალელური ქცევის ან ტენდერში მონაწილეობისაგან თავის შეკავების ნიშნები, რაც შესაძლო სამართალდარღვევაზე მიანიშნებდა.

გადაწყვეტილების 29-34 გვერდებზე მიმოხილულია 19 ტენდერი და გამოკითხულია ის კონკურენტი ეკონომიკური აგენტები, რომლებიც არ მონაწილეობდნენ ამ ტენდერებში, მოწოდებულია მათ მიერ ინფორმაცია იმის თაობაზე, თუ რატომ არ მიიღეს მათ ამ ტენდერებში მონაწილეობა. თუმცა არ არის მითითებული რომელმა კომპანიებმა გაიმარჯვეს ამ ტენდერებში. აღნიშნული ინფორმაცია მეტ სრულყოფილებას შეძენდა სააგენტოს დასკვნას. ასევე განხილულია ის 18 ტენდერი (34-38 გვ.), რომელშიც ერთზე მეტი ეკონომიკური აგენტი იღებდა მონაწილეობას და გამოკითხულნი იყვნენ ის პოტენციური კონკურენტი ეკონომიკური აგენტები, რომლებმაც მონაწილეობა არ მიიღეს აღნიშნულ ტენდერებში. ამ 18 ტენდერში მითითებულია თუ რომელმა კომპანიებმა გაიმარჯვეს კონკურენტული შეთავაზების შედეგად.

სააგენტოს მხრიდან შპს „კია მოტორს ჯორჯია“ და შპს „იბერია ავტო“ ერთიან ეკონომიკურ სუბიექტებად იქნენ მიჩნეულნი, რადგან მათზე არსებითი გავლენის მოხდენა შეეძლო შპს „იბერია ბიზნეს ჯგუფს“. შესაბამისად, ისინი ურთიერთდამოკიდებულ პირებად იქნენ მიჩნეულები და მათზე ვერ გავრცელდებოდა მე-7 მუხლი.

საინტერესო და აღნიშვნის ღირსია ტენდერის პირობები, რომელიც შესაძენი ავტომობილების სპეციფიკაციის დადგენის ფაქტებს (ფერი, სიგრძე და სხვა) ეხება. მნიშვნელოვანია იმის

გარკვევა თუ რატომ არის ეს დეტალები ისე შედგენილი, რომ მხოლოდ ერთი კომპანია შეიძლება აკმაყოფილებდეს ამ მოთხოვნებს. უდევს თუ არა ამ სპეციფიკაციას და მოთხოვნებს საფუძვლად რაიმე ობიექტური მიზეზი? ამ საკითხებზე კონკურენციის სააგენტო დუმს. კარგი იქნებოდა, თუ ამ საკითხებით დაინტერესდებოდა შესყიდვების სააგენტო და თუ მოხდებოდა აღნიშნული საკითხების ამ ორი სააგენტოს ერთობლივი ძალისხმევით სრულყოფილად შესწავლა. ასეთ შემთხვევაში საზოგადოების წინაშე წარმოდგენილი იქნებოდა საინტერესო და მნიშვნელოვანი კვლევა.

ამასთან, უხვად არის მოშველიებული ევროკავშირის პრეკედენტული სამართალი. 26-ე გვერდზე საუბარია საერთაშორისო პრაქტიკაზე და 21-ე სქოლიოში მითითებულია 2018 წლის წერილი. კარგი იქნებოდა თუ მისი შინაარსიც სრულად იქნებოდა ხელმისაწვდომი ქართულ ენაზე.

მერვე საქმე („ჯ და აუდიტ სერვის ჯგუფის“ საქმე)²¹

მერვე საქმე ქალაქ თბილისში მძიმე სოციალ მდგომარეობაში მყოფი პირების უფასო სასაბინოებით მომსახურების ბაზარს შეეხებოდა. სააგენტომ გადაწყვეტილება 2021 წლის 9 მარტის #04/31 ბრძანებით დაამტკიცა. აღნიშნული მომსახურების შესასყიდად თბილისში არსებული 10 გამგეობა ცალ-ცალკე აცხადებს ხოლმე ტენდერს ყოველ წელს. სააგენტოში „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის სავარაუდო დარღვევის საკითხზე განცხადება შეიტანა შპს „ჯ და აუდიტ სერვის ჯგუფმა“.

²¹https://gnca.gov.ge/uploads_script/decisions/tmp/bb38f3b7e4b94bcdbc783b3f144d8c8c.pdf

განმცხადებლის აზრით, იკვეთებოდა ერთი მხრივ „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის დარღვევა ეკონომიკური აგენტების მხრიდან, მეორეს მხრივ კი კანონის მე-10 მუხლის (სახელმწიფო ხელისუფლების, ავტონომიური რესპუბლიკის ხელისუფლების, მუნიციპალიტეტის ორგანოს, სხვა ადმინისტრაციული ორგანოს მიერ კონკურენციის შეზღუდვის დაუშვებლობა) დარღვევა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ვაკის, დიდუბის, სამგორის, გლდანის, ჩუღურეთის, კრწანისის, საბურთალოს, მთაწმინდის, ისნის და ნაძალადევის რაიონების გამგებების მიერ. განცხადება ნაწილობრივ იქნა დასაშვები და მოკვლევა დაიწყო მხოლოდ მე-7 მუხლის სავარაუდო დარღვევის მიმართულებით. საქმის მოკვლევის დაწყებისას მოპასუხეებად განისაზღვრნენ შემდეგი 7 ეკონომიკური აგენტი: შპს „ნილი“, შპს „ტანდემი“, შპს „ილი ჯგუფი“, შპს „თარი 08“, შპს „Aladashvili&co“, შპს „New Star“ და შპს „ელფი“. აქედან შპს „ტანდემი“ და შპს „თარი 08“ ურთიერთდამოკიდებული ეკონომიკური აგენტები არიან, ისევე როგორც შპს „ილი ჯგუფი“ და შპს „New Star“.

საქმის მასალებზე დაყრდნობით, კონკურენციის სააგენტომ დაადგინა ეკონომიკური აგენტების მხრიდან „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის დარღვევა - ბაზრების ან მიწოდების წყაროების მომხმარებლების, ტერიტორიული ან სხვა ნიშნით განაწილება. კერძოდ, როგორც ახსნა-განმარტებებიდან დადგინდა, ეკონომიკური აგენტები კოორდინირებულად მოქმედებდნენ: ისინი კარგად იცნობდნენ ერთმანეთს, მეგობრული ურთიერთობა ჰქონდათ, ხვდებოდნენ ერთმანეთს, სატელეფონო კონტაქტსაც ამყარებდნენ, ცვლიდნენ სენსიტიურ ინფორმაციას და მოახდინეს ბაზრების გადანაწილება. შეხვედრებში მონაწილეობის ფაქტს მხოლოდ ერთი ეკონომიკური აგენტის წარმომადგენელი

ადასტურებს შპს „ელფის“ ოფისში. ასევე საინტერესოა შპს „ნილისა“ და შპს „Aladashvili&co“-ს ურთერთობა და ჩანაცვლება ტენდერის ხელშეკრულებაში. ეკონომიკური აგენტების ნაწილი ერთმანეთის ქვეკონტრაქტორებიც იყვნენ.

სააგენტოს მიერ შესაბამისი ბაზარი შესწავლილ იქნა 2017-2019 წლების მდგომარეობით. შესწავლილი ტენდერების შედეგად, სააგენტოს აზრით, აღნიშნული ეკონომიკური აგენტები არ უწევდნენ ერთმანეთს კონკურენციას და მონაწილეობას არ იღებდნენ იმ ტენდერებში, რომელშიც რომელიმე აღნიშნულები ეკონომიკური აგენტი მონაწილეობდა. შესაბამისად, ისინი უკონკურენტოდ იგებდნენ ტენდერებს. სხვა პრეტენდეტებმა მხოლოდ სამ შემთხვევაში მიიღეს მონაწილეობა. გამოდის, რომ ისინი ერთმანეთს არ უწევენ კონკურენციას და რაიონებს/უბნებს უთმობდნენ ერთმანეთს, რაც „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის დარღვევას წარმოადგენდა.

მნიშვნელოვანია იმის აღნიშვნაც, რომ სააგენტო ჯარიმების დაწესებისას მსჯელობს ჯარიმის სადამსჯელო და პრევენციულ ხასიათზე. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ კონკურენციის სააგენტო სამართალდამრღვევ ეკონომიკურ აგენტებს აშკარად მსუბუქ ჯარიმებს უწესებს. კანონის 33-ე მუხლის შესაბამისად, ჯარიმის ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს წინა ფინანსური წლის ბრუნვის 5 პროცენტს. თუმცა, მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული დარღვევა მძიმე სამართალდარღვევად ითვლება, სააგენტო მაინც, ჩემი აზრით, ჯარიმის მაქსიმალურ რაოდენობის დაკისრებას ერიდება. ისევ *სავარაუდოდ, სააგენტომ კანონდამრღვევებს ბრუნვის 1 პროცენტის ოდენობით დაუწესა ჯარიმა, რაც ეკონომიკური აგენტების მიმართ არც პრევენციულ და არც დიდად სადამსჯელო ღონისძიებად ვერ იქნება აღქმული, რადგან კომპანიისთვის, რომელსაც რამდენიმე მილიონიანი*

ბრუნვა აქვს 20 ათასი ლარის გადახდა დიდ პრობლემას არ წარმოადგენს. მას სამომავლოდაც ურჩევნია იქონიოს დიდი ბრუნვა, წავიდეს დიდ მოგებაზე და ყოველწლიურად გადაიხადოს მცირე ჯარიმა. შესაბამისად, ამ შემთხვევაში, ზემდეტის საუბარი კონკურენციის კანონმდებლობის ეფექტურ აღსრულებაზე.

სააგენტოს გადაწყვეტილებით, შპს „ტანდემი“, შპს „ილი ჯგუფი“, და შპს „New Star“ მხრიდან კონკურენციის ნორმების დარღვევას ადგილი არ ჰქონია. შპს “ნილს” დაეკისრა 0 ჯარიმა, შპს „თარი 08“-ს 0 ჯარიმა, ხოლო შპს „ელფს“ – 19 960 ლარის ჯარიმა და შპს „Aladashvili&co“-ს კი - 19 279 ლარის ჯარიმა. სააგენტომ ჯარიმების დადგენისას შემამსუბუქებელ გარემოებად მიიჩნია ეკონომიკური აგენტების მხრიდან მჭიდრო თანამშრომლობა (110 გვ.). თუმცა, მხოლოდ ერთი ეკონომიკური აგენტის მხრიდან მოხდა შეხვედრებში მონაწილეების და კომუნიკაციის შესახებ ინფორმაციის მიწოდება, მაგრამ მაინც ყველასთან მიმართებით საუბრობს ამ გარემოებაზე.

3. დომინანტი პოზიციის ბოროტად გამოყენების მარკუშულირეპელი ნორმების შესწავლა-შეფასება და გადაწყვეტილებების მიმოხილვა

3.1 დომინანტი პოზიციის ბოროტად გამოყენების მარკუშულირეპელი ნორმების შესწავლა-შეფასება

„კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 და მე-6 მუხლები შესაბამისად ეხება დომინანტურ პოზიციას და დომინანტური პოზიციის ბოროტად გამოყენებას. საქართველოს კანონმდებლობით, ისევე როგორც ევროკავშირის ნორმებით, არ იკრძალება დომინანტური მდგომარეობის ქონა, მხოლოდ მისი ბოროტად გამოყენებაა აკრძალული. საქართველოს კონკურენციის ეროვნული სააგენტო მიღებულ გადაწყვეტილებებში იმეორებს ევროკავშირის პრეცედენტულ გადაწყვეტილებებს და ამბობს, რომ დომინანტურ ეკონომიკურ აგენტს მომეტებული პასუხისმგებლობა ეკისრება. კერძოდ, დომინანტური პოზიციის არსებობით ბაზარზე კონკურენცია უკვე შეზღუდულია და, შესაბამისად, მან თავისი მოქმედებებით კიდევ უფრო მეტად არ უნდა გააუარესოს ბაზარზე უკვე დასუსტებული კონკურენტული გარემო.

აღნიშნული კანონის მე-5 მუხლი ეხება დომინანტურ მდგომარეობას და მისი განსაზღვრის კრიტერიუმებს. ამ მუხლით დომინანტური პოზიციის დადგენა შესაძლებელია სხვადასხვა კრიტერიუმების შეფასებით. კერძოდ, პირველი პუნქტის შესაბამისად, ეს ფაქტორებია: რელევანტურ ბაზარზე შესაბამისი ეკონომიური აგენტის საბაზრო წილი, მისი კონკურენტების საბაზრო წილი, ბაზარზე შესვლის ბარიერები, წარმოების გაფართოების ბარიერები, მყიდველის საბაზრო ძალაუფლება,

ნედლეულის წყაროს ხელმისაწვდომობა, ვერტიკალური ინტეგრაციის ხარისხი, ქსელური ეფექტები და საბაზრო ძალაუფლების განმსაზღვრელი სხვა ფაქტორები. ამასთან, ამავე მუხლის მეორე პუნქტის მიხედვით, ეკონომიკური აგენტის საბაზრო წილის და საბაზრო ძალაუფლების განსაზღვრას სააგენტო ახდენს მის მიერ დამტკიცებული ბაზრის ანალიზის მეთოდური მითითებების შესაბამისად.

რაც შეეხება კანონის მე-6 მუხლს, ის კრძალავს ერთი ან რამდენიმე ეკონომიკური აგენტის მიერ დომინანტური პოზიციის ბოროტად გამოყენებას (პირველი პუნქტი). ამ მუხლის მეორე პუნქტი კი შეიცავს იმ მოქმედებების ჩამონათვალს, რომლის განხორციელებაც ეკრძალება დომინანტ ეკონომიკურ აგენტს. კერძოდ, დომინანტ ეკონომიკურ აგენტს ეკრძალება:

ა) შესყიდვის ან გაყიდვის არასამართლიანი ფასის ან სხვა არასამართლიანი სავაჭრო პირობების პირდაპირ ან არაპირდაპირ დადგენა (ფიქსირება);

ბ) წარმოების, ბაზრის ან ტექნოლოგიური განვითარების მომხმარებლის ინტერესების საზიანოდ შეზღუდვა;

გ) გარკვეული სავაჭრო პარტნიორებისთვის იდენტურ ტრანზაქციებზე განსხვავებული პირობების დაწესება, რითაც ხდება მათი არაკონკურენტულ მდგომარეობაში ჩაყენება;

დ) გარიგების დასადებად მხარისთვის ისეთი დამატებითი პირობის დადგენა/ვალდებულების დაკისრება, რომელიც არც საგნობრივად და არც კომერციულად დაკავშირებული არ არის გარიგების საგანთან, და სხვა.

საინტერესოა ასევე კანონის მე-3 მუხლი, რომელიც კანონში გამოყენებულ ტერმინთა განმარტებებს შეიცავს. მისი „ი“ პუნქტი

შეიცავს დომინანტური მდგომარეობის განმარტებას. კერძოდ, ის კანონით განსაზღვრულია როგორც „შესაბამის ბაზარზე მოქმედი ეკონომიკური აგენტის/ეკონომიკური აგენტების ისეთი მდგომარეობა, რომელიც მას/მათ საშუალებას აძლევს, იმოქმედოს/იმოქმედონ კონკურენტი ეკონომიკური აგენტებისგან, მიმწოდებლებისგან, კლიენტებისა და საბოლოო მომხმარებლებისგან დამოუკიდებლად, არსებითი გავლენა მოახდინოს/მოახდინონ შესაბამის ბაზარზე საქონლის მიმოქცევის საერთო პირობებზე და შეზღუდოს/შეზღუდონ კონკურენცია“. აქვეა საუბარი იმაზე, რომ კანონმდებლის ვარაუდით ეკონომიკური აგენტ(ებ)ი, როგორც წესი, ითვლებიან დომინანტური პოზიციის მქონედ, თუ ის(ინი) ფლობ(ენ)ს შესაბამის ბაზარზე 40 პროცენტზე მეტ წილს. თუმცა გამონაკლის შემთხვევებში შეიძლება 40 პროცენტზე ნაკლები საბაზრო წილის ფლობაც ჩაითვალოს დომინანტური პოზიციის ქონად, თუ მტკიცებულებებით ამის დადგენა შესაძლებელია. კანონით ასევე შესაძლებელია დომინანტური პოზიციის ფლობა ორი ან მეტი ეკონომიკური აგენტის მიერ (კოლექტიური დომინანტობა), თუმცა აქვეა დათქმა, რომ მათგან თითოეული ჩაითვლება დომინანტური მდგომარეობის მქონედ, თუ ისინი არ განიცდიან მნიშვნელოვან კონკურენციას განსახილველი ჯგუფის შიგნით და მის მიღმა შესაბამის ბაზარზე მოქმედი სხვა ეკონომიკური აგენტებისგან, ნედლეულის წყაროს და გასაღების ბაზრის შეზღუდული ხელმისაწვდომობის, შესაბამის ბაზარზე შესვლის ბარიერებისა და საბაზრო ძალაუფლების განმსაზღვრელი სხვა ფაქტორების გათვალისწინებით. ამასთან, არაუმეტეს 3 ეკონომიკური აგენტის შემთხვევაში მათი ერთობლივი წილი თუ 50 პროცენტს აღემატება, თითოეულის საბაზრო წილი უნდა იყოს არანაკლებ 15 პროცენტისა; ხოლო არაუმეტეს 5 ყველაზე მნიშვნელოვანი წილის მქონე ეკონომიკური აგენტის შემთხვევაში მათი

ერთობლივი წილი 80 პროცენტს აღემატება და თითოეულის საბაზრო წილი უნდა იყოს არანაკლებ 15 პროცენტისა. ცოტა არ იყოს გაუგებარია ეს პროცენტული მოთხოვნები ჯგუფური დომინანტობის დროს, რადგან ევროკავშირის არც სამართლებრივი ნორმებით და არც პრეცედენტული სამართლით ასეთი მოთხოვნები არ არის დაწესებული კოლექტიური დომინანტობის შემთხვევების მიმართ.

დომინანტური პოზიციის ბოროტად გამოყენების სავარაუდო შემთხვევაში ძალიან მნიშვნელოვანია, თუ როგორ მოხდება შესაბამისი ბაზრის დადგენა, რადგან სწორედ კონკრეტულ ბაზარზე უნდა არსებობდეს დომინანტური პოზიცია კონკურენციის ორგანოს შეფასებით, რომ შემდეგ მოხდეს ამ პოზიციის ბოროტად გამოყენების სავარაუდო შემთხვევის შეფასება. შესაბამისი ბაზრის დადგენაზე ინფორმაციას შეიცავს ბაზრის ანალიზის მეთოდური მითითებები.²² კერძოდ, ზოგადი ინფორმაცია მოცემულია 3-5 მუხლებში. მეხუთე მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით, სააგენტო შესაბამისი ბაზრის იდენტიფიცირებისას გამოიყენებს სამ შემდეგ პარამეტრს:

პირველი, ესაა სასაქონლო/მომსახურების ბაზრის პროდუქტიულ საზღვრებს.

მეორე, მოიცავს სასაქონლო/მომსახურების ბაზრის გეოგრაფიულ საზღვრებს;

მესამე, ეხება სასაქონლო/მომსახურების ბაზრის დროით ჩარჩოებს.

²² https://gnca.gov.ge/uploads_script/legislation/tmp/phpfB4wBF.pdf

სააგენტოს მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებში ჩანს, რომ ის ყველა საქმეზე სამივე პარამეტრს განიხილავს.

შესაბამისი ბაზრის იდენტიფიცირებისას სააგენტო აფასებს შესაბამის ბაზარზე მოქმედ სუბიექტებს, შესაბამისი ბაზრის მოცულობას და ეკონომიკურ აგენტებზე წილობრივ გადანაწილებას, კონცენტრაციის დონეს, ბაზარზე შესასვლელ ბარიერებს, ეკონომიკური აგენტების საბაზრო ძალაუფლებას და სხვა პარამეტრებს, რომელთაც სააგენტო აუცილებლად ჩათვლის კონკრეტული ბაზრის სპეციფიკიდან გამომდინარე.

ბაზრის ანალიზის მეთოდური მითითებების მეორე თავი მთლიანად ეძღვნება შესაბამისი ბაზრის იდენტიფიცირებას, სადაც ყურადღება გამახვილებულია საქონლის/მომსახურების ურთიერთ ჩანაცვლებაზე მათი მახასიათებლებიდან, ფასებიდან და მათი გამოყენების მიზნებიდან გამომდინარე. ასევე საუბარია მომხმარებლის თვალსაზრისით და მიმწოდებლის მხრიდან ურთიერთ ჩანაცვლებაზე. ამ საკითხებზეც ბუნებრივია საუბარია სააგენტოს გადაწყვეტილებებში (მეთოდური მითითებების მე-8-10 მუხლები).

მეთოდური მითითებების მე-11-12 მუხლები შესაბამისი ბაზრის გეოგრაფიულ საზღვრებს ეხება, ხოლო მე-13-14 მუხლები კი შესაბამისი ბაზრის დროებით ჩარჩოს საკითხს მოიცავს.

ბაზრის ანალიზის მეთოდური მითითებების მესამე თავი კი ეხება ბაზარზე კონკურენტული გარემოს შეფასებას. მე-19 მუხლის მიხედვით, სააგენტო შესაბამისი ბაზრის კონცენტრაციის დონეს ადგენს ჰერფინდალ ჰერშმანის (HHI) ინდექსით, რომელიც შეადგენს შესაბამის ბაზარზე ყველა ეკონომიკური აგენტის წილთა კვადრატების ჯამს. სააგენტოს აზრით, ბაზარი

დაბალ კონცენტრირებულია თუ HHI არ აღემატება 1250; ზომიერად კონცენტრირებულია თუ HHI არის 1250-დან 2250-მდე; ხოლო მაღალ კონცენტრირებულია თუ HHI აღემატება 2250-ს. საგულისხმოა, რომ ევროკავშირის რეგულაციები HHI-ს დასადგენად შედარებით უფრო მცირე რაოდენობის ციფრებს იყენებს. მაგალითად, ევროკავშირში მაღალ კონცენტრირებულია ბაზარი თუ HHI აღემატება 2000.

3.2 კონკურენციის შესახებ კანონის მე-6 მუხლის საპარაულ დარღვევებზე განხორციელებული მოკვლე- ვებისა და მიღებული გადაწყვეტილებების მიმოხილვა

2023 წლის 22 ივლისის მდგომარეობით საქართველოს კონკურენციის ეროვნული სააგენტოს ვებგვერდიდან ირკვევა, რომ მას განხილული აქვს 9 საქმე დომინანტი პოზიციის ბოროტად გამოყენების თაობაზე (https://gnca.gov.ge/index.php?m=352&cat_id=76).

გარდა ამისა, სააგენტოს ვებგვერდიდანვე ჩანს, რომ სააგენტომ 12 საქმეზე მიღებული აქვს გადაწყვეტილება საქმის დაუმუშებლად ცნობაზე (https://gnca.gov.ge/index.php?m=352&cat_id=77).

ცხრა შემთხვევიდან 2 საქმეზე დადგინდა დომინანტი პოზიციის ბოროტად გამოყენების ფაქტი (საქმეები 6 და 7). 4 შემთხვევაში კი დადგინდა დომინანტი პოზიციის არსებობა მოპასუხე ეკონომიკური აგენტების მიერ, თუმცა არ დადგინდა დომინანტი პოზიციის ბოროტად გამოყენების ფაქტი (საქმეები 1, 2, 4 და 8). დანარჩენ სამ შემთხვევაში კი არ დადგინდა დომინანტი პოზიციის არსებობა (საქმეები 3, 5 და 9).

ძირითადად განხილულ საქმეებში დომინირებს დომინანტი ეკონომიკური აგენტის მხრიდან ექსკლუზიური გარიგებების

დადების შემთხვევები. თუმცა, მხოლოდ ორ შემთხვევაში დადგინდა დომინანტი პოზიციის ბოროტად გამოყენება.

პირველი საქმე (წყალტუბოს ბალნეოლოგიური კურორტის საქმე)²³

კონკურენციის სააგენტომ 2014 წლის ნოემბერში მიიღო განცხადება სს „ჯანმრთელობისაგან“ სს „ბალნეოსერვისის“ მიერ „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის შესაძლო დარღვევის ფაქტზე.

განმცხადებლის აზრით, სს „ბალნეოსერვისის“-ს მიერ ხდება წყალტუბოს თერმული წყლების მონოპოლიზაცია და ის უარს აცხადებს კონკურენტი ეკონომიკური აგენტისათვის წყლის მიწოდებაზე, მიუხედავად იმისა, რომ ის თავად სრულად ვერ ითვისებს აღნიშნულ წყალს და იგი იღვრება.

სს „ბალნეოსერვისის“ 2012 წლის 25 მაისს სსიპ ბუნებრივი რესურსების სააგენტოს უფროსის #13/33 ბრძანების საფუძველზე პირდაპირ გადაეცა სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია 25 წლის ვადით, რომლის შესაბამისადაც, აღნიშნული ეკონომიკური აგენტი გახდა ერთადერთი კომპანია, რომელსაც გააჩნია ლიცენზია წყალტუბოს მუნიციპალიტეტში წყალტუბოს მინერალურ-თერმული წყლების საბადოზე ტურისტული და რეკრეაციული მიზნებისათვის სასარგებლო წიაღისეულის - გარეგანი მოხმარების (სამკურნალო აბაზანები) მიწისქვეშა მინერალური წყლის მოპოვებაზე.

²³https://gnca.gov.ge/uploads_script/decisions/tmp/d9429a5fd57f4a058d2ca3532b576ec8.pdf

ლიცენზიით განსაზღვრული რესურსების ნაწილს სს „ბალნეოსერვისი“ მოიპოვებს თვითონ, ხოლო ნაწილს იჯარით გადასცემს შპს „ბალნეოსარეაბილიტაციო ცენტრს“ 2013 წლის 1 იანვარს გაფორმებული საიჯარო ხელშეკრულების საფუძველზე. ამ გარიგების შესახებ ლიცენზიანტს არ უცნობებია გარემოს ეროვნული სააგენტოსთვის.

საინტერესოა ის ფაქტი, რომ ლიცენზიანტს დარღვეული აქვს სალიცენზიო ხელშეკრულების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პუნქტი, რაზეც სავარაუდო ადმინისტრაციული სამართალდარღვევის შესახებ წარმოება დაწყებულია. კერძოდ, ლიცენზიანტს არ აქვს განსაზღვრული ვადის დაცვით ბუნებრივი რესურსების სააგენტოში წარდგენილი მომავალი წლის სამუშაო გეგმებისა და ბიუჯეტის, ასევე სასარგებლო წიაღისეულის ათვისების გეგმა. ასევე საინტერესოა ის ფაქტიც, რომ ბუნებრივი რესურსების სააგენტოს უფროსის #13/33 ბრძანების შესაბამისად, ლიცენზიანტს დავალებული ჰქონდა ლიცენზიის გაცემიდან 24 თვის ვადაში საბადოს მარაგების დათვლა და მარაგების ანგარიშის შესაბამის ორგანოში წარდგენა დამტკიცების მიზნით. აღნიშნული ვალდებულებაც დარღვეულია. აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ აღნიშნული ბრძანების მე-4 პუნქტის საფუძველზე მარაგების ანგარიშის წარუდგენლობა წიაღით სარგებლობის უფლების შეწყვეტის საფუძველი შეიძლება გახდეს. სააგენტო ყურადღებას ამახვილებს ლიცენზიის მფლობელის მხრიდან სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმის წარუდგენლობაზე. ასევე მინერალური წყლის რაოდენობრივი აღრიცხვის საწარმოებლად დამონტაჟებული და დალუქული მრიცხველის არ არსებობაზე, ეს კი სავალდებულოა საქართველოს მთავრობის #136 დადგენილების მე-7 მუხლის თანახმად.

შპს „სანატორიუმ საქართველომ“ სს „ბალნეოსერვისისაგან“ 2013 წელს მიიღო წერილობითი უარი წყლის მიწოდებაზე. უარის

მიზეზი კი იყო ის ფაქტი, რომ სააბაზანო შენობების (ჯამში 9 შენობის) აღდგენისა და შესაბამისი დატვირთვის შემდეგ წყლის დებეტი შეიძლება ლიცენზიანტისთვის არ ყოფილიყო საკმარისი. განმცხადებელმა მიმართა არა ერთ სახელმწიფო უწყებას, თუმცა საპასუხო წერილში მოყვანილია „*ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ*“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლი, რომლის საფუძველზეც, ლიცენზიის მფლობელს მინიჭებული აქვს უფლებამოსილება და ის არ არის ვალდებული ლიცენზიის ნაწილი გაასხვისოს ან იჯარით გასცეს. ამასთან, სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოები არ არიან უფლებამოსილნი მოაწესრიგონ ლიცენზიის ნაწილის მესამე პირისათვის გადაცემასთან დაკავშირებული ურთიერთობები.

განმცხადებლის მტკიცებით, მისთვის საკმარისი იქნებოდა აბაზანების აშენების შემდეგ წყლის დამტკიცებული მარაგის 4%-მდე მიწოდება. მისთვის ასევე უმნიშვნელოა წყალი ღამის დებეტიდან იქნებოდა მიწოდებული თუ დღის დებეტიდან. ამასთან, სს „ბალნეოსერვისი“ ადასტურებდა, რომ ის ღამის დებეტის ათვისებას ვერ ახერხებდა და იგი იღვრებოდა. თუმცა, ლიცენზიანტის მტკიცებით, მაინც რთულია ღამის დებეტის სხვისთვის უპირობოდ მიწოდების საკითხის დაყენება მარაგების დათვლამდე.

საინტერესოა იმ ფაქტის აღნიშვნა, რომ ლიცენზიანტის განცხადებით, განმცხადებლის საკუთრებაში არსებული მიწა არ მდებარეობდა ლიცენზიით გათვალისწინებულ ფართობში და შესაბამისად წყლის მიწოდება მის ტერიტორიაზე პრობლემური იქნებოდა, რადგან ტრანსპორტირებისას წყალს შეიძლება დაეკარგა სამკურნალო თვისებები. ამასთან, გეოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორის, გიორგი მელიქიძის აზრით, დროის მცირე მონაკვეთში წყლის ტრანსპორტირება არ გამოიწვევს წყლის ფიზიკური თვისებების ცვლილებას. ხოლო თერმული წყლის

შენახვა დიდი ხნით ან მისი შორ მანძილზე ტრანსპორტირება კი დაკავშირებული იქნება პრობლემებთან. მნიშვნელოვანია იმ ფაქტის აღნიშვნაც, რომ განმცხადებელმა, სს „ჯანმრთელობამ“ მის საკუთრებაში არსებული მიწა სააგენტოსთვის მიმართავამდე გაასხვისა შპს „მედიჩზე“. განმცხადებლის მტკიცებით, ის მიწის ახალი მესაკუთრესთან ერთად აპირებდა აეშენებინა სამკურნალო-ბალნეოლოგიური ცენტრი და მას დაევალა წყლის მიწოდების საკითხის მოგვარება. წინააღმდეგ შემთხვევაში ახალი მესაკუთრე მიწის ნაკვეთის ნასყიდობის ხელშეკრულების გაუქმების პროცესს დაიწყებდა. ამასთან, განმცხადებლის მტკიცებით, ეს პროცესი უკვე დაწყებული იყო.

საქმის მასალებიდან ირკვევა, რომ დავა ეხებოდა სს „ბალნეო-სერვისის“ მიერ „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის მეორე პუნქტის „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტების სავარაუდო დარღვევას.

კონკურენციის სააგენტომ მოკვლევის შედეგად ვერ დაადგინა აღნიშნული პუნქტების დარღვევა.

„წიაღის შესახებ“ საქართველოს კანონის 33-ე მუხლის მიხედვით, „აკრძალულია საქართველოს სახელმწიფო ორგანოებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების ნებისმიერი ქმედება, რომელიც მნიშვნელოვნად ზღუდავს კონკურენციას წიაღით სარგებლობის სფეროში“. აკრძალულია წიაღით მოსარგებლეთა ინფრასტრუქტურით სარგებლობის შეზღუდვა. წიაღით სარგებლობის სფეროში კონკურენციის საკითხები რეგულირდება საქართველოს კონსტიტუციით, „წიაღის შესახებ“ საქართველოს კანონით და „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონით.

აღნიშნულ საქმეზე პროდუქციას წარმოადგენს წყალტუბოს თერმულ-მინერალური წყალი. პროდუქტის ჩანაცვლებადობის

კუთხით სააგენტომ იმსჯელა და დაადგინა, რომ წყალტუბო წარმოადგენს ბალნეოლოგიურ კურორტს, რომლის მინერალური წყლის ტიპი მიეკუთვნება რადონული, ქლორიდულ-სულფატური წყლის ტიპს და დაპროფილებულია ერთდროულად ართროლოგიური, ნევროლოგიური, გინეკოლოგიური და კარდიოლოგიური მიმართულებით. წყალტუბოს თერმულ-მინერალური წყალი წარმოადგენს განსხვავებულ პროდუქტს, რომელსაც პროდუქტიულად არ გააჩნია არსებითი ჩამნაცვლებელი საქართველოს ტერიტორიაზე.

სააგენტოს მიერ წყალტუბოს თერმულ-მინერალური წყლების მიწოდებისათვის ***შესაბამის ბაზრად განისაზღვრა წყალტუბოს ბალნეოზონა, ანუ სანიტარული დაცვის პირველი ზონა.***

ამასთან, წყალტუბოს თერმულ-მინერალურ წყლების ბაზარს გააჩნია სეზონური დროებითი ჩარჩოები. თუმცა, ეს ჩარჩოები საქმის შესწავლის პერიოდში არ იყო ზუსტად დადგენილი.

რაც შეეხება შესაბამის ბაზარზე მოქმედ სუბიექტებს, სააგენტოს აზრით, შესაბამისი პროდუქტის ბაზარზე მხოლოდ ერთადერთი სუბიექტია. კერძოდ, სს „ბალნეოსერვისი“, რადგან მას გააჩნია ლიცენზია წყლის მიწოდების ბაზარზე. რაც შეეხება სარეაბილიტაციო და სამედიცინო მომსახურების მიწოდების ბაზარს, მასზე შესვლის სურვილს გამოთქვამს შპს „სანატორიუმი საქართველო“, ხოლო მოქმედი სუბიექტები არიან სს „ბალნეოსერვისი“ და სს „ბალნეოსარეაბილიტაციო ცენტრი“. ამ უკანასკნელს 2037 წლამდე იჯარით აქვს აღებული ათვისების გეგმის წლიური მოცულობის დაახლოებით 27%. სს „ბალნეოსერვისი“ წარმოადგენს „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის „ი“ ქვეკუთხუთის შესაბამისად, დომინირებული მდგომარეობის მქონე (მონოპოლისტ) სუბიექტს წყალტუბოს თერმულ-მინერალური წყლების ბაზარზე.

წყალტუბოს თერმულ-მინერალური წყალი წარმოადგენს „წიალის შესახებ“ საქართველოს კანონით წიაღისეულს, წიაღით სარგებლობა კი დასაშვებია მხოლოდ სათანადო ნებართვის (ლიცენზიის საფუძველზე), რომელიც შესაძლებელია გაცემული იქნას როგორც აუქციონის, ასევე პირდაპირი გაცემის წესით. ეს კი წარმოადგენს შესაბამისი ეკონომიკური აგენტისათვის ადმინისტრაციულ-ინსტიტუციურ ბარიერს. არსებობს ასევე ტექნიკური ბარიერები - სპეციალური ინფრასტრუქტურის შექმნა, რაც გულისხმობს ჭაბურღილებისა და სააბაზანოების მოწესრიგებას. სულ 10 სააბაზანოა, რომელთაგან მოკვლევის პერიოდში მხოლოდ 4 ფუნქციონირებდა. ახალის მშენებლობას ან ძველის რეკონსტრუქციას კი სჭირდება მშენებლობის ნებართვა. ასევე საჭიროა გარკვეული ფინანსური ბარიერების გადალახვაც.

წყალტუბოს თერმულ-მინერალური წყლის მოპოვებისა და სარგებლობის ლიცენზია გაცემულია **წყალტუბოს ბალნეოზონის (სანიტარული დაცვის პირველი ზონა) მთლიან ტერიტორიაზე არსებულ წყლის რესურსზე**. ლიცენზიანტს გააჩნია კანონისმიერი მონოპოლია ლიცენზიით განსაზღვრულ რესურსზე და შეუძლია ეს რესურსი გამოიყენოს თავისი შეხედულებისამებრ, მაგრამ ლიცენზიის პირობების დაცვით. თუმცა, იმის გათვალისწინებაც აუცილებელია, რომ იგი რაციონალურად უნდა იყენებდეს სასარგებლო წიაღისეულს. მას აქვს უფლება უარი თქვას ლიცენზიის დაყოფაზე, ან საკუთარ შეხედულებისამებრ დაეყოს სარგებლობის ლიცენზია და მისი ნაწილი გადასცეს სხვა პირს.

ბუნებრივი რესურსების სააგენტოს უფროსის 2012 წლის 25 მაისის #13/33 ბრძანებით განსაზღვრული სალიცენზიო პირობების პირველი მუხლის მე-8 პუნქტის შესაბამისად, ლიცენზიის მფლობელმა სალიცენზიო ფართობის ფარგლებში კერძო

საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთზე სალიცენზიო საქმიანობა უნდა განახორციელოს მხოლოდ ამ მიწის მესაკუთრესთან შეთანხმებით. მიწის ნაკვეთის მესაკუთრესთან შეთანხმებლობის შემთხვევაში, ლიცენზიის მფლობელი კონკრეტულ ტერიტორიაზე ვერ განახორციელებს სალიცენზიო საქმიანობას.

როგორც ირკვევა, არც შპს „სანატორიუმ საქართველოს“ და არც სს „ჯანმრთელობას“ არ აქვთ საკუთრებაში ან ფაქტობრივ მფლობელობაში მიწის ნაკვეთი ბალნეოზონის ტერიტორიაზე ან მის მიმდებარედ. სს „ჯანმრთელობის“ წარმომადგენლის განმარტებით კი, კომპანიას გააჩნია მიწის ნაკვეთი 10080 კვ.მ. ფართობით ბალნეოზონის მოსაზღვრედ, #6 სააბაზანოდან სამხრეთ-დასავლეთით, 300 მეტრის მოშორებით, რომელიც მოგვიანებით გაიყო რამდენიმე ნაკვეთად.

წარმოების შეზღუდვა - 6.2.ბ. მუხლი

სააგენტოს აზრით, როდესაც ერთი ეკონომიკური აგენტის ხელშია მოქცეული რესურსების რაციონალურ გამოყენებაზე დამოკიდებული შესაბამისი (ამ შემთხვევაში სამედიცინო-რეკრეაციული მომსახურების ბაზარი) განვითარება, მას შეუძლია გავლენა მოახდინოს ამ რესურსების ათვისების ბაზარზე არსებულ კონკურენტულ გარემოებაზე. შესაბამისად, სამედიცინო-სარეაბილიტაციო მომსახურების ბაზარზე კონკურენციის არსებობა-არარსებობა დამოკიდებულია იმ კომპანიაზე, რომელიც ფლობს ლიცენზიას შესაბამისი რესურსების მოპოვებასა და სარგებლობაზე.

კანონის მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით, დომინირებული მდგომარეობის ბოროტად გამოყენებად ითვლება - წარმოების და ბაზრების იმგვარი შეზღუდვა, რომელიც აზიანებს მომხმარებელთა ინტერესებს.

თავის მხრივ, განსახილველი შემთხვევისათვის წარმოებას ან ბაზარს წარმოადგენს სამედიცინო-სარეაბილიტაციო მომსახურება, რომელიც უნდა განხორციელდეს თერმული აბაზანების შეთავაზების გზით. წყლის მიწოდების შეფერხებით კი შეიზღუდება აღნიშნული მომსახურების გაწევის შესაძლებლობა - წარმოება აღნიშნულ ბაზარზე.

სააგენტო ფიქრობს, რომ ახალი სააბაზანოების გახსნა ან/და ძველის აღდგენა დადებითად აისახება სამედიცინო-რეკრიაციული მომსახურების მომხმარებელთა ინტერესებზე, რადგანაც, ამით მომხმარებელს ეძლევა უფრო მეტი არჩევანის შესაძლებლობა. შესაბამისად, ახალი წარმოების გაფართოების ხელის შეშლა, სხვა არაფერია, თუ არა წარმოების შეზღუდვა. თუმცა, ამასთან, სააგენტო ხაზს უსვამს, რომ ბაზარზე წარმოების შეზღუდვა შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ ამ ბაზარზე მოქმედი ეკონომიკური აგენტის, ან პოტენციური ეკონომიკური აგენტის მიმართ. იმ შემთხვევაში, თუ მოცემულ ბაზარზე არ არიან წარმოდგენილი მოქმედი ან პოტენციური ეკონომიკური აგენტები (ვის მიმართაც შეიძლება ჰქონდეს ადგილი კონკურენციის შეზღუდვას), შეუძლებელი ხდება წარმოების შეზღუდვა, ასეთი ეკონომიკური აგენტების არარსებობის გამო. კერძოდ, სააგენტოს მტკიცებით, სს „ბალნეოსერვისმა“ თერმული წყლის მიწოდებაზე უარი უთხრა იმ ეკონომიკურ აგენტს, რომელსაც უარის თქმის მომენტისათვის არ გააჩნდა და არც გადაწყვეტილების მიღებისას არ გააჩნდა მიწა, ან აღნაგობის უფლება ბალნეოზონაში ან მის მიმდებარე ტერიტორიაზე. შესაბამისად, წყალტუბოს თერმულ-მინერალური წყლის მიღების სურვილის მიუხედავად, ეს ეკონომიკური აგენტი ვერ იქნება განხილული სს „ბალნეოსერვისის“ კონკურენტი ან პოტენციურ კონკურენტი ეკონომიკურ აგენტად. შესაბამისად, კანონის მე-6 მუხლის მეორე პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად ვერ

დადასტურდება სს „ბალნეოსერვისის“ მიერ დომინირებული მდგომარეობის ბოროტად გამოყენების ფაქტი.

ართანაზარი მოპყრობა - 6.2.გ მუხლი

სს „ბალნეოსერვისის“ სს „ბალნეოსარეაბილიტაციო ცენტრის-თვის“ იჯარით აქვს გადაცემული თერმულ-მინერალური წყლის მოპოვების უფლება, მის მიერ გარემოს ეროვნულ სააგენტოში წარდგენილი ათვისების გეგმის წლიური მოცულობის 27%-ის ოდენობით. ამასთან, სს „ბალნეოსერვისის“ წყლის მიწოდებაზე უარს ეუბნება მეორე მსურველს - შპს „სანატორიუმ საქართველოს“. აღნიშნული მოქმედება შეიცავს კანონის მე-6.2.გ მუხლის დარღვევის ნიშნებს, თუმცა სააგენტო რამდენიმე გარემოებაზე ამახვილებს ყურადღებას. კერძოდ: „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, „დომინირებული მდგომარეობის ბოროტად გამოყენებად ითვლება გარკვეული სავაჭრო პარტნიორებისათვის იდენტურ ტრანზაქციებზე დისკრიმინაციული პირობების დაწესება, რითაც ხდება მათი არაკონკურენტულ მდგომარეობაში ჩაყენება“. სააგენტოს აზრით, აღნიშნული ნორმა მოიცავს შემთხვევებს, როდესაც:

1. ნორმის სავარაუდო დამრღვევს უკვე ჰყავს მინიმუმ ორი სავაჭრო პარტნიორი და მათ განსხვავებულ პირობებს უყენებს იდენტურ ტრანზაქციებზე ან
2. როდესაც სავარაუდო დამრღვევი აკეთებს მოწვევას ოფერტზე, ანუ შეთავაზება მიმართულია პირთა განუსაზღვრელი წრისთვის (შესაძლებელია შემთავაზებელი ადგენდეს გარკვეულ შერჩევის კრიტერიუმებსაც, რომელიც გამორიცხავს იმას, რომ ოფერტზე მოიწვიოს ნებისმიერი მსურველი, თუმცა აუცილებელია, რომ შეთავაზება იყოს მიმართული განუსაზღვრელი წრისადმი, ანუ შერჩევის

კრიტერიუმები იყოს ზოგადი, აბსტრაქტული და შემთავაზებლის მიერ წინასწარ შეუძლებელი უნდა იყოს იმის განსაზღვრა, თუ კონკრეტულად რომელმა, ან რამდენმა პოტენციურმა კონტრაგენტმა შეიძლება დააკმაყოფილოს შერჩევის კრიტერიუმები) და ერთიდაიმავე პირობების შეთავაზებისას ერთ კონტრაგენტთან იდება ხელშეკრულება, მეორესთან კი არა, მიუხედავად ასეთი ხელშეკრულების დადების შესაძლებლობისა.

შესაბამისად, სააგენტოს აზრით, პირველ მოცემულობას ადგილი ვერ ექნება, რადგან შპს „სანატორიუმი საქართველო“ არ წარმოადგენდა სს „ბალნეოსერვისის“ სავაჭრო პარტნიორს. მეორე მოცულობაც არაა სახეზე, რადგან სს „ბალნეოსერვისს“ არ მოუწვევია ოფერტზე პირთა განსაზღვრული წრე. შესაბამისად, ის რომ მან ერთ ეკონომიკურ აგენტს იჯარით გადასცა გარკვეული უფლება, არ ნიშნავს მზაობის გამოხატვას, რომ *იგი მზადაა პირთა განუსაზღვრელ წრეს, ნებისმიერ მსურველს გაუწიოს კონტრაგირება იგივე პირობებით. შესაბამისად, მე-6 მუხლის დარღვევას ადგილი ვერ ექნება.*

აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ სააგენტომ გადაწყვეტილებაში ასახა თავისი რეკომენდაციები როგორც დომინირებული ეკონომიკური აგენტის, ასევე შესაბამისი სახელმწიფო ორგანოების მიმართ.

თავისი შინაარსიდან გამომდინარე, ეს გადაწყვეტილება საინტერესოა. ის არის პირველი გადაწყვეტილება დომინანტი პოზიციის სავარაუდო ბოროტად გამოყენებაზე და სააგენტო შეეცადა მეტნაკლებად სრულად შეესწავლა ბაზარი. საინტერესოა ასევე „წიაღის შესახებ“ საქართველოს კანონი, რომელიც ამბობს, რომ ლიცენზიანტს გააჩნია კანონისმიერი მონოპოლია ლიცენზიით განსაზღვრულ რესურსზე და შეუძლია ეს რესურსი გამოიყენოს თავისი შეხედულებისამებრ, მაგრამ ლიცენზიის პირობების

დაცვით. თუმცა, სააგენტოს აზრით, იმის გათვალისწინებაც აუცილებელია, რომ ლიცენზიანტმა რაციონალურად უნდა გამოიყენოს სასარგებლო წიაღისეული. მას აქვს უფლება უარი თქვას ლიცენზიის დაყოფაზე, ან საკუთარი შედეხულებით დაყოს სარგებლობის ლიცენზია და მისი ნაწილი გადასცეს სხვა პირს. საინტერესო იქნებოდა რა გადაწყვეტილებას მიიღებდა სააგენტო აღნიშნულ საქმეზე მომჩივანი რომ ყოფილიყო მოპასუხის კონკურენტი ან პოტენციური კონკურენტი ეკონომიკური აგენტი. თუმცა, ამისათვის, მას უნდა ჰქონოდა მიწის ნაკვეთი *სანიტარული დაცვის პირველ ზონაში*.

მეორე საქმე („გლობალაგროს“ საქმე)²⁴

2014 წლის ნოემბერში კონკურენციის სააგენტოს მიმართა განცხადებით საქართველოს ხორბლისა და პურპროდუქტების მწარმოებელთა ასოციაცია „გლობალაგრომ“ ახერხაიჯანული კომპანიის „კარატ ჰოლდინგის“ მხრიდან „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის სავარაუდო დარღვევის ფაქტზე. კერძოდ, განმცხადებელი ამტკიცებდა, რომ მოპასუხე არასამართლიან ფასად ყიდდა ფქვილს. გარდა ამისა, მისი მტკიცებით, მოპასუხის ხელში იყო სასაწყობო შემნახველი მეურნეობების 80%. განმცხადებლის განმარტებით, 2009 წლიდან მოპასუხის მფლობელობაში გადავიდა მარნეულის წისქვილკომბინატი - შპს „აგროსისტემები“, გორის წისქვილკომბინატი - შპს „კარმენი“ (ფორტე), კაჭრეთის წისქვილკომბინატი - შპს „კარმენი - K“. განმცხადებლის მტკიცებით, ტალეხ გასიმოვი წარმოადგენდა შპს „კარმენის“ 100 პროცენტთან მფლობელს, ხოლო ასაბილ კასუმოვი კი იყო შპს „აგროსისტემების“ 100 პროცენტთან წილის მფლობელი. ხოლო შპს „აგროსისტემები“ იყო

²⁴https://gnca.gov.ge/uploads_script/decisions/tmp/aa4fd2e0a9da45be8c105ff2da2f4eee.pdf

შპს „კარმენი-K“-ს 100 პროცენტის წილის მფლობელი. შპს „აგროსისტემების“ დირექტორი 2010 წლიდან იყო რენა ბაბაევი, რომელიც ასევე იყო შპს „კარმენის“ დირექტორი 2015 წლის მაისამდე. შესაბამისად, სააგენტოს მოსაზრებით, ზემოაღნიშნული იურიდიული პირები წარმოადგენდნენ ურთიერთდამოკიდებულ პირებს.

კონკურენციის სააგენტოს განმარტებით, ვინაიდან ურთიერთდამოკიდებული პირები ბაზარზე მოქმედებენ საერთო ფინანსური (ბიზნეს) ჯგუფის ინტერესების სასარგებლოდ, მიიჩნევა, რომ თითოეული მათგანის საბაზრო ძალის შეფასებისას გათვალისწინებულ უნდა იქნეს მასთან დაკავშირებული ეკონომიკური აგენტების საბაზრო ძალაც. შესაბამისად, სააგენტო შპს „აგროსისტემების“, შპს „კარმენის“ და შპს „კარმენ-K“-ს საბაზრო წილებსა და საბაზრო ძალაუფლებას განიხილავს ერთიანად, როგორც ერთი ეკონომიკური აგენტის მაჩვენებელს.

სააგენტომ შესაბამის *პროდუქციულ ბაზრად განსაზღვრა ხორბლის ფქვილის ბაზარი*, მიუხედავად სხვადასხვა ხორბლისა და ხორბლის ფქვილის სახეობებისა, რადგან ისინი ურთიერთთანაცვლებადია წარმოების/მიწოდების თვალსაზრისით. სააგენტოს აზრით, თითოეული მათგანის ოპერირება დაკავშირებულია ერთსა და იმავე რესურსებთან. გეოგრაფიულ საზღვრებად - *საქართველოს მთელი ტერიტორია და დროით ჩარჩოსთან დაკავშირებით კი დაადგინა, რომ სეზონური ხასიათი ბაზარს არ ახასიათებს.*

სააგენტომ სხვადასხვა ინფორმაციაზე დაყრდნობით გამოიკვლია 2008-2014 წლებში ხორბლის იმპორტის ბაზარი და ასევე ხორბლის ადგილობრივი წარმოება. აღნიშნულმა სამმა კომპანიამ 2012 წელს საქართველოში 384 673,9 ტონა ხორბლის იმპორტი განახორციელა, რაც იმპორტის სრული მოცულობის 45,91 პროცენტს შეადგენდა. სააგენტოს მტკიცებით, ეს

გაპირობებული იყო ყაზახეთში ხორბლის უხვი მოსავლის მიღებით და ვერ იქნებოდა შეფასებული წინასწარგანზრახულ არაკონკურენტულ ქმედებად. მათმა ხორბლის იმპორტმა 2013 წელს შეადგინა 32.91 პროცენტი, ხოლო 2014 წელს კი - 36.52 პროცენტი. ქვეყნის შიგნით წარმოებული ხორბალი შიდა მოხმარების ძალიან მცირე ნაწილს შეადგენს. ასევე სააგენტომ შეისწავლა ფქვილის იმპორტის ბაზარიც 2012-2015 წლებში.

რაც შეეხება ფქვილის რეალიზაციის მონაცემებს, 2012 წელს სამი კომპანიის ჯამური საბაზრო წილი იყო 33.30%, **2013 წელს - 39.19%, 2014 წელს - 39.19%**, 2015 წლის 7 თვის მონაცემებით კი - 29.61%.

სააგენტოს აზრით, ურთიერთდამოკიდებულ პირთა ერთობლივი ხვედრითი წილი არ აღემატება „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრულ დომინირების დადგენილ დონეს (40%). ამასთან, კონკურენციის სააგენტომ შესაბამის სასაქონლო ბაზარზე მოპასუხე ეკონომიკურ აგენტთა შესაძლებლობები შეაფასა მათი საბაზრო ძალის მიხედვით, სადაც გათვალისწინებული იქნა როგორც ფქვილის, ასევე ხორბლის ბაზარზე მათი ხვედრითი წილები, ასევე ხორბლის ფქვილის ბაზარზე კონკურენციისათვის აუცილებელი ფაქტორები (საწარმოო სიმძლავრეები და ფქვილის წარმოების ინფრასტრუქტურაში (ელევატორების მოცულობა) წილები) და ფინანსური შესაძლებლობები. ყველა ამ ფაქტორის ერთობლიობის შედეგად, კონკურენციის სააგენტომ ჩათვალა, რომ ურთიერთდამოკიდებული პირების ქცევა ბაზარზე არ იყო დამოკიდებული კონკურენტი ეკონომიკური აგენტების მიერ მიღებულ ან მისაღებ გადაწყვეტილებებზე, რაც დომინირებული მდგომარეობის განსაზღვრის ძირითად მახასიათებელს წარმოადგენს. შესაბამისად, სააგენტომ ისინი ამ ნიშნით დომინირებული მდგომარეობის მქონე სუბიექტებად მიიჩნია.

სააგენტომ ასევე შეისწავლა ფქვილის სარეალიზაციო ფასები აღნიშნულ წლებში. სააგენტოს მტკიცებით, რიგ შემთხვევებში მოპასუხე ეკონომიკურ აგენტებს გააჩნდათ კონკურენტული უპირატესობა ხორბლის ფქვილის სარეალიზაციო ფასების მიხედვით სხვა ძირითად კონკურენტ ეკონომიკურ აგენტებთან მიმართებაში. თუმცა, ასევე გამოიკვეთა, რომ, რიგ შემთხვევებში, კონკურენტ ეკონომიკურ აგენტებს უფიქსირდებოდა ხორბლის ფქვილის ნაკლებ ფასად რეალიზაცია მოპასუხესთან შედარებით.

აღნიშნული სამი ეკონომიკური აგენტის ელევატორების სიმძლავრე საქართველოში არსებული ელევატორების სიმძლავრის საერთო მოცულობაში იკავებდა 44 პროცენტს. ამავე კომპანიებს საერთო საწარმოო სიმძლავრეების 23% გააჩნდათ.

კონკურენციის სააგენტომ საქმის მასალების შესწავლის შემდეგ დაადგინა, რომ სახეზე იყო მოპასუხე ეკონომიკური აგენტის, კერძოდ შპს „აგროსისტემების“, შპს „კარმენისა“ და შპს „კარმენ - K“-ს დომინირებული მდგომარეობა საქართველოს ხორბლის ფქვილის სასაქონლო ბაზარზე, მიუხედავად იმისა, რომ მათი საბაზრო წილი ფქვილის ბაზარზე შეადგენდა მხოლოდ 39,19 პროცენტს (და არა 40 პროცენტზე მეტს, როგორც ამას კანონი ითხოვს) 2013-14 წლებში. რაც შეეხება მათ მიერ დომინირებული პოზიციის ბოროტად გამოყენებას, სააგენტომ ამ საკითზე განაცხადა, რომ მათი მხრიდან არ მომხდარა არასამართლიანი ფასების დაწესება და შესაბამისად მე-6 მუხლის დარღვევა ვერ დაადგინა. სააგენტოს აზრით, მათ აღნიშნულ პერიოდში ჰქონდათ იმის შესაძლებლობა, რომ ეწარმოებინათ ფქვილი ბაზარზე მოქმედ დანარჩენ ეკონომიკურ აგენტებთან შედარებით უფრო ნაკლები დანახარჯებით და შედარებით დაბალ ფასად გაეყიდათ. მათ ამ პერიოდში პრაქტიკულად არ გაზრდიათ საბაზრო წილი, ხოლო 2015 წელს კი პირიქით - მათ განიცადეს საბაზრო წილის მნიშვნელოვანი ვარდნა.

სააგენტომ ასევე გასცა რეკომენდაციები, რომელთა ადრესატი შესაბამისი სახელმწიფო ორგანოები არიან.

აღნიშნული საქმე საინტერესოა იმ მხრივ, რომ სააგენტომ პირველად დაადგინა დომინანტი პოზიცია შესაბამის ბაზარზე, როდესაც ეკონომიკური აგენტების საბაზრო წილი არ იყო 40 პროცენტზე მეტი.

მესამე საქმე („ტრანს კავკასუს ტერმინალის“ საქმე)²⁵

2014 წლის 25 ნოემბერს კონკურენციის სააგენტოს საჩივრით მიმართა შპს „ჯორჯიან ტრანს ექსპედიციამ“. მომწივანის მტკიცებით, შპს „ტრანს კავკასუს ტერმინალის“ არღვევდა „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის მეორე პუნქტის „ა“ ქვეპუნქტს. შპს „ტრანს კავკასუს ტერმინალის“ წარმოადგენს სს „საქართველოს რკინიგზის“ შვილობილ კომპანიას. იგი ფლობდა ტერმინალს თბილისში, კერძოდ ისნის რაიონში, რომელიც ერთადერთი იყო თბილისსა და მის შემოგარენში. შპს „ტრანს კავკასუს ტერმინალის“ ახორციელებდა საექსპედიტორო მომსახურებასაც, რომლისთვისაც გამოცხადებული ჰქონდა კომბინირებული ტარიფი, რაც მოიცავდა საქართველოს რკინიგზის მომსახურებას და სატერმინალო მომსახურებას. მომწივანის ვარაუდით, შპს „ტრანს კავკასუს ტერმინალის“ მიერ გამოცხადებული კომბინირებული ტარიფები ფაქტობრივად არ მოიცავდა საექსპედიტორო მომსახურების ტარიფს. მისი განცხადებით, თუ ეკონომიკურ აგენტს არ სურდა კომბინირებული ტარიფით სარგებლობა და

²⁵https://gnca.gov.ge/uploads_script/decisions/tmp/ec44004ddb94ec280a383c5e63d222d.pdf

კონტინერის გადაზიდვას შეუკვეთავდა საქართველოს რკინიგზას, კონტინერი მაინც მოხვდებოდა აღნიშნულ ტერმინალში და, შესაბამისად, სატერმინალო მომსახურებას მიიღებდა მაინც შპს „ტრანს კავკასუს ტერმინალსისაგან“. ამ უკანასკნელ შემთხვევაში კი შემკვეთს გაცილებით უფრო მეტი თანხის გადახდა უწევდა, ვიდრე კომბინირებული ტარიფის ღირებულება იყო.

აღსანიშნავია ის გარემოება, რომ სს „საქართველოს რკინიგზამ“ შპს „ტრანს კავკასუს ტერმინალსთან“ გააფორმა ხელშეკრულება და ამ უკანასკნელმა იკისრა წლიურად მინიმუმ გარკვეული რაოდენობის კონტინერის გადაზიდვის ვალდებულება, სანაცვლოდ კი სარგებლობდა შეღავათიანი ტარიფით. რკინიგზის მტკიცებით, სატარიფო პოლიტიკის ცვლილების მიზეზი იყო საქართველოს ეროვნული ვალუტის გაუფასურება.

მომჩივანის მტკიცებით, შპს „ტრანს კავკასუს ტერმინალსის“ მიერ გამოცხადებულ კომბინირებულ ტარიფს ვერცერთი კონკურენტი ეკონომიკური აგენტი ვერ გაუწევდა კონკურენციას, რადგან ეს ტარიფი უფრო ნაკლები იყო ვიდრე ცალ-ცალკე რკინიგზით გადაზიდვა და სატერმინალო მომსახურება. მისი აზრით, საქართველოს რკინიგზა ტვირთების გადაზიდვაში უალტერნატივო კომპანია იყო.

მოპასუხის მტკიცებით, შემოსავლების სამსახურის მიერ მიწოდებული ინფორმაციის საფუძველზე იმპორტის რეჟიმში შემოსული კონტინერების გადაზიდვებს თუ დავეყრდნობით, შპს „ტრანს კავკასუს ტერმინალსს“ მხოლოდ 33% უკავია. მოპასუხის აზრით, საავტომობილო გადაზიდვა უფრო სწრაფი და მოქნილია, რიგ შემთხვევებში უფრო იაფიც, ვიდრე სარკინიგზო გადაზიდვები. მომჩივანი ეთანხმება მოსაზრებას, რომ საკონტინერო გადაზიდვების ბაზრის 75-80% უკავია საავტომობილო

გადაზიდვებს. თუმცა, მისი აზრით, გარკვეული კატეგორიის ტვირთი საავტომობილო გადაზიდვებს არ ექვემდებარება.

კონკურენციის სააგენტომ შესაბამისი ბაზრის პროდუქციულ საზღვრად დაადგინა კონტეინერების გადაზიდვა. მისი ინფორმაციით, კონტეინერები ძირითადად ორი სახისაა - 20 და 40 ფუტიანი. იშვიათად შემოდის 45 ფუტიანი კონტეინერებიც. კონტეინერების გადაზიდვა ხდება რკინიგზით ან ავტომობილის საშუალებით. შესაბამისად, გადაზიდვის ეს ორი სახე წარმოადგენს ურთიერთჩანაცვლებად მომსახურებას გადასაზიდი ტვირთის გარკვეულ მასამდე (40 ტონამდე). საბოლოოდ, სააგენტოს აზრით, შესაბამის პროდუქციულ ბაზარს წარმოადგენს 20', 40' და 45 ფუტიანი კონტეინერების გადაზიდვის ბაზარი. შესაბამის გეოგრაფიულ ბაზარს კი საქართველოს მთლიანი ტერიტორია წარმოადგენს. ამასთან, კონტეინერების გადაზიდვის ბაზარი არ წარმოადგენდა სეზონური ხასიათის ბაზარს.

კონკურენციის სააგენტოს მტკიცებით, კონტეინერების გადაზიდვის სასაქონლო ბაზარზე სარკინიგზო გადაზიდვას არ ეკავა დომინირებული მდგომარეობა. მისი აზრით, უმეტესი წილი ამ ბაზარზე ეკუთვნოდა საავტომობილო გადაზიდვას 2012-2015 წლებში. შესაბამისად, შპს „ტრანს კავკასუს ტერმინალს“ არ ეკავა დომინირებული მდგომარეობა აღნიშნულ ბაზარზე. შესაბამისად, მის მიმართ კანონის მე-6 მუხლის დარღვევის საკითხი აღარ წარმოიშობოდა, რადგან თუ დომინანტობა არ არსებობს, არ იარსებებს დომინანტი პოზიციის ბოროტად გამოყენებაც.

საინტერესო საქმეა იმ მხრივ, რომ საქონლის ჩანაცვლებადობაზეა საუბარი. თუმცა, ამ საქმეზე, ისევე როგორც სიგარეტ „პირველის“ საქმეზე, უკეთესი იქნებოდა თუ სააგენტო უფრო დეტალურად შეისწავლიდა საქმის ირგვლივ არსებულ საკითხებს.

მეოთხე საქმე (ბათუმის ნავთობტერმინალის საქმე)²⁶

2015 წლის თებერვალში სააგენტოში შევიდა შპს „MG“, უცხოური საწარმოს ფილიალის - „ვიბრო დიაგნოსტიკი FZE“-ისა და შპს „ლუკოილ ჯორჯიას“ წერილები. ავტორთა აზრით, შპს „ბათუმის ნავთობტერმინალის“ მიერ ირღვეოდა „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის მეორე პუნქტის „გ“ ქვეპუნქტი.

აღნიშნულ საქმეზე სააგენტომ ბაზრის პროდუქციულ საზღვრებად დაადგინა საზღვაო ნავსადგურიდან ნავთობპროდუქტების ჩატვირთვისა და ნავსადგურში გადმოტვირთვის მომსახურება; გეოგრაფიულ საზღვრებად ნავთობპროდუქტების საზღვაო ნავსადგურიდან **გემში ჩატვირთვის** გეოგრაფიულ საზღვრებად მიჩნეული იქნა *ბათუმისა და ყულევის* ნავსადგურების ტერიტორია. ხოლო ნავსადგურში ნავთობპროდუქტების **გემიდან გადმოტვირთვის** გეოგრაფიულ საზღვრად *ბათუმისა და ფოთის* ნავსადგურების ტერიტორია. ამასთან ნავსადგურში ნავთობპროდუქტების ჩატვირთვისა და გადმოტვირთვის ბაზარი არ წარმოადგენდა სეზონური ხასიათის ბაზარს და ფუნქციონირებდა მთელი წლის განმავლობაში.

სააგენტოს ინფორმაციით, გემში ნავთობპროდუქტების ჩატვირთვისას ახორციელებდნენ შპს „ბათუმის ნავთობტერმინალი“ (განთავსებულია ბათუმის საზღვაო ნავსადგურში), შპს „შავი ზღვის ტერმინალი“ (განთავსებულია ყულევის ნავსადგურში) და სს „საქართველოს მილსადენის კომპანიას საქართველოს ფილიალი“ (განთავსებულია სუფსის ტერიტორიაზე); ხოლო გემიდან ნავთობპროდუქტების გადმოტვირთვისას ახორციელებდნენ შპს „ბათუმის ნავთობტერმინალი“, შპს „ჩენელ ენერჯი

²⁶https://gnca.gov.ge/uploads_script/decisions/tmp/6f7984d84dde44b2b09a58092880d9c8.pdf

(ფოთი) ლიმიტედ - საქართველო“ (განთავსებულია ფოთის ნავსადგურში) და შპს „აგროტრანს ჯორჯია“ (განთავსებულია ფოთის ნავსადგურში).

სარკინიგზო ჩიხითა და მისასვლელი ლიანდაგით სარგებლობის უფლების მიცემისა და შესაბამისი ტარიფის დაწესების საქმეზე სააგენტომ საქმის წარმოება შეწყვიტა იმის გამო, რომ სააგენტო ვერ განიხილავდა ამ დავას, რადგან იმავე დავის საგანზე იმავე მხარეებს შორის თბილისის და ბათუმის საქალაქო სასამართლოებს მიერ მიღებული იქნა განჩინება, რომელიც მხარეთა მორიგების აქტის დამტკიცებას ეხებოდა. სააგენტო აღნიშნავს, რომ შპს „ბათუმის ნავთობტერმინალის“ პრეროგატივას წარმოადგენს სარკინიგზო ჩიხითა და მისასვლელი ლიანდაგით სარგებლობის უფლების მიცემა და შესაბამისი ტარიფის დაწესება, რაც სააგენტოს მიერ ამ უკანასკნელის შესაბამის ბაზარზე მოქმედ დომინანტ სუბიექტად მიჩნევის საკმარისი საფუძველია.

ნავთობპროდუქტების ჩატვირთვა/გადმოტვირთვის სასაქონლო ბაზრებზე 2012-2014 წლებში დომინირებული მდგომარეობა ეკავა შპს „ბათუმის ნავთობტერმინალს“. მას შესაბამის ბაზარზე 40% მეტი ეკავა. იგი სხვადასხვა ტიპის სატარიფო მომსახურებას ახორციელებდა იმის მიხედვით, თუ რა სახის პროდუქცია, რა მოცულობით იტვირთებოდა ვაგონიდან გემში და პირიქით. სააგენტომ სხვადასხვა ეკონომიკური აგენტებისათვის შეთავაზებული მომსახურების ტარიფები შეადარა ერთმანეთს და, მისი აზრით, რაიმე სახის კონკურენციის შემზღვეველი ქმედება დომინირებული ეკონომიკური აგენტის მხრიდან არ გამოიკვეთა.

რაც შეეხება, ნავთობპროდუქტების გადატვირთვის ბაზარზე ქ. ფოთში მოქმედ ეკონომიკურ აგენტებს - შპს „აგროტრანს ჯორ-

ჯიასა“ და შპს „ჩენელ ენერჯი (ფოთი) ლიმიტედ - საქართველოს“, ისინი არ წარმოადგენდნენ დომინირებული პოზიციის მქონე ეკონომიკურ აგენტებს და, შესაბამისად, მათი მხრიდან კანონის მე-6 მუხლის დარღვევას ვერ ექნებოდა ადგილი.

მეხუთე საქმე („დუთი ფრი ჯორჯიას“ საქმე)²⁷

კონკურენციის სააგენტოში 2015 წლის ოქტომბერში შპს „დუთი ფრი ჯორჯიამ“ საჩივარი შეიტანა სს „თბილისის თამბაქოს“ წინააღმდეგ. მომჩივანის აზრით, მოპასუხე არღვევდა „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლს.

სს „თბილისის თამბაქოს“ შპს „დუთი ფრი ჯორჯიასთან“ გაფორმებული ჰქონდა ხელშეკრულება, რომელიც ცალმხრივად შეწყვიტა. შემდეგ მოპასუხემ შპს „დუთი ფრი ალიანსთან“ გააფორმა ხელშეკრულება ექსკლუზიური პირობებით. შესაბამისად, მომჩივანი ფიქრობს, რომ აღნიშნული ქმედებებით მოპასუხემ შეზღუდა კონკურენცია და დაარღვია კანონის მე-6 მუხლის მეორე პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი - მგზავრებს, რომელთაც სურდათ შეეძინათ ქართული წარმოების პროდუქცია თავისუფალი ვაჭრობის პუნქტებში არჩევანის თავისუფლება ეზღუდებოდა. მომჩივანის აზრით, უცხოელი ტურისტებს ხშირად განსაკუთრებული ინტერესი აქვთ ქართული ნაწარმის მიმართ. ამ მხრივ კი, გამოირჩევა ერთ-ერთი და ყველაზე პოპულარული ქართული წარმოების თამბაქოს პროდუქცია - სს „თბილისის თამბაქოს“ მიერ წარმოებული სიგარეტი „პირველი“. შესაბამისად, ეს სიგარეტი შედის ქვეყნის მასშტაბით ყველაზე გაყიდვადი სიგარეტის ბრენდების სამეულში, რის გამოც, მომჩივანის ვარაუდით, სს „თბილისის თამბაქო“ წარმოადგენდა ერთ-ერთ

²⁷https://gnca.gov.ge/uploads_script/decisions/tmp/94ef680a4d304982948ac27d00a1063b.pdf

უმსხვილეს თამბაქოს მწარმოებელ კომპანიას საქართველოს ბაზარზე და შესაბამისად, იკავებდა დომინირებულ მდგომარეობას.

შპს „დუთი ფრი ჯორჯია“ საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე, კერძოდ, სადახლოს, ვალეს, წითელი ხიდის და სარფის საბაჟო ტერიტორიაზე ფლობდა თავისუფალი ვაჭრობის პუნქტებს და ეწეოდა სამეწარმეო საქმიანობას.

მოპასუხის განმარტებით, ხელშეკრულების შეწყვეტის ერთ-ერთი მიზეზი იყო მცირე ოდენობის შესყიდვები. ექსკლუზიური ხელშეკრულებით კი უკვე სტაბილური და წინასწარ დაგეგმილი ბიზნეს გარემოს შეიქმნა.

სააგენტომ პროდუქტიული საზღვრების დადგენის მიზნით, წითელი ხიდის, სარფის, სადახლოსა და თბილისის აეროპორტის ტერიტორიაზე გამოკითხა 138 ადამიანი, რომლებიც ტოვებდნენ საქართველოს ტერიტორიას. გამოკითხულიდან 87% იყო მამაკაცი და 13% ქალი. მამაკაცებიდან 73% და ქალებიდან 13% აღმოჩნდა მწვეელი. ჯამში 72.1 პროცენტი იყო მწვეელი. კითხვაზე - შეგიძენიათ თუ არა სიგარეტი საქართველოს საზღვარზე არსებულ რომელიმე თავისუფალ სავაჭრო ობიექტში? - 132 გამოკითხულმა უპასუხა და უმრავლესობის პასუხი იყო უარყოფითი. მათ ასევე ეთხოვათ დაესახელებინათ სიგარეტის ის ბრენდები, რომლებსაც ყველაზე ხშირად ყიდულობდნენ ხოლმე თავისუფალი ვაჭრობის ობიექტებში. მათ დაასახელეს რამდენიმე ბრენდი. პასუხი გასცა 97 ადამიანმა. ძირითადად ისინი ყიდულობდნენ კენტს (31), ვინსტონს (31) და მალბოროს (38). ხოლო სიგარეტი „პირველი“ დასახელდა მხოლოდ 17 ჯერ. საინტერესოა თუ რას ფიქრობდნენ გამოკითხულები განსხვავებაზე სიგარეტის ბრენდების წარმოების ქვეყნების მიხედვით. 138 ადამიანს დაესვა კითხვა „შეგიძენიათ თუ არა სიგარეტი საქართველოს თავისუფალი ვაჭრობის პუნქტში მხოლოდ იმის

გამო, რომ იგი რომელიმე კონკრეტულ ქვეყანაში იყო ნაწარმოები?“ 135 ადამიანმა უპასუხა ამ კითხვას და მათმა უმრავლესობამ (68.9%) უარყოფითი პასუხი გასცა ამ კითხვას. ხოლო დანარჩენი 31.1%-დან (42 ადამიანიდან) მხოლოდ 21%-მა (9 ადამიანმა) დაასახელა საქართველო. სააგენტოს თანამშრომლების აზრით, გამოკითხულები ძირითადად ფასს აქცევდნენ ყურადღებას სიგარეტი „პირველის“ შექმნის დროს და არა წარმოების ქვეყანას, რადგან სიგარეტი „პირველი“ სხვა ბრენდებთან შედარებით იაფი იყო. რესპოდენტებს ასევე დაესვათ კითხვა ქართული წარმოების სიგარეტის ბრენდებზე და 134 გამოკითხულიდან მხოლოდ 14.2% აღმოჩნდა ისეთი, რომელსაც ერთხელ მაინც შეუძენია ქართული წარმოების სიგარეტი თავისუფალი ვაჭრობის პუნქტში. გამოკითხულთა 90.2% არ იცნობდა და არ ჰქონდა ინფორმაცია სიგარეტი „პირველის“ შესახებ. ხოლო ვინც იცნობდა, „პირველის“ ჩამნაცვლებლად ასახელებდა შემდეგ ბრენდებს: Bond, L&M, Chesterfield, Winston, Rothmans, Kent. რესპოდენტებს ასევე დაესვათ კითხვა, თუ როგორ მოიქცეოდნენ იმ შემთხვევაში, თუ ისინი გადაწყვეტდნენ ქართული სიგარეტის ყიდვას და ის არ აღმოჩნდებოდა თავისუფალი ვაჭრობის პუნქტში. ამ კითხვას 138-დან უპასუხა 133-მა რესპოდენტმა, რომელთაგან 52.6%-მა უპასუხა, რომ იყიდიდა სხვა პროდუქტს, 31.6%-მა უპასუხა, რომ იყიდიდა სხვა სიგარეტს და მხოლოდ 15,8% უპასუხა, რომ ამ სიგარეტს სხვა მაღაზიაში მოძებნიდა. ზემოთხსენებული გამოკითხვის საფუძველზე სააგენტო მიიჩნევს, რომ მომხმარებელი განსაკუთრებულ ყურადღებას არ აქცევდა წარმოების ქვეყანას და მისთვის გადამწყვეტი მნიშვნელობა არ ჰქონდა სიგარეტი ქართული წარმოების იყო თუ არა.

აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ ზიანის დადგენა ვერ ხერხდებოდა იმის გამო, რომ მომჩივანს აღნიშნული სიგარეტი ჯერ კიდევ მარაგში ჰქონდა ხელშეკრულების შეწყვეტის შემდეგ.

მომჩივანის აზრით, შესაბამის პროდუქციულ ბაზარს წარმოადგენდა ქართული წარმოების, ქართული ბრენდის ფილტრიანი სიგარეტი. სააგენტომ იმსჯელა, მისი ჩანაცვლებადობის საკითხზე. მაგალითად, ჩიბუხისათვის განკუთვნილ თამბაქოზე, გასახვევ თამბაქოზე, სიგარილებზე და სიგარებზე, ასევე ფილტრიან და უფილტრო სიგარეტებზე. სააგენტო თავის გადაწყვეტილებაში საუბრობს ჯვარედინ ელასტიურობაზე, SSNIP ტესტზე, ბრენდის მიმართ ლოიალურობაზე მიჩვევაზე/დამოკიდებულებაზე.

სააგენტო ასევე თავის გადაწყვეტილებაში მიმოიხილავს თამბაქოსთან დაკავშირებულ ევროკავშირის და ა.შ.შ.-ის საქმეებს და საუბრობს მათ თავისებურებებზე.

სააგენტოს მტკიცებით, საქართველოში აქციზის გადასახადი დაბალი იყო და იმპორტირებული და ადგილობრივი წარმოების სიგარეტების ფასებს შორის მკვეთრი განსხვავება არ არსებობდა. კონკურენციის ორგანოს აზრით, სიგარეტი „პირველი“ და ზოგადად ქართული წარმოების ფილტრიანი სიგარეტი არ ქმნიდა ცალკე ბაზარს და შესაბამის პროდუქციულ ბაზრად მიჩნეული უნდა ყოფილიყო *ფილტრიანი სიგარეტების ბაზარი* თავისუფალი ვაჭრობის პუნქტებში, რომელზეც აქტიური იყვნენ როგორც ქართველი მწარმოებლები, ასევე იმპორტიორებიც. ამასთან, ამ ბაზარს სეზონურობა არ ახასიათებდა.

სააგენტომ შეისწავლა 2015 წლის იანვარ-სექტემბრამდე შპს „დიუთი ფრი ალიანსისა“ და შპს „დიუთი ფრი ჯორჯია“-ს მიერ ჯამურად გაყიდული ფილტრიანი სიგარეტების რაოდენობა და დაადგინა სს „თბილისის თამბაქოს“ წილი შესაბამის გეოგრაფიულ ბაზარზე, რომელზეც ის დომინირებულ პოზიციაში არ იმყოფებოდა. შესაბამისად, თუ მას არ ეკავა დომინირებული პოზიცია, მის მიმართ ვერ მოხდება კანონის მე-5 და მე-6 მუხლების გამოყენება.

სამწუხაროდ, სააგენტოს მიერ გამოქვეყნებულ გადაწყვეტილებებში გაყიდვების ოდენობა და ბაზარზე კომპანიის წილები არ ჩანს, რაც შეუძლებელს ხდის დეტალური ანალიზის გაკეთებას ციფრების გაცნობის გარეშე.

მეექვსე საქმე (ფოთის პორტის საქმე)²⁸

2016 წლის ივნისში სააგენტოში წარმოდგენილი იქნა ფოთში სატერმინალო მომსახურების ბაზარზე მოქმედი 14 ეკონომიკური აგენტის ერთობლივი საჩივარი. საჩივრიდან ირკვევოდა, რომ სს „კორპორაცია ფოთის საზღვაო ნავსადგურისაგან“ თოთხმეტმა ტერმინალმა და სატვირთო ლოჯისტიკის სხვა წარმომადგენლებმა ელექტრონული ფოსტის მეშვეობით მიიღეს წერილი, რომლის მიხედვითაც, 2016 წლის 1 ივნისიდან ძალაში შედიოდა საპორტო მომსახურების ახალი კომბინირებული ტარიფი, ნავსადგურის საქმიანობის ეფექტიანობისა და უსაფრთხოების ნორმების დაცვის გაუმჯობესების, ნავსადგურში სატვირთო ოპერაციების თანამედროვე საერთაშორისო ნავსადგურების სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით, ნავსადგური 2016 წლის 1 ივნისიდან განახორციელებდა ნავმისადგომებისა და სახმელეთო საკონტეინერო ტერმინალის (ICT) ინტეგრირებას და საკონტეინერო გემებიდან გადმოტვირთული და გემზე დასატვირთად განკუთვნილი ყველა კონტეინერის მიღება-გაცემა იწარმოებდა მხოლოდ სახმელეთო საკონტეინერო ტერმინალიდან (ICT).

ფოთის პორტს სხვა უმრავლესი პორტებისგან განსხვავებით, არ ჰქონდა თავისი ტერმინალი, ამიტომ აქ შესული ტვირთები სახმელეთო ტერმინალებში გადიოდა განბაჟებას. ტვირთის

²⁸https://gnca.gov.ge/uploads_script/decisions/tmp/def47d73b32b4cf0a9538ce94a9ddd593.pdf

მფლობელი ტვირთის პორტში შესვლამდე განსაზღვრავდა, თუ რომელ ტერმინალში შევიდოდა მისი ტვირთი შემდგომი პროცედურებისათვის. მოქმედი სქემის მიხედვით, საზღვაო ხაზებს ამისთვის წინასწარ დადებული ჰქონდათ ტვირთის გადაზიდვასთან დაკავშირებით რამდენიმე ხელშეკრულება: პირველი ხელშეკრულება უკავშირდება ნავსადგურში გემიდან კონტეინერის გადმოტვირთვას, რომელსაც მხოლოდ სს „კორპორაცია ფოთის საზღვაო ნავსადგური“ ახდენდა; მეორე ხელშეკრულება უკავშირდებოდა აღნიშნული კონტეინერის ავტოკონტეინერშიდზე დადებას და მის ტრანსპორტირებას სახმელეთო-საკონტეინერო ტერმინალამდე; მესამე ხელშეკრულება კი მოიცავდა ტერმინალში ავტოკონტეინერშიდიდან კონტეინერის ჩამოღებას და შემდგომში დამუშავების მიზნით, საბაჟო კონტეინერის ზონაში მისი დანიშნულებისამებრ განთავსება/დასაწყობებას. პირველ მომსახურებაზე დომინანტი პოზიცია ეკავა სს „კორპორაცია ფოთის საზღვაო ნავსადგურს“. ის ერთადერთი კომპანია იყო საპორტო მომსახურების ბაზარზე და წარმოადგენდა მონოპოლისტს. ხოლო დანარჩენი ორი მომსახურების ბაზარზე კი კონკურენტული პირობები იყო, რადგან სხვადასხვა ეკონომიკური აგენტი იყო აქტიური.

როგორც ჩანს, სს „კორპორაცია ფოთის საზღვაო ნავსადგურმა“ გადაწყვიტა შევიდეს სატერმინალო მომსახურების ბაზარზე და დააფუძნა თავისი შვილობილი კომპანია - შპს „ინლანდ კონტეინერ ტერმინალი“ (ICT). შესაბამისად, მომჩივანის ვარაუდით, სს „კორპორაცია ფოთის საზღვაო ნავსადგურის“ მიზანი იყო სატერმინალო მომსახურების ბაზარზეც მოეპოვებინა მონოპოლიური პოზიცია.

მომჩივანი მხარის განმარტებით, სს „კორპორაცია ფოთის საზღვაო ნავსადგური“ გეგმავდა თავისი ავტოკონტეინერშიდით ყველა კონტეინერის თავის სახმელეთო საკონტეინერო

ტერმინალში, შპს „ინლანდ კონტეინერ ტერმინალში“ გადამისამართებას და, მოთხოვნის შემთხვევაში, სხვა ტერმინალების მიმართულებით მის გაცემას. ასევე ყველა კონტეინერი, რომელიც უნდა დაიტვირთოს გემზე, შეტანილი უნდა ყოფილიყო პორტის სახმელეთო ტერმინალში. მათივე მტკიცებით, ახალი კომბინირებული ტარიფი, რომელიც საპორტო და სატერმინალო მომსახურების ღირებულებას მოიცავდა, სპობდა იმის შესაძლებლობას, რომ ფოთის პორტში მიღებული კონტეინერები დამუშავებულიყო სხვადასხვა კერძო ტერმინალში, მოთხოვნისა და თავისუფალი კონკურენციის პირობებში.

მოპასუხის აზრით, არსებული კონტეინერის დამუშავების სქემა არ აკმაყოფილებდა საერთაშორისო ინდუსტრიაში დამკვიდრებულ სტანდარტებს და ჰქონდა უარყოფითი მხარეები. კერძოდ, დატვირთვა-ჩამოტვირთვის ხანგრძლივი პროცედურები, ლოჯისტიკის ნაკლებობა, ტრანსპორტის არასაკმარისი კოორდინაცია და უსაფრთხოების საკითხები. მისი მტკიცებით, ახალი სქემა აღმოფხვრიდა პორტში არსებულ ხარვეზებს და გააუმჯობესებდა პროცესის ეფექტიანობას, ლოჯისტიკას და ტრანსპორტირების უსაფრთხოების საკითხს. ახალ ტერმინალში გადატანილ ტვირთზე იქნებოდა შეუზღუდავი წვდომა და ტერმინალებს შეეძლებოდათ ტვირთის გადატანა 2 დღის განმავლობაში ჯარიმების დაკისრების გარეშე.

სააგენტოს აზრით, აღნიშნული სქემა დიდი ალბათობით გამოიწვევდა ბაზრიდან კონკურენტი კომპანიების გაძევებას, რაც გამოიწვევდა სატერმინალო მომსახურების სასაქონლო ბაზარზე ფასითა და მომსახურების სხვა ალტერნატიული შეთავაზებების შეზღუდვას; ასევე ის გამოიწვევდა წარმოების შემცირებას და სხვადასხვა მომსახურების ბაზარზე ლოჯისტიკურ გართულებებს. საქმის სიღრმისეულ შესწავლას კი დრო სჭირდებოდა. შესაბამისად, მან „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონ-

ნის მე-18 მუხლის პირველი პუნქტის „ნ“ ქვეპუნქტის საფუძველზე მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს და მოითხოვა პორტის მიერ დადგენილი ახალი სქემის დროებით შეჩერება სააგენტოს მიერ საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე. სასამართლომ 2016 წლის 24 ივნისის განჩინებით დააკმაყოფილა სააგენტოს მოთხოვნა და სქემა შეაჩერა. ეს იყო პირველი შემთხვევა 2012 წელს მიღებული „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის ამოქმედების შემდეგ, როდესაც სააგენტომ გამოიყენა დროებითი ღონისძიება.

სააგენტომ იმსჯელა შესაბამისი ბაზრის პროდუქციულ საზღვრებზე და დაადგინა სამი შესაბამისი ბაზარი:

1. სს „კორპორაცია ფოთის საზღვაო ნავსადგურში“ საკონტეინერო ტვირთებისთვის გაწეული საპორტო (სტივდორული) მომსახურების ბაზარი;
2. სს „კორპორაცია ფოთის საზღვაო ნავსადგურსა“ და ფოთში მოქმედ საბაჟო ტერმინალებს შორის საკონტეინერო ტვირთების ავტოტრანსპორტით გადაზიდვის ბაზარი;
3. სს „კორპორაცია ფოთის საზღვაო ნავსადგურიდან“ ჩატვირთული და გადმოტვირთული საკონტეინერო ტვირთების სატერმინალო მომსახურების ბაზარი.

პირველ ბაზარზე მხოლოდ ერთი ეკონომიკური აგენტია აქტიური - სს „კორპორაცია ფოთის საზღვაო ნავსადგური“. მას არ ჰყავს მარეგულირებელი და შესაბამისად ის სრულად განსაზღვრავდა თავის სატარიფო საქმიანობას. HHI ამ ბაზარზე იყო 10 000.

მეორე ბაზარზე კი 8 სატრანსპორტო კომპანია იყო აქტიური და ასევე მუშაობდა სს „კორპორაცია ფოთის საზღვაო ნავსადგური“ კუთვნილ სატრანსპორტო საშუალებებით. HHI ამ ბაზარზე იყო 2034,74.

მესამე ბაზარზე 2016 წლის დასაწყისისათვის 16 ეკონომიკური აგენტი იყო აქტიური. ამ ბაზარზე HHI იყო 916,03.

სააგენტომ იმსჯელა ასევე ბათუმის პორტთან მიმართებაშიც, თუმცა გამორიცხა ის ფოთის პორტის ჩამნაცვლებლად, რადგან ის ძირითადად „სველ“ ტვირთზე მუშაობდა.

სააგენტომ შეისწავლა საქმის მასალები ორი მიმართულებით: კანონის მე-6 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ და „დ“ ქვეპუნქტების სავარაუდო დარღვევებზე.

სააგენტომ არ გაიზიარა მოპასუხე მხარის არგუმენტები ე.წ. ობიექტური გამართლების ნაწილში. სააგენტო დაეყრდნო არსებითი სიმძლავრეების დოქტრინას (essential facilities). სს „კორპორაცია ფოთის საზღვაო ნავსადგური“ ფლობდა ისეთ არსებით სიმძლავრეს, რომელიც წარმოადგენდა აუცილებელ საშუალებას/ინფრასტრუქტურას დაკავშირებულს ქვედა ბაზარზე²⁹ ოპერირებისათვის.

სააგენტომ ასევე ვრცლად ისაუბრა წარმოების შეზღუდვაზეც მომხმარებელთა ინტერესების/არჩევნის საწინააღმდეგოდ (6.1.ბ მუხლი), ისევე როგორც დამატებით ვალდებულებებზე (6.1.დ) საქმის ფაქტობრივი გარემოებების შესწავლის შემდეგ. მისი აზრით, ახალი სქემის ამოქმედება გამოიწვევდა აღნიშნული ნორმების დარღვევას. თუმცა, დომინირებული მდგომარეობის ბოროტად გამოყენების ფაქტი არ დაადასტურა, რადგან ეკონომიკური აგენტის მიერ აღნიშნული სქემა ჯერ არ იყო ამოქმედებული.

სააგენტომ რეკომენდაციები მისცა მოპასუხე მხარეს და ასევე ქ. ფოთის მერიას.

²⁹ ქვედა ბაზარი წარმოადგენს დასრულებული პროდუქტის ბაზარს. ზედა ბაზარი კი წარმოადგენს ნედლეულის ბაზარს.

მე-7 საქმე („ჯევერს დეველოპმენტის“ საქმე)³⁰

2019 წლის თებერვალში სააგენტოს საჩივრით მიმართა შპს „ჯევერს დეველოპმენტმა“. მომჩივანის აზრით, მოპასუხე შპს „აუთდორ.ჯის“ არღვევდა „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლს.

2018 წელს მომჩივანმა გადაწყვიტა რეკლამის განთავსების ბაზარზე შესვლა. მას სურდა დროებით სარგებლობაში მიეღო თბილისის მასშტაბით სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობისა და კერძო პირების საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთები, მათზე კონსტრუქციის აღმართვა და აღნიშნული კონსტრუქციაზე გარე რეკლამის განთავსება. მომჩივანმა მოიპოვა თბილისში ნინო რამიშვილის ქ. #20-ში მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის ნებართვა სარეკლამო კონსტრუქციის განთავსებაზე, შემდეგ კი მიმართა განცხადებით მოპასუხეს, შპს „აუთდორ.ჯის“ და აცნობა, რომ არქიტექტურის სამსახურის გადაწყვეტილების საფუძველზე კომპანიამ დაასრულა გარე რეკლამის განთავსების კონსტრუქციის მშენებლობა და სთხოვდა გარე რეკლამის განთავსების ნებართვის გაცემას მოპასუხეს. მიუხედავად კომუნიკაციისა და შეხვედრებისა, მოპასუხის მიერ ნებართვა არ იყო გაცემული. მომჩივანის თქმით, მოპასუხეს ხელშეკრულება აქვს დადებული მხოლოდ მასთან პირდაპირ დაკავშირებულ კომპანიებთან. მაგალითად, შპს „ალმასთან“. მოპასუხეს 12 წლის ვადით 2009 წლიდან 2021 წლის ჩათვლით ქ. თბილისში მარჯვენა სანაპიროზე გარე რეკლამის განთავსების სანებართვო მომსახურების გაწევის ექსკლუზიური უფლება მიენიჭა აუქციონის შედეგად.

³⁰https://gnca.gov.ge/uploads_script/decisions/tmp/0b4afbc9dce04b369695993034bf2251.pdf

მარცხენა სანაპიროზე სხვა ეკონომიკურ აგენტს ჰქონდა მოგებული ლიცენზია.

სააგენტოს მტკიცებით, შესაბამის ბაზარს წარმოადგენდა ქ. თბილისის მუნიციპალტიტეტის მტკვრის მარჯვენა სანაპიროზე, სახელმწიფო ან ადგილობრივი თვითმმართველობის საკუთრებაში არსებულ ქონებაზე გარე რეკლამის განთავსების სანებართვო მომსახურების ბაზარი.

სააგენტოს განცხადებით, მოპასუხე წარმოადგენს აუცილებელ სავაჭრო პარტნიორს შესაბამის ბაზარზე. ასეთი სიტუაცია ადმინისტრაციული მონოპოლიის შემთხვევას წარმოადგენს.

სააგენტომ მოკვლევა დაიწყო „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის მეორე პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის სავარაუდო დარღვევაზე. კერძოდ, კი მიწოდების უარზე და განაცხადა, რომ მას ადგილი ექნებოდა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ იარსებებდა შემდეგი პირობები: პირველი, აუცილებელი საქონელი/მომსახურება; მეორე, მიწოდებაზე უარი ვიწრო გაგებით; მესამე, ზიანი და მეოთხე, ობიექტური გამართლების შეუძლებლობა.

სააგენტომ ოთხივე პირობა დეტალურად მიმოიხილა საქმეში არსებული მტკიცებულებებიდან გამომდინარე. მისი აზრით, მოპასუხის მიერ გასაწევი გარე რეკლამის განთავსების სანებართვო მომსახურება მიჩნეული უნდა იყოს როგორც აუცილებელ და უპირობო საშუალებად გარე სარეკლამო მომსახურების ბაზარზე შესვლისა და სამეწარმეო საქმიანობის დასაწყებად. რაც შეეხება მეორე კრიტერიუმს, კერძოდ, მიწოდებაზე უარს ვიწრო გაგებით, სააგენტოს აზრით, ასეთი შემთხვევები არსებობს შემდეგ გარემოებებში: ხელშეკრულების დადებაზე პირდაპირი უარის შემთხვევებში; კონსტრუქციული უარის

შემთხვევაში; გაჭიანურების ტაქტიკის გამოყენებისას; არსებული სახელშეკრულებო ურთიერთობის შეწყვეტის და სხვა შემთხვევებში. აღნიშნულ საქმეზე, სააგენტოს მტკიცებით, ადგილი ჰქონდა მოპასუხის მხრიდან მომჩივანის მიერ მოთხოვნილ ნებართვაზე პასუხის გაუცემლობას და დაუსაბუთებელ გაჭიანურებას. შესაბამისად, მეორე კრიტერიუმიც სახეზე იყო. რაც შეეხება მესამე კრიტერიუმს, კერძოდ კი ზიანს, ამ საკითხზე სააგენტოს აზრით, დომინირებული მდგომარეობის ბოროტად გამოყენების ფაქტისა და შესაბამისად, კანონის მე-6 მუხლის დარღვევის დადგენისათვის მნიშვნელობა არ აქვს კონკურენციის შეზღუდვისა და კონკურენციისათვის მიღებული ზიანის მასშტაბებს. კონკურენციის პროცესისათვის მიყენებული ზიანი საკმარისია იმისათვის, რომ დაკმაყოფილებული იყოს დომინირებული მდგომარეობის ბოროტად გამოყენების აღნიშნული წინაპირობა - “მომხმარებელთა ინტერესების საზიანოდ”. ამასთან, სააგენტოს აზრით, სახეზე იყო საბოლოო მომხმარებლის ინტერესებისათვის უშუალოდ მიყენებული ზიანი და ასევე მომჩივანისათვის მიყენებული ზიანიც, რადგან ის კარგავდა შემოსავალს. შესაბამისად, სახეზე იყო პირდაპირი ზიანის არსებობაც. მეოთხე კრიტერიუმთან დაკავშირებით, უნდა ითქვას, რომ სააგენტომ შეაფასა გარე რეკლამის განთავსების სანებართვო მომსახურების გაწევაზე უარის ობიექტური გამართლების შესაძლებლობა ეფექტიანობისა და ობიექტური საჭიროების ტესტების გამოყენებით და დაადგინა, რომ არ არსებობდა მოპასუხე ეკონომიკური აგენტის ქმედების ობიექტური გამართლებელი გარემოება. შესაბამისად, აღნიშნულ საქმეზე ოთხივე კრიტერიუმი დაკმაყოფილებული იყო და მოპასუხეს დაუდგინდა კანონის მეორე პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის დარღვევა. კონკურენციის ორგანომ მოპასუხე ეკონომიკური აგენტი დააჯარიმა 32 358 ლარით, რაც ჯამური შემოსავლიდან უანგარიშა. გადაწყვეტილების თანახმად, მოპასუხე კომპანიას დაეკალა

შესაბამისობაში მოიყვანოს თავისი ქმედებები კანონით დადგენილ ნორმებთან.

მერვე საქმე („საქართველოს სადაზღვეო ჯგუფის“ საქმე)³¹

სს „საქართველოს სადაზღვეო ჯგუფმა“ 2021 წლის მაისში კონკურენციის სააგენტოს მიმართა საჩივრით და ამტკიცებდა, რომ შპს „ჯეო ჰოსპიტალსი“ და მასთან დაკავშირებული სს „რისკების მართვისა და სადაზღვეო კომპანია გლობალ ბენეფიტს ჯორჯია“ არღვევდა „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის მეორე პუნქტის „ა“, „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტებს.

მომჩივანის განცხადებით, შპს „ჯეო ჰოსპიტალსი“ და სს „გლობალ ბენეფიტს ჯორჯია“ იყვნენ ურთიერთდაკავშირებული პირები. ისინი ბოროტად იყენებდნენ ე.წ. „კავშირებს“ და ცდილობდნენ სახელმწიფო შესყიდვების ფარგლებში მომჩივანის დისკვალიფიკაციას, ზღუდავდნენ მომჩივანს და აყენებდნენ არასამართლიან პირობებში სხვა კონკურენტებთან შედარებით.

მომჩივანი აღნიშნავდა, რომ მან გამარჯვება მოიპოვა სახელმწიფო ტენდერში (შესყიდვის # SPA20002568), შედეგი კი ორჯერ იქნა გასაჩივრებული სს „გლობალ ბენეფიტს ჯორჯიას“ მიერ. თუმცა, საჩივარი საბოლოოდ არ იქნა დაკმაყოფილებული. მეორე საჩივარიც იმავე სახელმწიფო შესყიდვას ეხებოდა. კერძოდ, სს „საქართველოს სადაზღვეო ჯგუფმა“ თავდაპირველ შეთავაზებაში ატვირთა ხელშეკრულება, რომლის მიხედვითაც ქალაქ მარნეულში შპს „ჯეო ჰოსპიტალსის“ სამშობიარო და ამბულატორიული ცენტრი შაბათ დღეს გაუწევდა მომსახურებას

³¹https://gnca.gov.ge/uploads_script/decisions/tmp/6018d2cadd62404c997e3cef83a17d41.pdf

მომჩივანის კომპანიაში დაზღვეულებს. თუმცა შემდგომში ეს ხელშეკრულება შეწყდა და შპს „ჯეო ჰოსპიტალის“ განცხადებით (რომელიც მცდარი აღმოჩნდა, იხ. ქვემოთ) 2020 და 2021 წლებში მხოლოდ სს „გლობალ ბენეფიტს ჯორჯიას“ დაზღვეულები სარგებლობდნენ ექსკლუზიურად ოჯახის ექიმის მომსახურებით შპს „ჯეო ჰოსპიტალის“ მარნეულის და გარდაბნის სამედიცინო დაწესებულებებში. აღნიშნულ შემთხვევაშიც საჩივარი არ იქნა დაკმაყოფილებული. მომჩივანის განცხადებით, მომჩივანსა და შპს „ჯეო ჰოსპიტალს“ შორის გაფორმებული სამედიცინო მომსახურების ხელშეკრულება სწორედ ამ უკანაკნელის მიერ იყო შეწყვეტილი და მიზნად ისახავდა ერთ კონკრეტულ ტენდერში უპირატესობის მოპოვებას.

სააგენტოს აზრით, შესაბამისი ბაზარი უნდა განისაზღვროს როგორც ორდონიანი ბაზარი. ბაზრის ზედა დონეს განეკუთვნება ამბულატორიული მომსახურება, ხოლო ქვედა დონეს კი წარმოადგენს კერძო სადაზღვეო კომპანიების ბენეფიციართა ოჯახის ექიმით მომსახურება.

საბოლოოდ, სააგენტომ შესაბამისი საქონლის პროდუქციულ ბაზრად დაადგინა ამბულატორიული და კერძო სადაზღვეო კომპანიების ბენეფიციართა ოჯახის ექიმით მომსახურება ცალკე ქალაქ მარნეულში და ცალკე ქალაქ გარდაბანში. ამასთან, ამ ბაზარს არ ახასიათებს სეზონურობა.

სააგენტოს მტკიცებით, ქალაქ მარნეულში 3 ეკონომიკური აგენტი იყო აქტიური შესაბამის ბაზარზე და არ დგინდებოდა ამ ბაზარზე მოპასუხე ეკონომიკური აგენტის დომინირებული მდგომარეობა არც პაციენტების რაოდენობისა და არც ბრუნვის მიხედვით. განსხვავებული სიტუაცია იყო ქალაქ გარდაბანში აქ

ორი ეკონომიკური აგენტი იყო აქტიური და პაციენტების რაოდენობისა და ბრუნვის მიხედვით ის დომინირებულ პოზიციას იკავებდა შესაბამის ბაზარზე.

სააგენტომ ოთხი პირობის განხილვის შედეგად დაადგინა, რომ ქ. გარდაბანში კანონის მეექვსე მუხლის მეორე პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის შინაარსიდან გამომდინარე, მოპასუხის მხრიდან მიწოდებაზე უარის შემთხვევას არ ჰქონია ადგილი. ხოლო მარნეულში 2020 წელს, მოპასუხე არ წარმოადგენდა დომინირებულ ეკონომიკურ აგენტს.

რაც შეეხება კანონის მე-6 მუხლის მეორე პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის სავარაუდო დარღვევას, კერძოდ კი ექსკლუზიურობას, რომელიც ეხებოდა ქ. მარნეულში და ქ. გარდაბანში შპს „ჯეო ჰოსპიტალის“ მიერ მხოლოდ სს „გლობალ ბენეფიტ ჯორჯიას“ დაზღვეულებისათვის მომსახურების გაწევას შაბათს 10 სთ-დან 17 სთ-მდე, სააგენტომ მოკვლევისას დაადგინა, რომ სს „ირაოს“ ბენეფიციარებიც სარგებლობდნენ ორივე ქალაქში ოჯახის ექიმის მომსახურებით შაბათ დღეს შპს „ჯეო ჰოსპიტალის“ სამედიცინო დაწესებულებებში და მათ შორის არ არსებობდა რაიმე სპეციალური შეთანხმება შაბათ დღის მომსახურებაზე. შესაბამისად, სააგენტოს გადაწყვეტილებით, არც „ა“ ქვეპუნქტის დარღვევას და არც დისკრიმინაციას არ ჰქონდა ადგილი.

მე-9 საქმე ("დელტა დეველოპმენტ გრუპი"ს საქმე)³²

2021 წლის აპრილში კონკურენციის სააგენტოს მიმართა შპს „დელტა დეველოპმენტ გრუპმა“ საჩივრით. მომჩივანის აზრით, შპს „თბილისის ბიზნეს სახლი“ (ს/ნ 204564293), შპს „თბილისის

³² <https://gnca.gov.ge/>

ბიზნეს სახლი“ (ს/ნ 404482608), შპს „თბილისის ბიზნეს სახლი“ (ს/ნ 404513194), შპს “GK”, შპს „უნივერსალური ბიზნეს სერვისები“ და ბანგლადეშის მოქალაქე, ინდივიდუალური მეწარმე სუმა მია არღვევდა „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 და მე-7 მუხლებს.

მომჩივანის მტკიცებით, შპს „თბილისის ბიზნეს სახლს“ (ს/ნ 404482608) თარჯიმნების აბსოლუტურ უმრავლესობასთან დადებული ჰქონდა ისეთი ხელშეკრულება, რომელიც უკრძალავდა სხვა კომპანიებთან თანამშრომლობას (ე.წ. ექსკლუზიური მომსახურების ხელშეკრულება), განსაკუთრებით მათთან, ვინც მონაწილეობდა სახელმწიფო ტენდერებში. მომსახურების ხელშეკრულება დადებული იყო უვადოდ და ითვალისწინებდა გაუმართლებლად მაღალ ჯარიმების ხელშეკრულების დარღვევის შემთხვევაში.

მომჩივანის განმარტებით, შპს „თბილისის ბიზნეს სახლსა“ (ს/ნ 404482608) და მოქალაქე სუმა მიას მხრიდან ადგილი ჰქონდა კანონის მე-7 მუხლის დარღვევას, რაც გამოიხატება, სათარჯიმნო და მთარგმნელობითი ბაზრის ძირითად რესურსთან იმგვარი ხელშეკრულების დადებაში, რომელიც უკრძალავდა თარჯიმანს სხვა კონკურენტებთან თანამშრომლობას.

მომჩივანის მტკიცებით, მოპასუხეებს შორის დადებული ექსკლუზიური ხელშეკრულების ფარგლებში მას მიადგა მატერიალური ზიანი 20000 ლარის ოდენობით მიუღებელი შემოსავლის სახით. კერძოდ, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის პოლიციის დეპარტამენტის მიერ გამოცხადებულ სახელმწიფო ტენდერში NAT200020450 შპს „დელტა დეველოპმენტ გრუპმა“ წარმოადგინა სუმა მიას ნოტარიულად დამოწმებული თანხმობა მომსახურების გაწევაზე. მოგვიანებით კი, სუმა მია შპს „თბილისის

ბიზნეს სახლის“ (ს/ნ 404482608) გავლენით და მასთან დადებული ხელშეკრულების ფარგლებში, სატენდერო პროცედურების დასრულებამდე უარყო წარდგენილი თანხმობა, რის გამოც მან საბოლოოდ ტენდერში ვერ გაიმარჯვა და მიაღდა ზიანი.

სააგენტოს მიერ შეფასებული იქნა მოპასუხე ეკონომიკური აგენტების მიერ სახელმწიფო შესყიდვებში განხორციელებული სავარაუდო არასამართლიანი სავაჭრო პირობების დადგენა/-არასამართლიანი ფასებით ოპერირება, პრეტენდენტების მიერ არსებითად დაბალი თანხების შეთავაზების სავარაუდო ფაქტი კანონის მე-6 მუხლის ფარგლებში და ასევე მან მოახდინა მოპასუხეებს შორის დადებული ე.წ. ექსკლუზიური მომსახურების ხელშეკრულების შეფასება კანონის მე-7 მუხლის ფარგლებში.

მოპასუხე ხუთი ეკონომიკური აგენტი შპს „თბილისის ბიზნეს სახლი“ (ს/ნ 204564293), შპს „თბილისის ბიზნეს სახლი“ (ს/ნ 404482608), შპს „თბილისის ბიზნეს სახლი“ (ს/ნ 404513194), შპს “GK” და შპს „უნივერსალური ბიზნეს სერვისები“ წარმოადგენდნენ ურთიერთდაკავშირებულ პირებს, რადგან მათი 100%-იანი წილის მფლობელი და დირექტორი იყო გიორგი გაგნიძე, შესაბამისად მათ ქმედებაზე და საქმიანობის პროცესზე არსებითი გავლენის მოხდენა შეეძლო ერთი და იგივე ფიზიკურ პირს - გიორგი გაგნიძეს. ამასთან, შპს “GK” 2018-2020 წლებში ფინანსური აქტივობა არ აღენიშნებოდა.

სააგენტოს განმარტებით, პროდუქციულ საზღვრად დადგინდა **უცხო ენების მთარგმნელობითი და სათარჯიმნო მომსახურება საქართველოს მთელ ტერიტორიაზე**. აღნიშნული ბაზარი კი ფუნქციონირებდა უწყვეტად, წელიწადის ნებისმიერ დროს.

სააგენტოს მტკიცებით, შესაბამის ბაზარზე მოპასუხე ერთიან ეკონომიკურ სუბიექტს 2018-2020 წლებში ეკავება 19,3%, 11.69%

და 16.33 %. შესაბამისად, მათი მხრიდან დომინანტი პოზიციის ქონა და მისი ბოროტად გამოყენება ვერ მოხდებოდა.

რაც შეეხება კანონის მე-7 მუხლის სავარაუდო დარღვევის ფაქტს, ამ ნაწილში მოპასუხეებად მიჩნეულნი იყვნენ შპს „თბილისის ბიზნეს სახლი“ (ს/ნ 204564293), შპს „თბილისის ბიზნეს სახლი“ (ს/ნ 404482608) და სუმა მია. სააგენტომ შეისწავლა შესაბამისი ბაზარი, გაანალიზა სადავო შეთანხმება და შეაფასა რამდენად გააჩნია კონკურენციის შეზღუდვის ეფექტი სადავო შეთანხმებას.

კონკურენციის სააგენტომ შესაბამისი ბაზრის პროდუქციულ საზღვრად მიიჩნია **სახელმწიფო შესყიდვებში „იშვიათი“ უცხო ენების სათარჯიმნო/მთარგმნელობითი მომსახურების მიწოდება** საქართველოში, რომელსაც დროებითი ჩარჩო არ გააჩნდა. ამ ბაზარზე 2018-2020 წლებში მხოლოდ 7 სუბიექტი იღება მონაწილეობას, აქედან ორი კი მოპასუხე ეკონომიკური აგენტი იყო.

სააგენტომ დაადგინა ბაზარზე არსებული იშვიათი უცხო ენების მთარგმნელ/თარჯიმანთა წრე:

1. ბანგლადეშური/ბენგალური, რომელზეც სულ ხუთი ფიზიკური პირი მუშაობდა, მათ შორის იყო მოპასუხე სუმა მია;
2. ჰინდი, რომელზეც სამი ფიზიკური პირი მუშაობდა, მათ შორის იყო მოპასუხე სუმა მია;
3. ურდუ, რომელზეც ოთხი ფიზიკური პირი მუშაობდა, მათ შორის იყო მოპასუხე სუმა მია;
4. ქურთული, რომელზეც ექვსი ფიზიკური პირი მუშაობდა, მათ შორის იყო მოპასუხე სუმა მია;

5. ტამლური, რომელზეც ორი ფიზიკური პირი მუშაობდა, მათ შორის იყო მოპასუხე სუმა მია;
6. სინჰალა, რომელზეც ორი ფიზიკური პირი მუშაობდა, მათ შორის იყო მოპასუხე სუმა მია.

სუმა მია ერთადერთი თარჯიმანი იყო, რომელიც ზემოთ ხსენებულ ყველა ენას ფლობდა. დანარჩენ სპეციალისტებს კი მხოლოდ ერთი ან მაქსიმუმ ორი იშვიათი ენის ფარგლებში შეეძლოთ მომსახურების გაწევა. იგი შპს „თბილისის ბიზნეს სახლის“ გარდა მის კონკურენტ შპს „დელტა დიველოპმენტ გრუპთან“ თანამშრომლობდა.

2018-2020 წლებში გამოცხადებული და შემდგარი იშვიათი უცხო ენების სახელმწიფო შესყიდვების ფარგლებში გამარჯვებული სუბიექტების წილიდან მოპასუხეთა ჯამური წილი იყო 42.86%. შესაბამისი ბაზრის „ძირითადი რესურსი“, რომელსაც იშვიათი ენების სპეციალისტები წარმოადგენენ, წარმოადგენს ბაზარზე შესვლის ერთგვარ გასაღებს. შესაბამისად, ის ეკონომიკური აგენტი, რომელსაც ხელმისაწვდომობა ჰქონდა აღნიშნულ რესურსზე, ფლობდა გასაღებს სახელმწიფო შესყიდვებში იშვიათი უცხო ენების სათარჯიმნო/მთარგმნელობითი მომსახურების ბაზარზე შესასვლელად.

მოპასუხეები შპს „თბილისის ბიზნეს სახლი“ (ს/ნ 204564293) და შპს „თბილისის ბიზნეს სახლი“ (ს/ნ 404482608) ითვლებოდნენ ერთიან ეკონომიკურ სუბიექტებად, რადგან ორივე ეკონომიკური აგენტის ქმედების კურსსა და საქმიანობის პროცესზე არსებითი გავლენის მოხდენა შეეძლო ერთი და იგივე ფიზიკურ პირს – გიორგი გაგნიძეს და მათ არ გააჩნიათ რეალური ავტონომია.

სააგენტო აღნიშნავს, რომ „ექსკლუზიური მიწოდების დათქმა“ საკმაოდ ფართო მასშტაბის იყო, ექსკლუზივის საგნის, ექსკლუზივით გამორიცხულ პოტენციურ კონტრაქტთან წრის,

ექსკლუზივის მოქმედების არეალის და ექსკლუზივის მიწოდების ვადის გათვალისწინებით, რომელიც იყო უვადო. შესაბამისად, ექსკლუზიური დათქმის საფუძველზე სუმა მია მიჯაჭვული იყო მხოლოდ ერთ კონკრეტულ სუბიექტზე უვადოდ. შესაბამისად, მიწოდების ქვედა დონის მხოლოდ ერთი სუბიექტი იძენდა წვდომას „იშვიათი რესურსის“ უმნიშვნელოვანეს ნაწილზე. ხოლო „თბილისი ბიზნეს სახლი“ მნიშვნელოვან „აქტივს“ იძენდა. სუმა მია კი ზედა დონის ანუ შეძენის ბაზარზე ფლობდა ძლიერ საბაზრო პოზიციებს. მან შესაბამისი ხელშეკრულების ხელმოწერით შეიზღუდა საკუთარი მომსახურების რეალიზაციის შესაძლებლობები და ამ ფორმით დაუშვა სარეალიზაციო სივრცის დავიწროება.

სუმა მიას ჩამოშორებით კი მომსახურების შეძენის წყაროებიდან „თბილისი ბიზნეს სახლმა“ მნიშვნელოვანწილად შეუმცირა კონკურენტებსა თუ პოტენციურ კონკურენტებს სახელმწიფო შესყიდვებში შემდგომი გამოყენების მიზნით იშვიათი უცხო ენების სპეციალისტების რესურსზე წვდომა, რაც სუმა მიას გამოხატული ნების საფუძველზე განხორციელდა.

სააგენტოს აზრით, შესაბამისი ბაზრის დომინანტი შემძენი „თბილისის ბიზნეს სახლი“ ვერტიკალურ ექსკლუზიურ კოორდინაციაში შედის რა მომეტებული საბაზრო ძალაუფლების მქონე მიმწოდებელთან (სუმა მიასთან), ცხადია, რომ ორმხრივი გავლენებით ბაზარზე შემზღუდველი მნიშვნელოვანი ეფექტები იჩენდა თავს.

ხელშეკრულების ექსკლუზიური დათქმის პირობა შეიცავდა ჩანაწერს, რომ „აღნიშნული წესის/პუნქტის სანქცია, შეიძლება, არ იქნას გამოყენებული დამკვეთის ლმობიერების შემთხვევაში“. მოპასუხე ეკონომიკური აგენტის განმარტებით, არასოდეს არავინ დაუჯარიმებია და არც სასამართლოში არ ყოფილა

საქმე სანქციასთან დაკავშირებით. მისივე თქმით, სუმა მია მუშაობდა კონკურენტთანაც შპს „დელტა დეველოპმენტ გრუპთანაც“. სააგენტოს მტკიცებით, მოპასუხე მხარე აქტიურად ადევნებდა თვალს და აკონტროლებდა მასთან ხელშეკრულებით დაკავშირებული მთარგმნელი/თარჯიმნების კონკურენტ კომპანიებთან თანამშრომლობას. განსაკუთრებით ეს ეხება სახელმწიფო შესყიდვების ფარგლებში მისი რესურსის სხვა სათარჯიმნო ბიუროების მიერ გამოყენების საკითხს. იგი არა მხოლოდ აკონტროლებდა, არამედ, მას შემდეგ რაც მისთვის ცნობილი გახდებოდა, რომ მთარგმნელი/თარჯიმანი სახელმწიფო შესყიდვების წინადადებების მიღების ეტაპზე მონაწილეობას ღებულობდა კონკურენტი კომპანიების სასარგებლოდ, ეკონტაქტებოდა მათ და ითხოვდა განმარტებას, რის შედეგადაც აღნიშნული სპეციალისტები წერდნენ უარის წერილებს კონკუ

რენტების სასარგებლოდ ტენდერში მონაწილეობის შესახებ. ასე მოიქცა მოპასუხე აღნიშნული ტენდერის დროსაც.

სააგენტოს მტკიცებით, ერთის მხრივ, შპს „თბილისის ბიზნეს სახლსა“ (ს/ნ 204564293) და სუმა მიას შორის და, მეორეს მხრივ, შპს „თბილისის ბიზნეს სახლსა“ (ს/ნ 404482608) და სუმა მიას შორის დადებული ხელშეკრულებების 5.4.4. გათვალისწინებული „ექსკლუზიური მიწოდების დათქმა“ წარმოადგენდა ვერტიკალური შეთანხმების ერთ-ერთ ფორმას, რომელსაც გააჩნია შესაბამის ბაზარზე კონკურენციის შეზღუდვის ეფექტი, რაც ეწინააღმდეგება „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტს. კერძოდ, მხარეებს შორის დადებული შეთანხმება წარმოადგენდა ექსკლუზიურ ვერტიკალურ კოორდინაციას „თბილისის ბიზნეს სახლსა“ და სუმა მიას შორის, რის შედეგადაც შესაბამის ბაზარზე მოქმედ და პოტენციურ ეკონომიკურ აგენტებს ეზღუდებოდათ

„იშვიათი უცხო ენების“ სათარჯიმნო/მთარგმნელობითი მომსახურების სახელმწიფო შესყიდვების ბაზარზე შესვლა. სანქციის სახით კი მოპასუხე მხარეებს დაეკისრათ შემდეგი ოდენობის ჯარიმები: „თბილისის ბიზნეს სახლს“ – 6721 ლარი, რაც *ნაანგარიშები იყო მისი 2021 წლის ჯამური შემოსავლიდან*, ხოლო სუმა მას - 375 ლარი. ამასთან სააგენტომ მოსთხოვა მოპასუხე მხარეებს ექსკლუზიური მომსახურების ხელშეკრულებების მოდიფიცირება და კანონთან შესაბამისობაში მოყვანა, რათა არ შეზღუდულიყო კონკურენტი ეკონომიკური აგენტების მონაწილეობა „იშვიათი უცხო ენების“ სათარჯიმნო/მთარგმნელობითი მომსახურების სახელმწიფო შესყიდვების პროცესში.

შეჯამება

სააგენტოს გადაწყვეტილებებიდან ჩანს, რომ საკმაოდ შრომატევადი მუშაობა ჩაატარეს მოკვლევის პროცესში. სამწუხაროდ, ხშირად ციფრებთან დაკავშირებული ინფორმაცია, რომლებიც შესაბამისი ეკონომიკური აგენტების საქმიანობას ეხება, დაფარულია და რთულია მის გარეშე სიღრმისეულად გაერკვე საქმის არსში.

მნიშვნელოვანია იმის აღნიშვნაც, რომ ორი გადაწყვეტილებით ეკონომიკური აგენტების დაჯარიმება მოხდა, თუმცა, რამდენადაც გადაწყვეტილებებიდან ჩანს, მათი დაჯარიმება არ მომხდარა კანონით გათვალისწინებული სქემით – შესაბამისი ეკონომიკური აგენტის წლიური ბრუნვიდან. სანაცვლოდ გადაწყვეტილებებში მითითებულია ჯარიმების ათვლა შესაბამისი წლის შემოსავლიდან, რაც ჯარიმის ზომას მნიშვნელოვნად ამცირებს და დარღვევის პრევენციის თვალსაზრისით არასწორი ქმედებაა.

4. საქართველოში კონცენტრაციების მარაგულირებელი ნორმებისა და სააგენტოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებების ანალიზი

4.1. კონცენტრაციების მარაგულირებელი ნორმების ზოგადი მიმოხილვა

2012 წელს საქართველოს პარლამენტმა მიიღო დღეს მოქმედი კანონი „თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონი, რომელის სახელწოდებაც 2014 წლის ცვლილებებით შეიცვალა. კერძოდ, მას „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონი ეწოდა. 2014 წელს სხვა ცვლილებები და დამატებებიც განხორციელდა აღნიშნულ კანონში, რაც განპირობებული იყო 2014 წელს ასოცირების შესახებ ხელშეკრულების ხელმოწერით. აღნიშნული ცვლილებებით, კარტელების, დომინანტი პოზიციის და მისი ბოროტად გამოყენების რეგულირების ნორმები ნამდვილად დაუახლოვდა ევროკავშირის ნორმებს. თუმცა, სამწუხაროდ, ამას ვერ ვიტყვით კონცენტრაციების მარეგულირებელ ნორმებზე.

2014 წლის ცვლილებით, კონცენტრაციის მხარეებს დაეკისრათ ვალდებულება, რომ წინასწარ, სანამ მოახდენდნენ კონცენტრაციის გარიგების საჯარო რეესტრში რეგისტრაციას, ეცნობებინათ კონკურენციის სააგენტოსათვის აღნიშნული გარიგების შესახებ. თუმცა, თუ სააგენტოს გვერდის ავლით მოხდებოდა კონცენტრაცია, ამის გამო მათ არავითარი სანქცია არ დაეკისრებოდათ და არც გარიგების ბათილობის შესაძლებლობა იყო გათვალისწინებული კონკურენციის კანონმდებლობით. ამის ნათელი მაგალითი იყო სუპერმარკეტების ქსელების ნიკორასა და ნუგემის კონცენტრაცია, რა დროსაც კონკურენციის სააგენ-

ტომ მოკვლევა დაიწყო, თუმცა განხორციელებული კონცენტრაცია ხელუხლებელი დატოვა კონკურენციის კანონმდებლობის საფუძველზე. ამასთან, აღსანიშნავია ის გარემოება, რომ სააგენტოს შეეძლო სასამართლოსთვის მიემართა და მოეთხოვა ამ გარიგების ბათილობა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 54-ე მუხლის შესაბამისად.

2020 წელს „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონში შევიდა ცვლილებები და დამატებები, რომელიც სხვა საკითხებთან ერთად ითვალისწინებდა კონცენტრაციების რეგულირების დაახლოებას ევროკავშირის კანონმდებლობასთან.

კანონის ახალი რედაქციით ზუსტად არის განსაზღვრული კონცენტრაციის არსი და ევროკავშირის მსგავსად, მე-11 მუხლის პირველი ნაწილით დადგენილია კონცენტრაციის სამი ძირითადი შემთხვევა:

პირველი, როდესაც ხდება ორი ან მეტი დამოუკიდებელი ეკონომიკური აგენტის შერწყმა, რის შედეგადაც ერთი ეკონომიკური აგენტი წარმოიქმნება;

მეორე, როდესაც ფასიანი ქაღალდების ან წილის შეძენით, ხელშეკრულებებით ან სხვა საშუალებებით ერთ ან რამდენიმე ეკონომიკურ აგენტზე პირდაპირი ან ირიბი, სრული ან ნაწილობრივი კონტროლის მოპოვება ხდება სხვა ერთი ან რამდენიმე ეკონომიკური აგენტის მიერ ან სხვა ისეთი ერთი ან რამდენიმე პირის მიერ, რომელიც არ არის მიჩნეული ეკონომიკურ აგენტად და რომელიც უკვე აკონტროლებს სულ მცირე ერთ ეკონომიკურ აგენტს;

მესამე, როდესაც ხდება ერთობლივი საწარმოს შექმნა, რომელმაც ხანგრძლივად უნდა შეასრულოს დამოუკიდებელი ეკონომიკური აგენტის ყველა ფუნქცია.

ისევე როგორც ევროკავშირში, საქართველოს კანონის მიხედვითაც კონცენტრაციის არსებობისათვის მნიშვნელოვანია იმის დადგენა, თუ რამდენად ხდება გარიგების შედეგად ერთი ეკონომიკური აგენტის მიერ კონტროლის მოპოვება, რაც იძლევა ერთი ეკონომიკური აგენტის მეორეზე არსებითი ზეგავლენის მოხდენის შესაძლებლობას. ეს უკანასკნელი კი შეიძლება სხვადასხვა ხერხით იქნეს განხორციელებული. კერძოდ:

1) ეკონომიკური აგენტის წილის ფლობით, ამ წილის ან/და მისი აქტივების სრულად ან ნაწილობრივ გამოყენების უფლებით;

2) უფლებით (ხელშეკრულებით გათვალისწინებული უფლება და სხვა), რომელიც იძლევა ეკონომიკური აგენტის მმართველი ორგანოების შემადგენლობაზე, ხმის უფლებასა და გადაწყვეტილებაზე არსებითი გავლენის მოხდენის შესაძლებლობას.

შესაბამისად, კონცენტრაციის ევროპულ დეფინიციას სრულად იზიარებს „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონი. თუმცა, ასაკრძალი კონცენტრაციების ნაწილში კანონის ტექსტი მნიშვნელოვნად განსხვავდება ევროკავშირის კონცენტრაციების მარეგულირებელი ნორმებისაგან. კერძოდ, კანონის მე-11 მუხლის მესამე პუნქტით კონცენტრაცია თავსებადია კონკურენტულ გარემოსთან, „თუ ის არსებითად არ ზღუდავს ეფექტიან კონკურენციას საქართველოს ან მისი ნაწილის სასაქონლო ან მომსახურების ბაზარზე“. მეოთხე პუნქტით კი „კონცენტრაცია, რომელიც არსებითად ზღუდავს ეფექტიან კონკურენციას საქართველოს ან მისი ნაწილის სასაქონლო ან მომსახურების ბაზარზე, დაუშვებელია“. აღნიშნული მუხლის მეექვსე პუნქტი კი უკვე ევროკავშირისაგან განსხვავებულ ჩანაწერს შეიცავს. კერძოდ, „თუ კონცენტრაცია წარმოქმნის ან აძლიერებს დომინანტურ მდგომარეობას, ივარაუდება, რომ ასეთი კონცენტრაცია არსებითად ზღუდავს ეფექტიან კონკურენციას საქართველოს ან მისი ნაწილის სასაქონლო ან მომსახურების ბაზარზე, გარდა იმ

შემთხვევისა, როდესაც ეკონომიკური აგენტი საპირისპიროს დაასაბუთებს.“ ევროკავშირის #139/2004 შერწყმის რეგულაციის პირველი მუხლის მეორე და მესამე პუნქტების შესაბამისად, კონცენტრაცია, რომელიც მნიშვნელოვნად არ შეაფერხებს ეფექტურ კონკურენციას საერთო ბაზარზე ან მის მნიშვნელოვან ნაწილში, კერძოდ, დომინანტური პოზიციის შექმნის ან გაძლიერების შედეგად, უნდა გამოცხადდეს თავსებადად საერთო ბაზარზე. და პირიქით, კონცენტრაცია, რომელიც მნიშვნელოვნად შეაფერხებს ეფექტურ კონკურენციას საერთო ბაზარზე ან მის მნიშვნელოვან ნაწილში, კერძოდ, დომინანტური პოზიციის შექმნის ან გაძლიერების შედეგად, გამოცხადდება შეუთავსებელად საერთო ბაზართან. შესაბამისად, აღნიშნული დებულებები განსხვავებულად არეგულირებს კონცენტრაციების აკრძალვის საკითხს. ევროკავშირისეული მიდგომით პირდაპირ დაუშვებლად არის გამოცხადებული ის კონცენტრაციები, რომელთა შედეგად იქმნება ან ძლიერდება დომინანტი პოზიცია. „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-5 პუნქტის ჩანაწერით კი საქართველო უშვებს ისეთ კონცენტრაციებს (ჰიპოთეტურად მაინც), რომელთა შედეგად დომინანტი პოზიცია შეიძლება შეიქმნას ან გაძლიერდეს - თუკი ეკონომიური აგენტი დაასაბუთებს რომ ეს ეფექტურ კონკურენციას არსებითად არ ზღუდავს.

ევროკავშირის აღნიშნული რეგულაციის შესავალი ნაწილის მე-5 პუნქტი პირდაპირ ავალდებულებს ევროკავშირის წევრ სახელმწიფოებს, რომ გაერთიანების ნორმები უნდა შეიცავდეს ისეთ დებულებებს, რომელთა თანახმად უნდა აიკრძალოს კონცენტრაციები, რომლებმაც „**შეიძლება** მნიშვნელოვნად შეზღუდონ ეფექტური კონკურენცია გაერთიანების ბაზარზე ან მის არსებით ნაწილში“. აღნიშნული ჩანაწერის არსებობა ძალიან მნიშვნელოვანია კონცენტრაციების ეფექტური რეგულირებისათვის. კერძოდ, განსხვავებით კარტელებისა და დომინანტი

პოზიციის ბოროტად გამოყენების შემთხვევებისაგან, კონკურენციის ორგანოებს კონცენტრაციების შეფასება თავისი მოსალოდნელი ეფექტებით უზღუდავად წინასწარ, სანამ მათი იმპლემენტაცია მოხდება. შესაბამისად, მათ უწევთ იმის პროგნოზირება, რა შესაძლო შედეგები ექნება მოცემულ კონცენტრაციას. თუმცა, მათ არ შეუძლიათ ასპროცენტის სიზუსტით დაადგინონ, რა მოცულობით შესწევს უნარი შეტყობინებულ კონცენტრაციას მომავალში შეზღუდოს კონკურენცია. შესაბამისად, სიტყვები „შეიძლება მნიშვნელოვნად შეზღუდოს“ ქართულ კანონმდებლობაში არ არის გათვალისწინებული კონცენტრაციების რეგულირებასთან მიმართებაში და კარგი იქნება, თუ მსგავსი ჩანაწერი მომავალში გაჩნდება კანონის ტექსტში. ამასთან, აღნიშნულ ჩანაწერს შეიცავს ა.შ.შ.-ის ანტიტრესტული კანონმდებლობაც. კერძოდ, კლეიტონის აქტის მე-7 სექცია კრძალავს “შერწყმებს და შესყიდვებს, რომლებმაც შეიძლება მნიშვნელოვნად შეამცირონ კონკურენცია ან მიდრეკილნი არიან მონოპოლისის შექმნისაკენ.”

4.2 კონცენტრაციების მარეგულირებადი ნორმების ანალიზი

კონცენტრაციების მარეგულირებელი ნორმები ევროკავშირში მოცემულია ევროკავშირის #139/2004 რეგულაციაში³³ და ჰორიზონტალური და არაჰორიზონტალური შერწყმების გზამკვლევებში.³⁴

³³ Council Regulation (EC) No 139/2004 of 20 January 2004 on the control of concentrations between undertakings (the EC Merger Regulation), <https://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/ALL/?uri=celex%3A32004R0139>

კონცენტრაციების შესწავლისა და ანალიზის საკითხს საქართველოში არეგულირებს კონკურენციის შესახებ საქართველოს კანონის მე-11 – 11³ მუხლები და ბაზრის ანალიზის მეთოდური მითითებები, რომლის ახალი რედაქცია დამტკიცდა 2020 წელს კონკურენციის სააგენტოს თავმჯდომარის #37 ბრძანებით.³⁵ აღნიშნული გზამკვლევის მე-19-22-ე მუხლები ეხება კონცენტრაციის საკითხებს.

ევროკავშირის კანონმდებლობით, იმისთვის, რომ კონცენტრაციების დაშვება მოხდეს ბაზარზე და გამოცხადეს ის კონკურენტულ გარემოსთან თავსებადად, მას უნდა შედეგად მოსდევდეს მნიშვნელოვანი ეფექტურობები, რაც, შესაბამისად, მნიშვნელოვნად გადაწონის კომპანიების კონცენტრაციის უარყოფით შედეგებს. აღნიშნული ეფექტურობების და სარგებელის მტკიცების ტვირთი აწევთ კონცენტრაციაში მონაწილე ეკონომიკურ აგენტებს. კომისია ეფექტურობების შესწავლისას, მხედველობაში იღებს შემდეგ ფაქტორებს:

პირველი, ეფექტურობა უნდა იყოს არსებითი, დროული და მომხმარებლისათვის სარგებლის მომტანი. მაგალითად, დაბალი ფასი ან სხვა მნიშვნელოვანი ეფექტურობა. ცვლადი და მარგინალური ხარჯის შემცირება უფრო მეტად იწვევს ფასის შემცირებას, ვიდრე ფიქსირებული ხარჯების შემცირება. ასევე მნიშვნელოვან ეფექტურობას წარმოადგენს ახალი ან გაუმჯობესებული პროდუქტების წარმოდგენა ბაზარზე.

მეორე, ეფექტურობა უნდა იყოს კონკრეტული შერწყმის სპეციფიკური, ანუ ამ შერწყმის გარეშე მოცემული ეფექტურობის მიღება უნდა იყოს შეუძლებელი;

³⁵ [ბაზრის ანალიზის მეთოდური მითითებების დამტკიცების თაობაზე სსიპ "საქართველოს საკანონმდებლო მაცნე" \(matsne.gov.ge\)](#)

მესამე, ეფექტურობა უნდა იყოს შემოწმებადი ისე, რომ კომისია გონივრულად უნდა დარწმუნდეს, რომ მოცემული ეფექტურობა, სავარაუდოდ, მატერიალიზირდება და საკმარისად გადაწონის იმ პოტენციურ ზიანს, რაც შერწყმას მოსდევს.

გარდა ამისა, ევროპული რეგულაციებით, როგორც ჰორიზონტალური, ასევე ვერტიკალური კონცენტრაციების ანალიზისას აუცილებელია შემდეგი ფაქტორების შეფასება:

პირველი, კონცენტრაციის შემდეგ რამდენად მოსალოდნელია **არაკოორდინირებული ეფექტები**. ამ კუთხით ფასდება შემდეგი გარემოებები: აქვთ თუ არა კონცენტრაციის მონაწილეებს დიდი საბაზრო წილი; კონცენტრაციის მონაწილეები უშუალო კონკურენტები არიან თუ არა; აქვთ თუ არა კლიენტებს შეზღუდული სხვა მომწოდებელზე გადართვის შესაძლებლობა; რამდენად მოსალოდნელია, რომ კონკურენტები გაზრდიან მიწოდებას, თუ ფასები გაიზრდება; გაერთიანებულ კომპანიას შეუძლია თუ არა შეაფერხოს კონკურენტების გაფართოება; შერწყმა თავიდან იცილებს თუ არა მნიშვნელოვან კონკურენტულ ძალას;

მეორე, რამდენად მოსალოდნელია კონცენტრაციის შემდეგ **კოორდინირებული ეფექტები** ბაზარზე. მაგალითად, რამდენად გამარტივდება კოორდინირებული პირობების მიღწევა კონცენტრაციის შემდეგ; თუ შესაძლებელია შეთანხმებული მოქმედებების დარღვევის გამოვლენის მონიტორინგი, არსებობს თუ არა შემაკავებელი მექანიზმი; როგორი იქნება აუტსაიდერების რეაქციები; ხდება თუ არა შერწყმა პოტენციურ კონკურენტთან; ქმნის ან აძლიერებს თუ არა შერწყმა შემსყიდველის ძალაუფლებას ზედა ბაზარზე.

გარდა ამ საკითხებისა, ბუნებრივია, კომისიისთვის მნიშვნელოვანია საბაზრო ძალაუფლების, შესაბამის ბაზარზე წილებისა და კონცენტრაციის დონის დადგენა.

რაც შეეხება საქართველო კონკურენციის ეროვნული სააგენტოს მიერ 2020 წელს მიღებულ ბაზრის ანალიზის მეთოდურ მითითებებს, მისი მე-19 მუხლი ეხება შესაბამის ბაზარზე კონცენტრაციის დადგენის საკითხს, რომელიც წარმოადგენს ბაზრის ხარისხობრივ მახასიათებელს და აფასებს ეკონომიკური აგენტების წილების ურთიერთ თანაფარდობასა და მათი განაწილების სიმჭიდროვეს ბაზარზე. აღნიშნული მუხლის მეორე პუნქტის შესაბამისად, კონცენტრაციის დონის დასადგენად გამოიყენება ჰერფინდალ-ჰირშმანის ინდექსი (HHI). მესამე პუნქტის შესაბამისად კი, კონცენტრაციის დონის მიხედვით, ჰერფინდალ-ჰირშმანის ინდექსის საფუძველზე, შესაბამისი ბაზარი შეიძლება იყოს: დაბალ კონცენტრირებული, ზომიერად კონცენტრირებული ან მაღალ კონცენტრირებული. კერძოდ, დაბალ კონცენტრირებულია თუ HHI არ არის 1250-ზე მეტი; ზომიერად კონცენტრირებულია თუ HHI არის 1250-დან 2250-მდე და მაღალ კონცენტრირებულია თუ HHI არის 2250 ნიშნულზე მეტი. ამავ მუხლის მეოთხე პუნქტის შესაბამისად, სააგენტოს შეუძლია ბაზრის შეფასებისას გამოიყენოს პრაქტიკაში ფართოდ გამოყენებადი სხვა ანალოგიური ინდექსები/-კოეფიციენტები.

ბაზრის ანალიზის მეთოდური მითითებების მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, კონკურენციის სააგენტო, იმის დასადგენად, კონცენტრაცია ზღუდავს თუ არა ეფექტიან კონკურენციას, აფასებს ბაზრის შედეგიანობას, როგორც საბაზრო სტრუქტურისა და ეკონომიკურ აგენტთა საბაზრო ქცევის შედეგს, შემდეგი სახის ინდიკატორების საფუძველზე:

- ა) ბაზრის სტრუქტურა;
- ბ) ფასების სიმცირე;
- გ) მოგების სიდიდე;

- დ) მიღებული პროდუქციის ხარისხი;
- ე) წარმოებისა და გაყიდვის ხარჯების შემცირება;
- ვ) ტექნიკური პროგრესი;

გარდა ამ ინდიკატორებისა, სააგენტოს საჭიროების შემთხვევაში შეუძლია სხვა ინდიკატორებიც გამოიყენოს.

ჰორიზონტალური კონცენტრაციების შესწავლის საკითხს ეხება ბაზრის ანალიზის მეთოდური მითითებების 21-ე მუხლი. მისი პირველი პუნქტის შესაბამისად, კონკურენტულ გარემოსთან თავსებადია ისეთი კონცენტრაცია, რომლის შედეგად კონცენტრაციაში მონაწილე ეკონომიკური აგენტების ერთობლივი საბაზრო წილი შესაბამის ბაზარზე არ აღემატება 25 პროცენტს. ასეთი კონცენტრაცია ვერ შეზღუდავს ეფექტიან კონკურენციას არსებითად. ასეთივე 25 პროცენტისანი ე.წ. „უსაფრთხო თავ-შესაფარი“ მოცემულია ევროკავშირის შერწყმის რეგულაციის 32-ე პუნქტში. უსაფრთხო თავშესაფარი ასევე გათვალისწინებულია ჰერშფინდალ ჰირშმანის ინდექსის მონაცემებზე დაყრდნობითაც. კერძოდ, ბაზრის ანალიზის მეთოდური მითითებების 21-ე მუხლის მეორე პუნქტის მიხედვით, თუ კონცენტრაციის შემდეგ HHI არ აღემატება 1250-ს, ასეთი კონცენტრაცია არ იწვევს ეფექტიანი კონკურენციის არსებით შეზღუდვას და დასაშვებია. საინტერესოა ასევე ამავე მუხლის მესამე პუნქტი, რომლის მიხედვითაც თუ კონცენტრაციის შემდეგ შესაბამის ბაზარზე HHI არის 1250-დან 2250-მდე და მისი ცვლილება არ აღემატება 250 ერთეულს ან HHI მეტია 2250-ზე და მისი ცვლილება ნაკლებია 150 ერთეულზე, მაშინ ასეთი კონცენტრაციები დასაშვებია, თუ არ არსებობს რომელიმე ქვემოთ ჩამოთვლილი განსაკუთრებული გარემოება. კერძოდ:

ა) კონცენტრაციაში მონაწილეობს პოტენციური კონკურენტი ან ბაზრის მცირე წილის მქონე ეკონომიკური აგენტი, რომელიც კონცენტრაციამდე ცოტა ხნით ადრე შემოვიდა ბაზარზე;

ბ) კონცენტრაციაში მონაწილე ეკონომიკურ აგენტთა ინოვაციური პოტენციალი კონცენტრაციის მომენტისათვის მოცემული ბაზრის სტრუქტურაში ასახული არ არის;

გ) სახეზეა ბაზრის მონაწილე სუბიექტებს შორის ჯვარედინი თანამონაწილეობა, რაც გულისხმობს ერთმანეთის წილების ფლობას და ხელმძღვანელი პირების მიმოცვლას;

დ) კონცენტრაციაში მონაწილე ერთ-ერთი ეკონომიკური აგენტის საბაზრო წილი მინიმუმ 50%-ია;

ე) სახეზეა ბაზრის მონაწილეთა შორის წარსულში არსებული არაერთჯერადი ხასიათის შეთანხმებული მოქმედებების ან სხვა ურთიერთხელშეწყობის ნიშნები;

ვ) კონცენტრაციაში მონაწილეობს ეკონომიკური აგენტი, რომელსაც აქვს რეალური შესაძლებლობა, არსებითად შეცვალოს ბაზრის არსებული სტრუქტურა.

სააგენტოს ასევე შეუძლია მიიჩნიოს არსებითად სხვა ისეთი გარემოებაც, რომელიც მიუთითებს იმაზე, რომ კონცენტრაცია შეიძლება იწვევდეს ეფექტიანი კონკურენციის არსებით შეზღუდვას.

ბაზრის ანალიზის მეთოდური მითითებების 22-ე მუხლი ეხება არა-ჰორიზონტალური კონცენტრაციების საკითხს, რომელიც მოიცავს როგორც ვერტიკალურ კონცენტრაციებს, ასევე კონგლომერატულ შერწყმებს. ქართული რეგულაციებით, არა-ჰორიზონტალური შერწყმა არ წარმოადგენს პრობლემურს, თუ კონ-

ცენტრაციის შედეგად შექმნილი ეკონომიკური აგენტი შერწყმისთვის გაცხადებულ თითოეულ შესაბამის ბაზარზე არ მოიპოვებს 30%-ზე მეტ საბაზრო წილს და თითოეულ ასეთ ბაზარზე ჰერფინდალ ჰირშმანის ინდექსი ნაკლებია 2250-ზე, გარდა ისეთი შემთხვევებისა, როდესაც არსებობს ქვემოთ ჩამოთვლილი რომელიმე გარემოება. ეს ჩამონათვალი თანხვედრაშია ევროკავშირის რეგულაციებთან. კერძოდ, ესენია:

ა) საბაზრო ძალის ან ინოვაციური პოტენციალის გამო მოსალოდნელია კონცენტრაციაში მონაწილე ეკონომიკურ აგენტთა წილის მნიშვნელოვანი ზრდა;

ბ) ბაზრის მონაწილეთა შორის არსებობს მნიშვნელოვანი ჯვარედინი თანამონაწილეობა, რაც გულისხმობს ბაზრის მონაწილე ეკონომიკური აგენტების მიერ ერთმანეთის წილების ფლობას, ასევე, ხელმძღვანელი პირების მიმოცვლას;

გ) სახეზეა ბაზრის მონაწილეთა შორის წარსულში არსებული არაერთჯერადი ხასიათის შეთანხმებული მოქმედებების ან სხვა ურთიერთხელშეწყობის ნიშნები;

დ) კონცენტრაციაში მონაწილეობს ეკონომიკური აგენტი, რომელსაც აქვს რეალური შესაძლებლობა, არსებითად შეცვალოს ბაზრის არსებული სტრუქტურა;

ე) სხვა ისეთი მოცემულობა ბაზარზე, რომლის არსებობა, მიუხედავად საბაზრო სტრუქტურისა და ეკონომიკურ აგენტთა წილების მაჩვენებლებისა, მიუთითებს იმაზე, რომ კონცენტრაცია შეიძლება იწვევდეს ეფექტიანი კონკურენციის არსებით შეზღუდვას.

ქართული კანონმდებლობით განსაზღვრული HHI მაჩვენებლები აშკარად არაა თანხვედრაში ევროკავშირის ჰორიზონ-

ტალური და ვერტიკალური შერწყმების გზამკვლევეებში³⁶ მოცემულ მაჩვენებლებთან. ევროკავშირის გზამკვლევი ბევრად ნაკლებ ციფრებს შეიცავს ვიდრე ქართული კანონმდებლობა. კერძოდ, ევროკავშირის ჰორიზონტალური შერწყმების გზამკვლევის მე-19 და მე-20 პარაგრაფების შესაბამისად, კომისია ჰორიზონტალურ კონცენტრაციებში ვერ ხედავს პრობლემას, თუ შესაბამის ბაზარზე შერწყმის შედეგად HHI არ აღემატება 1000. კომისია ასევე თვლის, რომ ჰორიზონტალურ კონცენტრაციებში არ იქნება რაიმე პრობლემა, როდესაც შერწყმის მერე HHI იქნება 1000 და 2000 შორის და ზრდა არ მოხდება 250 ერთეულით. ასევე იმ შემთხვევაშიც, როდესაც შერწყმის შემდეგ HHI 2000-ზე მაღალია და მისი ზრდა არ მოხდა 150 მეტად, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც სახეზეა ზემოთ ჩამოთვლილი ა-ვ პუნქტებში არსებული გარემოებები. არაჰორიზონტალური შერწყმების შემთხვევაში კი ევროკავშირის შესაბამისი გზამკვლევი სახიფათო ზედა ზღვარს, მსგავსად ქართული კანონმდებლობისა, შესაბამის ბაზარებზე 30% მეტს მიიჩნევს. თუმცა, ქართული კანონმდებლობისაგან განსხვავებით (რომელშიც მოცემულია HHI 2250-მდე), ევროკავშირში ასეთი უსაფრთხო თავშესაფარი მხოლოდ HHI 2000-მდეა დაშვებული. შესაბამისად, მიუხედავად იმისა, რომ ა-ვ ქვეპუნქტებში არსებული ჩამონათვალი თანხვედრაშია ევროკავშირის ნორმებთან, HHI მონაცემები აშკარად საკმაოდ განსხვავებულია, რაც შესაძლებლობას აძლევს საქართველოში კონკურენციის ეროვნულ სააგენტოს ეფექტიანი კონკურენციისათვის საფრთხის შემცველი კონცენტრაციები კონკურენტულ გარემოსთან თავსებადად გამოაცხადოს.

³⁶ [https://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/PDF/?uri=CELEX:52004XC0205\(02\)&from=EN](https://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/PDF/?uri=CELEX:52004XC0205(02)&from=EN)
[https://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/PDF/?uri=CELEX:52008XC1018\(03\)&from=EN](https://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/PDF/?uri=CELEX:52008XC1018(03)&from=EN) [02.12.2022].

ბაზრის ანალიზის მეთოდური მითითებების 23-ე მუხლი საკმაოდ ვრცლად მიმოიხილავს ბაზარზე შესასვლელი ბარიერების საკითხს. ამ საკითხს ევროკავშირის კონკურენციის ორგანოც მნიშვნელოვან ყურადღებას აქცევს, ისევე, როგორც შემსყიდველის ძალაუფლების საკითხს.

ასევე აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ სააგენტოსათვის წინასწარი შეტყობინების ვალდებულებისაგან თავისუფლდება ისეთი კონცენტრაციები, რომლებიც:

1. კონცენტრაცია არის გადახდისუუნარობის შედეგი და ხორციელდება „რეაბილიტაციისა და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული პროცედურების შესაბამისად, აგრეთვე ლიკვიდაციის პროცესში, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ამ პროცესში კონტროლს მოიპოვებს ვალაუვალი საწარმოს კონკურენტი საწარმო ან ის ჯგუფი, რომელსაც ვალაუვალი საწარმოს კონკურენტები მიეკუთვნებიან;
2. კონტროლი მოიპოვება დროებით, იმ პირობით, რომ არ იქნება გამოყენებული წილის ფლობით მოპოვებული უფლებები (მათ შორის, ხმის უფლება), გარდა ინფორმაციის მიღების, წილის/აქციების გაყიდვისა და დივიდენდის მიღების უფლებებისა და სესხის უზრუნველყოფის შემთხვევაში საკუთრებაში მიღების უფლებისა;
3. კონცენტრაცია ეხება ურთიერთდამოკიდებულ პირებს.

აღნიშნული სამი გამონაკლისი შემთხვევა სრულ თანხვედრაშია ევროპულ რეგულაციასთან.

4.3 კონცენტრაციების რეგულირებაში სიახლეები

2014 წლის ცვლილებებით „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონით დადგინდა კონცენტრაციაში მონაწილე ეკონომიკური აგენტების ვალდებულება კონკურენციის ეროვნული სააგენტოსთვის ეცნობებინათ წინასწარ, დაგეგმილი კონცენტრაციის შესახებ. თუმცა, ჯარიმები ამ ვალდებულების შეუსრულებლობისათვის მხოლოდ 2020 წლის ცვლილებებით განისაზღვრა. ამავე ცვლილებებით, ეკონომიკურ აგენტებს ასევე დაევალიათ შეტყობინების შემდეგ დალოდებოდნენ სააგენტოს გადაწყვეტილებას და შეესრულებინათ სააგენტოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება. აღნიშნული ვალდებულებების შეუსრულებლობისათვის სააგენტოს უფლება მიეცა დააჯარიმოს ეკონომიკური აგენტები წინა წლის ბრუნვის 5%-მდე, მსგავსად კარტელებისა და დომინანტი პოზიციის ბოროტად გამოყენების შემთხვევისა. გარდა ამისა, სააგენტოს მიეცა უფლება მიმართოს სასამართლოს მისი გვერდის ავლით განხორციელებული კონცენტრაციის გარიგების ბათილად ცნობისათვის.

2020 წლის ცვლილებების შესაბამისად, სააგენტოს კონცენტრაციის შესწავლისათვის მიეცა საწყისი პერიოდი 25 სამუშაო დღის ვადით, თუმცა მას, საქმის სირთულიდან გამომდინარე, დამატებით 90 კალენდარული დღე აქვს საჭიროების შემთხვევაში კონცენტრაციის სრულყოფილად შესასწავლად. მანამდე მას ჰქონდა 1 თვე და დამატებით კიდევ შეეძლო 2 კვირით გაეხანგრძლივებინა შესწავლის ვადა. დადგენილ ვადაში პასუხის გაუცემლობა კი დადებით პასუხად ჩაითვლებოდა. 2020 წლის ცვლილებებით, სააგენტოს უკვე აქვს უფლება კონცენტრაციის შესწავლისას ეკონომიკურ აგენტებს მოსთხოვოს შესაბამისი ინფორმაციის წარმოდგენა და თუ არ შეასრულებენ ამ ვალდებულებას, დააჯარიმოს ისინი. კერძოდ, კანონის 32-ე

მუხლის შესაბამისად, სააგენტოს მიერ მოთხოვნილი ინფორმაციის მის მიერვე განსაზღვრულ ვადაში მიუწოდებლობის ან სააგენტოსთვის არასწორი ან არასრული ინფორმაციის მიწოდების შემთხვევაში იურიდიულ პირს შეიძლება დაეკისროს ჯარიმა 3 000 ლარის ოდენობით, ხოლო ფიზიკურ პირს – 1 000 ლარის ოდენობით. ხელახლა განსაზღვრულ ვადაში ინფორმაციის მიუწოდებლობის შემთხვევაში, იურიდიულ პირს შეიძლება დაეკისროს ჯარიმა 5 000 ლარის ოდენობით, ფიზიკურ პირს - სამი ათასი ლარის ოდენობით. ჯარიმის დაკისრება პირს არ ათავისუფლებს სააგენტოსთვის ინფორმაციის მიწოდების ვალდებულებისგან. სააგენტოს შეუძლია მიმართოს სასამართლოს შუამდგომლობით შესაბამისი უფლებამოსილების განხორციელების პროცესში ეკონომიკური აგენტისგან ინფორმაციის/-დოკუმენტაციის გამოთხოვის შესახებ. მანამდე ამ უფლებამოსილებით კონკურენციის სააგენტო ვერ სარგებლობდა. შესაბამისად, კონცენტრაციის შესწავლის პროცესში ის ეკონომიკური აგენტები, რომლებიც არ მონაწილეობდნენ კონცენტრაციაში, არ იყვნენ ვალდებული მიეწოდებინათ მოთხოვნილი ინფორმაცია და მათ მიმართ სააგენტოს იძულების და დაჯარიმების უფლებამოსილება არ ჰქონდა. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ აღნიშნული ოდენობის ჯარიმები ძალიან დაბალია ევროკავშირის ნორმებით დადგენილი ჯარიმების ოდენობასთან შედარებით, სადაც იძულების მექანიზმი ძლიერია, რადგან კომისიას ამ შემთხვევაში შეუძლია პერიოდული ჯარიმები დაუწესოს, რომელიც დღიური ბრუნვიდან იანგარიშება.

2020 წლის ცვლილებებით, სააგენტოს შეუძლია კონცენტრაციაში მონაწილე ეკონომიკურ აგენტებს ქცევითი და სტრუქტურული ღონისძიებები დაუწესოს, რომელიც ჯერ არ გამოუყენებია. აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ სააგენტოს შეუძლია იძულების მექანიზმი გამოიყენოს ეკონომიკური აგენტების მიმართ, თუ ისინი არ შეასრულებენ სტრუქტურულ ან ქცევით

ვალდებულებებს და მათ დააკისროს ყოველდღიურად დღიური საშუალო ბრუნვის 5%-მდე ჯარიმა, სანამ ისინი ნაკისრ ვალდებულებებს არ შეასრულებენ.

გარდა ამისა, მნიშვნელოვანია იმის აღნიშვნაც, რომ თუ 2020 წლის ცვლილებამდე შეტყობინებული კონცენტრაციის შესწავლა ხდებოდა საფასურის გადახდის გარეშე, ცვლილებების შემდეგ დადგინა საფასური, რომელიც შეადგენს 5000 ლარს.

უნდა აღინიშნოს კიდევ ერთი სიახლე, რაც იმაში მდგომარეობს, რომ კონცენტრაციის განხილვის დაწყებისას, სააგენტო თავის ვებგვერდზე დებს წარმოებაში მიღებული კონცენტრაციის შესახებ ინფორმაციას და დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ გაეცნონ და წარადგინონ საკუთარი მოსაზრებები მიმდინარე კონცენტრაციებზე.

4.4 კონცენტრაციის საკითხზე სააგენტოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებების ანალიზი

საინტერესოა იმის ცოდნა, თუ რამდენად დეტალურად და სრულყოფილად ახორციელებს კონკურენციის სააგენტო ბაზრის ანალიზის მეთოდური მითითებების მე-19-23 მუხლებში მოცემული დებულებების დეტალურ ანალიზს თითოეულ საქმეზე.

2020 წლის ცვლილებებით ნამდვილად მოხდა კონცენტრაციის მეტად ეფექტური რეგულირებისათვის სამართლებრივი მექანიზმების დანერგვა, ვიდრე ეს 2020 წლამდე იყო. თუმცა, საინტერესოა იმის დადგენა, თუ რამდენად აღასრულებს ამ ნორმებს სააგენტო და რამდენად სრულყოფილად ახორციელებს დაკის-

რებულ მოვალეობებს კონცენტრაციების ეფექტიანი რეგულირების კუთხით, რის ვალდებულებაც სააგენტოს აქვს ასოცირების შესახებ შეთანხმების 204-ე მუხლის შესაბამისად.

2022 წლის 30 ნოემბრის მდგომარეობით, როგორც საქართველოს კონკურენციის ეროვნული სააგენტოს ვებგვერდიდან ჩანს, მას განხილული აქვს 23 საქმე.³⁷ აქედან 9 საქმე განიხილა 2020 წლის ცვლილებების ძალაში შესვლის შემდეგ, ხოლო დანარჩენი 14 საქმე კი - 2015 წლიდან 2020 წლის ჩათვლით. სტატისტიკას რომ გადავხედოთ, 2015 წელს სააგენტომ განიხილა 2 საქმე, 2016 წელს - 3 საქმე, 2017 წელს - 2 საქმე, 2018 წელს - 2 საქმე, 2019 წელს 4 საქმე, 2020 წელს - 1 საქმე, 2021 წელს - 3 საქმე, 2022 წლის დასაწყისიდან 1 დეკემბრამდე კი შეისწავლა - 6 კონცენტრაციის შემთხვევა. უფლებამოსილების გაფართოვების შემდეგ კონკურენციის სააგენტომ მე-17 ("ჯეოფაიფის" და "სიბელის" საქმე),³⁸ მე-19 ("ანაგის" და "ჯი თი სი თრეიდიზის" საქმე)³⁹ და მე-20 ("ევროპის უნივერსიტეტის" და "ჯო ენის სამედიცინო ცენტრის" საქმე)⁴⁰ საქმეებზე დაადგინა, რომ ეკონომიკურმა აგენტებმა სააგენტოს გვერდის ავლით განახორციელეს კონცენტრაცია და ისინი ადმინისტრაციული წესით დააჯარიმა „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის 33-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად. ამასთან, სააგენტომ დაჯარიმების შემდეგ მოსთხოვა მათ აღნიშნული კონცენტრაციის შესახებ შეტყობინების წარდგენა, რათა ამ უკანასკნელს დაედგინა, რამდენად კონკურენტულ გარემოსთან თავსებადია ეს კონცენტრაციები.

აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ აღნიშნული 23 საქმიდან, სააგენტომ ყველა კონცენტრაცია დასაშვებად ცნო მიუხედავად

³⁷ <https://gnca.gov.ge/decisions/concentration-control> [30.11.2022].

³⁸ https://gnca.gov.ge/uploads_script/decisions/tmp/phpVsWv17.pdf [01.09.2023].

³⁹ https://gnca.gov.ge/uploads_script/decisions/tmp/phpk4aMbR.pdf [01.09.2023].

⁴⁰ <https://gnca.gov.ge/index.php?m=356> [01.09.2023].

იმისა, რომ გარკვეული ფაქტორები აჩენდა შესაბამის ბაზარზე ეფექტური კონკურენციის არსებითი შეზღუდვის ეჭვს. სამ საქმეზე კონცენტრაციის მხარეებს ვალდებულებებიც დააკისრა, თუმცა ეს არ იყო სტრუქტურული ან ქცევითი ვალდებულებები. ისინი უბრალოდ დაავალდებულა ყოველწლიურად მიეწოდებინათ ინფორმაცია მათ მიერ დადებულ მნიშვნელოვან ტრანზაქციებზე.

სექტორების მიხედვით თუ დავყოფთ საქმეებს, ყველაზე მეტი, 3-3 კონცენტრაცია მოხდა სამედიცინო მომსახურების ბაზარზე, ასევე ზოგადი განათლების და ტექნიკის ბაზრებზე. შემდეგ მოყვებიან 2-2 კონცენტრაციით უმაღლესი სამედიცინო განათლების ბაზარი, ფარმაცევტული, სამშენებლო მასალების, ნავთობპროდუქტების და ცემენტის ბაზრები. ორი კონცენტრაცია დაფიქსირდა წასახემსებელი-საკვები პროდუქტების ბაზარზეც. თითო-თითო კონცენტრაციას ჰქონდა ადგილი გათბობის ქვაბების-წყალგაყვანილობის ბაზარზე და ავტონაწილების ბაზარზე.

23 საქმიდან 17 საქმეზე დაფიქსირდა წილების და აქციების შეძენა. ყველაზე მცირე იყო 40% წილის შესყიდვა, ყველაზე დიდი რაოდენობით კი 100% წილის შეძენას ჰქონდა ადგილი. 2 კონცენტრაცია განხორციელდა ერთობლივი საწარმოს დაფუძნებით (№3 ("ალტას" და "ევროტექნიკს ჯორჯიას" საქმე)⁴¹ და №9 ("ამერიტექის" და "სმაილის" საქმე)⁴² საქმეები). ორ შემთხვევაში ადგილი ჰქონდა კონცენტრაციას ბენზინგასამართი სადგურების 10 წლიანი იჯარით აღების შედეგად. ერთი კონცენტრაცია

⁴¹https://gnca.gov.ge/uploads_script/decisions/tmp/3961725277754613b260dd7ce794ab6e.pdf [01.09.2023].

⁴²https://gnca.gov.ge/uploads_script/decisions/tmp/b1b2252624284e05a713f545566d16b6.pdf [01.09.2023].

განხორციელდა საოპერაციო აქტივების შეძენით. მეოცე საქმეზე კი ა(ა)იპ-ის დამფუძნებლად დაფიქსირდა შპს.

რაც შეეხება სააგენტოს მიერ სხვადასხვა გარემოებების დადგენის და შესწავლის საკითხს, რაც მის მიერ ბაზრის ანალიზის მეთოდური მითითებების მე-19-22-ე მუხლებით მოცემული გარემოებების ანალიზს მოიცავს, უნდა აღინიშნოს, რომ სააგენტო ძირითადად ეყრდნობა HHI მონაცემებს. სხვა კრიტერიუმებს ის იყენებს 23-დან მხოლოდ 6 საქმეში: ბაზარზე შესვლის ბარიერების საკითხს ის მოიხსენიებს მესამე საქმეში და ჩამოთვლის მის სახეებს. მეხუთე საქმეში იხილავს წარსულში შეთანხმებულ მოქმედებებს ("ჯიპისის" და "ეი-ბი-სი ფარმაციის" საქმე)⁴³ და ადგენს, რომ შესაბამის ბაზარზე მათ ადგილი არ ჰქონიათ. მე-6 საქმეში ("ცემენტ ინვესტ ბი.ვის" და "ჰაიდელბერგ ცემენტის" საქმე)⁴⁴ სააგენტოს მოხსენიებული აქვს 25 და 30 პროცენტის ბაზრის წილები, როგორც უსაფრთხო თავშესაფრები ჰორიზონტალურ და ვერტიკალურ კონცენტრაციებში. ასევე ამ გადაწყვეტილებაში ნახსენები აქვს ბაზრის ანალიზის მეთოდური მითითებების მე-20 მუხლი - კონკურენტულ გარემოსთან კონცენტრაციის თავსებადობის შეფასება. „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონი მოხსენიებული აქვს როგორც ბარიერი მე-8 საქმეში ("მედკაპიტალის" და "მედისონ ჰოლდინგის" საქმე),⁴⁵ რომელიც მედკაპიტალისა და მედისონის კონცენტრაციას ეხება. ამ საქმეში ასევე მოხსენიებულია 25 და 30 პროცენტის წილები, როგორც ე.წ. „უსაფრთხო თავშესაფარი“ და ასევე მე-20 მუხლიც. მე-9 საქმეშიც ("ამერიტექის" და

⁴³ <https://gnca.gov.ge/index.php?m=356> [01.09.2023]

⁴⁴ https://gnca.gov.ge/uploads_script/decisions/tmp/db725973c937446a9e3cbf3566e895ab.pdf [01.09.2023]

⁴⁵ https://gnca.gov.ge/uploads_script/decisions/tmp/1599afd6223d41eb9e14c5c4d8eda85f.pdf [01.09.2023]

"სმაილის" საქმე)⁴⁶ მოხსენიებულია აღნიშნული პროცენტები და მუხლიც თავისი შინაარსით. HHI-ით შეფასებას აღარ აქვს ადგილი მე-19 საქმეში ("ანაგის" და "ჯი თი სი თრედიდინგის" საქმე).⁴⁷ დანარჩენ 17 საქმეში განხილვა საკმაოდ ზერელეა - არც აღნიშნული პროცენტებია საერთოდ მოხსენიებული და არც რომელიმე რელევანტური მუხლი ბაზრის ანალიზის მეთოდური მითითებებიდან (საუბარია 19-22 მუხლებზე), ისევე როგორც ბარიერების საკითხიც და ზოგადადაც ეს საქმეები საკმაოდ ზერელედაა განხილული.

მიუხედავად იმისა, რომ სააგენტომ ყველა შეტყობინებული და განხილული კონცენტრაცია უპირობოდ ცნო თავსებადად კონკურენტულ გარემოსთან, რამდენიმე საქმეზე აშკარად სადავო გადაწყვეტილებას მიღებული. მაგალითად, სააგენტოს შეფასებით პირველ საქმეზე ("ჰაიდელბერგბეტონ ჯორჯიას" და "თბილცემენტ გრუპის" საქმე)⁴⁸ კონცენტრაციაში მონაწილე ეკონომიკური აგენტების საერთო საბაზრო წილი 28,7 პროცენტამდე იყო და მიუხედავად იმისა რომ ის აღემატება ე.წ. „უსაფრთხო თავშესაფარს“, რომელიც 25%-მდეა, სააგენტომ მაინც დასაშვებად ცნო ასეთი კონცენტრაცია; მეორე საქმეში ("სამედიცინო კორპორაცია ევექსის" და "გნ კოს" საქმე)⁴⁹ ნეიროქირურგიის მომსახურების ბაზარზე HHI იყო 2780, ხოლო ქირურგიაში კი კონცენტრაციის მხარეთა საერთო საბაზრო წილი 26,50 პროცენტს შეადგენდა. ამ შემთხვევაშიც საბაზრო

⁴⁶https://gnca.gov.ge/uploads_script/decisions/tmp/b1b2252624284e05a713f545566d16b6.pdf [01.09.2023]

⁴⁷ https://gnca.gov.ge/uploads_script/decisions/tmp/phpk4aMbR.pdf [01.09.2023].

⁴⁸https://gnca.gov.ge/uploads_script/decisions/tmp/9b0ff5bd99764de596ada057bb5b950d.pdf [01.09.2023]

⁴⁹https://gnca.gov.ge/uploads_script/decisions/tmp/13b288e681a749ffa66241515cf7d27b.pdf [01.09.2023]

წილიც და HHI მონაცემებიც აღემატება ე.წ. „უსაფრთხო თავშესაფრის“ ზღვარს, თუმცა სააგენტომ მაინც მწვანე შუქი აუნთო ამ კონცენტრაციას; მესამე საქმეში ("ალტას" და "ევროტექნიკს ჯორჯიას" საქმე)⁵⁰ კი ელექტროტექნიკის უმსხვილესი იმპორტიორისა და დისტრიბუტორის კონცენტრაციის შესწავლისას დადგინდა, რომ ელექტროტექნიკის მონტაჟის ბაზარზე HHI იყო 7245, კონცენტრაციის მხარების ერთიანი საბაზრო წილი კი ამ ბაზარზე შეადგენდა 94,63%. მიუხედავად ამისა, კონცენტრაცია მაინც დასაშვებად იქნა მიჩნეული; მეხუთე საქმეზე ("ჯიპისის" და "ეი-ბი-სი ფარმაციის" საქმე)⁵¹ მიღებულ გადაწყვეტილებაში არ არის გათვალისწინებული ის გარემოება, რომ კონცენტრაციის მონაწილე ერთი მხარე შედარებით ახალი შემოსული იყო ბაზარზე. ასევე არაა შესწავლილი ის ფაქტორიც, რომ ის იყო მავერიკი ფირმა, რომელმაც ბაზარზე შემოსვლის შემდეგ მნიშვნელოვნად გააუმჯობესა კონკურენტული გარემო მედიკამენტების ბაზარზე. აღნიშნული საკითხები გათვალისწინებულია ბაზრის ანალიზის მეთოდური მითითებების 21.3.ა. და 21.3.ვ. მუხლებში. თუმცა, საქმეში კონკურენციის სააგენტო ამბობს მხოლოდ იმას, რომ კონცენტრაციების მხარეებს შორის არ ყოფილა წარსულში შეთანხმებული მოქმედებები, რაც გათვალისწინებულია ბაზრის ანალიზის მეთოდური მითითებების 21.3.ე მუხლში. შესაბამისად, ის გარემოებები, რომლებიც საჭიროებდა შეფასებას, არაა არც მოხსენიებული და არც შესწავლილი ამ საქმეში. გარდა ამისა, აღსანიშნავია ისიც, რომ მე-8 საქმეში ("მედკაპიტალის" და "მედისონ ჰოლდინგის" საქმე)⁵²

⁵⁰https://gnca.gov.ge/uploads_script/decisions/tmp/3961725277754613b260dd7ce794ab6e.pdf [01.09.2023]

⁵¹https://gnca.gov.ge/uploads_script/decisions/tmp/2038d90677404c3bb81047b7223ab5d2.pdf [01.09.2023]

⁵²https://gnca.gov.ge/uploads_script/decisions/tmp/1599afd6223d41eb9e14c5c4d8eda85f.pdf [01.09.2023]

ნახსენებია, რომ მედიკამენტების იმპორტის ბაზარზე 2016-2017 წლებში HHI იყო 8194 და 6570. თუმცა, ეს ინფორმაცია არ იყო მოხსენებული და არც შესწავლილი მე-5 საქმეში ("ჯიპისის" და "ეი-ბი-სი ფარმაციის" საქმე).⁵³ მე-6 საქმეში ("ცემენტ ინვესტ ბი.ვის" და "ჰაიდელბერგ ცემენტის" საქმე)⁵⁴ სააგენტო უბრალოდ მოიხსენებს 25-30 პროცენტთან წილებს და ბაზრის ანალიზის მეთოდური მითითებების მე-19 მუხლის შინაარსს, თუმცა მათ საფუძველზე საქმის გარემოებების შეფასებას არ ახორციელებს; მე-7 საქმეზე ("ალტას" და "მეტრომარტის" საქმე),⁵⁵ რომელიც ასევე ეხებოდა ელექტროტექნიკის ბაზარზე განხორციელებულ კონცენტრაციას, ტელესაკომუნიკაციო მოწყობილობების საცალო ვაჭრობის ბაზარზე ნათქვამია, რომ HHI იყო 1199 და გაიზარდა 1448-მდე და ასევე 1613 და გაიზარდა 2092-მდე (გადაწყვეტილების 27-ე გვ.), რაც უკვე საყურადღებოა, რადგან HHI გახდა ზომიერად კონცენტრირებული; მე-8 საქმეში, რომელიც უკავშირდებოდა შპს „მედკაპიტალის“ მიერ შპს „მედისონ ჰოლდინგის“ 100% წილის შექმნას, შესაბამის ბაზარზე HHI დადგენილია ბენეფიციარების რაოდენობის მიხედვით და კონცენტრაციაში მონაწილე ეკონომიკური აგენტების ერთობლივი წილი არის 23.5 პროცენტამდე. ხოლო ერთობლივი შემოსავლების მიხედვით კი მათ 25,25 და 27,33 პროცენტები ჰქონდათ 2016 და 2017 წლებში. საქმეში ნახსენებია როგორც 25%-იანი, ასევე 30%-იანი უსაფრთხო თავშესაფარი, თუმცა სააგენტო მაინც უშვებს 25%-იან საბაზრო წილს გადაცილებულ კონცენტ-

⁵³https://gnca.gov.ge/uploads_script/decisions/tmp/2038d90677404c3bb81047b7223ab5d2.pdf [01.09.2023]

⁵⁴https://gnca.gov.ge/uploads_script/decisions/tmp/db725973c937446a9e3cbf3566e895ab.pdf [01.09.2023]

⁵⁵https://gnca.gov.ge/uploads_script/decisions/tmp/0b051526e7f04bb9a0d4f14d225bfefd.pdf [01.09.2023]

რაციებს. ბაზრის ანალიზის მეთოდური მითითებების 21-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, „თუ კონცენტრაციის შედეგად საქართველოს ან მის ნაწილში ეკონომიკურ აგენტთა ერთობლივი საბაზრო წილი არ აღემატება 25%-ს, ასეთი კონცენტრაცია არსებითად არ ზღუდავს ეფექტიან კონკურენციას“. შესაბამისად, სააგენტოს მეტი ყურადღება უნდა გაემახვილებინა აღნიშნულ პროცენტებზე, რადგან თუ კონცენტრაციის შედეგად მხარეების ერთობლივი წილი ბაზარზე 25 პროცენტს აღემატება, ივარაუდება, რომ ასეთმა კონცენტრაციამ შეიძლება კონკურენცია არსებითად შეზღუდოს; მე-9 საქმეში ("ამერიტექის" და "სმაილის" საქმე)⁵⁶ უბრალოდ მოხსენიებულია 25-30 პროცენტთან წილები და ბაზრის ანალიზის მეთოდური მითითებების მე-19 მუხლის შინაარსი, თუმცა მათ საფუძველზე საქმის გარემოებების შეფასება არ ხდება; მე-11 ("საქართველოს კაპიტალის", "ბრიტანულ-ქართული აკადემიის" და "ბრიტანული საერთაშორისო სკოლის" საქმე),⁵⁷ მე-12 ("საქართველოს კაპიტალის" და "ბაქსვედის სკოლის" საქმე)⁵⁸ და მე-13 ("საქართველოს კაპიტალის" და "თბილისის მწვანე სკოლის" საქმე)⁵⁹ საქმეები ეხება ზოგადსაგანმანათლებლო ბაზარს, კერძოდ კი თბილისში არსებულ კერძო სკოლებს. ამ ბაზრის შეფასება და ანალიზი ძირითადად თბილისში კერძო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში არსებული მოსწავლეების რაოდენობის მიხედვით მოხდა, რაც, ჩემი აზრით, არასწორია, რადგან კერძო სკოლებიც შეიძლება

⁵⁶https://gnca.gov.ge/uploads_script/decisions/tmp/b1b2252624284e05a713f54556d16b6.pdf [01.09.2023]

⁵⁷https://gnca.gov.ge/uploads_script/decisions/tmp/64d026ffa7c1479faba38ba120d5ef30.pdf [01.09.2023]

⁵⁸https://gnca.gov.ge/uploads_script/decisions/tmp/b184b4386aa547cb93edfd335bf69f75.pdf [01.09.2023]

⁵⁹https://gnca.gov.ge/uploads_script/decisions/tmp/7d40dda3e6ed48a49de599a85906d837.pdf [01.09.2023]

დაიყოს სწავლის საფასურის ოდენობის მიხედვით. კონცენტრაციაში მონაწილე სკოლებში, როგორცაა ბრიტანულ-ქართული აკადემია და ბაქსვუდი, სწავლის საფასური ბევრად მაღალია, ვიდრე სხვა კერძო სკოლები. შესაბამისად, გადასახადის ოდენობის მხრივ საკმაოდ დიდი სხვაობაა. შესაბამისი ბაზრის დადგენისას კი, აუცილებელია, რომ ჩანაცვლებად პროდუქტებს იდენტური თუ არა, მსგავსი ფასები ჰქონდეთ. ამიტომ არ შეიძლება ყველა კერძო სკოლის ერთ ბაზრად განხილვა; ასევე საინტერესოა მე-14 ("თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის" და „გნ კოს“საქმე)⁶⁰ და მე-20 ("ევროპის უნივერსიტეტის" და "ჯო ენის სამედიცინო ცენტრის" საქმე)⁶¹ საქმეები, რომელშიც უმაღლესი სამედიცინო განათლების მიმწოდებელი ინსტიტუტების მიერ ხდებოდა სტაციონალური და ამბულატორიული დაწესებულებების შესყიდვა უმაღლესი განათლების პრაქტიკული სწავლების კომპონენტის განსახორციელებლად. აღნიშნული კონცენტრაციების დროს შესაბამისი ბაზრის დადგენა მოხდა ამბულატორიული და სტაციონალური მომსახურების ბაზრების ანალიზის საფუძველზე. თუმცა, ეს მომსახურებები, კონცენტრაციების მიზნიდან გამომდინარე, ვერ იქნება ერთადერთი მართებული შესაბამისი ბაზარი, ვინაიდან, აქ ასევე მნიშვნელოვანია უმაღლესი სამედიცინო განათლების ბაზარიც. ამ კუთხით საინტერესო იქნებოდა ამ ბაზრის შესწავლისას კონკურენტი ინსტიტუტების გამოკითხვაც. ასევე უნდა აღინიშნოს, რომ 21-ე საქმის ("სან პეტროლიუმ ჯორჯიას" საქმე I)⁶² გადაწყვეტილებაში არაა მოცემული საქართველოს რომელ რაიონ(ებ)ში ხდება ავტოგასამართი სადგურების იჯარით აღება (კონცენტრაცია). აღნიშნული საკითხის განხილვა კი

⁶⁰https://gnca.gov.ge/uploads_script/decisions/tmp/932de840af6e4c4db6c43e52454bc23b.pdf [01.09.2023]

⁶¹ https://gnca.gov.ge/uploads_script/decisions/tmp/phpBqBfF2.pdf [01.09.2023]

⁶² https://gnca.gov.ge/uploads_script/decisions/tmp/phpFjnooQ.pdf [01.09.2023]

უკავშირდება შესაბამისი ბაზრის იდენტიფიკაციას, რომლის ერთ-ერთ პარამეტრს წარმოადგენს სასაქონლო/მომსახურების ბაზრის გეოგრაფიული საზღვრების დადგენა.

აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ სააგენტო 2020 წლამდე განხილულ საქმეებში ხშირად სწავლობდა ბაზარს კონკურენტი ეკონომიკური აგენტებიდან მიღებული ინფორმაციის საფუძველზე. ეს ხდებოდა მაშინ, როდესაც სააგენტოს მხოლოდ თვე ნახევარი ჰქონდა მოკვლევის პერიოდი და მას არ შეეძლო ეკონომიკური აგენტები დაეჯარიმებინა და მათგან იძულებითი წესით გამოეთხოვა ინფორმაცია და დოკუმენტები. ხოლო 2020 წლის ცვლილებების შემდეგ სააგენტოს მიერ კონცენტრაციების შესწავლის ვადა 25 სამუშაო დღე განესაზღვრა. საქმის სირთულიდან გამომდინარე ამ ვადის კიდევ 90 კალენდარული დღით გახანგრძლივება შეიძლება. სააგენტოს ასევე ინფორმაციის იძულებით მიღების უფლებაც მიეცა. თუმცა, მიუხედავად ამ გაზრდილი ვადებისა და გაფართოებული უფლებებისა, 2021 წლიდან სააგენტოს სხვა, კონკურენტი ეკონომიკური აგენტებიდან კონცენტრაციების შესწავლის პროცესში აღარ გამოუთხოვია ინფორმაცია/დოკუმენტები და არც არავინ დაუჯარიმებია დაკისრებული ვალდებულების შეუსრულებლობის გამო.

როგორც ზემოთ აღვნიშნე, ევროკავშირში შემოთავაზებული კონცენტრაციის ბაზარზე დაშვების მთავარი კრიტერიუმია შერწყმის შედეგად მიღებული ეფექტურობები. როგორც კონკურენციის სააგენტოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებებიდან ჩანს, ზოგიერთი კონცენტრაციის შემთხვევაში, კონცენტრაციის მხარეები აცხადებენ, რომ მათი შერწყმა გამოიწვევს ფასების შემცირებას, მაგრამ, სამწუხაროდ, სააგენტო არასდროს განიხილავს ასეთ ეფექტურობას დეტალურად. მაგალითად, თუ როგორ და როდის შეიძლება კონკრეტული განცხადებული ეფექტურობის მიღწევა ბაზარზე. შერწყმის ზოგიერთი ეფექტურობა

ეხებოდა კოვიდ პანდემიის შემდეგ ფინანსური კრიზისის გამკლავებას, მომხმარებელთა კეთილდღეობის ზრდას, ბიზნესის გარკვეული სფეროს განვითარებას და ა.შ. აქვე უნდა აღინიშნოს კიდევ ერთი ნაკლი კონცენტრაციების რეგულირებისას. კერძოდ, საქართველოში კონცენტრაციების რეგულირების ნორმებში არაა ნახსენები კოორდინირებული და არაკოორდინირებული ეფექტები.⁶³ აღნიშნული საკითხები სააგენტოს არც კი აქვს ნახსენები თავის გზამკვლევაში და, სამწუხაროდ, არც იყენებს ამ კრიტერიუმებს თავის გადაწყვეტილებებში.

დასკვნა

კანონმდებლობაში განხორციელებული ცვლილებებით საქართველოს კონკურენციის ეროვნულ სააგენტოს ნამვილად მიეცა იმისი უფლებამოსილება, რომ მოახდინოს კონცენტრაციების უფრო მეტად ეფექტიანი რეგულირება, ვიდრე ეს იყო გათვალისწინებული 2020 წლამდე არსებული ნორმებით. ამასთან, სამწუხაროდ, მის მიერ მიღებული გადაწყვეტილებების ანალიზის შემდეგ ცოტა რთულია იმის თქმა, რომ პრაქტიკაში სააგენტო სრულყოფილად ახდენს ეფექტიან რეგულირებას. კანონმდებლობის დაახლოვებასთან ერთად აუცილებელია პრაქტიკული კომპონენტის შესრულებაც. ევროკომისია გამოირჩევა თავის გადაწყვეტილებებში სიღრმისეული ანალიზით, რასაც საქართველოს კონკურენციის ეროვნულ სააგენტოზე ვერ ვიტყვით. შესაბამისად, სააგენტომ უფრო მეტი რელევანტური ინფორმაციის გაანალიზება და შესწავლა უნდა მოახდინოს. აღსანიშნავია ისიც, რომ სააგენტოს ხშირად აქვს მოხსენიებული ევროკავშირის და

⁶³ კოორდინირებულ და არაკოორდინირებულ ეფექტებზე საუბარი 72-ე გვერდზეა.

მისი წევრების პრეცედენტული სამართალი თავის გადაწყვეტილებებში, ასევე მითითებულია შესაბამისი ვებგვერდებზე.

2020 წლამდე მიღებულ გადაწყვეტილებებში სააგენტო ხშირად ხაზს უსვამდა იმ ფაქტს, რომ მას კონცენტრაციების მოკვლევისას მცირე დრო (თვე ნახევარი) და შეზღუდული უფლებამოსილება ჰქონდა, რის გამოც იგი ვერ ახერხებდა კონცენტრაციების სრულყოფილად შესწავლას. თუმცა, სამწუხაროდ შეიძლება ითქვას, რომ 2021 წლის შემდეგ ცვლილებებისა და უფლებამოსილების გაზრდის პარალელურად სააგენტო უფრო ზერეულე გადაწყვეტილებებს იღებს, ვიდრე მანამდე იღებდა ხოლმე. მაგალითად, კონკურენტი ეკონომიკური აგენტების გამოკითხვის კომპონენტი უფრო ძლიერი იყო 2020 წლამდე მიღებულ გადაწყვეტილებებში, ვიდრე მისი უფლებამოსილებისა და მოკვლევის პერიოდის გაზრდის შემდეგ მიღებულ გადაწყვეტილებებშია. ასევე თვალში საცემია გადაწყვეტილებებში მსჯელობისა და ანალიზის სიმცირე.

5. სახელმწიფო დახმარების მარკეტულირებალი ნორმების და კონკურენციის სააგენტოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებების ევროკავშირის ნორმებთან შესაბამისობა

5.1. სახელმწიფო დახმარების მარკეტულირებალი ნორმების შესაბამისობა

ევროკავშირთან 2014 წელს დადებული ასოცირების შესახებ შეთანხმების 203-ე მუხლის მიხედვით „მხარეები აცნობიერებენ თავისუფალი და შეუზღუდავი კონკურენციის მნიშვნელობას თავიანთ სავაჭრო ურთიერთობებში. მხარეები აღიარებენ, რომ ანტიკონკურენციული ბიზნეს ქმედებები და სახელმწიფო ჩარევა (მათ შორის სუბსიდიების სახით) ქმნის ბაზრების ნორმალური ფუნქციონირების შეზღუდვის შესაძლებლობას და ამცირებს ვაჭრობის ლიბერალიზაციიდან გამომდინარე სარებელს“.

ასოცირების შესახებ შეთანხმების 206-ე მუხლში მოცემულია ტერმინი „სუბსიდიის“ განმარტება, რაც იგივე სახელმწიფო დახმარებას წარმოადგენს და ასევე დაკონკრეტებულია ამ შეთანხმების მხარეების ვალდებულებები სახელმწიფო დახმარებების კუთხით. კერძოდ, აღნიშნული მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით, სუბსიდია არის ღონისძიება, რომელიც აკმაყოფილებს *სუბსიდიებისა და საკომპენსაციო ზომების შესახებ შეთანხმების* პირველი მუხლით განსაზღვრულ პირობებს, მიუხედავად იმისა, ის გაცემულია საქონლის საწარმოებლად თუ მომსახურების მიწოდებისათვის, და რომელიც *კონკრეტულია/სპეციფიკურია* აღნიშნული შეთანხმების მე-2 მუხლის მნიშვნელობიდან გამომდინარე“.

206-ე მუხლის მეორე პუნქტის შესაბამისად საქართველო ვალდებულია უზრუნველყოს სუბსიდიების სფეროში საჯაროობა, რისთვისაც საქართველომ 2 წელიწადში ერთხელ უნდა მიაწოდოს ანგარიში ევროკავშირს იმ სუბსიდიის სამართლებრივი საფუძვლის, ფორმის, ოდენობის ან ბიუჯეტის, ასევე სუბსიდიის მიმღების შესახებ (თუ შესაძლებელია), რომელიც გაცემულია საქართველოს მთავრობის ან რომელიმე საჯარო დაწესებულის მიერ საქონლის წარმოებასთან მიმართებაში. ანგარიში კი წარდგენილად ითვლება, თუ შესაბამისი ინფორმაცია განთავსებულია თითოეული მხარის მიერ საჯაროდ ხელმისაწვდომ ვებ-გვერდზე. ამ მუხლის მესამე პუნქტის შესაბამისად კი, შეთანხმების ერთი მხარის მოთხოვნის საფუძველზე მეორე მხარემ დროულად უნდა მიაწოდოს ინფორმაცია და გასცეს პასუხი ცალკეულ სუბსიდიასთან დაკავშირებულ კითხვებს, თუ სუბსიდია ეხება მომსახურების მიწოდებას.

მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის *სუბსიდიებისა და საკომპენსაციო ზომების შესახებ შეთანხმების* პირველი მუხლის შესაბამისად, სუბსიდიას ადგილი აქვს მაშინ, როდესაც მთავრობის ან რომელიმე საჯარო დაწესებულების (შემდეგში მითითებულია როგორც „მთავრობა“) მხრიდან წვერი სახელმწიფოს ტერიტორიაზე ხდება ფინანსური დახმარება. ასეთ დახმარებას ჩვეულებრივ წარმოადგენს შემდეგი პრაქტიკა:

1. მთავრობის მიერ ფონდების პირდაპირი ტრანსფერი (მაგალითად, გრანტების, სესხების და საინვესტიციო კაპიტალის გადაცემა), ფონდებისა და პასუხისმგებლობის პოტენციური პირდაპირი ტრანსფერი (მაგალითად, სესხის გარანტია);

2. კომპანიების მხრიდან ბიუჯეტში შესატან გადასახადზე მთავრობა უარს აცხადებს (მაგალითად, ისეთი ფინანსური სტიმული, როგორიცაა საგადასახადო შეღავათები);
3. მთავრობა აწარმოებს/უზრუნველყოფს ისეთ საქონელს ან მომსახურებას, რომელიც არ განეკუთვნება საერთო ინფრასტრუქტურას ან შეისყიდის საქონელს;
4. მთავრობა აფინანსებს ან ნდობას უცხადებს ან მიმართავს კერძო პირს განახორციელოს პირველ, მეორე ან მესამე ქვეპუნქტებში მოცემული ერთი ან რამდენიმე ტიპის ფუნქცია, რაც, ჩვეულებრივ, მთავრობის ფუნქციას წარმოადგენს და ეს პრაქტიკა გარკვეული სახით განსხვავდება იმ პრაქტიკისაგან, რომელსაც მთავრობა ჩვეულებრივ ახორციელებს.

რაც შეეხება სახელმწიფო დახმარების კონკრეტულობის/სპეციფიკურობის საკითხს, ეს განმარტებულია *სუბსიდიებისა და საკომპენსაციო ზომების შესახებ შეთანხმების* მეორე მუხლით. აღნიშნული დებულების მიხედვით, იმისთვის რომ დავადგინოთ სუბსიდია კონკრეტულია/სპეციფიკურია საწარმოსათვის ან ინდუსტრიისათვის ან საწარმოების ან ინდუსტრიების ჯგუფისათვის, შემდეგი გარემოებები უნდა იქნეს მხედველობაში მიღებული:

1. თუ გრანტის გამცემი ორგანო ან კანონმდებლობა, რომლის საფუძველზეც შესაბამისი ორგანო მოქმედებს, ნათლად უზღუდავს გარკვეულ (კონკრეტულ) საწარმოებს სუბსიდიებზე წვდომას, ასეთი სუბსიდია წარმოადგენს სპეციფიურს, კონკრეტულს;
2. თუ გრანტის გამცემი ორგანო ან კანონმდებლობა, რომლის საფუძველზეც შესაბამისი ორგანო მოქმედებს, ადგენს

ობიექტურ კრიტერიუმებს ან პირობებს, რომელიც განსაზღვრავს სუბსიდიის ხელმისაწვდომობას და ოდენობას, სპეციფიკურობა არ იარსებებს, იმის გათვალისწინებით, რომ ავტომატურად ყველას შეუძლია ამ კრიტერიუმების დაკმაყოფილება და ეს კრიტერიუმები და პირობები მკაცრად დაცულია. ისინი ნათლად უნდა იყოს მოცემული კანონში, რეგულაციაში ან სხვა ოფიციალურ დოკუმენტებში, რაც მისი შემოწმების საშუალებას იძლევა;

3. გარდა პირველ და მეორე პუნქტებში ჩამოთვლილი გარემოებებისა, შეიძლება არსებობდეს სხვა ფაქტორებიც, რომელთა არსებობის შემთხვევაში სუბსიდია შეიძლება რეალურად სპეციფიური იყოს. ამ შემთხვევაში საჭიროა შემდეგი გარემოებების მხედველობაში მიღება: სუბსიდირების პროგრამის გამოყენება შეზღუდული რაოდენობის განსაზღვრულ საწარმოებს შეუძლიათ; სუბსიდიების მიღება უპირატესად ხდება განსაზღვრული საწარმოების მიერ. არაპროპორციულად დიდი ოდენობის სუბსიდიების მიცემა ხდება გარკვეული საწარმოებისათვის; ასევე მნიშვნელოვანია იმ ხერხის დადგენა, რომლის მეშვეობითაც იქნა გრანტის გამცემის დისკრეცია გამოყენებული სუბსიდიის გაცემაზე გადაწყვეტილების მიღებისას. ამ პუნქტის გამოყენებისას, მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული გრანტის გამცემი ორგანოს იურისდიქციაში არსებული ეკონომიკური აქტივობის დივერსიფიკაციის მოცულობა, ასევე იმ დროის ხანგრძლივობა, რომელშიც სუბსიდიის პროგრამა მოქმედებს;
4. სუბსიდია, რომელზეც მხოლოდ იმ გარკვეულ საწარმოებს მიუწვდებათ ხელი, რომლებიც გრანტის გამცემი ორგანოს

იურისდიქციაში განსაზღვრულ გეოგრაფიულ რეგიონში მდებარეობენ, სპეციფიკურია;

5. ზოგადად გამოსაყენებელი საგადასახადო განაკვეთების დადგენა ან შეცვლა მთავრობის/მმართველობის რომელიმე დონის მიერ, რომელსაც ამის უფლებამოსილება აქვს, ვერ ჩაითვლება სპეციფიურ სუბსიდიად აღნიშნული შეთახმების მიზნებიდან გამომდინარე.

აღნიშნულ პირობებს თუ გადავხედავთ, ნათლად ჩანს, რომ სახელმწიფო დახმარება ძირითადად მაშინ წარმოადგენს პრობლემას, როდესაც ის შერჩევითობის პრინციპით გადაეცემათ ეკონომიკურ აგენტებს. თუ ის ზოგადად ყველა კომპანიისთვის არის ხელმისაწვდომი და რეალურად ყველა კომპანიას შეუძლია მისი მიღება, მაშინ ასეთი სახელმწიფო ღონისძიება, როგორც წესი, არ წარმოადგენს კონკურენციის მხრივ რაიმე პრობლემას.

საინტერესოა ასევე ასოცირების შესახებ შეთანხმების სხვა მუხლებიც. კერძოდ, 67-ე მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით, მხარეები თანხმდებიან როგორც ძირითად პრინციპზე, რომ მათი შესაბამისი საბაჟო და ვაჭრობის მარეგულირებელი კანონმდებლობა უნდა იყოს სტაბილური და ყოვლისმომცველი. ასევე დებულებები და პროცედურები უნდა იყოს პროპორციული, გამჭვირვალე, პროგნოზირებადი, არადისკრიმინაციული, მიუკერძოებელი და სრულდებოდეს ეფექტურად და ერთგვაროვნად. ამავე მუხლის პირველი პუნქტის „მ“ პუნქტის შესაბამისად კი ამ დებულებებმა ასევე უნდა უზრუნველყოს *სახელმწიფო უწყებების მიერ გაწეული მომსახურებისას გამჭვირვალე, არადისკრიმინაციული და პროპორციული წესების გამოყენება, მათ შორის ისეთ შემთხვევაშიც, როცა ეს მომსახურება ხორციელდება კერძო სექტორის მიერ.*

77-ე მუხლში განმარტებულია სხვადასხვა ტერმინი, რომელთა შორის არის მოცემული ტერმინ „მომსახურების“ დეფინიციაც. იგი შეთანხმების მიზნებიდან გამომდინარე, ნიშნავს „მომსახურებას ნებისმიერ სექტორში, მთავრობის ფუნქციების შესრულებისათვის მიწოდებული მომსახურების გარდა“ (k პუნქტი).

ასევე საინტერესოა შეთანხმების ის ნაწილი, სადაც საუბარია დაფუძნების თავისუფლებასთან დაკავშირებულ დათქმებზე. ერთ-ერთი ასეთი დათქმა ეხება სუბსიდიას. კერძოდ, მის მიხედვით „სუბსიდიების მიღების უფლება შეიძლება მიენიჭოთ მხოლოდ საქართველოს გარკვეულ რეგიონულ ერთეულებში დაფუძნებულ პირებს.“⁶⁴

რაც შეეხება 2012 წელს მიღებულ „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონს, სახელმწიფო დახმარების საკითხებს აწესრიგებს მე-12-15 მუხლები. მე-12-14 მუხლებში შესულია ცვლილებები და დამატებები 2014-2020 წლებში.

მე-12 მუხლის შინაარსში მნიშვნელოვანი ცვლილება არ განხორციელებულა 2014 წლის შემდეგ. 2020 წელს მხოლოდ პირველი პუნქტის მოდიფიცირება მოხდება ისე, რომ არ არსებობს მნიშვნელოვანი განსხვავება ევროკავშირის ფუნქციონირების შეთანხმების 107-ე მუხლის პირველი პუნქტის შინაარსისაგან. თუმცა, ჯობდა ისევ 2014 წლის მდგომარეობით არსებული ვერსია შენარჩუნებულიყო, რადგან ანალოგიური შინაარსისაა ევროკავშირის ფუნქციონირების შესახებ შეთანხმების 107-ე მუხლის პირველი პუნქტი. რაც შეეხება მეორე

⁶⁴ ასოცირების შესახებ შეთანხმება ერთის მხრივ, საქართველოსა და მეორეს მხრივ, ევროკავშირის და ევროპის ატომური ენერჯის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებს შორის | სსიპ "საქართველოს საკანონმდებლო მაცნე" (matsne.gov.ge), დანართი XIV-E, ჰორიზონტალური დათქმები.

პუნქტს, ის ევროკავშირის ფუნქციონირების შესახებ შეთანხმების 107-ე მუხლის მეორე პუნქტისაგან განსხვავებულ შინაარსს შეიცავს და საქართველოს მთავრობას სახელმწიფო დახმარებების თავისუფლად გაცემის ფართო შესაძლებლობას აძლევს. კერძოდ, ევროკავშირის ფუნქციონირების შესახებ შეთანხმების 107-ე მუხლის მეორე პუნქტის შესაბამისად, შემდეგი სახის სახელმწიფო დახმარებებია თავსებადი ევროკავშირის შიდა ბაზართან და არ საჭიროებს რომელიმე ორგანოსთან შეთანხმებას. ესენია:

ა. სოციალური ხასიათის, გაცემული ინდივიდუალურ მომხმარებლებზე, იმის გათვალისწინებით, რომ ეს დახმარება გაცემულია პროდუქტის წარმოშობის დისკრიმინაციის გარეშე;

ბ. სახელმწიფო დახმარება, რომელიც ითვალისწინებს სტიქიური უბედურებებისა და განსაკუთრებული მოვლენების შედეგების გამოსწორებას;

გ. დახმარება გაცემული გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის რომელიმე რეგიონის ეკონომიკური განვითარებისათვის, რაც გამომდინარეობს გერმანიის გაყოფიდან და ითვალისწინებს არახელსაყრელი მდგომარეობის საკომპენსაციოდ (5 წელი მოქმედებდა ლისაბონის შეთანხმების ძალაში შესვლიდან). აღნიშნული დებულება უკვე ძალადაკარგულია.

საქართველოში კი „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-12 მუხლის მეორე პუნქტი შემდეგი შინაარსისაგან შედგება: საქართველოში შეიძლება დაშვებულ იქნეს სახელმწიფო დახმარება, რომელიც არ საჭიროებს სააგენტოსთან შეთანხმებას, თუ ის:

ა) გაიცემა ინდივიდუალური მომხმარებლისათვის სოციალური დახმარების სახით, იმ პირობით, რომ დახმარება არ გამოიწვევს

შესაბამისი საქონლის/მომსახურების მწარმოებლის დისკრიმინაციას;

ბ) მიზნად ისახავს სტიქიური მოვლენის ან ფორსმაჟორული გარემოების შედეგების აღმოფხვრას;

გ) მიზნად ისახავს გარემოსდაცვითი ღონისძიების განხორციელებას;

დ) მიზნად ისახავს საქართველოს საკანონმდებლო აქტით ან საქართველოს საერთაშორისო შეთანხმებით გათვალისწინებული უფლების განხორციელებას ან მოვალეობის შესრულებას;

ე) გაიცემა ინდივიდუალური სახელმწიფო დახმარების სახით, უმნიშვნელო ოდენობით. *ინდივიდუალური სახელმწიფო დახმარების უმნიშვნელო ოდენობა* განისაზღვრება საქართველოს მთავრობის დადგენილებით;

ვ) *მიზნად ისახავს მნიშვნელოვანი სახელმწიფო პროექტის განხორციელებას, თუ ამის თაობაზე საქართველოს მთავრობას მიღებული აქვს გადაწყვეტილება.*

აღნიშნული ჩამონათვალიდან, მხოლოდ ა-ბ ქვეპუნქტებში მოცემული სახელმწიფო დახმარებები არის შესაბამისობაში ევროკავშირის ფუნქციონირების შესახებ შეთანხმების 107-ე მუხლის მეორე პუნქტში ჩამოთვლილ სახელმწიფო დახმარებებთან. განსაკუთრებით საყურადღებოა „დ“ და „ვ“ ქვეპუნქტებში მოცემული სახელმწიფო დახმარებები. ორივე შემთხვევაში სახელმწიფო დახმარებების გაცემა არასწორად შეიძლება მოხდეს და გამჭვირვალობისა ან/და დისკრიმინაციის დაუშვებლობის პრინციპი დაირღვეს. განსაკუთრებით საყურადღებოა „ვ“ ქვეპუნქტში არსებული ჩანაწერი, რომელიც საქართველოს მთავრობას „მნიშვნელოვანი სახელმწიფო პროექტების“ განხორ-

ციელების მიზნით სახელმწიფო დახმარებების გაცემის საშუალებას აძლევს კონკურენციის სააგენტოს მიერ კონკურენტული გარემოს შეფასების გარეშე. ის შინაარსით განსხვავდება ევროკავშირის ფუნქციონირების შესახებ შეთანხმების 107-ე მუხლის მესამე პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის შინაარსისაგან. კერძოდ, ამ უკანასკნელი დებულების მიხედვით, სახელმწიფო დახმარება შეიძლება გაიცეს, თუ იგი ითვალისწინებს ევროკავშირის საერთო ინტერესის მნიშვნელოვანი პროექტების განხორციელებას ან წევრი სახელმწიფოსთვის სერიოზული ეკონომიკური კრიზისის გასამკლავებლად. გარდა ამისა, საინტერესოა იმის აღნიშვნაც, რომ ევროკავშირის 107-ე მუხლის მესამე პუნქტით, მასში ჩამოთვლილი სახელმწიფო დახმარებების გაცემისას კონკურენტული პირობების შეფასებას ახდენს ევროკომისია. კერძოდ, მესამე პუნქტის მიხედვით, ამ პუნქტში ჩამოთვლილი სახელმწიფო დახმარება „შეიძლება ჩაითვალოს შიდა ბაზართან შესაბამისად“. აღნიშნული ჩანაწერი კი იმის გულისხმობს, რომ „შესაბამისობის“ საკითხს ადგენს ევროკომისია, დაგეგმილი სახელმწიფო დახმარების გაცემამდე ევროკავშირში არსებული ნორმების შეფასების საფუძველზე. საქართველოში კი ასეთი შეფასების სისტემა მთავრობის მიერ გაცემული დახმარებების მიმართ არ არსებობს, მას შეუძლია დამოუკიდებლად დაადგინოს ვის და როდის რა სახელმწიფო დახმარებას მისცეს.

ასევე საინტერესოა კანონის მე-12 მუხლის მესამე პუნქტი, რომლის მიხედვითაც, სააგენტოსთან შეთანხმებით შეიძლება დაშვებულ იქნეს სახელმწიფო დახმარება, რომელიც მნიშვნელოვნად არ ზღუდავს კონკურენციას ან არ ქმნის მისი მნიშვნელოვნად შეზღუდვის საშიშროებას და რომელიც გაცივმა:

- ა) გარკვეული რეგიონების ეკონომიკური განვითარებისათვის;
- ბ) კულტურისა და კულტურული მემკვიდრეობის შენარჩუნების ხელშეწყობისათვის.

აღნიშნული დებულების ორივე პუნქტი ნამდვილად თანხვედრაშია ევროკავშირის ფუნქციონირების შესახებ შეთანხმების 107-ე მუხლის მესამე პუნქტის შინაარსთან.

კანონის მე-13 მუხლი ადგენს სააგენტოსათვის გასაცემი სახელმწიფო დახმარების გაცემის პროცედურას. საინტერესოა ამ მუხლის მესამე პუნქტის შინაარსი. კერძოდ, „საქართველოს მთავრობა, რომელსაც სააგენტოს უარყოფითი დასკვნა წარედგინა, იღებს გადაწყვეტილებას შესაბამის საკითხზე“. ამ ჩანაწერიდან ჩანს, რომ სააგენტომ თუ უარყოფითი დასკვნა წარუდგინა გასაცემ სახელმწიფო დახმარებაზე საქართველოს მთავრობას, ეს უკანასკნელი არ არის ვალდებული სააგენტოს მოსაზრება მხედველობაში მიიღოს ან იხელმძღვანელოს სააგენტოს გადაწყვეტილებით კონკრეტული სახელმწიფო დახმარების გაცემისას.

კანონის მე-14 მუხლი ისეთ ინდივიდუალურ სახელმწიფო დახმარებებს არეგულირებს, რომლებიც უმნიშვნელო ოდენობით არის გაცემული. ინდივიდუალური სახელმწიფო დახმარებების უმნიშვნელო ოდენობის საკითხს კი, თავის მხრივ, მთავრობის დადგენილება აწესრიგებს. აღნიშნული მუხლის მეორე პუნქტის შესაბამისად, უმნიშვნელო ოდენობის ინდივიდუალური სახელმწიფო დახმარების გამცემი ორგანო ვალდებულია ყოველწლიურად, საანგარიშო წლის მომდევნო წლის 1 თებერვლამდე, მიაწოდოს სააგენტოს ინფორმაცია გაცემული უმნიშვნელო ოდენობის ინდივიდუალური სახელმწიფო დახმარების ოდენობის, გაცემის ვადისა და მიმღები ეკონომიკური აგენტის/ეკონომიკური აგენტების თაობაზე. მესამე პუნქტის შესაბამისად კი, სააგენტო აწარმოებს უმნიშვნელო ოდენობის ინდივიდუალური სახელმწიფო დახმარებების რეესტრს. მეოთხე პუნქტის შესაბამისად, თუ სააგენტო უმნიშვნელო ოდენობის ინდივიდუალური სახელმწიფო დახმარებების რეესტრის

წარმოების პროცესში დაადგენს, რომ *„გაცემული ინდივიდუალური სახელმწიფო დახმარების ოდენობა აღემატება საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ ინდივიდუალური სახელმწიფო დახმარების უმნიშვნელო ოდენობას, იგი ამზადებს სათანადო დასკვნას და მას უგზავნის როგორც სახელმწიფო დახმარების გამცემ ორგანოს, ისე მის ზემდგომ ორგანოს (არსებობის შემთხვევაში)“*. ამ შემთხვევაშიც ბუნდოვანია რა ელის სააგენტოს დასკვნას. კანონის შინაარსიდან ჩანს, რომ ის მხოლოდ „უგზავნის“ შესაბამის ორგანოებს. თუმცა, იმის შესახებ, თუ როგორი უნდა იყოს შესაბამისი ორგანოების რეაგირება ამ დასკვნაზე, კანონში არაფერი წერია. საყურადღებოა, საქართველოს მთავრობის #529 დადგენილება, რომლის საფუძველზეც, სააგენტოს შეუძლია შესაბამისი თანამდებობის პირის პასუხისმგებლობის საკითხი დასვას მისი ზემდგომი ორგანოს ან თანამდებობის პირის წინაშე, თუ ის დაარღვევს სააგენტოსთან სახელმწიფო დახმარების შეთანხმების წესს.

კანონის მე-15 მუხლით კი იმ პირს, რომელსაც უშალო ზიანი მიადგა *გაცემული სახელმწიფო დახმარებით, უფლება აქვს გაასაჩივროს სასამართლოში, თუ ის მნიშვნელოვნად ზღუდავს შესაბამის ბაზარზე კონკურენციას ან/და დარღვეულია კონკურენციის სფეროში საქართველოს კანონმდებლობა სახელმწიფო დახმარების გაცემის პროცედურასთან დაკავშირებით*. აღნიშნული მუხლის შინაარსი გარკვეულწილად ეწინააღმდეგება ამავე კანონის მე-12 მუხლის პირველ პუნქტში მოცემულ დებულებას, რომლის მიხედვითაც „აკრძალულია სახელმწიფო დახმარება, რომელიც აფერხებს კონკურენციას ან ქმნის მისი შეფერხების საშიშროებას. აქ საუბარია კონკურენციის შეფერხებაზე ან მისი შეფერხების საშიშროებაზე, რაც ევროპული დებულების იდენტურია. თუმცა, მე-15 მუხლი მტკიცების უფრო ბევრად მაღალ სტანდარტს ადგენს და ამბობს, რომ მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიძლება პირმა გაასაჩივროს *გაცემული*

სახელმწიფო დახმარება, თუ მნიშვნელოვნად დარღვეულია შესაბამის ბაზარზე კონკურენცია (ან/და დარღვეულია სახელმწიფო დახმარების გაცემის პროცედურა). შესაბამისად, ეს მნიშვნელოვნად დამაბრკოლებელი ფაქტორი შეიძლება გახდეს კონკურენციის შემაფერხებელი ეფექტის მქონე, მათ შორის საფრთხის შემცველი სახელმწიფო დახმარებების გასაჩივრების კუთხით.

რაც შეეხება ინდივიდუალური სახელმწიფო დახმარების უმნიშვნელო ოდენობას, ეს საკითხი დარეგულირებულია საქართველოს მთავრობის 2014 წლის 1 სექტემბრის №529 დადგენილებით, რომელიც ინდივიდუალური სახელმწიფო დახმარების უმნიშვნელო ოდენობისა და სახელმწიფო დახმარების გაცემის ზოგად წესს ადგენს. აღნიშნულ დადგენილებაში ცვლილებები შევიდა 2020 წელს. მისი პირველი მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, სახელმწიფო დახმარების გაცემისას უნდა მოხდეს არადისკრიმინაციულობის და გამჭვირვალობის უზრუნველყოფა. აღნიშნული ორი პრინციპის დაცვა უმნიშვნელოვანესია კონკურენციის დაცვისათვის და, რა თქმა უნდა, სახელმწიფო დახმარებების გაცემის დროს ამ ორი პრინციპის ზედმიწევნით დაცვაზე პირდაპირი ვალდებულება გვაკისრია ევროკავშირთან დადებული ასოცირების შესახებ შეთანხმებით. თუმცა, სამწუხაროდ, აღნიშნული პრინციპების დაცვა კანონიდან და მთავრობის დადგენილებიდან გამომდინარე მხოლოდ სააგენტოსთან შესათანხმებელ სახელმწიფო დახმარებებზე მოითხოვება, რაც კანონის მე-12 მუხლის მესამე პუნქტშია ჩამოთვლილი. სამწუხაროდ, „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონით მთავრობას ან რომელიმე სხვა ორგანოს არ ევალება ამ პრინციპების დაცვა კანონის მე-12 მუხლის მეორე პუნქტში ჩამოთვლილი სახელმწიფო დახმარებების გაცემისას.

აღნიშნული დადგენილების მე-7 მუხლით, ინდივიდუალური სახელმწიფო დახმარების უმნიშვნელო ოდენობად ითვლება დახმარება, რომლის მოცულობა ერთ ეკონომიკურ აგენტთან

მიმართებით, ჯამურად, ზედიზედ 3 ფისკალური წლის განმავლობაში არ აღემატება 400 000 ლარს. ეს არის ზოგადად ყველა ეკონომიკურ სექტორში არსებული უმნიშვნელო სახელმწიფო დახმარების მაქსიმალური ლიმიტი. დადგენილებით ასევე განსაზღვრულია ორ სექტორში არსებული ინდივიდუალური სახელმწიფო დახმარების უმნიშვნელო ოდენობა:

პირველი, ეს არის სახმელეთო ტრანსპორტით ტვირთის გადაზიდვის სფეროში მოქმედ ერთ ეკონომიკურ აგენტთან მიმართებაში ინდივიდუალური სახელმწიფო დამხარება და ჯამურად, ზედიზედ 3 ფისკალური წლის განმავლობაში ის არ უნდა აღემატებოდეს 200 000 ლარს. ამასთან, ეს ზედა ზღვარი არ გამოიყენება სახმელეთო-სატვირთო ტრანსპორტის შესყიდვის მიმართ;

მეორე, სოფლის მეურნეობის სფეროში მოქმედ ერთ ეკონომიკურ აგენტთან მიმართებით ინდივიდუალური სახელმწიფო დამხარება, რომელიც ჯამურად, ზედიზედ 3 ფისკალური წლის განმავლობაში არ უნდა აღემატებოდეს 200 000 ლარს.

უმნიშვნელო ოდენობის ინდივიდუალური სახელმწიფო დახმარების გამცემი ორგანო ვალდებულია, ყოველწლიურად, საანგარიშო წლის მომდევნო წლის 1 თებერვლამდე, მიაწოდოს სააგენტოს ინფორმაცია გაცემული უმნიშვნელო ოდენობის ინდივიდუალური სახელმწიფო დახმარების ოდენობის, გაცემის ვადისა და მიმღები ეკონომიკური აგენტის/ეკონომიკური აგენტების შესახებ.

5.2 სახელმწიფო დახმარებაზე სააბენტოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების ანალიზი

კონკურენციის სააგენტოს ვებ-გვერდიდან ჩანს, რომ მისი დაარსებიდან 2023 წლის 1 სექტემბრამდე კონკურენციის ორგანოს მხოლოდ ორი გადაწყვეტილება აქვს მიღებული სახელმწიფო დახმარების თაობაზე.⁶⁵ ორივე საქმე ერთი მუნიციპალიტეტის მიერ გაცემულ დახმარებებს ეხება. პირველი საქმე მოხსენიებულია როგორც ოზურგეთის საქმე #1 და მეორე საქმე კი - როგორც ოზურგეთის საქმე #2. ორივე საქმეზე კონკრეტულ ერთ სუბიექტს გაეწია სახელმწიფო დახმარება.

ოზურგეთის საქმე №1⁶⁶

კონკურენციის სააგენტომ 2016 წლის 22 მარტის #37 ბრძანებით სსიპ „თვითმმართველი თემი ოზურგეთის მუნიციპალიტეტის“ მიერ 2016 წლის ბიუჯეტიდან ა(ა)იპ „ფერმერული მეურნეობის განვითარების ცენტრისათვის“ გასაცემი სახელმწიფო დახმარება კონკურენციის კანონმდებლობის მოთხოვნებთან შესაბამისად ცნო.

„კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-12 მუხლის მე-2 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის თანახმად, შეიძლება დაშვებული იქნეს სახელმწიფო დახმარება, რომელიც არ საჭიროებს სააგენტოსთან შეთანხმებას, თუ ის გაიცემა ინდივიდუალური სახელმწიფო დახმარების სახით, უმნიშვნელო ოდენობით. ინდივიდუალური სახელმწიფო დახმარების უმნიშვნელო ოდენობა კი

⁶⁵ <https://gnca.gov.ge/index.php?m=357> [30.11.2023].

⁶⁶ https://gnca.gov.ge/uploads_script/decisions/tmp/phpSY1DWX.pdf [30.11.2023].

განისაზღვრება „ინდივიდუალური სახელმწიფო დახმარების უმნიშვნელო ოდენობისა და სახელმწიფო დახმარების გაცემის ზოგადი წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 1 სექტემბრის #529 დადგენილებით. აღნიშნული დოკუმენტის მე-7 მუხლის მეოთხე ქვეპუნქტის შესაბამისად, სოფლის მეურნეობის სფეროში მოქმედ ერთ ეკონომიკურ აგენტთან მიმართებით ინდივიდუალური სახელმწიფო დახმარება, ჯამურად, ზედიზედ 3 ფისკალური წლის განმავლობაში არ უნდა აღემატებოდეს 200 ათას ლარს.

აღნიშნულ საქმეში როგორც ჩანს, სსიპ „თვითმმართველი თემი ოზურგეთის მუნიციპალიტეტის“ მიერ 2015 წელს უკვე გაიცა სახელმწიფო დახმარება 183 ათასი ლარის ოდენობით. 2016 წელს კი იგეგმებოდა დამატებით 170 ათასი ლარის გაცემა. შესაბამისად, რადგან ორი წლის განმავლობაში ზედიზედ აღნიშნულ ეკონომიკურ აგენტზე სოფლის მეურნეობის მიმართულებით გაცემული სახელმწიფო დახმარების ჯამი გადააჭარბებს 200 ათას ლარს, ასეთი სახის სახელმწიფო დახმარება აღემატება საქართველოს მთავრობის დადგენილებით განსაზღვრულ სახელმწიფო დახმარების უმნიშვნელო ოდენობას და ამ შემთხვევაში სავალდებულოა მუნიციპალიტეტის მიერ სახელმწიფო დახმარების გაცემამდე კონკურენციის სააგენტოში წარდგენა.

კონკურენციის სააგენტოში წარმოდგენილი იქნა მუნიციპალიტეტის #5372 განცხადება მუნიციპალიტეტის მიერ გასაცემი სახელმწიფო დახმარების „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის დებულებებთან შესაბამისობის დადგენის თაობაზე. აღნიშნული სახელმწიფო დახმარების გაცემის მიზანს წარმოადგენდა ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ეკონომიკური განვითარება. განცხადებაში არ იყო აღწერილი მუნიციპალიტეტის მიერ ცენტრისათვის სახელმწიფო დახმარების გაცემასთან დაკავშირებული ყველა მნიშვნელოვანი გარემოება. მათ

შორის, მიზანი, პროცედურა, პირობები, თითოეული გადარიცხვის მოცულობა და მისი გაცემის პერიოდულობა და სხვა. აღნიშნულის გამო, მუნიციპალიტეტს დამატებით რამდენჯერმე მიეცა ვადა სრულყოფილი ინფორმაციის წარმოდგენისათვის.

სააგენტოში შესული 2016 წლის 12 იანვრის განცხადებაში #99, აღნიშნულია, რომ 2016 წლის თვეების მიხედვით მელორეობაში, მევენახეობაში და მემცენარეობაში გათვალისწინებული იყო ა(ა)იპ „ფერმერული მეურნეობის განვითარების ცენტრის“ მიერ მელორეობაში 6 ათასი ლარის დახარჯვა, მევენახეობაში - 6 ათასი ლარის და მემცენარეობაში კი - 4 ათასი ლარის დახარჯვა. ამავე წლის 18 იანვრის დამატებითი #228 წერილით კი აღნიშნულია, რომ 2016 წელს დაგეგმილი იყო 58 450 ლარის დახარჯვა პროგრამული დაფინანსებისათვის. წერილის თანახმად, 2016 წელს ცენტრში დასაქმებული იქნება 21 თანამშრომელი, სახელფასო ფონდი კი განისაზღვრა 99 600 ლარით.

მუნიციპალიტეტის მიერ პირველი თებერვლის #531 განცხადებით კი დადგინდა, რომ სახელმწიფო დახმარების გაცემის მიზანს წარმოადგენდა: მუნიციპალიტეტში ფერმერული მეურნეობების და ბიზნესის განვითარების ხელშეწყობა; აგრობიზნესის მართვის თანამედროვე მეთოდების დანერგვა და ახალი ტექნოლოგიების მოზიდვა; მუნიციპალიტეტის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ხელშეწყობა; კერძო სექტორის საინფორმაციო ბაზით უზრუნველყოფა; ჯანსაღი საინვესტიციო გარემოს ფორმირების ხელშეწყობა; ფერმერული გაერთიანებების (კოოპერატივების, ამხანაგობების) ჩამოყალიბების ხელშეწყობა; დახმარე ხასიათის სამეწარმეო საქმიანობა.

სააგენტოს აზრით, ცენტრის საქმიანობის ძირითად მიმართულებას წარმოადგენს: მევენახეობის, ხეხილის ნერგების საკოლექციო ნაკვეთების შემდგომი განვითარება; მეცხოველეობაში -

ღორის სხვადასხვა ჯიშების ხელოვნური დანერგვა მუნიციპალიტეტის საზღვრებში. ასევე იგეგმებოდა კულტურა ამარანტისა და კულტურა სტევიას, მიკრო, საცდელი ნაკვეთების მოწყობა. განმცხადებლის მიერ მოწოდებულ იქნა თითოეული მიმართულების მოკლე ანალიზიც.

სააგენტომ აღნიშნულ საქმეში შესაბამის ბაზარზე პროდუქციული საზღვრები დაადგინა:

პირველი, მევენახეობა, რომელშიც გურული აბორიგენული ვაზის ჯიშების მოძიება, საკოლექციო ნაკვეთის გაშენება მოიაზრებოდა;

მეორე, მეღორეობა, რომელიც მიზნად ისახავდა გაუმჯობესებული, კერძოდ სხვადასხვა დაავადებების მიმართ მდგრადი ღორის ჯიშების ხელოვნურად დანერგვას ითვისების მიზნით;

მესამე, მემცენარეობა, რომელიც მრავალწლიანი ხეხილის ნერგების მოშენება, ასევე კულტურა ამარანტისა და კულტურა სტევიას გაშენებას ისახავდა მიზნად;

გარდა ამისა, ასევე დაგეგმილი იყო სასათბურე მეურნეობის განვითარებაც, რომელიც ცალკე დამოუკიდებელ პროდუქციულ ბაზრად მოიაზრება.

რაც შეეხება გეოგრაფიულ საზღვრებს, მიუხედავად იმისა, რომ ზემოთაღნიშნული საქმიანობა ოზურგეთის ტერიტორიაზე ხორციელდებოდა, სააგენტომ გეოგრაფიულ ბაზრად მთლიანად გურიის რეგიონი დაადგინა. აღნიშნული საქმიანობისთვის კიდრობითი ჩარჩო მთელი წლის პერიოდით განისაზღვრა.

სააგენტოს ინფორმაციით, აღნიშნული საქმიანობები წარმოდგენენ დაუკვირვებად ეკონომიკურ საქმიანობას და მათ შესახებ ოფიციალური და არაოფიციალური მონაცემები ერთმანეთთან

თანხვედრაში არაა ხოლმე. ამასთან, მეწარმე სუბიექტები და შინამეურნეობები ხშირად თავს იკავებენ ხოლმე მათი საქმიანობის სახეობისა და წარმოების მოცულობის შესახებ ზუსტი ინფორმაციის გავრცელებისაგან.

სააგენტოს მტკიცებით, ცენტრს საქმიანობისათვის შეზღუდული რესურსი აქვს, კერძოდ 4.5 ჰექტარი მიწის ნაკვეთი.

სააგენტოს მიერ დამუშავდა სტატისტიკური ინფორმაცია სოფლის მეურნეობის სფეროში მოქმედი ეკონომიკური აგენტების შესახებ, ასევე დამატებით ჩატარდა გურიის რეგიონში მოქმედი ფერმერების/მეწარმეების სატელეფონო გამოკითხვა. სააგენტოს ინფორმაცია გამოითხოვა საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროდან, საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურიდან, ა(ა)იპ „სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტოდან“ და გურიის გუბერნატორისაგან.

სააგენტომ მიღებული ოფიციალური ინფორმაციის საფუძველზე დაადგინა, რომ *მეღორეობის სფეროში* ცენტრს გენეტიკურად გაუმჯობესებული ღორების გამოყვანის და რეალიზაციის კუთხით კონკურენტი არ ყავს და გაცემული სახელმწიფო დახმარება კონკურენციის კანონთან შეუსაბამო ვერ იქნებოდა; რაც შეეხება *მევენახეობას*, სხვადასხვა მონაცემებით, გურიის ტერიტორიაზე რამდენიმე სუბიექტია აქტიური ამ დარგში. სააგენტოს მტკიცებით, ცენტრი პირველი შედეგების მიღებას ვაზის გაშენებიდან ოთხი წლის შემდეგ ელოდება (2019 წლიდან). სრული მოსავლიანობის შემთხვევაში, ყოველწლიურმა წარმოებამ შესაძლებელია მიაღწიოს საღვინე ყურძნის შემთხვევაში 4 ტონას, ხოლო სუფრისათვის განკუთვნილი ყურძნის შემთხვევაში კი - 1 ტონას. შესაბამისად, სააგენტოს აზრით, ვინაიდან მოსავლის მიღება დროის გარკვეული პერიოდის გასვლის შემდეგაა შესაძლებელი, აღნიშნული საქმიანობით

მიმდინარე ეტაპზე ვერ მოხდებოდა კონკურენციის რაიმე ფორმით შეზღუდვა. რაც შეეხება ვაზის ნერგებს, ცენტრის მიერ მათი მოძიება და გაშენება უნდა მოხდეს სადემონსტრაციო ნაკვეთში, ხოლო გავრცელების მიზნით იგეგმება ფერმერებისათვის ერთწლიანი ვაზის ნერგების გადაცემა. ამ კუთხითაც, სააგენტო თვლის, რომ კონკურენციის დამახინჯებას არ ექნება ადგილი; **მემცენარეობის სფეროში** სააგენტოს მტკიცებით, რთულია იმის გარკვევა თუ რომელი სუბიექტი ახორციელებს მცენარე ამარანტისა და სტევას მოშენებას. ხოლო **სასათბურე მეურნეობის სფეროში** პროგრამა „აკრედიტივის“ ფარგლებში სამი სუბიექტი ოპერირებს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე, გურიის გუბერნატორისაგან მიღებული ინფორმაციის თანახმად, სასათბურე მეურნეობაში ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე 5 ეკონომიკური აგენტია აქტიური. სააგენტოს მტკიცებით, გამიზნული სახელმწიფო დახმარებიდან მხოლოდ 10 ათასი ლარის ოდენობის თანხა გათვალისწინებული **მემცენარეობის დარგის** (ამარანტის მოშენება 3500 ლარი, სტევას მოშენება 2500 ლარი და ნიადაგის გაუმჯობესება 4000 ლარი) დასაფინანსებლად, აღნიშნული თანხა კი იმდენად მცირეა, რომ ვერ შეაფერხებს კონკურენციის მემცენარეობის დარგში.

სააგენტოს მიერ მოხდა გურიის რეგიონში აქტიური მეწარმე სუბიექტებისა და ფერმერების სატელეფონო გამოკითხვა, ჯამში სულ ათი პირის. ისინი ცენტრს უშუალო კონკურენტად არ აღიქვამენ და აღნიშნულ სახელმწიფო დახმარებას დადებითად აფასებენ გარდა ერთი სუბიექტისა, რომელიც მის მიზნობრიობას ეჭვქვეშ აყენებს. აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ გამოკითხულთა აბსოლუტური უმრავლესობაც გამოთქვას სურვილს მიიღოს სახელმწიფო დახმარება თავისი მეურნეობის განვითარებისათვის.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააგენტომ მიიჩნია, რომ ცენტრისათვის 170 ათასი ლარის ოდენობით სახელმწიფო დახმარების გაცემა 2016 წლის ბიუჯეტიდან შესაბამისობაშია „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონისა და „ინდივიდუალური სახელმწიფო დახმარების უმნიშვნელო ოდენობისა და სახელმწიფო დახმარების გაცემის ზოგადი წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 1 სექტემბრის # 529 დადგენილების მოთხოვნებთან.

საინტერესოა სააგენტოს მიერ გაცემული რეკომენდაციების ნაწილიც, სადაც წერია, რომ 170 ათასი ლარიდან ცენტრი შესაბამისი დარგების განვითარებისათვის 58 450 ლარს ხარჯავს და გაურკვეველია დანარჩენი თანხა რაში იხარჯება. ამასთან, სააგენტოს მტკიცებით ეს საკითხი არ განეკუთვნება სააგენტოს კომპეტენციას. თუმცა, სახელმწიფო დახმარების მიზნობრივი და რაციონალური ხარჯვის დადგენა სწორედ რომ სააგენტოს კომპეტენციას განეკუთვნება. გარდა ამისა, სააგენტოს აზრით, სახელმწიფო დახმარებას არ უნდა ჰქონდეს მუდმივი ხასიათი და გამოყენებულ უნდა იქნეს როგორც დროებითი მოვლენა შესაბამისი დარგის ან რეგიონის განვითარებისათვის.

ოზურგეთის საქმე №2⁶⁷

საინტერესოა ის ფაქტიც, რომ მთავრობის #529 დადგენილებით, სოფლის მეურნეობის სფეროში სახელმწიფო დახმარება ჯამურად ზედიზედ 3 ფისკალური წლის განმავლობაში არ უნდა აღემატებოდეს 200 ათას ლარს, აღნიშნულ ცენტრს კი 2015 წელს გაეწია სახელმწიფო დახმარება 183 ათასი ლარის ოდენობით,

⁶⁷https://gnca.gov.ge/uploads_script/decisions/tmp/3150e146d1414dc0831c5db2de52bac9.pdf [30.11.2023].

2016 წელს - 170 ათასი ლარის ოდენობით და 2017 წელს კი დაგეგმილი იყო კიდევ 90 ათასი ლარით დახმარება.

ახალი დაფინანსების ფარგლებში გათვალისწინებული იყო ხეხილის სამირე მასალის გამოყვანა, რომელიც მოიცავდა სადემონსტრაციო ნაკვეთების მოწყობა/გაფართოებას; მარადმწვანე დეკორატიული მცენარეების სანერგე მასალის გამოყვანას, რომელიც მოიცავდა ნაკვეთის მოწყობას; ჩაის კულტურის გამოყვანა, რომელიც მოიცავდა ნაკვეთის მოწყობას და სასათბურე მეურნეობის მოწყობა. ამჯერად, აღარ იყო გათვალისწინებული ღირის ჯიშების ხელოვნურად დანერგვა. შესაბამისად დადგინდა პროდუქციული ბაზრებიც. გეოგრაფიულ ბაზრად მთლიანად გურიის რეგიონი განისაზღვრა, დროებით ჩარჩოთ კი - მთელი წელი.

შესაბამის ბაზრებზე ცენტრს სააგენტოს ინფორმაციით ჰყავდა კონკურენტებიც. კერძოდ, მევენახეობის სფეროში 3 ეკონომიკური აგენტი უწევდა კონკურენციას; ხეხილისა და მარადმწვანე, დეკორატიული მცენარეების სანერგე პროდუქციის წარმოების სფეროში - 21 ეკონომიკური აგენტი; ხოლო მეჩაიეობის დარგში კი 41 ეკონომიკური აგენტი და სასათბურე მეურნეობის სფეროში 9 ეკონომიკური აგენტი იყო აქტიური.

სააგენტომ შესაბამის ბაზარზე მოქმედი სუბიექტების მხრიდან მოსაზრებების შესწავლის მიზნით გურიის რეგიონში მოქმედ 56 ეკონომიკურ აგენტს გაუგზავნა წერილი, რომელთაგან მხოლოდ 9 ეკონომიკურმა აგენტმა წარმოადგინა პასუხი. ამ ცხრა ეკონომიკური აგენტიდან სამ ეკონომიკურ აგენტს აღებული ჰქონდა საბანკო სესხი. შვიდი ეკონომიკური აგენტიდან კი არც ერთს არ მიუღია სახელმწიფო დახმარება და ყველა მათგანი საჭიროებდა დამატებით დაფინანსებას წარმოების განვითარებისათვის, საშუალოდ 50 000 ლარიდან 100 000 ლარამდე ოდენობით. ხუთ-

მა ეკონომიკურმა აგენტმა გამოთქვა მოსაზრება, რომ სახელმწიფო დახმარება ყველასათვის ხელმისაწვდომი უნდა იყოს. წინააღმდეგ შემთხვევაში საწარმოები არათანაბარ მდგომარეობაში იქნებიან. მხოლოდ ერთმა ეკონომიკურმა აგენტმა მიიჩნია სახელმწიფო დახმარება კონკურენტულ გარემოსთან თავსებადად.

რაც შეეხება მნიშვნელოვან საკითხებს, რაზეც სააგენტომ თავის გადაწყვეტილებაში გაამახვილე ყურადღება წარმოადგენს:

პირველი, ცენტრს 2016 წელს დაგეგმილი/მისაღები შემოსავლების უმეტესი ნაწილი არ მიუღია. შესაბამისად, ცენტრის მხრიდან ადგილი ჰქონდა საქმიანობის არასწორ დაგეგმარებას და წარმართვას. ამასთან რეკომენდაციების ნაწილში სააგენტო ხაზს უსვამს ცენტრის მხრიდან ფინანსური გეგმის გონივრულად შედგენის ვალდებულებაზე, რაც საბიუჯეტო სახსრების მართლზომიერი ხარჯვის წინაპირობაა;

მეორე, სააგენტომ ასევე ყურადღება გაამახვილა ცენტრის მიერ დაგეგმილი ღონისძიებების დროულად განხორციელების აუცილებლობაზე. მაგალითად, სასათბურე მეურნეობის დაგეგმარების საკითხზე;

მესამე, სახელფასო ფონდი შეადგენდა სახელმწიფო დახმარების საკმაოდ მოცულობით ნაწილს;

მეოთხე, 2016 წელს მიღებული სახელმწიფო დახმარების მთლიანი თანხის ათვისება ცენტრის მიერ ვერ განხორციელდა. თუმცა, დამატებით დახმარებას ითხოვდა.

მეხუთე, ცენტრი კიდევ ერთხელ ყურადღებას ამახვილებს იმ ფაქტზე, რომ ცენტრის მიერ განხორციელებული პროგრამები გათვლილია რამდენიმე წელზე და აღნიშნული პროგრამებით შემოსავლის მიღება არ იგეგმებოდა უახლოეს პერიოდში, რის

გამოც დიდი ალბათობით ცენტრს მომდევნო წლებშიც დასჭირდებოდა სახელმწიფო დახმარება. ამაზე დამატებით სააგენტო კიდევ ერთხელ რეკომენდაციების ნაწილშიც საუბრობს. ასევე აღნიშნულია, რომ სოფლის მეურნეობის განვითარების ხელშეწყობის მიზნით სახელმწიფო ახორციელებს სხვადასხვა პროგრამებს. მაგალითად, ა(ა)იპ „სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტოს“ მიერ მოწოდებული ინფორმაციის შესაბამისად, გურიის რეგიონში სააგენტოს პროექტებში და პროგრამებში ჩართულია 19 საწარმო. გურიაში მოქმედებდა ისეთი პროგრამები როგორცაა, გადამამუშავებელი და შემნახველი საწარმოების თანადაფინანსების პროექტი, პროგრამა ქართული ჩაი და შეღავათიანი აგრო კრედიტი.

სააგენტოს მტკიცებით, ვინაიდან ცენტრის კონკურენტი ეკონომიკური აგენტები ორიენტირებულნი არიან ბიზნესის განვითარებაზე და მოწინავე ტექნოლოგიების დანერგვაზე, მათთვის დიდი ალბათობით ცენტრის მიერ გაწეული საქმიანობა კონკურენტუნარიანი ვერ იქნება. ამასთან სააგენტოს აზრით, რადგან მცირემიწიანი ნაკვეთის დივერსიფიცირება ხდება სხვადასხვა პროგრამების მიმართულებით, ცენტრის საქმიანობით თითოეულ დარგში მიღებული შედეგებით ვერ მოხდება კონკურენციის შეზღუდვა. ცენტრის საქმიანობას არ ექნება ისეთი დიდი მასშტაბი რომ კონკურენცია გაუწიოს სხვა საწარმოებს და ფერმერებს. ასევე სააგენტოს აზრით, მნიშვნელოვანია ის ფაქტიც, რომ ცენტრი ახორციელებს და მომავალშიც გეგმავს მიღებული პროდუქციის უსასყიდლოდ გასხვისებას. შესაბამისად, ამ კუთხით იგი კონკურენციაში არ შედის ადგილობრივ ფერმერებთან. ყოველივე ზემოთაღნიშნული გარემოებებიდან გამომდინარე სააგენტო მიიჩნევს, რომ სახელმწიფო დახმარების გაცემა ვერც ერთი მიმართულებით ვერ ჩაითვლება „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონისა და საქართველოს

მთავრობის 2014 წლის პირველი სექტემბრის #529 დადგენილებასთან შეუსაბამო ქმედებად.

სააგენტო გადაწყვეტილების სარეკომენდაციო ნაწილში ბოლოს აღნიშნავს, რომ სახელმწიფო დახმარების გამცემის მიერ დახმარების გაცემამდე აუცილებელია, რომ წინასწარ შემუშავებული გეგმის საფუძველზე მოხდეს დახმარების გაცემა, რაც ხელს შეუწყობს და გააუმჯობესებს თანაბარი კონკურენტული გარემოს ფორმირებას შესაბამის ბაზარზე. ამასთან, ეს გეგმა საჭიროა რომ მომზადებული იქნას კონკრეტული სასაქონლო ბაზრების კვლევასა და ანალიზზე დაყრდნობით. სააგენტოს აზრით, ამ პირობების დაკმაყოფილების შემთხვევაში მაქსიმალურად გამოირიცხული იქნება სახელმწიფო დახმარების პროექტის ფარგლებში გაცემული თანხების, როგორც აუთვისებლობის, ასევე დაგეგმილი საქმიანობების განუხორციელებლობის ფაქტები. ეს პირობები გარკვეულწილად თანხვედრაშია ევროკავშირში ე.წ. „კარგი“ სახელმწიფო დახმარების მოთხოვნებთან.

საინტერესოა აღნიშნულ საქმეზე საქართველოს მთავრობის #529-ე დადგენილების მე-7 მუხლის მე-8 პუნქტის დებულება,⁶⁸ რომლის მიხედვითაც, თუ სააგენტო უმნიშვნელო ოდენობის ინდივიდუალური სახელმწიფო დახმარებების რეესტრის წარმოების პროცესში დაადგენს, რომ გაცემული ინდივიდუალური სახელმწიფო დახმარების ოდენობა აღემატება საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ ინდივიდუალური სახელმწიფო დახმარების უმნიშვნელო ოდენობას, იგი ამზადებს სათანადო დასკვნას და უგზავნის მას როგორც სახელმწიფო დახმარების გამცემ ორგანოს, ისე მის ზემდგომ ორგანოს (არსებობის შემთხვევაში). ეს დებულება ეხება კანონის მე-12 მუხლის მეორე პუნქტით გათვალისწინებულ საქმეებს, რომლებსაც სააგენტოსთვის შეტყობინება არ მოითხოვება და ისინი დასაშვებია

⁶⁸ https://gnca.gov.ge/uploads_script/legislation/tmp/phpsqdAPI.pdf [30.11.2023]

ავტომატურად. ეს საქმე კი ავტომატურად დასაშვები არ იყო (ვინაიდან 3 წლის განმავლობაში ერთი პირის მიერ მიღებული ჯამური თანხა აღემატებოდა მთავრობის #529 დადგენილებით დაწესებულ 200 ათას ლარიან ლიმიტს) და, გარდა ამისა, ბევრი კითხვის ნიშანი არსებობს სახელმწიფო დახმარების რაციონალურ ხარჯვასთან დაკავშირებით, მის მიზნობრიობასთან და კონკურენციის შეფერხების საშიშროებასთან დაკავშირებით.

აღნიშნულ საქმეზე სააგენტოს თავმჯდომარემ 2017 წელს გამოსცა #04/108 ბრძანება, რომლითაც ცენტრისათვის გაწეული სახელმწიფო დახმარება, რომელიც უმნიშვნელო სახელმწიფო დახმარების დადგენილ ზღვარს აღემატება, ცნო დასაშვებად და კანონთან და მთავრობის #529 დადგენილებასთან თავსებადად. თუმცა, სამწუხაროდ, სარეზოლუციურ ნაწილში არ არის მითითებული, თუ რომელ მუხლებთან არის ეს დახმარება თავსებადი. საინტერესოა იმის აღნიშვნაც, რომ ბრძანების მე-4 გვერდზე საუბარია ოზურგეთის მუნიციპალიტეტში ეკონომიკური განვითარების ხელშეწყობაზე, რომელზეც საუბარია კანონის მე-12 მუხლის მესამე პუნქტში და ასეთი სახელმწიფო დახმარებები ინდივიდუალურ უმნიშვნელო სახელმწიფო დახმარებებში არ ხვდება. ამ სახის სახელმწიფო დახმარებები ცალკე სახელმწიფო დახმარებად უნდა იყოს განხილული.

5.3 საქართველოს მთავრობის მიერ გაცემული სახელმწიფო დახმარებები

რაც შეეხება საქართველოს მთავრობის მიერ გაცემულ სახელმწიფო დახმარებებს, როგორც ჩანს, ისინი სააგენტოსთან არც ერთხელ არ შეთანხმებულა, რადგან სააგენტოს ვებგვერდზე ამის შესახებ არავითარი ინფორმაცია არ მოიპოვება. თუმცა,

წლების განმავლობაში მთავრობის გადაწყვეტილებით საქართველოს საპარტნიორო ფონდი გასცემს სახელმწიფო დახმარებებს კონკრეტულ ეკონომიკურ აგენტებზე ისე, რომ ამის შესახებ დეტალური ინფორმაცია საზოგადოებისათვის არ არის ცნობილი. ამის მაგალითია ქვემოთ აღწერილი ორი სახელმწიფო დახმარება, რომელთა შესახებ არაფერი ვიცით. კერძოდ, თუ რა ფორმით, რა პირობებით და ოდენობით მიიღო სახელმწიფო დახმარება კონკრეტულმა ეკონომიკურმა აგენტმა. სამწუხაროდ საქართველოს მთავრობის შესაბამის დადგენილებებში ვკითხულობთ, რომ ამ ეკონომიკური აგენტისათვის მიცემული სახელმწიფო დახმარების შესახებ ინფორმაცია არის კომერციული საიდუმლოება საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 27² მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად. პირველი საქმე ეხება სს „ჰუმანიტი ჯორჯია“-სათვის გაცემულ სახელმწიფო დახმარებას. მეორე საქმე კი ეხება ლოპოტა სპარტორტისათვის გაცემულ სახელმწიფო დახმარებას. 2015 წელს საპარტნიორო ფონდმა განაცხადა, რომ საქართველოს მთავრობა დაინტერესებულია ფარმაცევტული სექტორის განვითარებით და მან მისცა სახელმწიფო დახმარება ახლად დაფუძნებულ ფარმაცევტულ კომპანიას, შპს „ჰუმანიტი ჯორჯია“-ს იმისათვის, რომ განევითარებინა კონკურენტული ბაზარი ფარმაცევტულ ბაზარზე და ხელმისაწვდომი გაეხადა წამალი მომხმარებლებისათვის შედარებით იაფი მედიკამენტების შემოტანით. ძირითადად ეს პროექტი ე.წ. ჯენერიკების იმპორტს მოიცავდა. თუმცა, სამომავლოდ, აღნიშნული კომპანიის მიერ საქართველოში ფარმაცევტული პროდუქციის წარმოების დაწყებაც იყო გათვალისწინებული. აღნიშნული სახელმწიფო დახმარების კონკურენციის კანონმდებლობასთან შესაბამისობის დადგენის მიზნით კონკურენციის სააგენტომ მოკვლევა დაიწყო ააიპ კონკურენციის სამართლისა და მომხმარებელთა დაცვის

ცენტრის 2016 წლის 6 აპრილის განცხადების საფუძველზე. სააგენტომ საკითხის გასარკვევად მიმართა როგორც საპარტნიორო ფონდს, ასევე საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციას. კონკურენციის ორგანოს 2016 წლის 21 ივნისის წერილში ნათქვამია, რომ სს „ჰუმანითი ჯორჯია“-სათვის სახელმწიფო დახმარების გაცემა მოხდა „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-12 მუხლის მეორე პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტის შესაბამისად. მეორე პუნქტში ჩამოთვლილია ის სახელმწიფო დახმარებები, რომლებიც არ საჭიროებენ სააგენტოსთან შეთანხმებას. „ვ“ ქვეპუნქტი ითვალისწინებს სახელმწიფო დახმარების გაცემას საქართველოს მთავრობის მიერ მნიშვნელოვანი სახელმწიფო პროექტების განხორციელებისათვის. სს „ჰუმანითი ჯორჯია“-სათვის მიცემული დახმარებაში სახელმწიფო მნიშვნელობა მდგომარეობდა იმაში, რომ მას ჯენერიკები უნდა შემოეტანა და მედიკამენტების ხელმისაწვდომობა გაეზარდა. საქართველოს მთავრობამ აღნიშნული პროექტის დაფინანსებაზე გადაწყვეტილება 2015 წლის 23 სექტემბრის #2036 განკარგულებით დაამტკიცა.⁶⁹ აღნიშნული დოკუმენტის მესამე პუნქტი ამბობს, რომ „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 27² მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, ამ განკარგულების დანართით გათვალისწინებული ინფორმაცია, სესხის ხელშეკრულება და ამ ხელშეკრულების განხორციელებასთან (გაფორმება, შესრულების კონტროლი და სხვა) დაკავშირებით მიღებული ინფორმაცია მიჩნეულ იქნეს კომერციულ საიდუმლოებად.“ შესაბამისად, აღნიშნული განკარგულების შინაარსი საზოგადოებისათვის ხელმისაწვდომი არ არის და ჩვენთვის უცნობია რა პირობებით გაიცა სახელმწიფო დახმარება

⁶⁹ იხ. მთავრობის განკარგულება

<https://matsne.gov.ge/ka/document/view/3333755?publication=0> [01.04.2023]

სს „ჰუმანითი ჯორჯია“-ზე. ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 27² მუხლი კომერციულ საიდუმლოებას ეხება. მისი პირველი ნაწილის შესაბამისად, კომერციულ საიდუმლოებას წარმოადგენს „ინფორმაცია კომერციული ფასეულობის მქონე გეგმის, ფორმულის, პროცესის, საშუალების თაობაზე ან ნებისმიერი სხვა ინფორმაცია, რომელიც გამოიყენება საქონლის საწარმოებლად, მოსამზადებლად, გადასამუშავებლად ან მომსახურების გასაწევად, ან/და რომელიც წარმოადგენს სიახლეს ან ტექნიკური შემოქმედების მნიშვნელოვან შედეგს, აგრეთვე სხვა ინფორმაცია, რომლის გამჟღავნებამ შესაძლოა ზიანი მიაყენოს პირის კონკურენტუნარიანობას“. სწორედ დასახელებული დებულების საფუძველზე მოხდა მთავრობის აღნიშნული განკარგულების საზოგადოებისათვის გასაიდუმლოება. თუმცა საინტერესოა, თუ რატომ არის კომერციული ფასეულობის მქონე და სს „ჰუმანითი ჯორჯია“-ს კონკურენტუნარიანობისათვის ზიანის მომტანი იმის ცოდნა საზოგადოებისათვის და მათ შორის მისი კონკურენტებისათვის, თუ რა პროცენტში და რა პირობებით აიღო სესხი ამ კომპანიამ სახელმწიფოსაგან.

2017 წელს მთავრობის განკარგულებით საპარტნიორო ფონდის მეშვეობით დაფინანსდა სასტუმრო ლოპოტაზე სასტუმროს მშენებლობა, რაც არსებული სასტუმროსთვის ნომრების დამატებას და გაფართოებას ისახავდა მიზნად.⁷⁰ სავარაუდოდ, აღნიშნულ საკითხზეც ისევ „მნიშვნელოვანი სახელმწიფო პროექტის“ ეტიკეტით იქნა მიღებული გადაწყვეტილება საქართველოს მთავრობის მიერ.

⁷⁰ <http://fund.ge/site/news/63> [24.03.2023]

დასკვნა

სახელმწიფო დახმარების მიზანი არის ქვეყნის ეკონომიკის სრულფასოვანი ფუნქციონირების უზრუნველყოფა. სახელმწიფოს მხრიდან რომელიმე სექტორის ან ეკონომიკური აგენტის დახმარება არ უნდა იწვევდეს კონკურენციის მნიშვნელოვან შეფერხებას. სახელმწიფო დახმარება გაიცემა სახელმწიფო ბიუჯეტიდან, რომელიც ფიზიკური და იურიდიული პირების მიერ შეტანილი გადასახადებისაგან ივსება. შესაბამისად, არც იურიდიულ პირებს არ მოეწონებათ მათ მიერ გადახდილი ფულით კონკურენტებს თუ დააფინანსებენ და არც ფიზიკურ პირებს არ მოეწონებათ, როდესაც მათ მიერ გადახდილი გადასახადებიდან დაფინანსდება სახელმწიფოსათვის უმნიშვნელო საკითხები. სახელმწიფოს მიერ გარკვეული ფინანსური დახმარება სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საკითხებზე გამართლებულია. ასეთ საკითხებად, როგორც წესი, ითვლება სკოლების, საავადმყოფოების, საბავშვო ბაღების მშენებლობა. ასევე მნიშვნელოვან სახელმწიფო საკითხად უნდა ჩაითვალოს მაგალითად, საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამა, რომელიც მოქალაქეებისათვის ჯანმრთელობის გაუარესების შემთხვევაში შესაბამისი მომსახურებით უზრუნველყოფას ისახავს მიზნად. გარდა ამისა, ასეთ საკითხად შეიძლება ჩაითვალოს დედაქალაქიდან მოშორებით მცირე რაოდენობის დასახლებული პუნქტების გაზივით, წყლით, სატელეფონო ან მათთვის სასიცოცხლო მნიშვნელობის პროდუქტებით/მომსახურებით უზრუნველყოფა.

მნიშვნელოვანია სახელმწიფო დახმარების ცნების სწორი დეფინიციის განსაზღვრა საკანონმდებლო დონეზე. ევროკავშირში არსებობს „კარგი“ სახელმწიფო დახმარების (good aid) ცნება, რომელიც მოცემულია ევროკომისიის მიერ 2012 წელს შემუშავებულ სახელმწიფო დახმარების მოდერნიზაციის კომუნიკეში. აღნიშნული დოკუმენტის მე-12 პარაგრაფის მიხედვით,

„კარგი სახელმწიფო დახმარება“ გარკვეულ მოთხოვნებს უნდა აკმაყოფილებდეს. სახელმწიფოს მიერ განხორციელებული ღონისძიება რომ ჩაითვალოს კარგ სახელმწიფო დახმარებად. კერძოდ ის:

- უნდა იყოს კარგად დაგეგმილი;
- ითვალისწინებდეს იმ იდენტიფიცირებული საბაზრო ჩავარდნების აღმოფხვრას, რომელიც ერთიანი ეკონომიკური ინტერესის სფეროში შედის და
- ნაკლებად იყოს კონკურენციის დამახინჯების ეფექტის მქონე. სახელმწიფო დახმარებამ ასევე უნდა უზრუნველყოს ინოვაციის, მწვანე ტექნოლოგიის, ადამიანური კაპიტალის განვითარების ხელშეწყობა;
- ასევე, მან თავიდან უნდა აიცილოს გარემოსთვის ზიანის მიყენება და საბოლოოდ უზრუნველყოს ევროკავშირის განვითარება, დასაქმებისა და ევროკავშირის კონკურენტუნარიანობის ზრდა.

ევროკავშირში თვლიან, რომ სახელმწიფო დახმარება ყველაზე კარგად მაშინ უზრუნველყოფს განვითარებას, როდესაც ის ითვალისწინებს საბაზრო ჩავარდნის აღმოფხვრას და, შესაბამისად, ავსებს და არ ცვლის პირების მიერ გაწეულ ხარჯებს. სახელმწიფო დახმარება მხოლოდ მაშინ იქნება ეფექტური საჯარო პოლიტიკის მიზნის მიღწევაში, როდესაც მას აქვს მასტიმულირებელი ეფექტი, ე.ი. ის ხელს უწყობს სახელმწიფო დახმარების მიმღებს განახორციელოს ის ქმედება, რომელსაც არ განახორციელებდა დახმარების გარეშე. სახელმწიფო დახმარებას ყველაზე დადებითი შედეგი აქვს მხოლოდ მაშინ, როდესაც სახელმწიფო ღონისძიება დაგეგმილია ისე, რომ ის არ იწვევს კონკურენციის დამახინჯებას და ინარჩუნებს შიდა

ბაზრის კონკურენტუნარიანობას და ღიაობას. შესაბამისად, სახელმწიფო დახმარების კონტროლი გადამწყვეტია, რომ იმ საჯარო ხარჯების ეფექტურობა და ქმედითობა იქნეს უზრუნველყოფილი, რომელიც სახელმწიფო დახმარების ფორმით ხორციელდება. ამ კონტროლს აქვს შიდა ბაზრის მეტი ზრდის მასტიმულირებელი საყოველთაო მიზანი, რომლის აუცილებელ პირობას წარმოადგენს კონკურენციის განვითარება. ის სახელმწიფო დახმარება, რომლის მიზანი არ არის ბაზრის ჩავარდნის აღმოფხვრა და არ აქვს მასტიმულირებელი ეფექტი, წარმოადგენს არამართო სახელმწიფო რესურსების უსარგებლო ხარჯვას, არამედ აფერხებს შიდა ბაზრის განვითარებას, რადგან მას შედეგად მოჰყვება კონკურენტული პირობების გაუარესება. სამწუხაროდ, საქართველოს კანონმდებლობით საქართველოს მთავრობას აქვს შესაძლებლობა, რომ მოახდინოს სახელმწიფო დახმარებების გაცემა სხვადასხვა ეკონომიკური აგენტებისთვის ისე, რომ უგულვებელყოს გამჭვირვალობის პრინციპები, რის გამოც საზოგადოებაში არის ეჭვები, რომ არის შემთხვევები, როდესაც სახელმწიფო დახმარებების მიცემისას ადგილი აქვს მიკერძოებას და შერჩევითობას, რაც, სამწუხაროდ, მძიმე შედეგის მომტანი შეიძლება იყოს კონკურენციისათვის.

6. სააგენტოს უფლებამოსილების ანალიზი

დღეს მოქმედი კონკურენციის სააგენტო შეიქმნა 2014 წელს მოქმედ კანონში შესული ცვლილებების საფუძველზე. 2012 წლის კანონის თავდაპირველი ვერსიით შექმნილი იყო კონკურენციის და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო. სააგენტოს დაშლა კი სწორედ 2014 წლის ცვლილებებით მოხდა და შეიქმნა ცალ-ცალკე კონკურენციის სააგენტო და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო.

კონკურენციის სააგენტოს უფლებამოსილება ასახულია „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლში. ამ მუხლის პირველ პუნქტში მოცემულია ის უფლებები, რომელიც სააგენტოს შეუძლია განახორციელოს ეკონომიკური აგენტების მიმართ. ხოლო მეორე პუნქტში კი გაწერილია ის უფლებამოსილება, რაც სააგენტოს აქვს სახელმწიფო ხელისუფლების, ავტონომიური რესპუბლიკის ხელისუფლების, მუნიციპალიტეტის ორგანოსთან ან სხვა ადმინისტრაციულ ორგანოსთან მიმართებით. მესამე პუნქტის მიხედვით, სააგენტო უფლებამოსილია თავისი კომპეტენციის ფარგლებში გასცეს სარეკომენდაციო განმარტება და დაინტერესებულ პირს გაუწიოს კონსულტაცია კონკურენციის შესახებ საქართველოს კანონმდებლობის გამოყენების თაობაზე.

მე-18 მუხლის ანალიზის საფუძველზე ნაწილობრივ შეიძლება იმაზე საუბარი, თუ რამდენად შესაბამისობაშია სააგენტოს უფლებამოსილება ასოცირების შესახებ შეთანხმების 204-ე მუხლის მეორე პუნქტის მოთხოვნასთან, რომელიც ითხოვს, რომ მხარეებს უნდა ჰყავდეთ კონკურენციის კანონების ეფექტიან აღსრულებაზე პასუხისმგებელი და შესაბამისი უფლებამოსილებით აღჭურვილი ორგანო.

სააგენტო უფლებამოსილია განახორციელოს საქმის მოკვლევა წარდგენილი საჩივრის საფუძველზე ან საკუთარი ინიციატივით. სააგენტო სარგებლობს შემდეგი უფლებამოსილებით:

- უფლება აქვს შესაბამის ეკონომიკურ აგენტს/მხარეს/დაინტერესებულ მხარეს მოსთხოვოს მისი საქმიანობის ან/და კონკრეტული ოპერაციის შესახებ ნებისმიერი ინფორმაციის/დოკუმენტაციის (მათ შორის, კონფიდენციალური ინფორმაციის) წარდგენა, რომელიც საჭიროა სააგენტოს მიერ შესაბამისი უფლებამოსილების განხორციელებით;
- ეკონომიკური აგენტისგან/მხარისგან/დაინტერესებულ მხარისგან მოთხოვნილი ინფორმაციის/დოკუმენტაციის მიუღებლობის შემთხვევაში შუამდგომლობით მიმართოს სასამართლოს შესაბამისი უფლებამოსილების განხორციელების პროცესში ეკონომიკური აგენტისგან/მხარისგან/დაინტერესებულ მხარისგან ინფორმაციის/დოკუმენტაციის გამოთხოვის შესახებ;
- შესაბამისი უფლებამოსილების განხორციელების პროცესში მხარეს/დაინტერესებულ მხარეს მოსთხოვოს ახსნა-განმარტებისთვის გამოცხადება;
- სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე ადგილზე შეამოწმოს შესაბამისი ეკონომიკური აგენტი;
- მოთხოვნილი ინფორმაციის განსაზღვრულ ვადაში მიუწოდებლობის შემთხვევაში ეკონომიკურ აგენტს/მხარეს/დაინტერესებულ მხარეს დააკისროს ჯარიმა ამ კანონის 32-ე მუხლის შესაბამისად;
- ეკონომიკურ აგენტს მოსთხოვოს განხორციელებული ქმედების ამ კანონთან შესაბამისობის უზრუნველყოფა;

- თანხმობა განაცხადოს ან უარი თქვას კანონის სავარაუდო დარღვევის აღმოფხვრის მიზნით განსახორციელებელი კონკრეტული ქმედების განხორციელების თაობაზე ეკონომიკური აგენტის მიერ შეთავაზებული პირობითი ვალდებულების მიღებაზე;
- ეკონომიკურ აგენტს განსახილველად წარუდგინოს სავალდებულო რეკომენდაციები;
- ამ კანონის მოთხოვნათა დარღვევის შემთხვევაში დააკისროს შესაბამისი ჯარიმა აღნიშნული კანონის 33-ე მუხლის შესაბამისად;
- საჭიროების შემთხვევაში მოიწვიოს ექსპერტები საქმის მოკვლევის პროცესში;
- დომინანტური მდგომარეობის მქონე ეკონომიკური აგენტის მიერ ამ კანონის არაერთგზის დარღვევისას სასამართლოს წინაშე დასვას მისი იძულებით დაყოფის საკითხი, თუ ეკონომიკური აგენტის დაყოფა (საწარმოს ორგანიზაციული და ტერიტორიული განცალკევება) შესაძლებელია;
- თანხმობა განაცხადოს ან უარი თქვას კონცენტრაციის მონაწილე ეკონომიკური აგენტის მიერ შეთავაზებულ სტრუქტურული ან/და ქვევითი ხასიათის ღონისძიებაზე;
- სასამართლოს წარუდგინოს შუამდგომლობა კონცენტრაციის გაუქმების შესახებ თავდაპირველი მდგომარეობის აღდგენის მიზნით. შესაბამისი ორგანოების წინაშე დასვას საქართველოს კანონმდებლობის დამრღვევი ეკონომიკური აგენტის ხელმძღვანელი პირის პასუხისმგებლობის საკითხი;

- სასამართლოს მიმართოს შუამდგომლობით ეკონომიკური აგენტის გარკვეული ქმედების დროებით, სააგენტოს მიერ საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე, შეჩერების თაობაზე, თუ არსებობს აშკარა მტკიცებულება, რომ ეს ქმედება მნიშვნელოვნად ზღუდავს ამ კანონის მე-6 და მე-7 მუხლებით გათვალისწინებულ კონკურენციას.
- ეკონომიკური აგენტის დასაბუთებული მოთხოვნის შემთხვევაში მიიღოს გადაწყვეტილება მისთვის დაკისრებული ჯარიმის არაუმეტეს 1 წლის ვადით გადანაწილების თაობაზე.

ჩამოთვლილი უფლებამოსილებიდან საინტერესოა რამდენიმე საკითხი:

პირველი, „მ“ პუნქტის საფუძველზე სააგენტოს შეუძლია შესაბამისი ორგანოების წინაშე დასვას საქართველოს კანონმდებლობის დამრღვევი ეკონომიკური აგენტის ხელმძღვანელი პირის პასუხისმგებლობის საკითხი. თუმცა, გაუგებარია ეკონომიკური აგენტის ხელმძღვანელ პირს კონკურენციის ნორმების დარღვევის შემთხვევაში რა პასუხისმგებლობა შეიძლება დაეკისროს და რომელმა „შესაბამისმა ორგანოებმა“ უნდა დააკისრონ პასუხისმგებლობა;

მეორე, „ე“ ქვეპუნქტის საფუძველზე სააგენტოს შეუძლია სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე ადგილზე შეამოწმოს შესაბამისი ეკონომიკური აგენტი. კანონის 25-ე მუხლის მე-6-8 პუნქტები ასევე ითვალისწინებს ეკონომიკური აგენტების ადგილზე შემოწმებას და დეტალურ ინფორმაციას გვაწვდის ამ საკითხზე. მე-6 პუნქტი კიდევ ერთხელ იმეორებს, რომ სააგენტოს უფლება აქვს, სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე ადგილზე შეამოწმოს შესაბამისი ეკონომიკური აგენტი. ხოლო

მე-7 პუნქტში კი მოცემულია ის გარემოებები, რომელთა საფუძველზეც სააგენტოს აქვს უფლება შუამდგომლობით მიმართოს სასამართლოს ეკონომიკური აგენტების ადგილზე შემოწმების ნებართვის მისაღებად. კერძოდ, ეს საფუძველებია: 1. საქმის მოკვლევისთვის საჭირო ინფორმაციისა და დოკუმენტაციის მიღება შეუძლებელია; 2. არსებობს საქმესთან დაკავშირებული ინფორმაციის დამალვის ან/და განადგურების საშიშროება; 3. მხარეები არ ასრულებენ ინფორმაციისა და დოკუმენტაციის წარდგენის ვალდებულებას; და 4. საჭიროა ეკონომიკური აგენტის მატერიალური აქტივების დათვალიერება. მე-8 პუნქტი კი შეიცავს იმ აქტივობების ჩამონათვალს, რომელთა განხორციელებაც შეუძლია სააგენტოს ეკონომიკური აგენტების ადგილზე შემოწმებისას. კერძოდ, 1. ეკონომიკური აგენტის საქმიანობასთან დაკავშირებული დოკუმენტების, მათ შორის, ფინანსური და ეკონომიკური დოკუმენტების, გაცნობა, მათი კონფიდენციალურობისა და შენახვის წესის მიუხედავად; 2. დოკუმენტების ასლების გადაღება; 3. ადგილზე ახსნა-განმარტების მიღება და 4. ეკონომიკური აგენტის იურიდიული და ფაქტობრივი საქმიანობების ადგილზე დაშვება.

აღნიშნული მუხლები პირდაპირ შეიცავს ჩანაწერს, რომ ეკონომიკური აგენტების ადგილზე შემოწმება უნდა მოხდეს „სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე...“ აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ამ დებულებაში არ არის საუბარი სასამართლოს წინასწარ თანხმობაზე. ამ საკითზე კი საინტერესოა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის შესაბამისი მუხლების შინაარსი.

აღნიშნულ კოდექსს 2020 წელს „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონში შესული ცვლილებებისა და დამატებების პარალელურად დაემატა რიგი მუხლები. კერძოდ, დაემატა VII¹⁸

თავი, რომელიც აწესრიგებს საქართველოს კონკურენციის ეროვნული სააგენტოს მიერ ეკონომიკური აგენტების ადგილზე შემოწმების წესს და მათ შორის სასამართლოსთვის მიმართვისა და ამ უკანასკნელის მიერ ბრძანების მიღებისა და გასაჩივრების წესებს. აღნიშნული თავით გათვალისწინებულია, რომ სააგენტომ ეკონომიკური აგენტების ადგილზე შემოწმებამდე წინასწარ უნდა მიმართოს თბილისის საქალაქო სასამართლოს.

განსხვავებული მიდგომა აქვს ევროკავშირის კომისიას. მისი აზრით, სასამართლოს წინასწარი ნებართვა არ არის საჭირო ეკონომიკური აგენტების ადგილზე შემოწმებისათვის. კომისიის აზრით, წინასწარი სასამართლო ნებართვის გარეშე ეკონომიკური აგენტების შემოწმება მნიშვნელოვანია კონკურენციის ორგანოების მიერ, იმის გამო, რომ მტკიცებულებების ამოღება ხშირად პრობლემურია, რადგან ეკონომიკური აგენტები ფარულად თანამშრომლობენ და მტკიცებულებებს ასაიდუმლოებენ. ამისათვის, კომისია ფიქრობს, რომ ე.წ. „გარიჟრაჟზე რეიდები“ არის საჭირო. კომისიას თავისი შეხედულებები მოკვლევის პროცესში კონკურენციის ორგანოების უფლებამოსილებაზე მოცემული აქვს ევროკავშირის დირექტივაში **Directive (EU) 2019/1**.⁷¹

1/2003 რეგულაციის მე-20 მუხლის მიხედვით კომისია უფლებამოსილია:

1. შევიდეს კომპანიების ქონებაში;

⁷¹ Directive (EU) 2019/1 of the European Parliament and of the Council of 11 December 2018 to empower the competition authorities of the Member States to be more effective enforcers and to ensure the proper functioning of the internal market. <https://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/?uri=CELEX:32019L0001> [13.09.2023]

2. შეამოწმოს ბიზნესთან დაკავშირებული ჩანაწერები;
3. აიღოს ამ ჩანაწერების ასლები;
4. დალუქოს ბიზნეს ფართი და ჩანაწერები, დაუსვას პერსონალის წევრებს ან კომპანიის წარმომადგენლებს კითხვები ინსპექტირების საგანთან დაკავშირებით და ჩაიწეროს პასუხები.

შესაბამისად, საქართველოს კანონმდებლობაში გამონაკლისის სახით უნდა იყოს გათვალისწინებული, რომ გადაუდებელ შემთხვევაში კონკურენციის სააგენტოს უფლება ჰქონდეს შევიდეს ეკონომიკური აგენტის ქონებაში და შემოწმების დაწყებიდან 24 საათში მიმართოს სასამართლოს და დაასაბუთოს გადაუდებლობის აუცილებლობის საჭიროება კონკრეტული ინსპექტირების შემთხვევაში.

მესამე, სააგენტო უფლებამოსილია კონკურენციის ნორმების დარღვევის შემთხვევაში შესაბამის ეკონომიკურ აგენტებს დააკისროს ჯარიმები კანონის 33-ე მუხლის შესაბამისად. აღნიშნული მუხლით კარტელების, დომინანტი პოზიციის ბოროტად გამოყენების და კონცენტრაციების მარეგულირებელი ნორმების დარღვევის შემთხვევაში გათვალისწინებულია ეკონომიკური აგენტების დაჯარიმება მათი წლიური ბრუნვის 5 პროცენტამდე. მხოლოდ კარტელების და დომინანტი პოზიციის ბოროტად გამოყენების შემთხვევაში სამართლებრივი საფუძვლის აღმოუფხვრელობის ან დარღვევის განმეორების შემთხვევაში ეკონომიკურ აგენტებს შეიძლება დაეკისროთ ჯარიმა მათი წლიური ბრუნვის 10%-მდე.

ჯარიმის ოდენობა ევროკავშირთან შედარებით საქართველოს კანონმდებლობით განახევრებულია. ევროკავშირის #1/2003

რეგულაციით გათვალისწინებულია ჯარიმები ბრუნვის 10 პროცენტამდე. ჯარიმას და სანქციას უნდა ჰქონდეს შემაკავებელი ეფექტი სამართალდარღვევის ჩადენისაგან. შესაბამისად, სანქცია უნდა ითვალისწინებდეს არა ისეთ ჯარიმას, რომლის გადახდა მას უპრობლემოდ შეეძლება და, ამასთან, სამართალდარღვევის შედეგად საკმაოდ დიდი მოგების მიღებას შეეძლებს, არამედ სანქციის მიზანი უნდა იყოს ის, რომ მან პოტენციურ სამართალდამრღვევ ეკონომიკურ აგენტებს გადააფიქრებინოს სამართალდარღვევის ჩადენა მისი სიმძიმის გამო, ხოლო მისი ჩადენის შემთხვევაში სასჯელი კი საკმაოდ მძიმე იყოს.

ჯარიმასთან დაკავშირებით უნდა აღინიშნოს კიდევ ორი პრობლემური საკითხი. პირველი, კანონით გათვალისწინებულია სამართალდამრღვევი ეკონომიკური აგენტების დაჯარიმება, რომლის ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს წინა ფინანსური წლის განმავლობაში მისი წლიური ბრუნვის 5 პროცენტს. თუმცა, საინტერესოა წინა ფინანსურ წელში რომელი წელი იგულისხმება. სააგენტოს მიერ შემუშავებული ჯარიმის ოდენობის დადგენის სახელმძღვანელო პრინციპების მიხედვით, „კანონდამრღვევი პირისათვის დასაკისრებელი ჯარიმის მაქსიმალური ოდენობა გამოითვლება სააგენტოს მიერ შესაბამისი გადაწყვეტილების მიღების წინა ფინანსური წლის განმავლობაში ეკონომიკური აგენტის წლიური ბრუნვიდან“. სააგენტოს აქვს 18 თვე მოკვლევისათვის. თუ ის, მაგალითად, მოკვლევას დაიწყებს 2023 წლის აპრილში და დაასრულებს მას 2024 წლის ბოლომდე, მან ჯარიმები უნდა დათვალოს 2023 წლის ბრუნვიდან. როგორც წესი, სამართალდარღვევაში ეჭვმიტანილი ეკონომიკური აგენტები, მას შემდეგ რაც სააგენტო მათ მიმართ იწყებს მოკვლევას, ცდილობენ სამართალდარღვევაში მონაწილეობის ხარისხის შემცირებას და შედარებით მცირე მოგების და ბრუნვის ჩვენებას. ჩვენს შემთხვევაში, 2023 წლის ბრუნვა დიდი

ალბათობით ვერ ასახავს დარღვევის სრულ ზიანს და იმ მოგებას, რაც ეკონომიკურმა აგენტებმა მიიღეს შესაბამისი სამართალ-დარღვევის შედეგად. ჯარიმების გამოთვლა თუ მოხდება ამ შემთხვევაში 2023 წლის ბრუნვიდან, ის ვერ იქნება ადეკვატური, რადგან ვერ ასახავს სრულად სამართალდარღვევის სიმძიმეს, ზიანს და მოგებას. ევროკავშირში ჯარიმების სახელმძღვანელოს მიხედვით, ჯარიმები იანგარიშება წინა წლის ბრუნვიდან, ხოლო წინა წელში იგულისხმება მოკვლევის დაწყების წინა წელი. ანუ ჩვენს შემთხვევაში ევროპული მიდგომით რელევანტური იქნება 2022 წელი, რომელიც სრულად ასახავს ზიანს და ასევე მოგებას.

მეორე მნიშვნელოვანი საკითხი ჯარიმასთან მიმართებაში არის პერიოდული ჯარიმები. მე-6 და მე-7 მუხლების დარღვევის შემთხვევაში კანონი ითვალისწინებს დარღვევის სამართლებრივი საფუძვლის აღმოუფხვრელობის ან დარღვევის განმეორების შემთხვევაში გაორმაგებულ ოდენობამდე ჯარიმების დაწესების შესაძლებლობას. კერძოდ, მხარეს დაეკისრება ჯარიმა, რომლის ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს წინა ფინანსური წლის განმავლობაში მისი წლიური ბრუნვის 10%-ს. თუმცა, სამწუხაროდ, ესეც არ არის კონკურენციის ნორმების ეფექტური აღსრულებისთვის საკმარისი საფუძველი. ევროკავშირშიც ჯარიმების მაქსიმალური ოდენობა ბრუნვის 10 პროცენტია. თუმცა, თუ ეკონომიკური აგენტი არ ასრულებს კომისიის გადაწყვეტილებას, მას უკვე 1/2003 რეგულაციით შეიძლება დაეკისროს პერიოდული ჯარიმები და ამ გზით აიძულოს კომისიამ მას ვალდებულების შესრულება. კერძოდ, აღნიშნული რეგულაციის 24-ე მუხლის საფუძველზე შესაბამის ეკონომიკურ აგენტებს შეიძლება დაუწესდეთ ყოველდღიური პერიოდული ჯარიმები მათი მიმდინარე ფინანსური წლის საშუალო დღიური ბრუნვის არაუმეტეს 5 პროცენტისა, რათა

მოხდეს მათი იძულება შეასრულონ კომისიის გადაწყვეტილებები. აღნიშნული სახის პერიოდულ ჯარიმებს, სამწუხაროდ, „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონი არ ითვალისწინებს.

ასევე, საქართველოს კანონმდებლობით მცირე ჯარიმებია გათვალისწინებული ინფორმაციის მიუწოდებლობისთვის. კერძოდ, 32-ე მუხლის შესაბამისად, სააგენტოს მიერ მოთხოვნილი ინფორმაციის განსაზღვრულ ვადაში მიუწოდებლობის ან სააგენტოსთვის არასწორი ან არასრული ინფორმაციის მიწოდების შემთხვევაში იურიდიულ პირს დაეკისრება ჯარიმა 3 000 ლარის ოდენობით, ფიზიკურ პირს კი – 1 000 ლარის ოდენობით. ხოლო განმეორებით ინფორმაციის მიუწოდებლობის შემთხვევაში კი – იურიდიულ პირს დაეკისრება ჯარიმა 5 000 ლარის ოდენობით, ხოლო ფიზიკურ პირს – 3 000 ლარის ოდენობით. ამასთან, ჯარიმის დაკისრება პირს არ ათავისუფლებს სააგენტოსთვის ინფორმაციის მიწოდების ვალდებულებისგან. აღნიშნული ჯარიმები ძალიან მცირეა ევროკავშირში გათვალისწინებული ჯარიმების ოდენობასთან შედარებით. ევროკავშირის #1/2003 რეგულაციით ინფორმაციის მიუწოდებლობის შემთხვევაში გათვალისწინებულია ეკონომიკური აგენტების დაჯარიმება მათი წლიური ბრუნვის 1 პროცენტამდე, რაც შეიძლება საკმაოდ დიდი თანხა იყოს.

მეოთხე მნიშვნელოვანი საკითხი, რომელიც ასევე პრობლემურია კონკურენციის ნორმების ეფექტური აღსრულების კუთხით და ამავდროულად კონკურენციის ორგანოს დამოუკიდებლობის კუთხით, არის კონკურენციის სააგენტოს ინსტიტუციური ცვლილება. 2014 წლის შემდეგ კონკურენციის სააგენტოს ერთპიროვნულად მართავს საქართველოს პრემიერ მინისტრის მიერ დანიშნული ხელმძღვანელი. კონკურენციის ორგანოების უმრავლესობა (დაახლოებით 75%) წარმოადგენს კოლეგიურ

ორგანოს. „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონს 2020 წელს დამატა 17¹ მუხლი, რომელიც ითვალისწინებს სააგენტოს ინსტიტუციურ ცვლილებას და 5 კაციანი საბჭოს შემქნას, რომელიც დაკომპლექტდება საქართველოს პრემიერ მინისტრისა და პარლამენტის მიერ. კერძოდ, პრემიერ მინისტრის მიერ შექმნილი კომისია შეარჩევს საბჭოს წევრების კანდიდატებს, შემდეგ ამ კანდიდატებს იგი გადაუზღავნის პარლამენტს. ეს უკანასკნელი კი ირჩევს საბჭოს წევრებს. აღნიშნული მუხლი ძალაში უნდა შესულიყო 2022 წელს, თუმცა გადაიდო მისი ამოქმედება ჯერ 2023 წლისათვის, შემდეგ კი 2025 წლამდე.

კონკურენციის სააგენტოს უფლებამოსილებისა და მის მიერ უფლებამოსილების ეფექტურად განხორციელების საკითხთან მიმართებაში მნიშვნელოვანია ასევე ვისაუბროთ კანონის 22-ე მუხლთან მიმართებაში, რომლის პირველი პუნქტის შესაბამისად, სააგენტოში შეიძლება შევიდეს განცხადება, ხოლო მეორე პუნქტის მიხედვით კი - საჩივარი. შესაბამისად, მომჩივანი მხარედ განიხილება და მას ეკისრება მტკიცების ტვირთი. ამ შემთხვევაში მომჩივანი შეიძლება იყოს პირი, რომელსაც უშუალოდ მიადგა ზიანი. რაც შეეხება განმცხადებელს, ის მხარედ არ მიიჩნევა. მის მიერ წარდგენილ განცხადებაში მოყვანილ ინფორმაციას სააგენტო ცნობად იღებს და თუ სააგენტოს გონივრული ეჭვი წარმოეშობა, რომ შესაძლოა სამართალდარღვევას ჰქონდეს ადგილი, მაშინ შეუძლია მან საკუთარი ინიციატივით დაიწყოს მოკვლევა. აღნიშნული სტანდარტი შესაძლებლობას აძლევს კონკურენციის სააგენტოს, რომ საზოგადოებისათვის მნიშვნელოვან ზოგიერთ საკითხებზე ყურადღება არ გაამახვილოს და არ დაიწყოს მოკვლევა ან მონიტორინგი მაინც. სამწუხაროდ, ამის არაერთი მაგალითი გვაქვს.⁷²

⁷² მაგალითად, ფარცვეტულ ბაზარზე შესაძლო დარღვევები, რომელზეც ჯერ კიდევ 2016 წელს იყო შეტანილი განცხადება ააიპ „კონკურენციის

შესაბამისად, კარგი იქნება თუ მსგავსად გამომძიებლისა და პროკურორისა, რომელიც დანაშაულის შესახებ ინფორმაციის მიღების შემთხვევაში ავტომატურად იწყებს გამოძიებას საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 100-101-ე მუხლების საფუძველზე, სააგენტოც ვალდებული იქნება სავარაუდო სამართალდარღვევის შესახებ ინფორმაციის მიღების შემდეგ ავტომატურად დაიწყოს მოკვლევა, უკიდურეს შემთხვევაში, შესაბამისი ბაზრის მონიტორინგი მაინც, საზოგადოებისათვის განსაკუთრებით მნიშვნელოვან საკითხებზე.

სამართლისა და მომხმარებელთა დაცვის ცენტრის“ მიერ. <[Gnca - კონკურენციის შემზღუდველი შეთანხმებები](#)> [22.09.2023].

7. სააგენტოს მიერ განხორციელებული მონიტორინგების ანალიზი

2023 წლის 5 სექტემბრის მდგომარეობით კონკურენციის სააგენტოს თერთმეტი მონიტორინგი აქვს განხორციელებული სხვადასხვა ბაზარზე. “კონკურენციის შესახებ” საქართველოს კანონის 17² მუხლის “ბ” პუნქტის შესაბამისად, სააგენტოს ფუნქციაში შედის საქართველოს სასაქონლო და მომსახურების ბაზრებზე არსებული ვითარების შესწავლა და კონკურენტული გარემოს შესაფასებლად ამ ბაზრების მონიტორინგის განხორციელება.

პირველი მონიტორინგი განხორციელდა ყავის ბაზარზე 2015 წელს. მონიტორინგის პროცესში პირდაპირი და ელექტრონული ანკეტირების გზით განხორციელდა სხვადასხვა ასაკობრივი ჯგუფის ყავის 500-მდე მომხმარებლის და ყავის ბაზარზე მოქმედი ეკონომიკური აგენტის გამოკითხვა.

ყავა განიხილება სასურსათო საქონლის ჯგუფში. ის სავაჭრო ბრუნვის მიხედვით ნავთობის შემდეგ მეორე ადგილზეა. საქართველოში ის იბეგრება 12%-იანი განაკვეთით.

ყავა მიეკუთვნება ცხელი სასმელების კატეგორიას. ამ მხრივ საინტერესოა ჩაის და ყავის ჩანაცვლებადობის საკითხი. გამოკითხულთა მცირე ნაწილი - 9.3% ყიდულობს ჩაის მისთვის სასურველი სახეობის ყავის სავაჭრო პუნქტში არქონის შემთხვევაში. გამოკითხულთა 48.7% ხსნადი ყავის მოყვარულია, ხოლო 26.7% კი - ნალექიანი ყავის.

მომხმარებლების გამოკითხვის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, ნალექიანი და ხსნადი ყავის ერთმანეთის ჩამნაცვლებელი არაა. გამოკითხულთა 71.8% ერთგული რჩება მისი რჩეული ყავის, რადგან, თუ არსებულ სავაჭრო პუნქტში ვერ მოიძია მისთვის

სასურველი სახეობა, სხვა ადგილას აგრძელებს ყავის ძიებას. გამოკითხულთა მხოლოდ 18.9% ყიდულობს მეორე სახეობას, თუ დახლზე არ აღმოჩნდა მისთვის სასურველი სახეობა.

აღსანიშნავია ასევე ის გარემოება, რომ ნალექიანი და ხსნადი ყავა სხვადასხვა სასაქონლო კოდში კლასიფიცირდება.

სააგენტომ შეაფასა ყავის ბაზარი 2008 წლიდან 2015 წლის ივნისის ჩათვლით. ამ პერიოდში ნალექიანი ყავის ბაზარი დაბალკონცენტრირებული იყო და მოთამაშეების რაოდენობაც საკმაოდ ბევრი იყო - 82-დან 145-მდე მერყეობდა. რაც შეეხება ამავე პერიოდში ხსნადი ყავის ბაზარს, მოთამაშეების რაოდენობა 72-დან 237-მდე მერყეობდა, რამდენიმე წელი 279, 300 და 271 მოთამაშისაგან შედგებოდა. თუმცა, ბაზარი ზომიერად კონცენტრირებული იყო, რადგან 10-16 მოთამაშის ხელში იყო 90%-ზე მეტი საბაზრო წილი.

სააგენტო აღნიშნულ ბაზარზე ნორმალურ კონკურენტულ გარემოს ხედავს, მიუხედავად იმისა, რომ სიღრმისეულად არ სწავლობს ხსნადი ყავის ბაზარს, რომელზეც ჩანს რომ კომპანიების ნაწილს (10-12 ეკონომიკურ აგენტს) 90 პროცენტზე მეტი წილი უკავია.

აქვე აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ სააგენტო ამბობს, რომ კონკურენტული გარემოს სიღრმისეული ანალიზი ვერ მოახდინა, რადგან სათანადო ინფორმაციის გამოთხოვის მიუხედავად, ეკონომიკურმა აგენტების უმრავლესობამ, ფასების შესახებ ინფორმაცია არ მიაწოდა. კანონმდებლობის შესაბამისად, კომპანიებს არ ევალებათ სასაქონლო ბაზრების მონიტორინგის პროცესში სააგენტოს მიერ გამოთხოვილი ინფორმაციის მიწოდება და ეს მათ კეთილ ნებაზეა დამოკიდებული. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ სააგენტოს გონივრული ეჭვის ფარგლებში შეუძლია საკუთარი ინიციატივით წამოიწყოს საქმის მოკვლევა

და ამ შემთხვევაში ინფორმაციის მოძიების კუთხით პრობლემა კანონმდებლობიდან ნაკლებად მოსალოდნელია.

მეორე საქმეს რაც შეეხება, ის უკავშირდება მგზავრთა ავიაგადაყვანის ბაზრის მონიტორინგს, რომელიც 2016 წელს დასრულდა. ანგარიშში მიმოხილულია 2014-2016 წლები. მოკვლევის ფარგლებში შესწავლილი იქნა თბილისის, ქუთაისის და ბათუმის აეროპორტების ურთიერთაჩანაცვლებადობის საკითხი.

გამოკითხულთაგან 39% სარგებლობდა თურქეთის ავიახაზებით, 18.5% უკრაინის საერთაშორისო ავიახაზებით, 11% ვიზერ უნგრეთით და 8.5% საქართველოს ავიახაზებით.

გამოკითხულთა 61.5% მიიჩნევდა, რომ ქუთაისის და ბათუმის აეროპორტები თბილისის აეროპორტის ჩამნაცვლებელი არ არის, ხოლო 28%-მა კი დადებითი პასუხი გასცა, 10.5% კი განაცხადა, რომ უჭირს პასუხის გაცემა .

გამოკითხულთა 66.7% მიიჩნევდა, რომ ქუთაისის და ბათუმის აეროპორტები არ არიან ურთიერთაჩანაცვლებადი, ხოლო 22.2% კი მათ ურთიერთაჩანაცვლებად მიიჩნევს. 11.1% უჭირს პასუხის გაცემა.

გამოკითხულთა 87.9% ყველაზე ხშირად თბილისის აეროპორტით სარგებლობს, 9.6% - ქუთაისის და 2.5% კი - ბათუმის აეროპორტით.

გამოკითხულთა 83.2%-ს მიაჩნია, რომ საზღვარგარეთ მგზავრობის დროს თვითმფრინავს ჩამნაცვლებელი არ ჰყავს, 6.3% თვლის რომ მატარებელია თვითმფრინავის ჩამნაცვლებელი, 5.3% - ავტობუსს, 3.7% კი ავტომანქანას მიიჩნევს ჩამნაცვლებლად და 1.6% კი - გემს .

გამოკითხულთა 82.7%-მა განაცხადა, რომ თბილისის აეროპორტში ბილეთის ფასის 10%-ით გაძვირების შემთხვევაში თბილისის აეროპორტს სხვა აეროპორტით არ ჩაანაცვლებს, 13.5% კი ჩაანაცვლებს ქუთაისის აეროპორტით. ხოლო თუ იმ მიმართულებით, სადაც მომხმარებელი მიფრინავს, თბილისის აეროპორტიდან არ არის პირდაპირი ფრენა, მაგრამ არის ბათუმის ან ქუთაისის აეროპორტიდან, 78.4%-ს განცხადებით ისინი ამ შემთხვევაშიც არ ჩაანაცვლებენ თბილისის აეროპორტს სხვა აეროპორტებით.

2014 წელს თბილისის აეროპორტში 1000-ზე მეტი მგზავრის გადაყვანა განხორციელდა 33 კომპანიის მიერ. მგზავრთაბრუნვის სტრუქტურაში HHI იყო 919.9 ერთეული. ქუთაისის აეროპორტში 50-ზე მეტი მგზავრის გადაყვანა განხორციელა 9 ავიაკომპანიამ, HHI იყო 3920.09. ბათუმში კი 50-ზე მეტი მგზავრის გადაყვანა განხორციელა 15-მა ავიაკომპანიამ, HHI კი იყო 2224.63.

2015 წელს თბილისის აეროპორტში 1000-ზე მეტი მგზავრის გადაყვანა განხორციელდა 33 კომპანიის მიერ. მგზავრთაბრუნვის სტრუქტურაში HHI იყო 788.73 ერთეული. ქუთაისის აეროპორტში 50-ზე მეტი მგზავრის გადაყვანა განხორციელა 10 ავიაკომპანიამ, HHI იყო 3508.91. ბათუმში კი 50-ზე მეტი მგზავრის გადაყვანა განხორციელა 20-მა ავიაკომპანიამ, HHI კი იყო 2036.49.

2016 წელს თბილისის აეროპორტში 1000-ზე მეტი მგზავრის გადაყვანა განხორციელდა 31 კომპანიის მიერ. მგზავრთაბრუნვის სტრუქტურაში HHI იყო 682.26 ერთეული. ქუთაისის აეროპორტში 50-ზე მეტი მგზავრის გადაყვანა განხორციელა 13 ავიაკომპანიამ, HHI იყო 3618.91. ბათუმში კი 50-ზე მეტი

მგზავრის გადაყვანა განახორციელა 35-მა ავიაკომპანიამ, HHI კი იყო 1249.9.

ქუთაისის აეროპორტში კვლევის პერიოდში HHI იყო საკმაოდ მაღალი. კერძოდ ის 3920-3600 ერთეულს წარმოადგენდა, რაც მაღალკონცენტრირებულ მაჩვენებლებს განეკუთვნება, თუმცა ბილეთების ფასი დაბალია და ხელმისაწვდომია საზოგადოების ყველა ფენისათვის.

სააგენტოს შეფასებით, მგზავრთა ავიგადაყვანის ბაზარზე კონკურენტული გარემოა, ბაზარი ფართოვდება და ვითარდება, რადგან კონკურენციის შემზღვეველი პირობები და ხელოვნურად შექმნილი ბარიერები არ არსებობს.

საინტერესოა სააგენტოს შეფასება შპს „ტავ ურბან საქართველოს“ სატარიფო პოლიტიკის მიმართ. სააგენტოს აზრით, არც ერთი ავიაკომპანია, მათ შორის თურქული ავიაკომპანიები, არ სარგებლობენ რაიმე სახის უპირატესობით და “ტავს” აქვს ერთიანი სატარიფო პოლიტიკა.

სააგენტოს არ აქვს მიმოხილული ავიაკომპანიების მომსახურების ფასების პოლიტიკა. იგი უბრალოდ ამბობს, რომ სხვადასხვა საკითხზე დამოკიდებული მათი ფასები. საინტერესო იქნებოდა ასევე საქართველოში არსებული მოქმედი აეროპორტების მიერ მგზავრთა და საჰაერო ხომალდების მომსახურების ტარიფებზე ინფორმაციის მოძიებაც და მათი ერთმანეთთან და მეზობელ დედაქალაქებში არსებულ ტარიფებთან შედარება.

მესამე მონიტორინგი უკავშირდება სასტუმროების დაჯავშნის ონლაინ პლატფორმების ბაზარს, რომელზეც სააგენტომ ანგარიში 2019 წელს წარმოადგინა. მონიტორინგის დაწყების

საფუძველს ა(ა)იპ „კონკურენციის სამართლისა და მომხმარებელთა დაცვის ცენტრის“ განცხადება წარმოადგენდა, რომელიც „Booking.com B.V.“-ის მხრიდან კანონის მე-7 მუხლის სავარაუდო დარღვევას ეხებოდა. სავარაუდო დარღვევა კი გამოიხატებოდა ე.წ. პარიტეტული (MFN) სახელშეკრულებო პირობის გამოყენებაში.

სააგენტომ შეისწავლა საქართველოს ტერიტორიაზე ონლაინ ჯავშნების პლატფორმების საქმიანობა. კერძოდ, booking.com, ostrovok.ru, HRS, booking24.ge, expedia, airbnb, hotel24.ge-ს საქმიანობა და დაადგინა, რომ პირველი ოთხი კომპანია სასტუმროებთან დადებული ხელშეკრულებებში იყენებდნენ MFN პირობებს და დაევაღათ მათ ამ პირობების კორექტირება კონკრეტულ ვადებში. სააგენტოს მტკიცებით, მათ ეს დავალება პირნათლად შეასრულეს.

ე.წ. პარიტეტული MFN სახელშეკრულებო პირობა გვხვდება დაჯავშნის ონლაინ პლატფორმებსა და სასტუმროებს შორის ხელშეკრულებებში, რაც გამოიხატება ფასთა თანასწორობისა და ხელმისაწვდომობის თანასწორობაში. ფასთა თანასწორობის პირობა გულისხმობს, რომ პარტნიორ სასტუმროებს ეკისრებათ ვალდებულება ჯავშნის ონლაინ პლატფორმას მიაწოდოს თავისი საუკეთესო ფასი. განასხვავებენ MFN პირობების ორ - ვიწრო და ფართო კატეგორიებს.

ფართო პირობა ავალდებულებს სასტუმროებს, რომ კონტრაქტს დაჯავშნის ონლაინ პლატფორმაზე უზრუნველყოს საუკეთესო ნომრის ხელმისაწვდომობა ყველაზე დაბალ ფასად. ეს კი გულისხმობს, რომ დაჯავშნის ამ ონლაინ პლატფორმაზე განთავსებული ფასი, საკუთარი მომსახურების გაყიდვის სხვა, როგორც ონლაინ, ისე ოფლაინ არხებთან შედარებით დაბალი უნდა იყოს. შესაბამისად, სასტუმროს ევალებოდა არ გაეყიდა

საკუთარი სერვისი პლატფორმაზე დაფიქსირებულ ფასზე უფრო იაფად სხვა არხების მეშვეობით.

რაც შეეხება MFN-ის ვიწრო პირობას, ამ შემთხვევაში სასტუმროს ვალდებულება ეკისრება, რომ საკუთარ ვებ გვერდზე არ შესთავაზოს მომხმარებელს შესაბამის პლატფორმაზე დაფიქსირებულ ფასთან შედარებით უფრო დაბალი ფასი. თუმცა, იგი არ ზღუდავს სასტუმროს, მომხმარებელს შესთავაზოს განსხვავებული ფასი სხვა პლატფორმის მეშვეობით ან ინტერნეტ სივრცის გარეთ, ასევე კლიენტის ადგილზე მისვლის შემთხვევაში. შესაბამისად, ამ შემთხვევაში, სასტუმროს შეუძლია დაჯავშნის სხვა ონლაინ პლატფორმებს შესთავაზოს უფრო დაბალი ფასი, თუმცა მას არ აქვს უფლება კონტრაგენტ პლატფორმაზე განთავსებულ ფასზე ნაკლები ფასი დააფიქსიროს საკუთარ ვებ გვერდზე.

აღნიშნულ ოთხ ეკონომიკურ აგენტს ეთხოვათ სწორედ ფართო MFN სახელშეკრულებო პირობების მოდიფიკაცია ისე, რომ მათ ეს პირობა MFN-ის ვიწრო სახელშეკრულებო პირობად გადაეკეთებინათ. აღსანიშნავია, რომ Booking.com-მა ა(ა)იპ „კონკურენციის სამართლისა და მომხმარებელთა დაცვის ცენტრის“ განცხადების დასაშვებობის ეტაპზევე გამოთქვა მზადყოფნა, რომ ევროკავშირში დაწესებული სახელშეკრულებო პირობები გაეგრძელებინა საქართველოს ტერიტორიაზე, რაც გულისხმობდა ვიწრო MFN-ის პირობების გამოყენებას.

მეოთხე მონიტორინგი ფილტრიანი და უფილტრო სიგარეტების ბაზარზე განხორციელდა და ანგარიში სააგენტომ 2020 წელს გამოაქვეყნა. როგორც მასშია მითითებული, სააგენტოს უკვე ჩაუტარებია ფილტრიანი და უფილტრო სიგარეტების ბაზრის მონიტორინგი 2016 წელს, თუმცა სააგენტოს თავმჯდომარის 2017 წლის 15 თებერვლის #04/43 ბრძანებით, ის ანგარიში

ცნობილ იქნა ბათილად. შესაბამისად, ბაზრის პროდუქციულ საზღვრებზე დამატებითი მსჯელობისა და დამატებითი მონაცემების მოპოვების მიზნით განახლდა მონიტორინგი აღნიშნულ ბაზარზე.

საინტერესოა იმ ფაქტის აღნიშვნა, რომ 2016 წლის 28 მარტის სააგენტოს თავმჯდომარის #43 ბრძანებით დამტკიცდა გადაწყვეტილება, რომლითაც შპს „დუთი ფრი ჯორჯიას“ საჩივარი არ დაკმაყოფილდა. ამ გადაწყვეტილებაში პროდუქციული ბაზარი ფილტრიანი და უფილტრო საგარეტების დონეზე განისაზღვრა ცალ-ცალკე. ამასთან, სააგენტოს გადაწყვეტილება ეხებოდა საბაჟო გამშვებ პუნქტებზე არსებულ თავისუფალი ვაჭრობის ობიექტებს და ის არ მოიცავდა ბაზარს ეროვნულ დონეზე. წინამდებარე მონიტორინგის ფარგლებში კი სააგენტომ ჩათვალა, რომ ფილტრიანი და უფილტრო სიგარეტები მიიჩნევა ერთიან პროდუქციულ ბაზრად. თუმცა, ანგარიშში არ არის წარმოდგენილი მომხმარებლების კვლევა, როგორც ეს, მაგალითად, მოცემული იყო მეორე მონიტორინგის ანგარიშში, რომელიც ეხებოდა მგზავრთა ავიაგადაყვანის ბაზრის მონიტორინგს. შესაბამისად, არ არის მართებული SNNIP ტესტის საფუძველზე მომხმარებელთა გამოკითხვის გარეშე ამ ორი ბაზრის გაერთიანებაზე ვიფიქროთ.

მონიტორინგის პერიოდი მოიცავდა 2013-2017 წლებს. 2013 წელს ბაზარზე 10 ეკონომიკური აგენტი ყიდდა საქართველოში ფილტრიან და უფილტრო სიგარეტს. HHI შეადგენდა 1925 ერთეულს. მსხვილი მოთამაშეები ამ ბაზარზე იყვნენ შპს „ელიზი-ჯგუფი“, შპს „ოჯო“, სს „თბილისის თამბაქო“, „ბ.ა.ტ. ჯორჯია ლიმიტედის საქართველოს წარმომადგენლობა“ და შპს „ფილიპ მორის საქართველო“.

2014 წელს აღნიშნულ ბაზარზე 11 მოთამაშე იყო. HHI იყო 1920 ერთეული. მსხვილი მოთამაშეების ვინაობა იგივე იყო.

2015 წელსაც მოთამაშეების რაოდენობა იგივე იყო, როგორც 2014 წელს. თუმცა, HHI საგრძნობლად გაიზარდა და შეადგინა 2280 ერთეული. მსხვილი მოთამაშეები იგივე იყო.

2016 წელს ბაზარზე უკვე 12 მოთამაშეა. ამასთან HHI მონაცემები კი 2481 ერთეულამდე გაიზარდა. მსხვილი მოთამაშეების სიაში აღარ ჩანს შპს „ოჯო“.

2017 წელს ბაზარზე 13 მოთამაშეა, HHI კი 2244 შეადგენს. მსხვილ ეკონომიკურ აგენტებს შორის ისევ არ ჩანს შპს „ოჯო“.

მიუხედავად იმისა, რომ ბაზარი ზომიერად კონცენტრირებულია და 2016 წელს უკვე მაღალ კონცენტრირებულ იყო, სააგენტო რატომღაც თვლის, რომ ამ ბაზარზე, მიუხედავად იმისა, რომ მასზე 4 უმსხვილესი მოთამაშეა, კარტელური გარეგების არსებობა შეუძლებელია. იგი მხოლოდ ცდილობს კოლექტიური დომინანტი პოზიციის ბოროტად გამოყენების შეფასების მიმართულებით კონცენტრირდეს, თუმცა ვერც ინდივიდუალური და ვერც ჯგუფური დომინანტი პოზიციის არსებობას ვერ ადგენს. სამწუხაროდ, სააგენტო არ შეეცადა დაედგინა შპს „ოჯო“-ს ბაზრიდან გასვლის ან მისი საბაზრო წილის საგრძნობლად შემცირების მიზეზი. საინტერესო იქნებოდა იმის გარკვევაც, თუ რა მექანიზმებით ხდებოდა მსხვილი ეკონომიკური აგენტების მიერ სიგარეტის გაყიდვა, იყო თუ არა საცალო მოვაჭრეებთან მიმართებაში გარკვეული კონკურენციის საწინააღმდეგო შეთანხმებები. მაგალითად, ერთი ბრენდის შეთანხმება, ფასების ფიქსაცია კონკურენტ სიგარეტებთან მიმართებაში (მაგალითად, 5 ან 10 პროცენტის სხვაობის შენარჩუნება), ასევე კონკურენტი სიგარეტების თაროზე/დახლზე განთავსების პოლიტიკა და სხვა.

საბოლოოდ უნდა ითქვას, რომ სააგენტოს აზრით, ამ ბაზარზე კონკურენტული გარემო შეიმჩნევა.

მეხუთე მონიტორინგი სააგენტომ ჩვილ ბავშვთა კვების ბაზარზე განახორციელა და ანგარიში 2020 წელს გამოაქვეყნა.

სააგენტომ ცალკე გამოყო 0-დან 6 თვემდე ჩვილ ბავშვთა საკვები, დედის რძის შემცვლელ ხელოვნურ ნარევეზე მომხმარებლის უფრო მაღალი დამოკიდებულებისა და შედარებით ნაკლები რაოდენობის ჩანაცვლებადი პროდუქტების გათვალისწინებით, 6-დან 12 თვემდე კატეგორიასთან შედარებით, და მან მხოლოდ 0-დან 6 თვემდე ჩვილ ბავშვთათვის განკუთვნილ სურსათზე შესწავლა მიიჩნია მიზანშეწონილად. შესაბამის პროდუქციულ საზღვრად კი განსაზღვრა შესაბამისი რეგლამენტით გათვალისწინებული 0-დან 6 თვემდე ასაკის ჩვილი ბავშვისთვის განკუთვნილი დედის რძის შემცვლელი პროდუქტები (შემდეგში - ადაპტირებული ნარევი). გეოგრაფიულ საზღვრად განსაზღვრა ბაზარი ეროვნულ დონეზე, დროებითი ჩარჩოდ კი - კალენდარული წელი.

სააგენტომ აღნიშნული ბაზარი შეისწავლა 2014-2019 წლების მონაცემებზე დაყრდნობით. 2014 წელს ბაზარზე აქტიური იყო 7 ეკონომიკური აგენტი, HHI კი შეადგენდა 2003.5 ერთეულს. მსხვილ მოთამაშეებს წარმოდგენდნენ შპს „ფაინ თრი“, შპს „ლაქტალის ჯორჯია“ და შპს „ბეიბი ფუდი“.

2015 წელს ბაზარზე მოთამაშეების რაოდენობა 10-მდე გაიზარდა, ხოლო HHI კი 1524.5 ერთეულს შეადგენდა. მსხვილი მოთამაშეები არ შეცვლილან.

2016 წელს მოთამაშეების რაოდენობა ისევ 10 იყო, HHI კი 1420.2 ერთეული, ხოლო სამი მსხვილი მოთამაშიდან შპს „ბეიბი

ფული“ ამოვარდა და მისი ადგილი კი შპს „შარმ ტრედიინგმა“ დაიკავა.

2017 წელს ისევ 10 მოთამაშე იყო ბაზარზე, HHI 1347.6 ერთეულს შეადგენდა. ხოლო სამი მსხვილი მოთამაშის რიგებს ისევ დაუბრუნდა შპს „ბეიბი ფული“.

2018 წელს მოთამაშეების რაოდენობამ 8-მდე იკლო, HHI კი 1506.3 ერთეულამდე გაიზარდა. შეიცვალა ბაზარზე მსხვილი მოთამაშეების სიაც. კერძოდ, შპს „ლაქტალის ჯორჯია“ ამოვარდა ამ სიიდან და ძირითად მსხვილ მოთამაშეებს წარმოადგენდნენ შპს „ბეიბი ფული“, შპს „ფაინ თრი“ და შპს „შარმ ტრედიინგი“.

2019 წლის მონაცემებით კი ბაზარზე ისევ 10 ეკონომიკური აგენტი იყო აქტიური, HHI კი შემცირდა 1045.6 ერთეულამდე. ხოლო ძირითად მსხვილ მოთამაშეებს წარმოადგენდნენ შპს „ბეიბი ფული“, შპს „ფაინ თრი“ და შპს „ნატურლენდი“.

სააგენტოს აზრით, შპს „ლაქტალის ჯორჯია“ საბაზრო წილის შემცირება დაკავშირებული იყო სურსათის ეროვნული სააგენტოს მითითებებთან და მისი პროდუქციის ბაზრიდან ამოღებისას, რაც ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის შეტყობინების საფუძველზე მოხდა. დანარჩენი ძირითადი მოთამაშეების წილობრივი გადანაწილება მეტ-ნაკლებად განსხვავდება 2014-2019 წლებში.

სააგენტო ფართოდ მიმოიხილავს ბარიერების საკითხს, ასევე კოლექტიური და ინდივიდუალური დომინანტობის საკითხს. თუმცა, მისი მტკიცებით, დომინანტი პოზიციის დადგენა არსებული ინფორმაციის საფუძველზე შეუძლებელი იყო. შესაბამის წლებში სააგენტოს განცხადებით აღნიშნულ ბაზარზე კონკურენტულ გარემოს ჰქონდა ადგილი.

მეექვსე მონიტორინგი საცალო ვაჭრობის ქსელური ობიექტების ბაზრის სექტორულ მონიტორინგს ეხება. მისი ანგარიში სააგენტომ ასევე 2020 წელს გამოაქვეყნა. მონიტორინგის დაწყების საფუძველი გახდა საქართველოს პარლამენტის წევრის, ბექა ნაცვლიშვილის 2019 წლის 23 აპრილის მიმართვა სააგენტოსადმი და ა(ა)იპ „საქართველოს დისტრიბუტორთა ბიზნეს ასოციაციის“ წერილი, რომლის თანახმად, სადისტრიბუციო და ადგილობრივი მწარმოებელი ეკონომიკური აგენტების უმრავლესობა აწყდებოდა სხვადასხვა სახის სახელშეკრულებო თუ არასახელშეკრულებო შემაფერხებელ პირობებს მსხვილი საცალო ვაჭრობის ობიექტებთან მიმართებაში. საუბარია შემდეგი სახის პირობებზე: ქსელში შესვლის გადასახადის დაწესება, ახალი მაღაზიების/ფილიალების გახსნის შემთხვევაში დამატებით გადასახადის დაკისრება, მარკეტინგული გადასახადების დაკისრება სამართლებრივი საფუძვლის გარეშე, აუთვისებელი მარკეტინგი ბიუჯეტის ხარჯების დაკისრება, მიწოდებული საქონლის ღირებულების ანაზღაურების ვადების დარღვევა, სავაჭრო ურთიერთობის განმავლობაში ე.წ. ქეშბექისა და რიბეითების პროცენტული ოდენობის ცალმხრივად არალოგიკური ზრდა, დავის გადაწყვეტის ალტერნატიულ საშუალებებზე, მათ შორის, არბიტრაჟზე, უარის თქმა, მისაწოდებელი საქონლის ღირებულების კორექტირების შეზღუდვა, ურთიერთვალდებულებების გაქვითვა მიმწოდებელთან შეუთანხმებლად მიღება-ჩაბარების გარეშე, რეალიზებული პროდუქციის ღირებულებასა და ოდენობაზე ინფორმაციის მიუწოდებლობა.

მონიტორინგი მოიცავდა 14 ეკონომიკურ აგენტს, რომლებიც წარმოადგენენ საცალო ვაჭრობის სფეროში მოქმედ ქსელურ ობიექტებს, ანუ ერთი ბრენდის ქვეშ მოქმედი მინიმუმ 2 სავაჭრო ობიექტი ჰქონდათ. ასევე მოძიებული და დამუშავებული იქნა 73 სადისტრიბუციო კომპანიის ინფორმაცია.

სააგენტომ მოიკვლია არსებული მდგომარეობა ლიეტუვაში, ასევე გაეროს ვაჭრობის და განვითარების 2016 წლის 17 აგვისტოს კონფერენციის მასალები - „საცალო სექტორში კონკურენციის პოლიტიკის აღსრულება: კონკურენციის საკითხები სურსათის საცალო ვაჭრობაში“.

სადისტრიბუციო კომპანიებსა და საცალო მოვაჭრეებს შორის ტიპიური სადისტრიბუციო ხელშეკრულების ძირითად ნაწილს შეადგენს ე.წ. ჩარჩო შეთანხმებები, სადაც მხარეები თანხმდებიან არა მხოლოდ პროდუქციის ჩამონათვალზე. დისტრიბუციის ხელშეკრულებით უპირატესად განისაზღვრება არა ის, თუ „რა“ უნდა გაიყიდოს, არამედ ასევე, თუ „როგორ“ უნდა გაიყიდოს, ანუ როგორ უნდა იქნას გაწეული გაყიდვისა და გავრცელების მომსახურება.

სააგენტოს მტკიცებით, ქვეყნის მასშტაბით პროდუქციის საბითუმო შესყიდვების 30%-ზე მეტი მოდის ქსელურ სავაჭრო ობიექტებზე, ხოლო დანარჩენი, სხვა შემსყიდველ ეკონომიკურ აგენტებზე.

შესაბამის პროდუქციულ ბაზრად სააგენტომ განსაზღვრა საცალო ვაჭრობის ობიექტების მიერ პროდუქციის საბითუმო შესყიდვის ბაზარი, გეოგრაფიულ საზღვრებად - საქართველოს მთელი ტერიტორია, ხოლო მოცემულ ბაზარს, სააგენტოს აზრით, არ ახასიათებს რაიმე სახის დროებითი ჩარჩო.

სააგენტოს ინფორმაციით არც ერთ საცალო ქსელურ მაღაზიას არ ეკავა არც ინდივიდუალური დომინანტი პოზიცია და არც რამდენიმე ეკონომიკურ აგენტს კოლექტიურად დომინირებული პოზიცია.

სააგენტომ ასევე შეისწავლა მხარეებს შორის ხელშეკრულებაში მოცემული უდაბლესი/საუკეთესო ფასის პირობა კანონის მე-7

მუხლთან მიმართებაში. 2019 წლის 10 ივნისს მხარეთა შორის დადებულ ხელშეკრულების დანართ #2-ის მეორე მუხლის მე-4 პუნქტში წერია, რომ „გარდა სპეციალური სარეკლამო აქციების შემთხვევებისა, ნებისმიერი *მაღაზიის* მონაცემთა ბაზაში არსებული უდაბლესი ფასი იქნება ის ფასი, რა ფასშიც მიმწოდებელი მიაწვდის საქონელს *ყველა მაღაზიას*, რომელსაც მართავს ან ოპერირებას უწევს *კომპანია*“.

აღნიშნული ჩანაწერი წარმოადგენს ე.წ. “MFN” ანუ იგივე „პარიტეტის პირობას“, რომლის მიხედვითაც, ერთი მხარე ჰპირდება მეორეს, რომ ყოველთვის შესთავაზებს პროდუქტის ან მომსახურების საუკეთესო ფასს ან პირობებს. MFN პირობები კლასიფიცირდება „ფართო“ და „ვიწრო“ პირობებად. ვიწრო პირობის შესაბამისად, უკეთესი პირობების შეთავაზება დაუშვებელია ზოგიერთი ეკონომიკური აგენტისათვის ან დისტრიბუციის ზოგიერთი არხის მეშვეობით, სადაც ფასებს აკონტროლებს მიმწოდებელი.

სააგენტოს ვარაუდით, მოცემული ხელშეკრულების შესაბამის პუნქტში მოცემული უდაბლესი ფასის პირობა მიმართულია ნებისმიერი მაღაზიის მონაცემთა ბაზაში არსებულ ფასზე, ანუ მაღაზიათა მთელი სისტემაზე, სადაც დისტრიბუტორი ახორციელებს საკუთარი პროდუქციის მიწოდებას, შესაბამისად, სახეზე იქნება ფართო MFN პირობა.

სააგენტოს აზრით, ამ ვალდებულებით, მხარეს ეზღუდება გადაწყვეტილების მიღების დამოუკიდებლობა ფასის დადგენის კომპონენტში. დისტრიბუტორი ვალდებულია ყველაზე დაბალი ფასი დაუწესოს ერთ კონკრეტულ საცალო მოვაჭრეს. შესაბამისად, მას მოუწევს გადახედოს საფასო პოლიტიკას ყველა სხვა დანარჩენ კონტრაგენტთან ან მომავალ კონტრაგენტთან სავაჭრო-სამართლებრივ ურთიერთობაში და თავისი სტრატეგია

დაგეგმოს ისე, რომ მათთვის მიწოდებული საქონელი იყოს უფრო ძვირი, ვიდრე კონკრეტული საცალო მოვაჭრისათვის. სააგენტო თვლის, რომ ეს პირობა შესაბამის ბაზარზე წარმოადგენს ჯანსაღი კონკურენტული გარემოსთვის მომეტებული საფრთხის შემცველ სახელშეკრულებო დათქმას.

კონკრეტული კომპანიის განმარტებით, ხელშეკრულებაში ტერმინი „მაღაზია“ ნიშნავს ხელშეკრულებაში აღნიშნულ ნებისმიერ ჰიპერმარკეტს ან სუპერმარკეტს, ან ლოჯისტიკის საწყობს ან ვებ-მაღაზიას და სადაც შინაარსი ამას მოითხოვს, ნიშნავს კომპანიას“. ამ კომპანიის განმარტების მიხედვით, მიწოდების ხელშეკრულების 2.4 მუხლი ადგენს, რომ იმ შემთხვევაში, თუ კომპანიის მიერ ოპერირებად ჰიპერმარკეტებსა და სუპერმარკეტებში დაფიქსირდა საქონლის მიწოდების სხვადასხვა ფასი, მაშინ საქონელი ყველა მაღაზიისათვის მიწოდებულად ჩაითვლება მაღაზიის მონაცემთა ბაზებს შორის დაფიქსირებულ ყველაზე დაბალ ფასად. შესაბამისად, უდაბლესი ფასის პირობა ეხება მხოლოდ და მხოლოდ ამ კონკრეტული ეკონომიკური აგენტის მფლობელობაში არსებულ და მის მიერ ოპერირებად მაღაზიებსა და არც ერთ შემთხვევაში არ გულისხმობს საქართველოს ბაზარზე მოქმედი რომელიმე სხვა იურიდიული პირის მფლობელობაში ან/და მართვაში არსებულ მაღაზიებს. აქედან გამომდინარე, სააგენტო თვლის, რომ უდაბლესი ფასის პირობა ძალიან ვიწროდ უნდა განმარტოს კონკრეტული საცალო მოვაჭრის მაღაზიების მიმართ და არ მიემართება ზოგადად ბაზარზე მოქმედ სხვა ნებისმიერ ქსელურ ობიექტსა თუ სხვა მაღაზიას. შესაბამისად, სააგენტოს აზრით, აღნიშნული ხელშეკრულების 2.4. მუხლში მოცემული უდაბლესი ფასის პირობა არ არღვევს კონკურენციის კანონმდებლობას.

საინტერესო და მნიშვნელოვანია იმის აღნიშვნა, თუ რამდენად ხშირად იყენებდა 2.4 მუხლს საცალო მოვაჭრე დისტრიბუტორების მიმართ. ამის შესახებ ინფორმაცია არ არის მოცემული გადაწყვეტილებაში. შესაბამისად, დისტრიბუტორებისგან ამ ინფორმაციის მიღება და დამუშავება საინტერესო ინფორმაციას მოგვცემდა. ევროკავშირის პრაქტიკაში ყოფილა შემთხვევები, როდესაც ერთი შეხედვით ხელშეკრულების უწყინარი დებულება შესაძლოა რეალურად კონკურენციის მნიშვნელოვნად შეზღუდვას ითვალისწინებდეს მიზნიდან თუ არა შედეგიდან გამომდინარე მაინც. ამიტომ საჭირო იყო შესაბამისი ინფორმაციის დეტალური ანალიზი.

სააგენტო ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზეც, რომ საქართველოს, მსგავსად ევროკავშირისა და მისი წევრები ქვეყნებისა, არ აქვს ცალკე საკანონმდებლო ბაზა დისტრიბუტორებს/მიმწოდებლებსა და საცალო მოვაჭრეების ურთიერთობის დასარეგულირებლად და ეს ურთიერთობა მხოლოდ სახელშეკრულებო ურთიერთობით წესრიგდება. შესაბამისად, ამ ურთიერთობებში შეიძლება ადგილი ჰქონდეს უსამართლო პრაქტიკასაც. ევროკავშირში 2019 წელს მიიღეს დირექტივა 2019/633 „ბიზნესებს შორის სოფლის მეურნეობის და სურსათის მიწოდების ჯაჭვში არასამართლიანი სავაჭრო პრაქტიკის შესახებ“. საქართველოშიც შემუშავდა კანონპროექტი ევროკავშირის მსგავსი რეგულაციისა. თუმცა, სამწუხაროდ, რამდენადაც ჩემთვის ცნობილია, ჯერ მისი განხილვა და მიღება არ მომხდარა.

ინფორმაციის მოძიებისა და შესწავლის შემდეგ, სააგენტოს აზრით, აღნიშნულ ბაზარზე არ შეინიშნება კანონის არც მე-6 მუხლის და არც მე-7 მუხლის დარღვევა.

მემვიდე მონიტორინგი ავტოდაზღვევის ბაზარს შეეხება, რომელზეც ანგარიში სააგენტომ 2020 წელს გამოაქვეყნა.

მონიტორინგი მოიცავდა 2015-2019 წლებს მხოლოდ სახმელეთო ტრანსპორტის ძარის დაზღვევის საცალო და კორპორაციული შესაბამისი ბაზრების გაერთიანებულ შესწავლას.

ამ ბაზარზე 2015 წელს ქვეყანაში მოქმედებდა 13 ეკონომიკური აგენტი, HHI იყო 2414 ერთეული. სს „სადაზღვეო კომპანია ალდაგს“ ეკავა 40.67%, სს „სადაზღვეო კომპანია ჯი პი აი ჰოლდინგს“ – 22.29% და სს „სადაზღვეო კომპანია კოპენბურს“ კი – 12.05%.

2016 წელს იგივე რაოდენობის მოთამაშე იყო ბაზარზე, თუმცა HHI გაიზარდა 2612 ერთეულამდე. სამი მსხვილი მოთამაშეს საბაზრო წილიც შეიცვალა. კერძოდ, სს „სადაზღვეო კომპანია ალდაგს“ ეკავა 43.40%, სს „სადაზღვეო კომპანია ჯი პი აი ჰოლდინგს“ – 22.86% და სს „სადაზღვეო კომპანია კოპენბურს“ კი – 10.61%.

2017 წელს მოთამაშეების რაოდენობა უკვე 15-მდე გაიზარდა, ხოლო HHI შეადგენდა 2498 ერთეულს. მსხვილი მოთამაშეების საბაზრო წილი კი შემდეგნაირად გამოიყურებოდა: სს „სადაზღვეო კომპანია ალდაგს“ ეკავა 39.67%, სს „თიბისი დაზღვევას“ – 22.67% და სს „სადაზღვეო კომპანია ჯი პი აი ჰოლდინგს“ – 18.65%.

2018 წელს მოთამაშეების რაოდენობა კიდევ გაიზარდა და მიაღწია 16. HHI კი შეადგენდა 1933 ერთეულს. მსხვილი მოთამაშეების საბაზრო წილებშიც მნიშვნელოვანი ცვლილებები მოხდა. კერძოდ, სს „თიბისი დაზღვევას“ ეკავა 28.99%, სს „სადაზღვეო კომპანია ალდაგს“ – 26.46% და სს „სადაზღვეო კომპანია ჯი პი აი ჰოლდინგს“ კი – 17.35%.

2019 წელს მოთამაშეების რაოდენობა ისევ 16 შეადგენდა, ხოლო HHI კი შეადგენდა 1697 ერთეულს. მსხვილი მოთამაშეები

საბაზრო წილი კი შემდეგნაირად გამოიყურებოდა: სს „თიბისი დაზღვევას“ ეკავა 27.06%, სს „სადაზღვეო კომპანია ალდაგს“ – 21.65% და სს „სადაზღვეო კომპანია ჯი პი აი ჰოლდინგს“ კი – 19.79%.

აღნიშნულ ბაზარზე მნიშვნელოვანი ცვლილებები სწორედ 2017 წლიდან იწყება. მანამდე ინდივიდუალური დომინირებული პოზიცია ეკავა ალდაგს. 2018-2019 წლებში კი შეინიშნება კონკურენტული გარემოს გაჯანსაღება აღნიშნულ ბაზარზე. აღსანიშნავია ის გარემოება, რომ სს „სადაზღვეო კომპანია კოპენზური“ სს „თიბისი ბანკმა“ შეიძინა და ის ბაზარზე სს „თიბისი დაზღვევის“ სახელით განაგრძობს მუშაობას.

სააგენტოს აზრით, აღნიშნულ ბაზარზე არ შეინიშნება კოლექტიური დომინანტი პოზიციის ნიშნები. ასევე არ გამოირჩეოდა პარალელიზმის მაღალი ხარისხი. მისი მტკიცებით, ბაზარზე არ შეინიშნებოდა კანონის არც მე-6 მუხლის და არც მე-7 მუხლის დარღვევის ნიშნები და 2015-2019 წლებში შესაბამისი ბაზარი თავსებადი იყო კონკურენტულ გარემოსთან.

მერვე მონიტორინგი უკავშირდება ხორბლისა და პურპროდუქტების ბაზარს, რომელზეც ანგარიში სააგენტომ 2020 წელს გამოაქვეყნა. მონიტორინგის დაწყების საფუძველი გახდა 2018 წლის 10 დეკემბერს პურის მწარმოებელთა კომპანიების მიერ პურის სადისტრიბუციო/საბითუმო ფასის ზრდა, რასაც მოყვა პურის საცალო სარეალიზაციო ფასის ზრდაც.

სააგენტოს მიერ შესწავლილი იქნა პურის ბაზარი, ფქვილის ბაზარი და ხორბლის ბაზარი. ხორბლის ბაზარზე მოძიებულ იქნა ექსპორტიორი კომპანიებისაგან ინფორმაცია 2015-2018 წლებში. 2015 წელს იმპორტს ახორციელებდა 49 კომპანია და HHI შეადგენდა 1184 ერთეულს; 2016 წელს იმპორტიორი კომპანიების რიცხვი გაიზარდა 53-მდე, ხოლო HHI კი - 1573-

მდე; 2017 წელს 82 კომპანიამ განახორციელა ხორბლის იმპორტი და HHI შეადგენდა 1154 ერთეულს; 2018 წელს კი ყველაზე მეტმა ეკონომიკურმა აგენტმა შემოიტანა ხორბალი (115 კომპანიამ), HHI კი 550 ერთეულამდე შემცირდა.

ამავე წლებში საქართველოში მოყვანილი ხორბლის წილი გადამუშავებულ იმპორტირებულ ხორბალთან შედარებით მცირე იყო. ასევე აღსანიშნავია მისი დაბალი ხარისხიც.

ხორბლის იმპორტი ხორციელდება სამი გზით: საზღვაო, სარკინიგზო და საავტომობილო. 2017 წლიდან საავტომობილო გზით ხორბლის იმპორტის მნიშვნელოვანი ზრდა ფიქსირდებოდა. მაგალითად, რუსეთიდან.

2018 წელს საქართველოში სამი მსხვილი წისქვილკომბინატის შპს „ბევერლი ჯგუფის“, შპს „ჯეომილის“ და შპს „აგროსისტემების“ წილი საერთო ჯამში გადამუშავებული ხორბლის რაოდენობაში შეადგენს 45.8%.

სააგენტოს მტკიცებით, 2018 წლის აგვისტოს თვიდან სახეზე იყო პირველი ხარისხის ფქვილის ფასის ზრდა. 2018 წლის აგვისტოდეკემბრის პერიოდში შეინიშნებოდა პარალელური ფასწარმოქმნის ნიშნები აღნიშნული სამი ეკონომიკური აგენტის მიერ რეალიზებულ პირველი ხარისხის ფქვილთან მიმართებაში. თუმცა, სააგენტო ამას ხსნის მათ მიერ იდენტური პროდუქტის წარმოებით, ფასწარმოქმნაზე მოქმედი მსგავსი ფაქტორებით, მათ შორის ხორბლის თვითღირებულებით, საწარმოო დანახარჯებით, იდენტური ქვეყნებიდან ხორბლის იმპორტით. 2018 წელს საერთო იმპორტის 45.98% შეადგენს საავტომობილო გზით იმპორტირებული ხორბალი, რომლის დიდი ნაწილის გადამუშავებაც ხდება აღნიშნული სამი კომპანიის მიერ.

სააგენტოს მტკიცებით, 2017 წლის იანვრიდან 2018 წლის დეკემბრის ჩათვლით შპს „ბევერლი ჯგუფს“ და შპს „აგროსის-ტემებს“ არ აღენიშნებოდათ წარმოებასთან დაკავშირებული დანახარჯების ზრდა, ხოლო შპს „ჯეომილს“ 2018 წლის სექტემბერში უფიქსირდებოდა წარმოებასთან დაკავშირებული დანახარჯების შესამჩნევი ზრდა, რომელიც შემცირდა ოქტომბრის თვეში და შემდეგ პერიოდში - წლის ბოლომდე. ასევე მნიშვნელოვანია აღინიშნოს სააგენტოს განცხადება, რომ „2018 წლის აგვისტოს თვიდან, იმპორტირებული და შესაბამისად გადამუშავებული ხორბლის ფასის ზრდის პირობებში, *წისქვილკომბინატებში არსებული მარაგები არ იძლეოდა ფქვილის ფასის გრძელვადიანი/სტაბილური შენარჩუნების საშუალებას*“.

მონიტორინგის ფარგლებში სააგენტომ პურის ბაზარიც შეისწავლა. სააგენტომ გაანალიზა პურის წარმოებასთან დაკავშირებული პირდაპირი ხარჯები (ძირითადი მასალების ხარჯი, კომუნალური დანახარჯები და შრომითი დანახარჯები). სააგენტოს მტკიცებით, წარმოების ჯამური დანახარჯები 1 ტომარა ფქვილზე, 2018 წლის დეკემბერში გაიზარდა ივლისის თვესთან შედარებით. შესაბამისად, გაიზარდა პირველი ხარისხის ფქვილის შესყიდვის ფასიც. გაიზარდა სხვა დანახარჯებიც, ასევე აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ ზამთრის განმავლობაში წარმოებისათვის აუცილებელი კომუნალური დანახარჯები აღემატება ზაფხულის პერიოდის ანალოგიურ ხარჯებს.

2016-2018 წლებში პურის ფასის დაკორექტირება მოხდა მხოლოდ ერთხელ 2018 წლის 10 დეკემბერს.

მოპოვებული ინფორმაციის ანალიზის საფუძველზე, სააგენტოს აზრით, პურის ფასის ზრდის მაჩვენებელი გონივრულ თანხვედრაში იყო წარმოების დანახარჯების ზრდასთან.

მეცხრე მონიტორინგი უკავშირდება ფარმაცევტულ ბაზარს, რომელზეც სააგენტომ ანგარიში 2021 წელს გამოაქვეყნა. როგორც ანგარიშიდან ჩანს, ამ ბაზრის მონიტორინგი 2018 წლიდან დაიწყო სახალხო დამცველის 2017 წლის საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ ანგარიშში მოცემული რეკომენდაციებისა და საქართველოს პარლამენტის 2018 წლის 19 ივლისის #3148-რს დადგენილების მე-18 პუნქტის საფუძველზე. მონიტორინგის შესწავლის პერიოდს წარმოადგენდა 2016-2019 წლები.

საქართველო დიდწილად დამოკიდებულია იმპორტირებულ ფარმაცევტულ პროდუქციაზე. ბაზარზე ფარმაცევტული პროდუქციის დაშვება ხორციელდება სახელმწიფო რეგისტრაციის აღიარებით და სახელმწიფო რეგისტრაციის ეროვნული რეჟიმით.

სააგენტო მონიტორინგის ფარგლებში ბაზარზე კონკურენტული გარემოს შეფასების მიზნით, ATC კლასიფიკაციის მე-4 დონეზე მოცემულ მედიკამენტებს განიხილავს ურთიერთჩამნაცვლებლად. თუმცა, ბაზრის ზოგადი ეკონომიკური ანალიზის მიზნებისათვის, სააგენტოს დაკვირვების ობიექტს დამატებით ასევე წარმოადგენდა ბაზრის იმპორტის/წარმოების დონეც - კონკრეტული კლასიფიკაციისა და სეგმენტაციის გარეშე.

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებზე დაყრდნობით, მონიტორინგის პერიოდში ქვეყანაში ყველაზე გავრცელებულ ავადმყოფობებს წარმოადგენდა:

1. სუნთქვის ორგანოთა და სისხლის მიმოქცევის სისტემის ავადმყოფობები, საჭმლის მომნელებელი სისტემის ავადმყოფობები;
2. ენდოკრინული სისტემის, კვებისა და ნივთიერებათა ცვლის დარღვევით გამოწვეული ავადმყოფობები;

3. თვალისა და მისი დანამატების ავადმყოფობები;
4. შარდ-სასქესო სისტემის ავადმყოფობები და ა.შ

სააგენტომ დაკვირვების მიზნით შეარჩია ფარმაცევტული პროდუქტების 6 სამკურნალო ჯგუფი:

1. Enalapril + Hydrochlorothiazide, Lisinopril + Hydrochlorothiazide, Ramipril + Hydrochlorothiazide, Captopril + Hydrochlorothiazide - გულ-სისხლძარღვთა სისტემა;
2. Diosmin + Hesperidin, Diosmin + Hesperidin + Rutin, Troxerutin, Hidrosmin - გულსისხლძარღვთა სისტემა;
3. Acetylsalicylic Acid + Magnesium hydroxide -ანთების საწინააღმდეგო არასტეროიდული საშუალებები;
4. Ceftriaxone, Cefazidime, Cefdinir, Cefpodoxime, Cefotaxime, Cefixime - ბეტა ლაქტამური ანტიბიოტიკები;
5. Albumin, Dextran, Hydroxyethylstarch - პლაზმის შემცვლელი საშუალებები;
6. Enoxaparin, Heparin, Dalteparin, Nadroparin, Sulodexide - ანტითრომბოზული და შედედების საწინააღმდეგო საშუალებები.

სააგენტოს განცხადებით, ფარმაცევტულ ბაზარზე კონკურენტული გარემოს შეფასების მთავარ ინდიკატორს წარმოადგენდა ბაზარზე არსებულ ურთიერთჩამანაცვლებელ მედიკამენტებს შორის კონკურენტული წნეხის დონის შეფასება. თუმცა, დეტალებში ის არ შედის და არ განიხილავს ჩანაცვლებადი პროდუქტების სახეებს და არ ახდენს მათ შორის კონკურენტული პირობების შეფასებას.

2016 წელს მედიკამენტების იმპორტი 168 ეკონომიკურმა აგენტმა განახორციელა, HHI წარმოადგენდა 1289 ერთეულს. ყველაზე მსხვილი იმპორტიორი კი იყო შპს „პსპ ფარმა“.

2017 წელს კი 180 ეკონომიკურმა აგენტმა მოახდინა იმპორტი, HHI კი შეადგენდა 1713 ერთეულს. ყველაზე მსხვილ იმპორტიორს ისევ შპს „პსპ ფარმა“ წარმოადგენდა.

2018 წელს 180 ეკონომიკური აგენტი იყო აქტიური იმპორტის ბაზარზე და HHI შეადგენდა 1799 ერთეულს. ყველაზე მსხვილ იმპორტიორს კი წარმოადგენდა სს „გეფა“.

2019 წელს იმპორტის ბაზარზე 178 მოთამაშე იყო აქტიური, HHI კი იყო 1748 ერთეული. ყველაზე მსხვილ იმპორტიორს ისევ წარმოადგენდა სს „გეფა“.

2020 წელს ბაზარზე 156 ეკონომიკურია გენტი იყო მოთამაშე, HHI წარმოადგენდა 1663 ერთეულს. ყველაზე მსხვილ იმპორტიორად კი ისევ შპს „პსპ ფარმა“ მოგვევლინა.

მიუხედავად იმისა, რომ 2016-2020 წლებში იმპორტიორი ეკონომიკური აგენტების რაოდენობა 156-ზე ნაკლები არ ყოფილა, კონცენტრაციის მაჩვენებელი (HHI) არც ისე დაბალია. ეს იმას ნიშნავს, რომ რამდენიმე ეკონომიკური აგენტი შეიძლება იყოს შესაბამის ბაზარზე უმსხვილესი იმპორტიორი. შესაბამისად, დიდი რაოდენობის კომპანიები შესაძლოა მხოლოდ ერთი ან რამდენიმე ფარმაცევტული პროდუქტის იმპორტიორი არიან. სააგენტოს, სამწუხაროდ, არ აქვს მოძიებული ზემოთ აღნიშნული 6 სამკურნალო ჯგუფის შიგნით შემავალი მედიკამენტების სახეები და ამ ჯგუფებში შემავალ მედიკამენტებს შორის ურთიერთჩანაცვლებისა და კონკურენციის პირობები.

სააგენტოს აზრით, იმპორტირებული მედიკამენტების საერთო ღირებულება 2020 წელს 2016 წელთან შედარებით გაზარდილია 41 პროცენტით ეროვნულ ვალუტაში.

პირველ სამკურნალო ჯგუფში 2016 და 2020 წლებში ფიქსირდება შპს „ჰსპ ფარმას“ დომინანტური მდგომარეობა.

მეორე სამკურნალო ჯგუფში კი 2020 წელს ფიქსირდება შპს „გლობალფარმის“ დომინანტური მდგომარეობა.

მესამე სამკურნალო ჯგუფში კი 2016-2020 წლებში სახეზეა შპს „ავერსი-ფარმას“ დომინანტური მდგომარეობა.

მეოთხე სამკურნალო ჯგუფში კი 2017 და 2020 წლებში შპს „ჰსპ ფარმას“ დომინანტური მდგომარეობა შეინიშნება, ხოლო 2016, 2018 და 2019 წლებში კი სს „გეფას“ ეკავა დომინანტური მდგომარეობა.

მეხუთე სამკურნალო ჯგუფში 2016-2017 წლებში შპს „ჰსპ ფარმას“ ეკავა დომინანტური პოზიცია, 2018 წელს - შპს „ავერსი ფარმას“, ხოლო 2017, 2019 და 2020 წლებში კი - სს „გეფას“.

მეექვსე სამკურნალო ჯგუფში 2016-2019 წლებში ფიქსირდებოდა სს „გეფას“ და შპს „ავერსი-ფარმას“ დომინანტური მდგომარეობა.

სააგენტოს მტკიცებით, აღნიშნულ ჯგუფებში სხვადასხვა დროს შეინიშნებოდა კოლექტიური დომინანტური პოზიციის აუცილებელი თითო-თითო პირობა, თუმცა არა ყველა პირობა იმისათვის, რომ კოლექტიურ დომინანტ პოზიციად დაკვალიფიცირებულიყო სააგენტოს მიერ.

სააგენტო მნიშვნელოვან ყურადღებას აქცევს სხვადასხვა ფაქტორებს, მათ შორის ბაზარზე შესასვლელ ბარიერებს. ერთ-ერთი ასეთი ბარიერი კი არის ექიმის მიერ რეცეპტის გამოწერა/-დანიშნულება, რომელშიც სამკურნალო საშუალების სავაჭრო

დასახელების მითითება ხდება. სააგენტოს აზრით, კონკრეტულ სამკურნალო ჯგუფებში გენერიკების ფიზიკური ხელმისაწვდომობის ნაკლებობა შესაძლოა განპირობებული იყოს ქვეყანაში არსებული სარეცეპტო პოლიტიკით. კერძოდ, რეცეპტის დონეზე მედიკამენტის სავაჭრო დასახელების მითითება წარმოადგენს გენერიკული მედიკამენტების ბაზარზე შეღწევადობის უმნიშვნელოვანეს ბარიერს. მნიშვნელოვანია ასევე გენერიკების მოხმარების წახალისების განგრძობადი კამპანიის წარმოება, რაც აუცილებლად მნიშვნელოვნად დაზოგავდა მომხმარებლების ხარჯებს.

სააგენტო ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ კომპანიების ფასნამატი მედიკამენტებზე, რომლებიც ბაზარზე წარმოადგენილია სავაჭრო დასახელებით, მსგავსია გენერიკულ მედიკამენტებზე არსებული ფასნამატისა. შესაბამისად, გენერიკული მედიკამენტების რეალიზაცია, ბრენდირებულ მედიკამენტებთან შედარებით, ხორციელდება გაცილებით მაღალი პროცენტული ფასნამატით. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ გენერიკული მედიკამენტების თვითღირებულება გაცილებით დაბალია. სააგენტო აღნიშნავს, რომ გარანტირებული/ხელოვნური მოთხოვნა ქმნის წინაპირობას, რომ კომპანიებმა მედიკამენტების ფასწარმოქმნასთან დაკავშირებით გადაწყვეტილებები მიიღონ კონკურენტული წნეხის გამორიცხვის შედეგად, რაც საბოლოო ჯამში, ერთი მხრივ, იწვევს მომხმარებლის/პაციენტის არაინფორმირებულ არჩევანს და მაღალი თვითღირებულების/საცალო ფასის მქონე მედიკამენტის შექმნას, ხოლო მეორე მხრივ, ამგვარ მედიკამენტებზე არსებული გარანტირებული მოთხოვნა შესაძლებელს ხდის გენერიკებზე გაცილებით მაღალი ფასნამატის მიღებას პროცენტულ ნაწილში.

სააგენტოს ინფორმაციით, ფასნამატი გენერიკულ მედიკამენტებზე 200% აღწევდა, ხოლო იმ მედიკამენტებზე, რომლებიც

სავაჭრო დასახელებითაა ცნობილი - 20-30% ფარგლებშია. სააგენტოს მტკიცებით, მან მოახდინა შედარებით მცირე კომპანიების იდენტიფიცირება (თუმცა სამწუხაროდ არ ასაჯაროვებს), რომლებიც წარმოდგენილი იყვნენ არა მხოლოდ ბაზრის იმპორტის/წარმოების, ასევე საბითუმო დონეზე და თვითღირებულებასთან შედარებით, მედიკამენტების რეალიზაციას საბითუმო მიწოდების დონეზე ახორციელებენ გაცილებით მაღალი ფასნამატიტ, რაც რიგ შემთხვევებში ცდება **1000%-ს**. ამგვარ მედიკამენტებზე საცალო დონეზე მოთხოვნის არსებობა, სააგენტოს აზრით, პირდაპირ კავშირშია ბაზარზე არსებულ ინტერესთა კონფლიქტთან (ექიმების მხრიდან) და შესაბამისად გარანტირებულ/ხელოვნურ მოთხოვნასთან.

სააგენტოს მტკიცებით, მსხვილი კომპანიების საშუალო შეწონილი საერთო ფასნამატი მედიკამენტებზე 18-26%-ის ფარგლებშია. რა თქმა უნდა, აღნიშნული ოდენობით ფასნამატი არ წარმოადგენს მაღალ ფასნამატს. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ საზოგადოებაში არსებობს ეჭვი, რომ მსხვილი კომპანიები მედიკამენტებზე გაცილებით დიდი ფასნამატიტ მუშაობენ.

სააგენტოს მხრიდან გამოიკვეთა ასევე კიდევ ერთი სერიოზული პრობლემა, რაც ჰოლდინგურ ჯგუფში შემავალი კომპანიების მხრიდან ფარმაცევტული პროდუქტების რეალიზაციას უკავშირდება. რეალიზებული მედიკამენტების კონკრეტული კომპანიების დონეზე ანალიზის შედეგად გამოიკვეთა, რომ კომპანიები მეტწილად (საერთო რეალიზაციის 50% და მეტი) ახორციელებენ იმ მედიკამენტების რეალიზაციას, რაც წარმოადგენს ამავე კომპანიის/კომპანიების იმპორტირებულ ან/და ჰოლდინგურ ჯგუფში შემავალი კომპანიის მიერ წარმოებულ პრეპარატებს. ეს კი სააგენტოს აზრით, შესაძლოა წარმოადგენდეს ვერტიკალური/ჰორიზონტალური ინტეგრაციის, ინტე-

რესტა შეუთავსებლობის ან/და ბაზრის ჰოლდინგური სტრუქტურის შედეგს. ჰოლდინგურ ჯგუფში მოიაზრება ისეთი კომპანიების გაერთიანება, რომლებშიც შედიან ფარმაცევტული პროდუქციის მწარმოებლები ან/და იმპორტიორები, აქვთ თავიანთი სამედიცინო დაწესებულებები (ამბულატორია, სავადმყოფო) და ოპერირებენ თავიანთი სადაზღვეო კომპანიებით. ბაზრის ამგვარი სტრუქტურა კი ჰოლდინგურ ჯგუფებს ანიჭებს საბაზრო ძალას, იქონიოს მნიშვნელოვანი გავლენა მედიკამენტების გამოწერაზე პასუხისმგებელ პირებზე, რის შედეგად მიღებული გადაწყვეტილებები შესაძლოა გამომდინარეობდეს არა პაციენტის საუკეთესო ინტერესიდან, არამედ შეესაბამებოდეს კონკრეტული ჰოლდინგური ჯგუფის კომერციულ და ბიზნესს ინტერესებს. შესაბამისად, სააგენტო თვლის, რომ საჭიროა ბაზრის ჰოლდინგური სტრუქტურის შეზღუდვა აღნიშნულ ბაზარზე.

საქართველოში ფარმაცევტული კომპანიები ფასის განსაზღვრის პოლიტიკაში სრულად დამოუკიდებელნი არიან. თუმცა, ევროკავშირის წევრ სახელმწიფოებს თუ გადავხედავთ, უმრავლესობა იყენებს ფასის რეგულირების სხვადასხვა მეთოდს. ამ მხრივ კარგი იქნება თუ ფასის დადგენის რომელიმე მეთოდს გამოვიყენებთ, რაც უსამართლო ფასის გადახდისაგან დაიცავს მომხმარებელს.

ასევე საინტერესოა ინფორმაციის ასიმეტრიულობის საკითხიც, რაც იმაში გამოიხატება, რომ სამედიცინო პერსონალი ფლობს სრულ ინფორმაციას მედიკამენტების ხარისხისა და ჩანაცვლებადობის შესახებ, თუმცა მეორე მხარეს, კერძოდ მომხმარებელს ამგვარ ინფორმაციაზე წვდომა არ გააჩნია.

სააგენტო ანგარიშში მნიშვნელოვან ყურადღებას ამახვილებს სამედიცინო პერსონალსა და ფარმაცევტულ კომპანიებს შორის

არსებულ ინტერესთა კონფლიქტზე. კერძოდ, „ჯანმრთელობის დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მიხედვით, სამედიცინო დაწესებულება და ჯანმრთელობის დაცვის პერსონალი ვალდებულია დაიცვან ინტერესთა შეუთავსებლობის პრევენციისთვის შემდეგი ნორმები:

პირველი, პროფესიული სამედიცინო საქმიანობის განხორციელების პროცესში პაციენტებთან ურთიერთობისას არ იმოქმედონ ანგარებით, მათ შორის, მესამე პირის სასარგებლოდ;

მეორე, არ შევიდნენ გარიგებაში რომელიმე სამედიცინო დაწესებულებასთან ან/და ფარმაცევტულ კომპანიასთან იმ მიზნით, რომ პირადი კომერციული დაინტერესების სანაცვლოდ გამოიყენებენ პაციენტებს და ამით რაიმე მატერიალურ სარგებელს ნახავენ.

სამწუხაროდ, აღნიშნული ვალდებულებების ეფექტური მონიტორინგი არ ხდება შესაბამისი მარეგულირებლის მხრიდან.

სააგენტო ასევე მნიშვნელოვან ყურადღებას ამახვილებს ელექტრონული რეცეპტების სისტემის დანერგვაზე, რაც მარეგულირებელს ეფექტიანი კონტროლის საშუალებას მისცემს. ასევე, მისი აზრით, რეცეპტის მიცემისას ჯობია მიეთითოს სულ მცირე ერთი დამატებითი ჩამნაცვლებელი გენერიკი ან სულ მცირე სამი ყველაზე დაბალი ფასის მედიკამენტი. სააგენტოს აზრით, ასევე მნიშვნელოვანია დაწესდეს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა ინტერესთა შეუთავსებლობის ფაქტების მიმართ.

ფარმაცევტულ ბაზარზე უნდა აღინიშნოს ასევე 2016 წელს მომხდარი კონცენტრაცია, რომელსაც სააგენტომ მწვანე შუქი მისცა და ამით ხელი შეუწყო ჰოლდინგური ჯგუფის შექმნას და

გაძლიერებას. კერძოდ, სს „ჯიპისის“ მიერ სს „ეი-ბი-სი ფარმაციის“ აქციათა 100%-ის შეძენა მოხდა. 2021 წლის ანგარიშში კი სააგენტო ამბობს, რომ ჰოლდინგური ჯგუფი კონკურენციის შემზღვეველ პრაქტიკას იწვევს.

მეთე მონიტორინგი უკავშირდება საავტომობილო საწვავის ბაზრის მონიტორინგს, რომლის ანგარიში 2022 წელს გამოაქვეყნა სააგენტომ. ანგარიშში წერია, რომ სააგენტო აღნიშნული ბაზრის მონიტორინგს აწარმოებს 2018 წლის 5 ივლისიდან. ამ მონიტორინგის მიზანი იყო 2022 წლის იანვარ-ივლისში საავტომობილო საწვავის ბაზრის შესწავლა.

სააგენტოს ინფორმაციით, 2022 წლის იანვარ-ივლისის პერიოდში საქართველოში 40-მა ეკონომიკურმა აგენტმა განახორციელა ბენზინის და დიზელის იმპორტი. HHI კი ამ პერიოდში შეადგენდა 1547 ერთეულს. 3 ყველაზე მსხვილი იმპორტიორი ეკონომიკური აგენტის წილი საერთო იმპორტში კი იყო 60.88 პროცენტი. რუსეთის ფედერაციიდან განხორციელდა საწვავის 40.8% იმპორტი, რუმინეთიდან 26.5% და ბულგარეთიდან 13.4%.

სააგენტოს მტკიცებით, 2022 წლის იანვარ-ივლისის პერიოდში გლობალურ ბაზარზე ნავთობის ფასის მატებას ჰქონდა ადგილი და მაქსიმალურ ნიშნულს მიაღწია 8 მარტს - 128\$/ბარელი. 6 აგვისტოს მდგომარეობით კი მისი ფასი \$94.92 დაეცა. შესაბამისად, ნედლი ნავთობის ფასი პრაქტიკულად დაუბრუნდა 2022 წლის თებერვლის პირველი ნახევრის მაჩვენებელს. ასევე გამყარდა ლარიც 36 პუნქტით (11.7%-ით).

ამ თვეებში საწვავის იმპორტი ძირითადად (85-90%) ხდებოდა ორი ქვეყნიდან - რუსეთის ფედერაციიდან და რუმინეთიდან. სააგენტოს მტკიცებით, რუსეთის ფედერაციიდან იმპორტირებული რეგულარის, პრემიუმის და დიზელის ტიპის საწვავი გამოირჩევა მნიშვნელოვნად დაბალი თვითღირებულებით,

რუმინეთიდან იმპორტირებულ საწვავთან შედარებით, *თუმცა მსხვილი კომპანიების შემთხვევაში, საცალო ფასი განსაზღვრულია ევროპის ქვეყნებიდან იმპორტირებული საწვავის მსგავს ნიშნულზე. თვითღირებულებაში სხვაობა კი შეადგენდა საშუალოდ 20-70 თეთრს 1 ლიტრ საწვავზე.* რუმინეთიდან იმპორტს მხოლოდ ერთი ეკონომიკური აგენტი ახდენდა. ამასთან, საქართველოს მსგავსად, ბულგარეთსა და რუმინეთში, 1 ლიტრი საწვავის ფასი იანვარი-მარტის პერიოდში საშუალოდ 20-26 ცენტით გაიზარდა. თუმცა, საქართველოსგან განსხვავებით, აპრილის თვეში, შეინიშნება ფასის დაახლოებით 6-8 ცენტიანი შემცირება. მაისის თვეში რუმინეთის და ბულგარეთის შემთხვევაში ფიქსირდება ფასის 13-14 ცენტიანი ზრდა, საქართველოს შემთხვევაში კი ფასი ამერიკულ დოლარში არ შეცვლილა. ივლისის თვეში ბულგარეთსა და რუმინეთში ფასი შემცირდა 7-8 ცენტით, ხოლო საქართველოში გაიზარდა 11 ცენტით. გარდა ამისა, ასევე აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ სააგენტოს აზრით, მსხვილ კომპანიებსა და მცირე ქსელებს შორის საცალო ფასწარმოქმნის კუთხით არსებობს რამდენიმე მნიშვნელოვანი განსხვავება, კერძოდ, ერთი და იმავე ტიპის საწვავზე ფასი შესაძლოა განსხვავებული იყოს 30-60 თეთრით 1 ლიტრზე და ამავდროულად განსხვავებული იყო ფასის ცვლილების დროითი შუალედები.

საბოლოოდ უნდა ითქვას, რომ სააგენტოს მტკიცებით, რუსეთის ფედერაციიდან იმპორტირებული საწვავის თვითღირებულება საშუალოდ 30-70 თეთრით დაბალი იყო ევროპის ქვეყნებიდან იმპორტირებულ საწვავთან შედარებით (მარტი-ივლისი), თუმცა საცალო ბაზარზე მსხვილი კომპანიების შემთხვევაში ხელმისაწვდომი იყო ევროპული საწვავის იდენტურ ფასად.

აღნიშნული მონიტორინგის განხორციელებისას სააგენტომ ჩათვალა, რომ კანონის მე-7 მუხლის დარღვევას შეიძლება

ჰქონოდა ადგილი და დაიწყო მოკვლევა. 2023 წლის 17 აგვისტოს გამოქვეყნა გადაწყვეტილება, რომლითაც შპს „ლუკოილ-ჯორჯიას“ (ს/ნ 204976302), სს „ვისოლ პეტროლიუმ ჯორჯიას“ (ს/ნ 202161098), შპს „სან პეტროლიუმ ჯორჯიას“ (ს/ნ 404391136), შპს „სოკარ ჯორჯია პეტროლიუმის“ (ს/ნ 202352514) და შპს „რომპეტროლ საქართველოს“ (ს/ნ 204493002) დაუდგინა „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის დარღვევა და ისინი ჯაშში 4 მილიონ ლარამდე დააჯარიმა. საინტერესო იქნება იმის დადგენა, თუ რა რაოდენობის ჯარიმები დააკისრა სამართალდამრღვევ ეკონომიკურ აგენტებს შესაბამისი ბრუნვიდან პროცენტული მაჩვენებლის გათვალისწინებით 2018 წელს მე-7 მუხლის დარღვევის შემთხვევაში (იხ. ზემოთ, კარტელური შეთანხმებების საქმეები, ნავთობკომპანიების საქმე II) და ამავე მუხლის დარღვევის გამო 2022 წელს. კანონის 33-ე მუხლის მიხედვით, მე-6 და მე-7 მუხლებით გათვალისწინებული დარღვევის სამართლებრივი საფუძვლის აღმოუფხვრელობის ან აღნიშნული დარღვევის განმეორების შემთხვევაში მხარეს დაეკისრება ჯარიმა, რომლის ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს წინა ფინანსური წლის განმავლობაში მისი წლიური ბრუნვის 10%-ს. შესაბამისად, *კანონი გაორმაგებულ ჯარიმას ითვალისწინებს სამართალდარღვევის განმეორებისათვის. თუმცა, როგორც ჩანს, სააგენტომ იმავე ეკონომიკურ აგენტებს სამართალდარღვევის განმეორებით ჩადენის შემთხვევაში ჯარიმის ოდენობა არ გაუზარდა კანონის შესაბამისად.*⁷³

მონიტორინგის მეთერთმეტე შემთხვევა უკავშირდება შუშის ნარჩენების შეგროვება/გადამუშავების ბაზარს. სააგენტომ ანგარიში 2022 წელს გამოაქვეყნა. ამ ბაზარზე მონიტორინგის დაწყების საფუძველი იყო პარლამენტის წევრის მიმართვა, რომლის

⁷³ სააგენტოს 20.09.2023 წლის #02/2499 წერილი

აზრითაც, ქვეყნიდან ყოველგვარი გადამუშავების გარეშე ხორციელდებოდა მინის ნარჩენების ექსპორტი და შესაბამისად, კასპის მუნიციპალიტეტის სოფელ ალაიანში არსებული შუშის გადამუშავების საწარმოს - შპს „კერეს“ შეექმნა პრობლემები ნედლეულის დეფიციტის გამო.

სააგენტოს მიერ შესწავლილი იქნა ბაზარზე არსებული სიტუაცია 2019-2022 წლებში. სააგენტომ მონიტორინგის ფარგლებში პროდუქციულ საზღვრებად მიიჩნია ნალეწი შუშის ბაზარი.

სააგენტოს ინფორმაციით, შუშის ნარჩენების ორგანიზებულ შეგროვებას ქვეყანაში მოკვლევის პერიოდში ახორციელებდა 2 კომპანია - შპს „კერე“ და შპს „სიმართლე“. პირველი მათგანი შუშის ნარჩენების რეალიზაციას ძირითადად ახდენდა სს „მინაზე“, რომელიც მინის გადამამუშავებელ-მწარმოებელ ეკონომიკურ აგენტს წარმოადგენდა. ხოლო მეორე კომპანია, შპს „სიმართლე“ შეგროვებული შუშის ნარჩენების ძირითად ნაწილს ექსპორტზე უშვებდა სომხეთის რესპუბლიკაში.

შპს „სიმართლემ“ ბაზარზე ოპერირება დაიწყო 2020 წლიდან. ნარჩენების წარმომქმნელი პირების რაოდენობრივ ზრდასთან ერთად, შპს „სიმართლეს“ ბაზარზე შესვლის შედეგად, გაიზარდა როგორც შეგროვებული შუშის რაოდენობა, ასევე მისი როგორც ნედლეულის სარეალიზაციო ფასი.

სააგენტოს ინფორმაციით, სს „მინისთვის“, რომელიც გადამამუშავებელ კომპანიას წარმოადგენდა, შუშის ნარჩენი არ წარმოადგენს მინის საწარმოებელი ერთადერთ/ძირითად ნედლეულს, რაც გამორიცხავს მწარმოებლის დამოკიდებულებას მხოლოდ ამ სახის ნედლეულზე. სააგენტოს აზრით, ის ფაქტი, რომ ქვეყანაში შეგროვებული შუშის ნარჩენების ნაწილის ექსპორტი გადამამუშავების გარეშე ხორციელდება სხვა ქვეყანაში, არ წარმოადგენდა სააგენტოს შეფასების საგანს.

სააგენტოს მტკიცებით, შპს „კერეს“ მიერ ნარჩენების რეალიზაციის ფასი სს „მინაზე“ მცირე იყო შპს „სიმართლეს“ მიერ ანალოგიური პროდუქტის საექსპორტო ფასთან მიმართებაში. სააგენტოს ინფორმაციით, ადგილი ჰქონდა კონკურენციას ნარჩენების წარმომქმნელი პირების გადმობირების დონეზე.

სააგენტოს მტკიცებით, ბაზარზე მონიტორინგის შედეგად არ გამოიკვეთა კონკურენციის კანონმდებლობის დარღვევის რისკები.

8. ღასკჰნა

კონკურენციის კანონმდებლობის ანალიზის საფუძველზე შეიძლება იმის თქმა, რომ ის შესაბამისობაშია ევროკავშირის კანონმდებლობასთან. თუმცა, არის რიგი საკითხები, რომელიც საჭიროებს კიდევ უფრო დაახლოებას ევროპულ ნორმებთან. მაგალითად, სანქციების ნაწილში. კერძოდ, “კონკურენციის შესახებ” საქართველოს კანონის 33-ე მუხლის საფუძველზე კანონის მე-6, მე-7, მე-11¹, მე-11 და მე-12 მუხლების დარღვევის შემთხვევაში გათვალისწინებულია წინა ფინანსური წლის განმავლობაში სამართალდამრღვევი ეკონომიკური აგენტის წლიური ბრუნვის 5%-მდე დაჯარიმება. თუმცა, ეს ოდენობა ევროკავშირის კანონმდებლობით გათვალისწინებულ ჯარიმების ოდენობაზე ორჯერ ნაკლებია. ევროკავშირში ასეთ შემთხვევებში ბრუნვის 10 პროცენტამდე ჯარიმება გათვალისწინებული. საქართველოში კი კანონით სამართალდამრღვევი ეკონომიკური აგენტების დაჯარიმება ბრუნვის 10 პროცენტამდე გათვალისწინებული მხოლოდ კანონის მე-6 და მე-7 მუხლებით გათვალისწინებული დარღვევის სამართლებრივი საფუძვლის აღმოუფხვრელობის ან აღნიშნული დარღვევის განმეორების შემთხვევაში. მიუხედავად იმისა, რომ ბოლო წლებში სააგენტოს უფლებამოსილება ძლიერდება კანონში შესული ცვლილებებისა და დამატებების შედეგად, 2023 წლის ნოემბერში ცნობილი გახდა, რომ საქართველოს პარლამენტში ინიცირებული იქნა „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებების პროექტი,⁷⁴ რომლის მე-14 ნაწილის შესაბამისად, ჯარიმის დაანგარიშება გათვალისწინებულია არა წლიური ბრუნვიდან,

⁷⁴ <https://info.parliament.ge/v1/law-drafting/bills/27228/details/90787>
[08.11.2023]

არამედ წლიური შემოსავლიდან. აღნიშნული ცვლილება წინა-აღმდეგობაში მოდის ევროპულ რეგულაციებთან და ასევე ასოციირების შესახებ შეთანხმების 204-ე მუხლთან. კერძოდ, საქართველოს უნდა ჰქონდეს „ყოვლისმომცველი კონკურენციის კანონმდებლობა, რომელიც ეფექტიანად იქნება მიმართული ანტიკონკურენციულ შეთანხმებებზე, შეთანხმებულ ქმედებებსა და დომინირებული საბაზრო ძალაუფლების მქონე კომპანიების ერთპიროვნულ ანტიკონკურენციულ ქმედებაზე და რომლებიც ითვალისწინებს შერწყმების ეფექტიან კონტროლს, თავისუფალი კონკურენციის მნიშვნელოვანი შეზღუდვისა და დომინირებული მდგომარეობის ბოროტად გამოყენების თავიდან აცილების მიზნით“... გარდა ამისა, აღნიშნული კანონმდებლობის აღსრულება უნდა მოახდინოს შესაბამისმა ორგანომ ეფექტიანად. სამწუხაროდ აღნიშნული ცვლილებების საფუძველზე კანონმდებლობის ეფექტიანი აღსრულება ვერ მოხდება. სანქციები უნდა იყოს ეფექტური, პროპორციული და შემაკავებელი. შემოსავლიდან ჯარიმების დაანგარიშების შემთხვევაში, ეკონომიკურ აგენტს საშუალება ექნება დაჯარიმებამდე ისე იმოქმედოს, რომ შემოსავალი და მოგება მინიმუმამდე დაიყვანოს, რაც მისთვის უმნიშვნელო ოდენობის ჯარიმის დაკისრებას გამოიწვევს. აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ სააგენტოს არასოდეს დაუწესებია მაქსიმალური ოდენობის ჯარიმა და კანონის 33-ე მუხლის მეორე პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში მე-7 მუხლის განმეორებით სამართალდარღვევის შემთხვევაში არ გამოუყენებია უფრო მკაცრი ოდენობის ჯარიმა, მიუხედავად იმისა, რომ ადგილი ჰქონდა კონკურენციის ყველაზე მძიმე შეზღუდვებს (ნავთობის ბაზარზე 2018 წლის და 2023 წლის გადაწყვეტილებები).

ასევე მნიშვნელოვანია ევროპული რეგულაციებისა და გაიდლაინების სიღრმისეული შესწავლა და მათი იმპლემენტაცია

ჩვენს კანონმდებლობაში და გაიდლაინებში. თუმცა მარტო გადმოტანა არაა სავმარისი და მათი გამოყენებაცაა საჭირო საქმეების შესწავლის დროს. განსაკუთრებით ეს შეეხება კონცენტრაციების შემთხვევებს.

კონკურენციის სააგენტოს გადაწყვეტილებების შესწავლისას ზოგიერთ შემთხვევაში ჩანს, რომ სააგენტოს მეტი გულისხმიერება მართებს საქმის გარემოებების შესწავლისა და ანალიზისას. რამდენიმე საქმეზე სერიოზული კითხვის ნიშნებია, რადგან მნიშვნელოვანი საკითხები ან არ არის კარგად შესწავლილი ან სათანადო ყურადღება არ ექცევა.

მნიშვნელოვანია იმის აღნიშვნაც, რომ რიგ შემთხვევებში ნათელია, რომ სააგენტოს არ აქვს პოლიტიკური ნება თავისი საქმიანობა ეფექტურად განახორციელოს.



სამართლისა და პოლიტიკის
კვლევის ინსტიტუტი
Institute for Law & Policy Research



www.ilpr.ge